


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

9 მარტი 2012 №5(161)

კოლხური თილისმა
თეიმურაზ ლანჩავას ლექსები
ლევან ვასაძის პოლიტიკური ესეი
რისმაგ გორდუზიანი პლუტარქოსზე
ხიდად — საქართველოსა და ირანს შორის
სოფიკო კვანტალიანის მეტაფორული სამყარო
გრიგოლ აბაშიძის ბიოგრაფიული ნატეხები
ვისლავა შიმბორსკა — პოეზიის მოცარტი
დავით არჩვაძე და მისი მეგობრები
იოსებ ჭუმბურიძის ჩანაწერები



შინაარსი

ერი და გადისწერა	2	ლევან ვასაძე ტექტონიკური შეჯახებისა და გამოფატრული მიზნების ეპოქა
წარსული მომავლისათვის	4	თამარ ყალიჩავა ხიდად — საქართველოსა და ირანს შორის (ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავი)
მსარს-ინტერვიუ	6	ალეკო მახარობლიშვილი „იყავი ნენიერი კაცი“ (მომზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
პროზა	7	ლეილა მესხი კოლხური თილისმა
პოეზია	17	ვერიკო ზამთარაძე დღეს საქართველო... და სხვა ლექსები
	20	თეიმურაზ ლანჩავა გაუმართლებელ იმედით, წუხს მოლოდინი და სხვა ლექსები
უსმოთის სსოვრებიდან	23	ამბროსი გრიშკაშვილი პოეზიის მოცარტი (გამოთხოვება ვისლავა შიმბორსკასთან)
დიალოგი	24	თეა შურღაია ირანი — ჩემი სიზმრების ქვეყანა
მოგონებათა სკივრი	28	ლალი ალექსი-მესხიშვილი რეკვიემის მამიერ ანუ გარდასულ დღეთა მკივე მოგონებანი
კლანიკური მემკვიდრეობა	34	რისმაგ გორდუზიანი თითქოს ორიგინალს კითხულობდათ და არა თარგმანს (პლუტარქოსის „მორალები“)
რეპორტაჟი	36	ეკა ბუჯიაშვილი „წყლით ქვანაცა გამოსცდიან“ (დათო არჩვაძე და მისი მეგობრები)
თქვა მართლისა	41	იოსებ ჭუმბურიძე ნაფიქრალაზი
გადი კასისა	43	როსტომ ჩხეიძე დარდი ფარული (გრიგოლ აბაშიძის ბიოგრაფიული ნატეხები)
კრიტიკა	51	ელიზბარ ელიზბარაშვილი ნიჰილისტური ცივილიზაციიდან ამ ქვეყნის „უტკბილეს გვირგვინამდე“ (სოფიკო კვანტალიანის პოეზიის მეტაფორული სამყარო)
აინტროდა	57	ლელა ჯიყაშვილი აღსარების სურნალი (მხატვრულ-დოკუმენტური ნიგნი გურამ დოჩანაშვილზე)
	58	ვაჟა გიგაშვილი ფრინველთა სპექტაკლი და აღამიანთა პარადოქსები
დაუნიწყარი სახელები	59	მიხეილ ჭონქაძე „არაული ისტორიის დაღლილი ოცნება“ (ფიქრი ნიკო ლორთქიფანიძის ერთ მინიატურაზე)
უსმოური ნოველა	60	ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი სამი საათი ავიაჩინებებს შორის
მოზაიკა	63	ასე უზნობლა მსტოვართუხუცესი

ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96_20_62

რეკლამა – (995 93) 65_93_68

გავრცელება – (995 77) 11_24_30

ფაქსი: (995 322) 96_20_62

E-mail: info@mtserloba.ge



მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩხილაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: მარტივლის ტაძრის გალავანი, ლადო ჩაჩუას ფოტოეტიუდი
ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი

ლევან ვასაძე

ტექტონიკური შეჯახებისა და გამოფატრული მიზნების ეპოქა

ჩვენს თაობას მოუწია ცხოვრება და მოღვაწეობა უდიდესი კულტურული და გეოპოლიტიკური შეჯახების ეპოქაში, რომელსაც გადამეტების გარეშე შეიძლება ტექტონიკური ვუნოდოთ. არასოდეს არ დაჯახებია ერთმანეთს ამ სიმძლავრის ორი სისტემა და ამ დაჯახებას არასოდეს არ მოჰყოლია ამ მასშტაბის შედეგები. ოცი წლის წინათ დაინგრა და აგრძელებს ნგრევას საბჭოთა იმპერია და საქართველოში ნელ-ნელა შემოვიდა და ჯერ კიდევ შემოდის დასავლური წეს-წყობილება. სოციალისტურ-კომუნისტური სისტემა ჩანაცვლდა კაპიტალისტურ-სამომხმარებლო მსოფლმხედველობით, ჩვენი ქვეყანა, რომელსაც ჩვენ მარად ქვეყანად აღვიქვამთ, დამოუკიდებლად მისი მიმდინარე იურიდიული სტატუსისა, საბჭოთა რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გარდაიქმნა. ამ ცვლილებას მოჰყვა უამრავი რამ, არნახული ყოფითი გასაჭირითა და ქვეყნის მორიგი დროებითი დანაწევრებით დაწყებული, და ორასწლიანი პაუზის შემდეგ ჩვენი სანატრელი სახელმწიფოებრიობის აღდგენით დამთავრებული.

ალბათ ჩვენს ისტორიაში მოიძებნება მრავალი ამგვარი პერიოდი, როდესაც ჩვენს პატარა ქვეყანაში ერთმანეთს გავლენისათვის ეჯიბრებოდნენ მოქიშვე იმპერიები და იდეოლოგიები, რელიგიები და წეს-წყობილებები. საქართველოზე გავლენისა და მისი დაპყრობისათვის არაერთხელ შესცლილებიან ერთმანეთს თავისი ეპოქის უძლიერესი სისტემები და სახელმწიფოები, პართია და ანტიკური ელადა, მაზდეანული სპარსეთი და პოლითეისტური რომი, შიიტური ირანი და ბიზანტია, მონღოლური ოქროს ურდოს სახანო და არაბული ხალიფატები და საამიროები, ოსმალური სასულთნო და ცარისტული რუსეთი და ასე შემდეგ. შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩვენი ერთ-სათვის მუდმივი მდგომარეობაა, მაგრამ, ბუნებრივია, რომ ერთი იმპერიისა თუ იდეოლოგიის დამარცხებისა და მეორის მიერ მისი მორიგი დროებითი ჩანაცვლების პერიოდი ყოველთვის გავსაკუთრებული ინტენსიურობით ხასიათდებოდა.

ასევე ბუნებრივია, რომ გამჩენის მიერ დაშვებულ ამ ცვლილებაში ახალმოსული იდეოლოგია თავის თავს ყოველთვის ძველისაგან ჩვენს გამანთავისუფლებლად ასალებდა, ხოლო ამ გათავისუფლების შემდგომ საკუთარ ხარკს ადებდა ჩვენს ქვეყანას, როგორც ნივთიერს, ისე მსოფლმხედველობრივს. ამ ისტორიულ კოლიზებში ყალიბდებოდა ჩვენი ერის თვითმყოფადობა და მრწამსი, იბადებოდნენ ჩვენი გმირებიცა და მოლაღატებიც, ისევე, როგორც დანალექ ქანებში წნევის ქვეშ ჩნდება ალმასიცა და უსახო მეტამორფული ნაყარიც. და ალბათ ყოველ ასეთ პერიოდში ჩვენს მორიგ გულუბრყვილო თანამემამულეს ეჩვენებოდა, რომ ახალგამარჯვებული იდეოლოგია არის უძლიერესი, ყველაზე პროგრესული და სამუდამო. და რომ იგი აწი მარად იქნება და რომ მას აწი ველარაფერი შეცვლის, აჯობებს და დაამარცხებს. და ალბათ სწორედ ასეთ მონაკვეთებში ჩვენი ისტორიისა დროის მიღმა მოაზროვნე, მარადიული ქართველი გონიერად უმზერდა ამ ჩანაცვლებას, ცნობისმოყვარეობითა და ხალხით იღებდა

ახალმოსულისაგან ყველაფერს მარგებელს და გამოსადეგს, მაგრამ ერთი-დებოდა საკუთარი ოჯახისა და ქვეყნისათვის დამლუპველსა და მიუღებელს, გამხრწნელსა და დამაკნინებელს. სწორედ ამ ჩვენმა თვისებამ, რომელსაც მე გულთგონიერ გამომრჩევლობას ვუნოდებდი, განაპირობა ჩვენი ერის გადაარჩენა და არგანადგურება დღემდე.

ჩვენ ამჟამადაც ასეთი ინტენსიურობის ისტორიულ მონაკვეთში ვცხოვრობთ. დამარცხდა ჩვენი მეპატრონე ერთი იდეოლოგია და მისგან გვათავისუფლებს და გვიპყრობს მეორე იდეოლოგია. ამ პირობებში, როგორც ყოველთვის, ამჟამადაც გვყავს ჩვენს საზოგადოებაში მიაშიტად აღტაცებული აბორიგენები, რომლებიც ჩქარობენ ხელის სარკეებსა და შუშის მძივებში გასცვალონ ერის სულიერი თუ ნივთიერი ოქროს ღირებულებები და მიწის განძი, მონინავე პაპუასები, რომლებსაც ყველაფერი საკუთარი სამარცხვინო ატავიზმად და ტურისტულ სასუენიერე პროდუქციად მიაჩნიათ, რომელნიც სასწრაფოდ იპარსავენ ნამუსის უღვაშს, რათა მომსვლელებს დაემგვანონ და მათვე აკვირვებენ და აცინებენ საკუთარი წამხედურობით, ანტიეროვნული რადიკალიზმით და უფიქრალი მონადინებით გარდაქმნისა მხოლოდ გარდაქმნისათვის. ისინი ყველანაირად ცდილობენ ჩვენთან მოსულ ახალ კონკვისტადორებს დაემგვანონ ქცევითა და ზნით, არკი ესმით, რომ ნებისმიერი პიროვნების სახე ბუნებრივად ყალიბდება, ზედაპირული წამხედურობა კი მხოლოდ ნილაბსა ქმნის. ზოგნი ასე იქცევიან გულწრფელი და მიაშიტური აღტაცებით, რომელიც მათი ფსევდო-ინტელექტუალურობითა და გონებრივი შეზღუდულობითაა განპირობებული. ზოგნი კი ამას აკეთებენ ბანალური ანგარებით, რომელიც მათი მაღალი გონებრივი პოტენციალის მიუხედავად შესაძლებელია სინდისის დათრგუნვის ხარჯზე. ისევე გვესმის მონოდებები წარსულისაგან გათავისუფლებისაკენ და ისევე ვხედავთ უზადრუკ, ფსევდომეცნიერულ მცდელობებს ჩვენი ცხოვრების წესისა და ეროვნული მესხიერების ურყევი ჭეშმარიტებების ეჭვქვეშ დაყენებისა რაციონალური ანალიზის უწყინარი ლოზუნგით. შეადარეთ თანამედროვე ანტიეროვნული და ანტიტრადიციული რადიკალების ნასაუბრევი გასული საუკუნის დასაწყისის მენშევიკ-ბოლშევიკ პროპაგანდისტებს, უორდანიებსა და ორჯონიკიძეებს, აბსტრაპირებით თარი-



ლებსა, სახელებისა, ტოპონიმებისა და სხვადასხვა „-იზმებისაგან“ და განგაცვიფრებთ მათი ტყუპისცალობა თანამედროვე ანტიტრადიციულ რადიკალებთან. მათთვისაც ტრადიცია ნიშნავდა არა ერის გადარჩენისათვის აუცილებელ ბასტიონს, არამედ საძულველ და მოსამორებელ ღობეს ფსევდოპროგრესის გზაზე, მათთვისაც ოჯახისა და ადამიანის წესიერების საუკუნოვანი ნორმები იყო მოძველებული და გადასახედი, უმრავლესობით დროებით მიღებული ნორმების, ანუ ლეგალურობის ქრილში, მათთვისაც ეკლესიის გინება და ეკლესიისაგან პიროვნების ე.წ. „უფლებათა დაცვა“ იყო მთავარი ამოცანა. და რაოდენ ცინიკურია ან რაოდენ სულელური, რომ თანამედროვე რადიკალები საკუთარ თავს გასული საუკუნის დასაწყისის რადიკალების მოსისხლე იდეოლოგიურ მტრებად მიიჩნევენ და ვერ ან არ ხედავენ თავიანთ იდენტურობას მათთან.

ამავე დროს, და ასევე, როგორც ყოველთვის ასეთი ტექტონიკური შეჯახების ჟამს, გვყავს მეორე რადიკალური ფრთა ზელოტური აზროვნების პრიმიტივებისა, რომლებსაც ყველაფერი ახალი და პროგრესული მტრების ოინებად მიიჩნიათ, რომლებიც ტრადიციების დაცვის ლოზუნგის მიღმა საკუთარ სიზარმაცესა და საზოგადოებისათვის უვარგისობას მალავენ და რომლებიც სინამდვილეში არც ჭეშმარიტ ეროვნულ ინტერესებს ემსახურებიან და არც ეკლესიას ემორჩილებიან. ამ რადიკალურ ფრთაზეც ჩანს ორივე ქვეკატეგორია ბრიყვებისა და ცინიკურად შეგნებული ადამიანებისა. ერთადერთი განსხვავება აქ ისაა, რომ ამ ფრთაზე ანგარების მატერიალური გასაქანი ბევრად ნაკლებია და აქ ცინიკური კატეგორია თავის გასამრჯელოს სხვა ფორმებითა და სხვა წყაროებიდან ღებულობს.

ამ ორივე ფრთის რადიკალები ბევრით არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუმცა თავს მიიჩნევენ ერთმანეთის დაუძინებელ ოპონენტებად. ორივე ამ ჯგუფს აერთიანებს კასტური, პრიმიტიული და კატეგორიული აზროვნების სტილი და მაგ ჯგუფებში მყოფი თითოეული პიროვნება თავისუფლად შეიძლება მოხვედრილიყო მოპირდაპირე რადიკალურ ფრთაზე, მისი სოციალური და წარმომავლობითი განვითარება შესატყვისი მიმართულებით რომ წასულიყო.

ბოლოს უნდა ითქვას, რომ ეს ორივე რადიკალური ფრთა შეადგენს რიცხოვრზე უმცირესობას, თუმცა, როგორც ყოველთვის, ყველაზე მეტს სწორედ ის ხმაურობს.

აქ ალბათ მთავრდება მსგავსებები ჩვენი დროისა ჩვენს წარსულთან და იწყება ჩვენი დროის უნიკალური და აქამდე არნახული თვისებების ჩამონათვალი, რადგანაც ჩვენი ეპოქა მაინც ძალიან სხვანაირია ნებისმიერ სხვა ეპოქასთან შედარებით.

დავინწყით შესაძლებლობებით და ვთქვათ, რომ არასოდეს აქამდე ჩვენს ქვეყანას არ ჰქონია ასეთი გასავალი მთელს მსოფლიოში, არასოდეს არ ყოფილა ასეთი მობილური კაპიტალი, ტალანტი და ინფორმაცია, არასოდეს არ გვექონია ასეთი შესაძლებლობანი საკუთარი კულტურის გამდიდრებისა თუ წარმოჩენისა, ამდენი საშუალება ჩვენი ახალგაზრდების თვალსაწიერის გაფართოებისა და მათი განათლებისა. არასოდეს არ გამოგვხმაურებია ამდენი ქვეყანა ჩვენს მორიგ თავდაცვით ომში და არ დაუჭერია ჩვენთვის მხარი, თუნდაც სიტყვით. არასოდეს ჩვენი მორიგი მჩაგვრელისათვის მთელს მსოფლიოს ასე ერთხმად არ უთქვამს მჩაგვრელი ხარ და გაეთრიე მაქედანო. იქნებ არც არასოდეს არ გვეყოლია ჩვენ ასეთი სინმინდისა, სიბრძნისა

და მსოფლიო მასშტაბის პატრიარქი, ასეთი ავტორიტეტისა და ერთ ხელთდასხმულობის წმინდა სინოდი.

მაგრამ, ამავე დროს, არასოდეს ასე არ დანგრეულა მსოფლიოში და ჩვენთანაც ოჯახის ინსტიტუტი, ეს ადამიანის აღზრდის ერთადერთი ბუნებრივი ვარემო, არასოდეს ასე არ გაზრდილა ადამიანის სურვილები ნივთებისა და სიამოვნებისადმი, ანუ არასოდეს არ გაჩენილა ამხელა უფსკრული ადამიანის შესაძლებლობებსა და სურვილებს შორის — მთავარი წყარო ადამიანის ამქვეყნიური უბედურებისა. ამავე დროს, და იქნებ მათ შორის ამის შედეგადაც, არასოდეს არ ვყოფილვართ ჩვენ ერთდროულად მსოფლიოს პროცენტული ლიდერები დროის ერთ მონაკვეთში ერთხმად ამდენ ცუდ მაჩვენებელში: წარმოშობილ ემიგრაციაში (1 მილიონი 4 მილიონიდან), ნარკომანიაში (სანარკომანე ასაკის ქართველ მამაკაცთაგან ყოველი მე-3-4), აბორტებში (ნლიურად ვკლავთ 150 ათას ბავშვს, ანუ მოსახლეობის 4%-ს), საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დამუშავებულ მიწებში (<1%-ზე ნაკლები), დროებით დაკარგულ ლეგიტიმურ ტერიტორიებში (25%), საგარეო ვალის ზრდის სისწრაფეში, ლტოლვილთა რაოდენობაში, იმპორტზე დამოკიდებულებაში და საექსპორტო პოტენციალის სისუსტეში, პატიმრების პროცენტის ზრდის სისწრაფეში, ემიგრაციის მიერ შინ გამოგზავნილ ფულზე ეკონომიკის დამოკიდებულებაში.

თითოეული ზემოთმოყვანილი პრობლემა სავსებით საკმარისია, რომ ერთმა თაობამ თავი შევალთ მასთან ბრძოლას, ჩვენ კი რამდენი გვაქვს ასეთი ერთდროულად.

და მაინც, ყველაზე მტიკინეული და სახიფათო, ჩემი აზრით, არის ახალი ეპოქისა და ჩვენთან მოსული ფსევდოკულტურის მიერ დეკლარირებული მთავარი მიზანი ადამიანის ცხოვრებისა და საზოგადოებრივი განვითარების მიმართულებისა. ეს მიზანი ასე ჟღერს: მოსახლეობის ეკონომიკური პროგრესი. ქართულ ენაზე რომ გადმოვთარგმნოთ და დავმარცვლოთ, გამოდის, რომ მთავარი მიზანი ყოფილა გამდიდრება, გაძღომა, რაც შეიძლება მეტი სიამოვნების მიღება ცხოვრებისაგან. რა თქმა უნდა, რომ დოვლათის შექმნასა და ოჯახის უზრუნველყოფაზე დაუღალავი ზრუნვა ყველა ადამიანისა და საზოგადოების წმინდა მოვალეობაა. ჩვენს ტრადიციასა და სარწმუნოებაში გარჯა და დაუზარელი შრომა უცილობელი ატრიბუტებია წესიერი ცხოვრებისა, მაგრამ გამდიდრების მთავარ მიზნად დასახელება და შემდეგ მისი აბსოლუტში აყვანა, ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების მთავარ პრიორიტეტად მისი გადაქცევა და მისდამი ყველა სხვა მიზნის დამორჩილება არის ჩიხისა, მონყენისა და თვითმკვლელობისკენ მიმავალი გზა, დასაწყისი ყველა უბედურებისა. ამ მდაბიო მიზნის უმთავრესად აღიარება ავტომატურად იწვევს საზოგადოებაში ორიენტირების გადაღრეცას, მის დაბნევასა და კულტურულ ვარდნას, დაუკმაყოფილებლობისა და უბედურობის განცდის ზრდას. ჩვენი სარწმუნოებისა და კულტურის ერს ეგ მიზანი არ ეკადრება და არ შეესატყვისება. ამიტომ საჭიროა ამ მიზნის — როგორც ჩვენი მთავარი ორიენტირის — გადახედვა არა პოლიტიკურ, არამედ საზოგადოებრივ, ინტელექტუალურ და სულიერ ქრილში.

ამ სიბრტყეში ძვეს ჩვენი დროის მთავარი ამოცანა, აი, რას ნიშნავს ალბათ იყო ლიტერატორი, მოღვაწე, მწერალი თუ მოაზროვნე მოქალაქე ჩვენი დროისა.

გასული საუკუნის დასაწყისში ჩვენი მწერლებისა და წამყვან მოაზროვნეთა წრეებში მიმდინარე პოლემიკა ხში-

რად ევროპასა და აზიას შორის არჩევანს ეძღვნებოდა, იყვნენ ორივე კონტინენტის — როგორც იდეოლოგიური სანციების — მომხრეებიცა და მოწინააღმდეგეებიც.

გერონტი ქიქოძე წერდა: „თუკი აქამდე კულტურული იდეები გვაკლდა, ეს იმით აიხსნებოდა, რომ ჩვენ ქვეყანასა და დასავლეთ ევროპას შორის გარდაუვალი ბუნებრივი და სოციალური ზღუდეები იყო აღმართული.“

რაზეც გრიგოლ რობაქიძე იტყობდა: „ძვირფასია დასავლელი ევროპა, მაგრამ ევროპისათვის აღმოსავლეთს ჩვენ ვერ დავთმობთ.“

მას შემდეგ საუკუნე გავიდა და აწი ცხადია, რომ არსებული დაპირისპირება ველარ გამოისახება გეოგრაფიული ფრონტებით, ან თუნდაც ცალკეული ქვეყნების საზღვრებითა და კოალიციებით. მოვიდა დრო, როდესაც უკიდურესად გამწვავდა აქცენტები და კატეგორიულად ისმის მონობა: აირჩიეთ ან ასფალტი, ან თქვენი ღირებულებანი და ტრადიციები. არა ვართ რა დარწმუნებული ამ არჩევანის აუცილებლობასა და ამგვარი პრიმიტივისტული დაპირისპირების სისწორეში, ვალდებული ვართ ამაზე ერთად ვიფიქროთ რადიკალიზმისა და ურთიერთკვლის, ანუ ძაგების გარეშე. ჩვენი გზები არასოდეს ყოფილა სიმპლისტური, და ჩვენს წინაპრებს არასოდეს დაუტოვებიათ ჩვენთვის პრიმიტიული ინსტრუქცია ყოფითი ქმედებებისა. მაგრამ, ამავე დროს, მათვე არასოდეს უთქვამთ, რომ სარწმუნო არის მხოლოდ ხილული და რომ თავისუფლება ადამიანს უფლისაგან მიეცა იმისთვის, რომ მან ის გარყვნილებისა და სინმინდის დაცინვისათვის გამოიყენოს.

შეიძლება ვინმეს, დღევანდელი ფასეულობათა არეულობის შემხედვარეს, მოეჩვენოს, რომ ადამიანის გონებას აღარ შესწევს უნარი გაარჩიოს კარგი ცუდისაგან, ჯანმრთელი პროგრესულობა — მიუღებელი ანტიტრადიციულობისაგან, წესიერება — შავრაზმელობისაგან და შეიძლება ეს ასეც იყოს. მხოლოდ გონებას ასეთი უნარები არასოდეს ჰქონია და მითუმეტეს ამ ცბიერებით გაჟღენთილ დროში მიაბიტი იქნებოდა ველოდოთ მხოლოდ ჩვენი ჭკუისაგან მზა-მზა პასუხებს დასმულ შეკითხვებზე. მაგრამ ჩვენსავე კულტურაში ძვეს უდიდესი პლასტი ემოციური აზროვნების გამოცდილებისა. მისი ნაყოფია ჩვენი დიდი გამარჯვებებიცა და ჩვენი დიდი ხელოვნებაც, ჩვენი სუფრის ცოცხალი ტრადიციაცა და ჩვენი ოჯახის წესიც. ის ჩანს ჩვენს ენაშიც და ჩვენი ქცევის ნორმებშიც და მას უნდა ვუერთგულოთ აწი, როგორც არასოდეს. თუშემს დღემდე აქვთ ასეთი მისაღმება: „გულთ-გონთ-ხართა?“ და ეს არის ის შეკითხვა, რომელიც ჩვენ საკუთარ თავს უნდა დავუსვათ ამ ურთულეს საკითხებზე მსჯელობისას და მითუმეტეს ერთმანეთთან ურთიერთობისას. და თუ გულთ-გონთა ვართ, იქნებ კაცთაგან შეუძლებელი ისევ ღვთისათვის შესაძლებელი აღმოჩნდეს ჩვენი ერის კვლავ გადარჩენის წმინდა საქმეში. იქნებ ისევ ვძლიოთ ამ თითქოს უძლეველ მახინჯ გოლიათებს, აღმართულთ ჩვენს წინააღმდეგ, და იქნებ ისევ სიმშვიდემ და სიყვარულმა დაისადგუროს ჩვენს გულში, იქნებ ისევ მოგვეცეს ზამთრისა და სიკვდილის მარხვა და გაზაფხულისა და სიცოცხლის აღდგომა და ვმადლობდეთ ღმერთს ამისათვისაც.

თამარ ყალიჩავა

სიღად — საქართველოსა და ირანს შორის

ცოტა ხნის წინათ, თეირანში მომიხდა წასვლა. რაკი იქ მოვხვდი, შესაძლებლობა მეძლეოდა ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავს ვწვეოდი და სახელოვანი წინაპრისათვის პატივი მიმეგო.

ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავი მეგობრებთან ერთად ოთხ დღეს ვეძებე. მას ძველი თეირანის ერთ-ერთ უბანში, ორასიოდე წლის წინათ აგებულ წმინდა თადეოსისა და ბართლომეს სახელობის მცირე სომხური ტაძრის ეზოში მივაგენით. ჩემმა თანმხლებმა ირანელმა მეგობრებმა დაბეჯითებით მითხრეს, ეკლესიის ეზოში „ქართველი ლომის“ სახელით ცნობილი ალექსანდრე ბატონიშვილი განისვენებსო. ეკლესიის შესასვლელში შავი მარმარილოს დაფაზე სამ ენაზე (სპარსული, სომხური, ინგლისური) შესრულებულ წარწერაზე გარკვევით იკითხება, რომ ტაძრის ეზოში ქართველი უფლისწულია დასაფლავებული. ამ ეკლესიაში ყაჯართა მეფობის დროს გარდაცვლილი ქრისტიანები არიან დასაფლავებულნი, რომელთაც სიკვდილმა თეირანში მოღვაწეობის დროს მოუსწრო.

ალექსანდრე ბატონიშვილის ერთ-ერთი ქალიშვილიც (დედით სომეხი) იქვე, ტაძარში განისვენებს. რადგანაც უფლისწული მართლმადიდებელი იყო, სომხური წესის მიხედვით ეკლესიაში მისი დაკრძალვა არ შეიძლებოდა. ამიტომაც დაიკრძალა ტაძრის ეზოში. მის გვერდით, გალავნის კედლის ძირას სხვა ევროპელი ქრისტიანები (კათოლიკენი) განისვენებენ. რამდენიმე ათეული წლის წინათ ტაძარში სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარებიათ და ის საფლავის ქვა, რომელიც ბატონიშვილის განსასვენებელს მიუთითებდა — აულიათ. ამიტომაც ზუსტი განსასვენებელი საკვლევია.

რამდენჯერაც ტაძარში შესვლა ვცადეთ — დაკეტილი დაგვიხვდა. ვის არ გკითხეთ ეკლესიის კანონიკაზე, ვერავინ გვიპასუხა. სხვადასხვა დროს მივდიოდით, მაგრამ ყოველთვის დაკეტილი გვხვდებოდა...

გალავანს დაღამებამდე ვუტრიალეთ, ჩამოღამდა, რაც ჩვენი განშორების მომასწავებელი იყო. თქვენთვის გამოგზავნილი ფოტოები გალავნის კედლიდანაა გადაღებული — გისოსებზე ავფოფხდით და იქიდან გადავიღეთ. ალვბეჭდეთ ტაძრის ეზო და საფლავები, რომელთა შორის ერთ-ერთი ალექსანდრე ბატონიშვილის განსასვენებელია... თითოეული ჩვენთაგანი იმ რწმენითა და იმედით განვეშორეთ წმინდა ადგილს, რომ იქ ისევ მივბრუნდეთ...

მართალია დიდი წინაპრისათვის სათანადო პატივის მიგება ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ნანახი მაინც მეძვირფასება. ეს ფოტომასალა კი ალბათ ყველა გულანთებულ ქართველს გაახარებს.

პატივისცემით

ბუჭა ზაზუნისვილი

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ინტერნეტ სივრცეში ალექსანდრე ბატონიშვილზე არსებული ინფორმაციის მოძიებისას, ერთ-ერთ საიტზე (ფერეიდანის.ჯი), ბუჭა ზაზუნის ფოტოებსა და საიტის ადმინისტრატორისათვის გაგზავნილ წერილს გადავანყედი, ბატონიშვილის საფლავის მოძიების ამბავს რომ ყველმან ვიცნობდა. ფოტოები ბატონ როსტომს ვაჩვენე, მას ავტორთან დაკავშირებისა და მასალის უზრუნველყოფის სურვილი გაუჩნდა.

მადლობას ვუხდით ფერეიდანის.ჯი-ს ადმინისტრატორს, გიორგი ალავერდაშვილს, ვინც ბუჭა ზაზუნის ფოტოებთან დაკავშირდა.

ბატონი ბუჭა სიამოვნებით გამოგვეხმაურა. მიმოხერხისას კი საყვედურით დასცდა, რომ

ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი ქაქუცა ჩოლოყაშვილისაგან განსხვავებით უცნობია და დაუფასებელი. მას საჩოთიროდ მიაჩნია იმ ეპოპეის მიჩქმალვა, რომელიც რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ბატონიშვილის ღვანლს წარმოაჩენს. ნუხს იმაზეც, რომ უწმინდესის მიერ ნაკურთხი უფლისწულის ნეშტის გადმოსვენების საკითხიც მიჩუმათდა. ამ აბსურდულ ტრაგიზმსაც ბატონიშვილის ბედისწერად მიიჩნევს: — „როგორც ვიცი, მისი გადმოსვენების საკითხი დაახლოებით 10 წლის წინ დასმულა. უწმინდესს დაულოცავს ეს საშვილიშვილო საქმე, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა ცალმხრივად შეუძლებელია, რადგანაც ირანში ისტორიული ძეგლების ტერიტორიაზე კენჭის აღებაც წარმოუდგენელია. ეს საკითხი მას მერე ასეა დაფიქსირებული... ქაქუცა ჩოლოყაშვილს ყველა იცნობს, საოცარი იყო მისი თავდადება და ეს დაფასება მართლაც გასახარია, მაგრამ, რაც ალექსანდრე ბატონიშვილმა გააკეთა რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ, არაფრით ჩამოუვარდება, პირიქით — ბევრადაც სჭარბობს ქაქუცას გამორულ ეპოპესს. მან ხომ კავკასიელთა მიმხრობა და დარაზმვა მოახერხა... ჩვენში რომ გამოვიკითხოთ, ალექსანდრე ბატონიშვილი ვინ იყო, დარწმუნებული ვარ, ბევრი ვერ გვიპასუხებს... ესეც მისი ტრაგიკული ბედისწერაა ალბათ.“

ამ გულისტკივილსა და საყვედურს ალბათ ჰყავს ადრესატი — საინფორმაციო საშუალებები, უპირველესად ტელევიზორცე. ან ვისთვის გაუმეტებიათ დრო, როცა ზნეობრივი მაგალითის, სწორი ორიენტირის მომცემ წინაპართა სახელებზეა საუბარი. თორემ უკეთეს ქართველთა გულებიდან ამ სახელის ამოშლა წარმუდგენელია. უპირანი იქნება გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე 2002 წელს წამოწყებულ კამათს თუ მოვიგონებთ, სწორედ ბატონიშვილის ნეშტის საქართველოში გადმოსვენების საკითხის გარშემო რომ წარიმართა. ნუგზარ მოლაშვილის ამ წამოწყებას („ჩვენი მწერლობა“, 20-26 სექტემბერი, 2002). როსტომ ჩხე-



თეირანის სომხური ტაძარი, რომლის ეზოშიც განისვენებს ალექსანდრე ბატონიშვილი

იქმ საპირისპირო თვალსაზრისი შეაგება და სახვებით დამაჯერებლად აგვიხსნა საფლავის ირანის მიწაზე პატრონობის მნიშვნელობაში, „რადგანაც, ვიდრე ირანში ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავი გვაქვს, ჩვენ იქ ჩვენი სულის ნაწილი გვეგულება იმ სალოცავებით, ჩვენს წინაპრებს სხვადასხვა ქვეყანაში რომ აუგიათ. მათი არსებობა კი იმედს აღძრავს, რომ იქ ოდესმე კვლავ გაისმება ქართული ლოცვა-გალობა.“ და რაკი ირანში განისვენებს უფლისწული — სიმბოლო ქედუხრელი და დაულალავი ბრძოლისა რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ „იქ უნდა მოვუაროთ, შესაფერი სი სამსახურიც კი შევქმნათ და თანამშრომლებიც მივავლინოთ, ვინც საფლავს უპატრონებენ და იქვე კულტურულ-სა-

ზოგადოებრივ კერასაც დააფუძნებენ — საქართველოსა და ირანის სახელმწიფოებს შორის ხიდის გამდებს. წარსულს ჩაბარდა დაპირისპირება ამ ორ ქვეყანას შორის, ამჟამად ძაფები იბმის, ცივილიზებული ურთიერთობას რომ შეეფერება, და ალექსანდრე ბატონიშვილის სამარე მხოლოდ განამტკიცებს ამ ძაფებს..“ („ჩვენი მწერლობა“, 20-26 სექტემბერი, 2002).

ამ ფაქტს ირანის რესპუბლიკის საელჩოდან გამოეხმაურნენ და ქართული მხარე თეირანში, ბატონიშვილის საფლავის სანახავად მიიპატიჟეს („ჩვენი მწერლობა“, 18-24 ოქტომბერი, 2002).

2003 წელს თამარ ღონღაძის წერილში გაცხადებული გულისტკივილი: „ნეტავ, რო-

გორ ადგილას არის ბატონიშვილის სამარე?.. რა მდგომარეობაშია? ბალახმა გადაუარა? უპატრონოდ მიტოვებულა? თაკარა მზე უმონყალოდ წვავს თუ ხეთა ჩრდილი ადგას? მშვიდი სიმყუდროვე მოიცავს თუ უდაბურების თავზარდამცემი სიჩუმე?“ („ჩვენი მწერლობა“, 7-13 მარტი, 2003). — გვარწმუნებს ამ ფოტომასალის „ჩვენი მწერლობის“ მკითხველამდე მიტანის აუცილებლობაში. კიდევ ერთხელ რომ შეგვახსენოს შთამომავლის მოვალეობა დიდი წინაპრის სახელის წინაშე.

ამიერიდან „ჩვენი მწერლობის“ მკითხველთა რიგებს ბუჭა ზაზუნის ფოტოებიც შემოემატა. სიმბოლურია, რომ ამ ფოტოების დაბეჭდვას წინ როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის „მზის რაინდის“ გამოცემა უსწრებს. წლების მანძილზე ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ საქართველოს თანამედვე სულად დასახული ალექსანდრე ბატონიშვილის სახელი მთელი სიდიადით რომ წარმოჩნდეს ყველა თაობის მკითხველთა წინაშე. მანამდე ხომ მისსავე პიესამ „ლეგენდა ისკანდერისა“ უშუამდგომლა ჩვენს თაობას დიდ წინაპართან მისახლებლად. ისევ ბატონი როსტომის ტაბლიდან ვიხმევთ სულის პურს, სამაგალითო შეუპოვრობით რომ ებრძვის, არასოდეს შეჭვუბია სახელოვან წინაპართა სახელების უღვთოდ მიჩუმათებას და ამ რომანის გამოცემითაც დაადასტურა, რომ ასე ადვილად არც ვინმეს დაანებებს.

ალეკო მახარობლიშვილი

„იყავი ნესიერი კაცი!“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— გავიხსენოთ ტრაგედია უგმიროდ...

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— საქართველოში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— როდესაც გყავს ვინმე, ან გაქვს რაიმე ისეთი, რის გამოც თავგანწირვა შეგიძლია.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ჯეკ ლონდონისა და გურამ დონანაშვილის ლიტერატურული პერსონაჟები.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ვერ გამოვყოფდი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— იმპრესიონისტები.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— პოლ მაკარტნი, ჯონ ლენონი.

— რომელ თვისებას აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— მამაკაცურობას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ქალურობას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— სიყვარული.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— თეატრში თამაში.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— არც ერთი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ჯიუტი ვარ.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— თანადგომას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— უნებისყოფობა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— აკი მოგახსენეთ (იხილეთ მესამე კითხვაზე პასუხი), თუცა დავამატოთ — ჯანმრთელობა და სიმდიდრე.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— შვილების ცუდად ყოფნა.

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— იდეალური.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— მუქი ფერები. უფრო შავი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ყვავილები არ მიყვარს.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— რომელიც იწვება ან იხარშება...

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ვაჟა-ფშაველა.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— პოეზია მაინცდამაინც არ მიყვარს.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ოლღა ბებია.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— მე მგონი არ არიან...

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— დავანებოთ ქალებს თავი. თუმცა — მეუღლე, რომელიც მე მიძღვებს.

— საყვარელი სახელები?

— სახელები, რომლებიც ჰქვიათ საყვარელ ადამიანებს.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— სულელურ შეკითხვებს!

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ამას ასფურცილიანი რვეულიც არ ეყოფა.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— 300 სპარტელისა და 300 არაგველის გამირობა.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— საბჭოთა კავშირის დანგრევა.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— უფრო მეტი სიყვარულის გაცემის ნიჭი.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— ბედნიერი და მძინარე.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— ზომიერად ვღელავ...

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ყველაფრის პატიება შეიძლება, ოღონდ დავინწყება ძნელი.

— თქვენი დევიზი?

— იყავი წესიერი კაცი!

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— არა აქვს მნიშვნელობა რას მეტყვის, მთავარია ცოდვები მომიტეოს.



ლეილა მესხი

კოლხური თილისმა

ნაწილი პირველი

გემი ნაპირს მიადგა.

ორანძიანი, ძველი, თურქული გემი იყო, სტამბოლიდან აელო გეზი. გემბანზე შავად გახუხული თურქი კაპიტანი, ბოცმანი და მეზღვაურები მოჩანდნენ, მხიარულად, ჰარი-ჰარალით, ხელალებით მიეთ-მოეთობდნენ. მეზღვაურები ლაზები იყვნენ. ლაზურ-ჭანური სიტყვები სანაპიროს წვედებოდა... ანაკლია-ფოთიდან ცხენებს, სიმინდს, თაფლს და... ბზას ეზიდებოდნენ. (თურქულად ბზა „ჩამჩირს“ ნიშნავს) უძვირფასესი ხის მასალა, ჩალის ფასად მიჰქონდათ...

ჯერ კიდევ შორიდან გამოჩნდა ანაკლიის ნაპირი. ოთხო-კოთხო შენობები, ისლის ქოხები, თხილის წკნელით შემოღობილი ეზოები. ტალახიანი გზა... წვიმდა. სქელი ნისლი მიმედ ჩამოსწოლოდა ნაპირს და ერთიანად შთაენთქა იგი. ჩანდა და არც ჩანდა იქაურობა! ერთგან, მოკირწყლული გზის პირას, კვითკირის შენობა წამოემართათ. დუქანში ვაჭრობა გაეჩაღებინათ. ფერად-ფერადი ზიზილოები, შეღებილი ტილოები, ჭრელ-ჭრულა ჩითები, ხისძირიანი ქოშები გაეფინათ, სიღარიბე თუ სიქესატე ეტყობოდა დახლს, ადამიანებს. მჭადის ფქვილი, ღომის-ღომი, დამარილებული თევზი და ბრინჯი იყიდებოდა.

მგზავრები ნავით გადმოიყვანეს.

ორნი იყვნენ. ტანმაღალი, ხმელ-ხმელი კაცები. გულზე ჯვარი ეკიდათ. აქაურებთან არაფერი ჰქონდათ საერთო. სამოსიც უცხო ეცვათ და ბარგიც უცხო ჰქონდათ. ტყავის ჩემოდნები და შავად მზინავი ყუთები. ერთობ თვალმისაზიდად გამოიყურებოდნენ. ნაპირთან მიახლოებისას, მეგრულ სიტყვებს ნაჰკრეს ყური...

ნაპირთან ახლოს, წვერ-ულვაშმოძალებული, ჟღალჩობიანი მამაკაცები იდგნენ, უტყვი მზერით შესჩერებოდნენ გემიდან ახლადჩამოსულებს. ვერცერთი მათგანი ვერ იცნეს. ქართულ-მეგრულად გაესაუბრნენ, თურქული სიტყვებიც გაურიეს. სადაურობა ჰკითხეს. მათმა პასუხმა გააოცა დამხვდურნი, სხვას ელოდნენ და სხვა შერჩათ ხელში. კათოლიკე მისიონერები აღმოჩნდნენ, ორთვიანი მგზავრობის შემდეგ, კოლხეთის დაბლობამდე მოეღწიათ. ერთი მათგანი, შედარებით ახალგაზრდა, უცებ მეგრულად ალაპარაკდა: „ოდისის მთავართან მივიღვართ, მგზავრობისთვის ცხენები გეჭირდება“. შავგვრმანი, თხელპირისახიანი ვაჟი იყო — ჯონდი მარლია, ხოლო მისი თანმხლები, იტალიელი მისიონერი ჯუზეპე ჯაკომო გახლდათ, ორმოცი წლის, საფეთქლებშეთერებული მამაკაცი.

უფროსის პატივისცემა, თავდახრით ყოფნა არ ეშლებოდა ახალგაზრდას, ჩვევად ქცეოდა... მის ყოველ სურვილს ასრულებდა. თუმცა, შინაგან თრთოლვას შეეპყრო იგი, საკუთარ მინა-წყალზე მობრუნება, ამდენი ხნის უნახავ ახლობლებთან პირისპირ შეყრა, ყველაზე მეტად აშფოთებდა. უპირველესად, თანმხლების წინაშე არ სურდა თავის შერცხ-

ვენა. თავისი ქვეყნით, ხალხით, ბუნებით, ადამიანებით თავმომწონეობა ენადა.

ჟღალჩობიანი მამაკაცების ჯგუფს ქაჩალი, ქეფსუტა კაცი გამოეყო. თმაგაცვენილს, ნაბდის ქუდი შუბლზე ჩამოეფხატა. მოახლოებისას ქუდი მოიშვლია. მარდი, მცოცავი თვალები გამოუჩნდა... მეგრულად მიაყარა: „ცხენების შოვნა გაციძნელდებათ, ბატონო! ცხენები მთაშია გარეკილი გასასუქებლად. თუ დარჩა, ისეა გაძვალტყავებული, შეჯდომა გაგიჭირდებათ“.

მოიყვანეს ცხენი. გვერდები დაეთვლებოდა, ზურგი აღლელტოდა, ყურები ჩამოეყარა. მიხვდნენ სტუმრები, რალაც არ იყო ისე, მათ რომ ეგონათ... სხვა ცხენი მოითხოვეს, თანხას მოუმატეს. მათდა გასაოცრად, სულ მალე ფარდულის კარები გამოაღეს და სამი დარახტული ცხენი გამოიყვანეს. ერთმანეთზე უკეთესები. სტუმრებმა ნაკლებად გაიოცეს, ფული გადაიხადეს და ცხენებზე შესხდნენ. თანმხლებიც გაიოცეს... (ცხენები უკან ხომ უნდა დაებრუნებინათ!)

ოდისისკენ მიმავალ გზას დაადგნენ. ჩაუშთავრებელ წვიმებს მინა დაეღობო და დაეშაშრა.

მდინარის პირას შედგა კაცი, ცხენებიც. არავითარი ყვირილი, ცემა, წკნელით თუ მათრახით... ერთ ადგილას გაშემდნენ. წყალში ფეხი ვერ შეადგმევინეს ცხოველს, ადგილზე გაჯიქდა. არცერთ მათგანს აბობოქრებულ მდინარეში ფეხის შედგმა არ სურდა. აღარც ცხენებს და არც მგზავრებს... სანამ უნდა მდგარიყვნენ ასე უაზროდ?!

ისევ გამოლომა ივარგა, ნელ-ნელა გახდა იწყო. მთლად გაშიშვლდა. ტანსაცმელი ფუთად შეკრა და თავზე დაიღო. მღვრიე მდინარეში ბორძიკით შეაბიჯა. სიცივეს არ გრძობდა, წყლის სიღრმეც ნაკლებად აფრთხობდა. ნაჩვევი ჩანდა! ცხენი თან მიჰყავდა. ასე გაიყვანა დანარჩენებიც... უნავირზე უგერგილოდ მჯდომ სტუმრებს ფიქრიანი მზერა ჰქონდათ. ისინი გაცეხებით შესჩერებოდნენ გამყოლს, გრძელცხვირა, ვინროშუბლიან კაცს, აკანკალებული თითებით ნახევრად სველ სამოსს რომ იცვამდა. უპირველესად ფიჩხის აალება მოინადინა... უცებ ააგუზგუზა კოცონი. ასეთ რამეებს ნაჩვევი იყო, ეხერხებოდა კიდევ...

მზემ იძალა, ოქროსფერმა სხივებმა, თბილსა და გამჭვირვალე სხივთა ბადეში გახვია სივრცე. გზის პირას გვიმრას ეხარა. იმდენად მაღალი იყო, შიგ ჩამალვა შეიძლებოდა. როგორც ადამიანის, ასევე ცხოველის. ამიტომ ვერ შეამჩნიეს, ყრუ, მიუვალ ადგილას, ვინრო ქარაფებს შორის, გაშლილ ჭალაზე, სრულ სინყნარეში როგორ ამოიზარდნენ ისინი... თოფ-იარაღით, ნაბდებით, ხანჯლებით შეიარაღებული ცხენოსნები იყვნენ... სამი მოუახლოვდათ, მეოთხე განზე დარჩა, მეთვალყურედ. „გზაში შემოხვედრილ კაცს გამარჯობა უთხარი და გასცილიდი“, ძველთაგან სმენოდა ვაჟს. არავითარი აყალ-მაყალი, შეხლა-შემოხლა. გამყოლი



გვერდზე გაიხმეს და მეგრულად რალაც ჰკითხეს. სამივეს შავად მოლაპლაპე ყუთებისკენ გაქცეოდით მზერა... ცუდი ნიშანი იყო! მძარცველებს სიბრყველზე მეტად თავხედობა ალბეჭოდით სახეზე. რომ ეგონათ, უპირველესად ფულს მოითხოვდნენ (დეუკატებით, ალთუნებით, ირანული აბაზე-ბით სავსე ქისები ეწყობო ჯიბეში.) რატომღაც ჩემოდნების გახსნა ბრძანეს ყაჩაღებმა. გულდაგულ გაჩხრიკეს... რასაც ეძებდნენ, ეტყობა ვერ იპოვეს... ამის შემდგომ, პრიალა ყუ-თებისკენ გადაინაცვლეს. დაფასოებული თეთრი ფხვნი-ლი(ქინაქინა), უცხოური წამლები, აბები, კოკრები. ლათი-ნურწარწერებიანი ყუთები. რატომღაც ხელის ჩაყოფა და ამოღება ვერ გაბედეს.

ერთმანეთში პაექრობდნენ... მათი ყოველი სიტყვა გარკ-ვევით ესმოდა ჯონდის. ხმა, კრინტი არ დაუძრავს, თავი არ გაუცია... მოგვიანებით ჩხრეკვას რომ მორჩნენ, ჯიბიდან ქი-სები ისე სწრაფად და მოხერხებულად ამოაცალეს სტუმ-რებს, ვერც გაიგეს. ასეთ რამეებში განაფულნი ჩანდნენ. (მოგვიანებით, დეუკატებით და ალთუნებით სავსე ქისები, ოდიშის მთავარმა — ოტია დადიანმა თავად დაუბრუნა) ვე-რაფერს მიხვდნენ სტუმრები, ისინი უბრალო გზის ყაჩაღები იყვნენ თუ დადიანის მსახურნი. აშკარად ჩანდა, მთავრის და-ვალებას ასრულებდნენ. დადიანის სამფლობელოში მოხვედ-რილ უცხო კაცს ამგვარად ამონებდნენ, მათ ვინაობას და ჩამოსვლის მიზეზს ირკვევდნენ. ამიტომ იყო, მოგვიანებით, მთავრის სასახლეში, მათთვის გამოყოფილ, ვრცელ ოთახში ისე ურცხვად შემოიტანეს ნაძარცვი, თითქოს არაფერი მომ-ხდარიყოს. უბრალოდ ზიდვაში წაეხმარნენ.

ყოველივე ცუდად გათამაშებულ სპექტაკლს ჰგავდა... ნელად მისახვედრს და შესაცნობს...

ნათქვამია, „გრძელ გზასაც ბოლო აქვსო“. უპირველე-სად ოდიშის მთავარს უნდა წვეოდნენ, ოტია დადიანს, სა-მეგრელოში ცხოვრების და არსებობის უფლება რომ მიე-ლოთ. ბარათს და საჩუქრებს ფლორენციელ მისიონერთა საძმო ავზავნიდა, მათი მირთმევა ევალებოდათ.

ოდიშის მთავარს რამდენიმე სასახლე ჰქონდა. სააგარა-კო ადგილები, საზაფხულო სახლები (სანადიროდ და სა-თევზაოდ.) ყველაზე მთავარი ზუგდიდის სასახლე იყო. დი-დებული ნაგებობა. აღმოსავლური ორნამენტებით მორ-თული, ჩუქურთმებით დამშვენებული. ლაზი ოსტატების ხელით შექმნილი ვრცელი დარბაზები, ჩუქურთმიანი აივ-ნები, ხის მოაჯირი, ბირკვილი, ქვის კიბე. საუცხოოდ მოხა-ტული და საამო რელიეფით შემკული, მოხარატებული ქე-რი, ვრცელი ოთახები და ნათელი ფანჯრები.

ეზოს ბოლოს ქვითკირის ეკლესია იდგა. ღია კარში ან-თებული სანთლები მოჩანდა. ტაძრის სიღრმეში კანკელი და მლოცველთა სახეები ერთოდა.. გულმა სალოცავისკენ გაუწია ვაჟს, მიახლოება ვერ გაბედა.

სასახლის ფართო კიბეს მაღალი, ანონილი კაცი ჩამოჰ-ყვა... შავი ყაბალახის ბოლოები უფრიალებდა, მათ შესახ-ვედრად გამოემართა. მეგრული სიმკვირცხლით, ეშხ-ლა-ზათით მიეგება სტუმრებს. თითქოს დიდი ხანია ელოდა და როგორც იქნა მოაღწიეს. შინ შეინვია...

მთავართან შეხვედრა არ მოხერხდა. ხრესილის ომის შემდეგ, შინ მობრუნებული დადიანი ჭრილობებს იშუშებ-და. ოსმალოსთან ბრძოლაში იმერეთის მეფეს სოლომონ I-ს ახლდა თან. საერთო ძალით განდევნეს მტერი.

იტალიელი მისიონერის გამოჩენა არ ვაჰკვირვებია მთავარს. ამ მხარეს ჩვეოდა მათი სტუმრობა, მისვლა-მოს-ვლა. ჯერ კიდევ ადრე, ოდიშის მთავარმა ლევან II -მ (ოტი-ას დიდმა პაპამ) მერკულაში მიიღო ისინი. საჩუქრები და რომის პაპის ურბანო VIII-ის გამოგზავნილი წერილი გადას-ცეს მთავარს. დადიანმა პატივით მიიღო მისიონერები (თე-ატინელი ბერები), მამულეები უბოძა, ეკლესიის აშენების უფლება მისცა... თუმცა ამჟამინდელი სტუმრები რელიგი-ური პროპაგანდის გასანეგად და მორწმუნეთა მოსაქცევად არ იყვნენ ჩამოსული. ბარათშიც ამგვარად ეწერა. მათ კოლხეთის სამკურნალო მცენარეები აინტერესებდათ. ძეძვი, ღვია, ჯორის ძუა, შქერი, წყავი, ჭანჭყატი, შავი კუ-ნელი, კვრინჩხი, თრიმლი და თუთუბო, აბზინდა და მრ-ავალძარღვა, ძირტკბილა და ნარეკალა. იცოდნენ, რომ მეგ-რელები სიცხიან ავადმყოფს ძენის ფოთლებში ახვევენ. ციციბიანს, რევანდიან წყალს ასმევენ. ხველებისას — თხის ქონით უზელენ გულ-მკერდს...

ყოველივე ამის შესასწავლად ჩამოსულიყვნენ ისინი. ნარეკალას ფოთლით შუბლგაკრულ ბერიკაცს ოდიშის შემოსასვლელშივე შეეყარნენ.

იმ დღეს, სათათბიროდ და საპაექროდ ოდიშის წარჩინე-ბული ადამიანები წვეოდნენ მთავარს. კათალიკოსი, ეპისკო-პოსი, თავადები და აზნაურები, გაცხარებული სჯა-ბაასი გა-ემართათ. საჭირბოროტო საკითხებს არჩევდნენ. სტუმრები წარადგინა მთავარმა. მათი სურვილი გააცნო... ძველ კოლ-ხურ წამალთმცოდნეობას მოეზიდა ისინი. თავისუფლად გა-დაადგილების, მისვლა-მოსვლის ნებართვას ითხოვდნენ. მინდვრის ყვავილების, ბალახ-ბულახის საძებნელად და მო-საპოვებლად ამოდენა მანძილზე წამოსულიყვნენ... ერთობ ეჭვიანი მზერა ჰქონდათ დამსწრეთ, ვინ იცის, მათ ჩამოსვ-ლის რა დანიშნულება ჰქონდა. თუმცა ყოველივე ამას დრო გაარკვევდა... ამიტომ იყო მათი ყოველი ნაბიჯის ზუსტი ცოდნა მოითხოვეს. ვითომ დაცვის მიზნით, გამყოლი გამო-უყვეს, ყველგან და ყოველთვის თან უნდა ხლებოდათ...

მიხვდნენ სტუმრები, ყაჩაღებთან შეხვედრაც წინასწარ გამიზნულს ჰგავდა. ამიტომ იყო, მიუვალ და ეკალ-ბარდი-ან სამეგრელოს, საპყრობილეს რომ ამსგავსებდნენ... ირგ-ვლივ მიუვალი მთები, ჭაობი, ზღვა, მტრულად განწყობი-ლი მეზობლები. მათთან დაძაბული ურთიერთობა...

სუფრის თავში მთავარი იჯდა. ტანმაღალი, აღნაგვი კა-ცი ოტია დადიანი. გრძელი უღვაწით, ფართო თაფლისფე-რი თვალებით. ოქრომკედით ნაქარგი სამოსელით, ფერადი ნალებით. ასაკთან შედარებით (ორმოცდაათ წლამდე იქნე-ბოდა!) სხარტი და მოქნილი ჩანდა. თამამი და ლალი. თა-ვისნება.

უპირველესად ღმერთის სადიდებელი ინება მთავარმა. ქართველ მეფეთა სადღეგრძელო შესვა, ძველი ამბებიც შეისხენა... როცა თურქის ჯარი ზღვით ან ხმელეთით სა-მეგრელოს მოადგებოდა (უცხოელ სტუმრებს უამბობდა). ადგილობრივი მცხოვრებლები (მეგრელები), მზად იყვნენ თავიანთი სახლ-კარი დაენვათ. დედა-ბუდიანად აბარგე-ბულიყვნენ — საქონლით, სამოსით, სურსათით, მთებში გახიზნულიყვნენ... მიდი და ეძიე ქარი მინდორში! მიუვალ ადგილებში იმალებოდნენ, დიდხანს არ ჩერდებოდნენ, მა-ლიმალ ადგილს იცვლიდნენ. თურქების ჯარს, მიპარვით, მალულად თავს ესხმოდნენ. ირგვლივ ჭაობი იყო, გაუვალე ტყე, ძეძვნარი. შემინებული გარბოდა მტერი...

მხიარული ხმით ჰყვებოდა დადიანი, თითქოს თავად ყოფილიყო ამგვარი შეტაკებების მონაწილე (შეიძლება იყო კიდევც!) რატომღაც საკუთარი ვაჟკაცობით ნაკლებად ინონებდა თავს, უფრო სხვათა მოხერხებულობით ჩანდა აღფრთოვანებული. სუფრის მონაწილეებმა, ჭარმაგმა ხალხმა, თავადებმა თუ აზნაურებმა ერთხმად შესვეს მისი სადღეგრძელო. იმერეთის მეფის ერთგულ ქვეშევრდომად და ხრესილის ომის გმირად მოიხსენიეს...

ეამა მთავარს. გრძელ უღვაშზე სიამით გადაისვა ხელი...

გვიან ღამემდე გაგრძელდა ლხინი. მოქიფეები თავს ყოჩაღად გრძობდნენ, მხოლოდ ევროპულ სტუმარს, სხვა ქვეყნის შვილს გაუძნელდა მონაწილეობის მიღება. ერთობ გაჭიანურებული ერ-ვენა ლხინი... მადაიანი და ჭამის მოყვარული ნაკლებად ჩანდა სტუმარი. მცირედი აკმაყოფილებდა, მეტწილად მარხულობდა... ახლა, მადაპოლილ არიფიონს იმგვარი გაცემებით შესცქეროდა, თითქოს რასაც ხედავდა, არ სჯეროდა.

„ძილს სასთუმალი რად უნდა, შიმშილსა საჭამანდიო“... უხმოდ დატოვეს იქა-ურობა.

გათენდა.

მიმსვლელ-მომსვლელი არ აკლდა სასახლეს. ფანჩატურქვეშ, საჯინბოსა და სახაბაზოში მრავლად ირეოდნენ ისინი: სახლთუხუცესი, მზარეული, ხაბაზი, მეჯინიბე, ხელის ბიჭი და ხელის გოგო. ქალბატონის მოახლე, ძიძა, გადია. იყო კაბების შრიალი, გარბენა და გამორბენა, მკვირცხლი ნაბიჯები. დასაქმება და აღსრულება. უხმო მორჩილება... წესრიგის მოყვარული კაცი ჩანდა დადიანს. გამთენიისას უკვე ფეხზე იდგა, ბრძანებებს იძლეოდა. წინასწარ იცოდა ვინ, სად გაეგზავნა. რა დავალება მიეცა. უსაქმურად შემოჩერებულ ყმას ვერ იტანდა...

არც უცხოელი სტუმრები დატოვა უმოქმედოდ. რაკი მკურნალობა შეეძლოთ, თავიანთი ქვეყნიდან წამლები ჩამოეტანათ, მათი ვარგისიანობა ხომ უნდა ერწმუნა. თავდაპირველად, საბძელში, თივაზე უგონოდ გათხლამულ ყმასთან გაგზავნეს მკურნალი (ნადირობისას დათვის დაეტორა). სისხლის კვალი აჩნდა სახეზე. ბორგავადა კაცი უგონოდ იყო. ტანმოსული, ჯანიანი კაცი ჩანდა. ავადმყოფობას დაეჩაგრა. დროთა განმავლობაში ეგებ მოშუშებოდა ჭრილობა, მაგრამ ახლა, უდავოდ უჭირდა... იტალიელი მკურნალის მალამომ, აბებმა ჭრილობას ერთბაშად შეუკრა პირი. სისხლიანი სახოცი, ბალახბულახი, ადგილობრივი მკურნალის ნაცოდვილარი, უმალ გააცილა პადრემ, შეხორცების საშუალება მისცა.

ორ დღეში ფეხზე წამოდგა კაცი.



მხატვარი ნინო ზალიშვილი

მესამე დღეს მთავრის მეუღლესთან იხმეს ისინი, ახლად-ნამშობიარები ვახლდათ ქალბატონი, შეუძლოდ ბრძანდებოდა. თავისთან იხმობდა იგი. სასახლის მზიან მხარეს, საქალე-ბო გაემართათ. ცალკე შესასვლელი ჰქონდა. პირისფარეში და გადია. გრძელკაბიანი, თავზე სახოცნაკრული, შავგვრემანი მეგრელი ცირები ფუსფუსებდნენ, ტრიალებდნენ.. უმრავ-ლესობას გრძელი, ნაბლისფერი ნაწნავი უჩანდა, კოჭებამდე წვდებოდათ, ცალ თვალს სტუმრებისკენ აპარებდნენ, განსა-კუთრებით ახალგაზრდა ვაჟით დაინტერესდნენ. თავისიანად შეიცნეს, ფარულად გაუღიმეს კიდევც... ეშხიანი პირისახე უჩანდათ, ერთობ ლამაზები იყვნენ. ერთი ბუდიდან აფრენილ მტრედებს ჰგავდნენ. მათი სახეების გარჩევა გაუძნელდა ვაჟს. თავდახრით მიჰყვებო-და თანმხლებს...

მთავრის მეუღლეს სა-ძინებელში ეახლნენ.

ფარდაგები, ხალიჩები, სპილენძის თასი, თუნგი. ბა-ვშეები და აღმზრდელები.

მწვანედ მოსირმული ოქ-როსფერი ქოში უჩანდა ქალ-ბატონს. მსუბუქი და უზა-დო ჩანდა ქალი. თავსაბუ-რავით, ვინრო მავჯიბიანი ქართული კაბით, ლეჩაქით. ამაყად შემართული ტანით. ეშხ-ლაზათით შემკობილი პირისახით. მსუბუქ მოსას-ხამს მიღმა ნაწნავების გრავანილი ერხებოდა. ოც-დაათ წლამდე იქნებოდა ფერმკრთალი და გაცრე-ცილი ჩანდა. ოთხი შვილის დედა (სამი ვაჟის და ერთი გოგონასი.) ჯერაც ჩვილი, უძალო გოგონა გვერდით ეწვა. საკუთარ ჯანმრთე-ლობაზე მეტად, ქალი ბავშ-ვზე ღელავდა... მშობიარობა გაძნელებოდა. დედა და შვილი ძლივს დაუშორებიათ ერთმანეთისთვის... საკმაო სისხლი დაუკარგავს... ქალბატონთან ახლოს ახალგაზრდა ქალს ჩა-ემუხლა... ყელს, თმის ძირებს ვარდის წყლით უწმენდა...

აბზინდის, პიტნის, რევანდის სურნელი იდგა ოთახში. კედელთან სანთლები ენთო.

ვერცხლით მოჭედული ღვთისმშობლის ხატი მოჩანდა. მსახურმა ფარდა გასწია. ოთახში მზის შუქი შემოვიდა.

თითქოს პირველად იხილეს იგი... გრძელი ნაწნავი, მაღალი შუბლი, ფიქალი სახე, სოთი ცხვირი, თხელი ნესტოები, უზადო ყელი, დიდებული ქალბატონი ბრძანდებოდა!

ყვრიმალები შეუფაკლდა სტუმარს, ღამის შებარბაც-და... მოეჩვენა რომ სადღაც ენახა იგი. ვატიკანის ფერწე-რული ტილოები... გენიოსი მხატვრები. ამ ქალმა არც მიქე-ლანჯელო იცოდა, არც რაფაელი... არადა, მაღონა ლიტას ჰგავდა. სათნოებით, სინაზით, კდემამოსილებით...

— სანტა მარია! ღმერთო, რა ლამაზია! — აღმოხდა მკურნალს. ღამის დაუჩოქა. უმალ მოთოკა სურვილი. უპირველესად, საჩუქარები მიათოვეს ქალბატონს. ძვირ-

ფასი მაქმანი, სუნამო... ვენეციური ვერცხლის კოვზები... მარმარილოს ულამაზესი ფიგურა. სამი ნიმუხა.

საჩუქრებმა მოხიბლა მასპინძელი. გაოცებულზე მეტად, აღფრთოვანებული ჩანდა... ხმადაბლა ალაპარაკდა სტუმარი (მის ყოველ სიტყვას ჯონდი თარგმნიდა) „ვეროპაში ცნობილი წამლები, მალამოები, დასაზელი საშუალებები წამოვიღეთ. სურვილი მაქვს აქაურებს ვუმკურნალო. წამალთმცოდნე გახლავართ. თავად ვამზადებთ წამლებს... განათლება ფლორენციაში მივიღე. კოლხური სამკურნალო მცენარეები მაინტერესებს, მინდა ვნახო, სად იზრდება, როგორ გარემოში. ყოველი მათგანი ჩავიხატო. ფესვი, ტოტი, ფოთლი. ამ მიზნით ვენვლე მედეას სამშობლოს“.

მიჩუმდა სტუმარი.

კეთილმოსურნის მზერით შესცქეროდა ქალბატონი, სტუმარს დახმარება აღუთქვა.

მთავრის სასახლეში, ცალკე საძინებელი ოთახი გამოუყვეს სტუმრებს. გამყოლიც შეურჩიეს, ყაბალახით შუბლნაკრული, დაბალი, ხიოჭა კაცი — ბათუ ხუბუა. ყველგან თან ახლდათ, ფეხდაფეხ ასდევნებოდათ. ენამოსწრებულნი ჩანდა... მეგრულ ზღაპრებს, ეპოსს, ოჩოპინტრესა და ალის ამბავს ერთმანეთში ურევდა. ჭაობიდან მოქროლილი მყრალი ჰაერი მის ნაამბობს თუ გამონავონს მაგიურობას სძენდა. ერთობ დააინტერესა სტუმარი. მასთან საუბრით ირთობდა თავს.

ახლომასლო სოფლებში, თუკი ვინმე მკურნალი ან მკითხავი ეგულებოდათ, ყველა საითთაოდ ინახულეს. სამკურნალო საშუალებები ჩაინერეს. რომელ დაავადებას რა მცენარე რგებდა, სად შეიძებოდა მათი პოვნა. გაღმა-გამოღმა ჭალები, მთები და ველევი, ღელის პირები მოიარეს, საკმაოდ ინეტიალეს... დილით გასულები, დაღამებისას ბრუნდებოდნენ. ბევრით და გულმოდგინე ჩანდა სტუმარი, დაუზარელიც. ყველაფერს იწერდა, იმახსოვრებდა, იხატავდა კიდეც. საამისოდ, სქელყდიანი ალბომები წამოეღო. განუწყვეტილ იწერდა და იხატავდა. ფესვიანად თხრიდა ბალახს, ახმობდა, აშრობდა. ყუთებში ალაგებდა.

დღეში სამჯერ ლოცულობდა... მარხულობდა.

სამკურნალო საშუალებებთან ერთად ადგილობრივი მრჩეველებით, მჩხიბავებით, ბედის წინასწარ შემცნობი ადამიანებით დაინტერესდა სტუმარი. ახლომასლო, თუკი ვინმე სახელგანთქმული მკითხავი იყო, საითთაოდ მოიარეს, მათი ნაამბობი ჩაინერა. განსაკუთრებით, ერთის გაცნობა ენადა, (მთავრის ოჯახში „ლაზას“ სახელით რომ მოიხსენიებდნენ) მდინარის პირას ცხოვრობდა, სოფლის ბოლოს, რატომღაც მასთან გაყოლა არავინ ისურვა...

თბათვის დასასრულს, ასხის მთაზე ბალახი გადახმა, დადიანის ცხენები, პირუტყვის ჯოგი, დაბლობში ჩამორეკეს. საუკეთესო ჯიშის ცხენები ჰყავდა დადიას. სამიათასი სული, ერთმანეთზე უკეთესები. ურაკვიცები, ფაშატები, ულაყები. ხმაურით, ფრუტუნით, თქარათქურით ჩამოიარეს. ბახმაროს მთებისკენ აედოთ გეზი. მერემეები მოჰყვებოდათ, ცხენის ჯოგის მწყემსები. ტყაპუჭ-ფაფახიანი, ტყე-ღრეში ნაგდები, ცხენის უნაგირზე ნათენებ-ნალამები, სახეგაქარული კაცები. ნაბდებით, მათრახებით. სტვენა-ფრუტუნით მოჰყვებოდნენ ცხენებს.

სასახლესთან ახლოს ჭენებით ჩამოიარეს. ფიცხები ჩანდნენ, ამაყები. ერთმანეთს ასკდებოდნენ, ყალყზე დეგ-

ბოდნენ. ოფლიანი ბენვი უბზინავდათ. სხვადასხვა ფერის იყვნენ — ჩალა, აბრაშა, ნისლა, ტრედანა, შვინდა და ნაბლა. იერი ერთნაირი ჰქონდათ, ჯიშიც...“ მეგრულს ცხენი აჩუქე და ქონებაზე ხელს აიღებო“.

ცხენების ხილვა ეამა დადიანს. თვალები სიამით უბრწყინავდა. თანმხლებ პირებთან ერთად სასახლის ჭიშკართან დახვდა. ნაბლისფერ ულაყზე იჯდა თავად, მკერდგანიერსა და კოჭნვირზე. მთავრის სახლეული, მეუღლე და შვილები, სასახლის ვრცელ აივანზე გამოშლილიყვნენ, იქედან უმზერდნენ ჭენებით მიმავალ ცხენების რემას.

სტუმრებს წუთით არ მოსცილებიათ ბათუ ხუბუა. მათთან ახლოს იდგა... გაუთავებლად ჰყევებოდა, მიკიბ-მოკიბავდა. უთვალავი ამბავი იცოდა, მართალი თუ ტყუილი. სტუმრების გვერდით დგომით, საქმიანი იერით იწონებდა თავს. დადიანმა, სამასი სული, საუკეთესო ჯიშის ცხენი სტამბოლში გასაყიდლად გაგზავნაო, თქვა, საკუთარი თვალთ ვნახე, როგორ აჰყავდათ გემზე ცხენები. სუფთა ოქროზე გაცვალა. ამდენხანს, საკუთარ ყმებს, ლამაზ გოგო-ბიჭებს თუ ჰყიდა სტამბოლის ბაზარზე. (იმერეთის მეფემ, სოლომონმა ტყვეთა ვაჭრობა რომ აკრძალა, სასტიკი კანონი გამოსცა!) ამის შემდეგ, დადიამ ყმების გაყიდვა შეწყვიტა — ცხენებით შესცვალა. სულ ახლახან ორასი ცხენი იმერეთის მეფეს მიჰგვარა ქუთაისში, ფეშქაშად მიართვა...

ულამაზესი ცხენების სანახავად, მთელი ქალაქი გამოეფინა.

სხვა გატაცებაც ჰქონდა დადიას, ფრინველები უყვარდა. იხეების, გედების, წყლის ფრინველების გარდა სასახლის ეზოში, საგანგებოდ შერჩეულ ადგილას, წკნელის გალიაში, გრძელნისკარტიანი, სხვადასხვა ფერის თუ მოყვანილობის ფრინველები ჰყავდა დამწყვედული. მდინარეებზე, მთებში, ჭაობიან ადგილას საგანგებოდ იდგნენ კაცები, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ, როგორც კი უცხო ფრინველი გამოჩნდებოდა, უმალ მთავრისთვის ეცნობებინათ. მონადირეებს შეჰყრიდა და ქორ-შეგარდნით დაედევნებოდა. დაიჭერდნენ ფრინველს და გალიაში დაამწყვედევდნენ. მაინც რა სიამოვნება იყო, ვერავინ მიმხვდარიყო. კაცია და გუნება!

არადა, ერთობ უჩვეულო სანახავი იყო ფერად-ფერადი ფრინველებით ავსებული, თხილის წკნელით მოწნული, ვებურთელა გალია. ჭიკჭიკით, ნიკნიკით, ჟღერტულით იკლებდნენ ჩიტუნები იქაურობას... გაფრენას ლამობდნენ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. ერთმანეთს კორტნიდნენ, ბუმბულს აცლიდნენ, ნიოქობდნენ.

ასეთი შემთხვევაც ახსოვთ, მთავარს, რალაც საჭირო საქმისთვის სათათბიროდ ოდიშის წარჩინებული ადამიანები მოეწვია, ჭარმაგი ხალხი. გაცხარებული სჯა-ბაასი გაემართათ... ამ დროს, ამბავი მოუტანეს, მდინარესთან ახლოს, უცნაური ფრინველი ეპოვათ, გრძელი კუდით, ულამაზესი ყელით, ბიბილოთი... ეს რომ გაიგონა, ყველაფერი გადაავინყდა მთავარს. სამსჯავრო მიატოვა, ცხენს მოახტა და მონადირეებთან ერთად გაკურცხლა. დაიჭირეს ფრინველი და მოიყვანეს. წარჩინებულები მოთმინებით ელოდნენ... მათაც უჩვენა ფრინველი, მერე გალიაში დაამწყვედევინა. უცხო ფრინველის დაჭერამ დიდად გაახარა დადიანი, აღფრთოვანებას ვერ მალავდა... სათათბიროს გადაწყვეტილება, სამომავლო გეგმები, უმნიშვნელო გამხდარიყო მისთვის...

ამიტომ იყო, ჩუმ-ჩუმად, „ჩიტრიკიას“ ეძახდნენ.

განსაკუთრებული გატაცებით ცხენის ქურდებზე ჰყვე-

ბა ბათუ. (ამ მხრივ მეგრელები განთქმულნი არიან!). ერთობ სასახელო საქმედ მიიჩნევეს... ოჯახი არ არის, თითო ცხენი არ ჰყავდეს

— მთავარს არ ჰპარავენ ცხენებს?!— კითხულობს სტუმარი.

— მთავრის ცხენებს ვინ მიეკარება, შეიარაღებული ხალხი იცავს. — პასუხობს ბათუ.

სულ მალე ცხენების რემას საქონლის ჯოგი ჩამოჰყავა. ფურები, ხარები, მოზერები, უშობლები. უმრავლესობა კვარაცხელიას ჯიშის იყვნენ. თეთრშუბლა. წითელი ფერის. მოკლე რქებით, კოხტა ცურით, მკვირცხენი და დაუზარელნი. რქებგადანყობილი ხარებიც გამოჩნდნენ... ეტყობა, თავის მოწონება სურდა მთავარს, ამიტომ ჩამოატარეს ამდენი პირუტყვი ერთად. ბლავილით, ზმუილით მოინევდნენ.

ჭალის ბოლოს, რძისფერი ბულის ბლავილი ისმოდა.

ჩამავალ მზეს, სოფლის გოგო-ბიჭებს შებლაოდა პირუტყვი...

მისმა ბლავილმა ბავშვობა მოაგონა ჯონდის.

...ზაფხულის ცხელი დღე იყო. მწყემსი გოგო—ბიჭების მხიარული თავშეყრა ბულის მოულოდნელმა გამოჩენამ, ტყიდან გამოვარდნამ დააფრთხო. მეზობელ გლეხებს გამოექცათ! თეთრი, ვეება... შლეგიანივით შემოიჭრა, ამღვრეული მზერით, პირდაპირ ბავშვებს მოასკდა, შიშმა დაზაფრა ყველა. თავად ისკუბა და ეკალ-ბარდს გადაეველო ჯონდი, ლელის პირს ჩაენარცხა. საკუთარი ნახტომის სიდიდემ თავადვე გააოცა. როგორ შეძლო იმოდენა მანძილზე გადაფრენა?!

შიშს დიდი თვალები ჰქონდა, ბულასაც...

პირუტყვის შორეულ ბლავილში, აბორგებულნი მამრის მოუთმენლობა იგრძნობოდა... ერთმანეთს ჰგავდნენ.

— "ლაზა-ლაზარე" — ხმიანობდა სივრცე. თავისკენ ინვევდნენ მას...

ეს სახელი, ჩამოსვლის პირველსავე დღეს გაიგონა სტუმარმა. ჯადოქრობა არ დაუნამებიათ, მაგრამ არც არაფერი დაუკლიათ. დადიანი ლაზას ეკითხებოდა რჩევებს... ისიც თქვენ, ხრესილის ომში, სოლომონ მეფის გამარჯვება პირველად ლაზამ იწინასწარმეტყველაო... ბრძოლის დაწყებამდე იცოდა, სად მოხდებოდა შეტაკება... ადგილიც დასახელა... ოკრიბაში, ხრესილის მინდორზე. დადიანის მეზობლები რომელ მხარეს განლაგდებოდნენ, ოსმალოთა ლაშქარი კი დევსად. არც ლევან აბაშიძის და როსტომ ერისთავის ლალატი გამორჩენია, ყოველივე ისე აღწერა, როგორც შემდგომში მოხდა. ამიტომ იყო, მთავრის კარზე პატივი თუ მოემატა, თორემ არ მოკლებია ლაზას... თუმცა, ზედმეტად არაფერს ითხოვდა, თავისი ბედს თუ უბედობას შეგუებოდა.

ვერაფერი გაეგო სტუმარს (ასეთებს მის სამშობლოში კოცონზე წვავდნენ!) მას გაცნობა სურდა, პირისპირ შეყრა. ამიტომ ასდევნებოდა ფეხდაფეხ, ათიოდე ნაბიჯის დაშორებით... მათ წინ, სახრით ხელში, კუზიანი, დაბალი კაცი მიაბიჯებდა. აბორგებულ პირუტყვს მიდენიდა.. თუმცა, ერთხელაც არ შემოურტყამს, უხმოდ იმორჩილებდა... მართო ბულას კი არა, მგონი ადამიანებსაც. ამიტომ იყო, ჭიშკრებს ალებდნენ და გადმოდიოდნენ ისინი. ქალები და კაცები, დიდები და პატარები. წინ ეგებებოდნენ ლაზას. რჩევას ეკითხებოდნენ... („ლაზარე“ — ლაზა ხომ მკურნალს ნიშნავს). თუმცა, ხმით, იერით, მიხვრა-მოხვრით, ტყის ბინა-

დარს უფრო ჰგავდა, ბებერ ოროპინტრეს, ვიდრე სოფლის მკურნალს და დადიანთან დაახლოებულ პირს...

— ლაზა! აუ, მორთი აშო... — იხმობენ ქალები. აბგაში, ყველის ნატეხს, მოხარულ კვერცხებს და ლეღვის ფოთლებში გახვეულ ლომს უწყობენ. სანაცვლოდ ხისგან გამოთლილ ჯვრებს, დამწვრის მალამოს თუ ამოსახველებელ ნაყენს იღებენ. კამასა და ძირტკბილაზე დაყენებულ სითხეს. რჩევა-დარიგებებს არ აკლებს... „თაფლიანი წყალი ასვი“ — „გულ-მკერდი თხის ქონით დაუზილე...“ ანწლის არაყი, მანვის ღვიძლი, სუროს ნახარში, გვიმრის ფესვი, ცაცხვის ყვავილი... მიაყარა და მიაყარა.

ვერაფერი გაეგოთ. ეს კაცი უძველესი საუკუნეებიდან მოსულს ჰგავდა, რალაც მაგიური იყო მასში. გაურკვეველი ასაკის ჩანდა, ერთობ დაჯერებული გამოხედვა ჰქონდა, თითქოს თავად იყო ამ კუთხის, სამყოფელის უფროსი და გამგებელი. შეიძლება იყო კიდევც!...

თვალეები ყმანვილური სიცვლქით უბრწყინავდა.

წამით, უცხო მამაკაცებს მოხედა ლაზამ, პირველად შეამჩნია ისინი...

— მეგრელი ხარ?!— ეკითხება ჯონდის.

— დიახ.

— ეს კაცი ვინ არის?!

— იტალიელი მკურნალია.

— აქ რა უნდა?! რატომ ჩამოვიდა?!

— ჩვენებური წამლების შესწავლა სურს... ბალახების, მცენარეების. მათი დამზადების წესები აინტერესებს.

რალაც ჩაილაპარაკა ლაზამ. ვერ გაარკვევდი, ეამა თუ ეწყინა. როგორც იქნა სოფლის ბოლომდე გააღწიეს. არცერთი ქართული სიტყვა არ წამოსცდენია ლაზას, თითქოს მეგრულის გარდა სხვა ენა დაეინწყოდა, ან საერთოდ არ იცოდა. მის ყოველ სიტყვას ჯონდი თარგმნიდა...

ხელახლა მოხედა ლაზამ, უცხოელ სტუმარზე მეტად, რატომღაც ჯონდით დაინტერესდა. მომწუხრევი მზერით დააცქერდა ვაჟს.. თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა, მერე ყრუ, დახშული ხმით ჰკითხა: „რამდენი წელია შინ არ ყოფილხარ?!“ „ცამეტი...“. „დიდი დროა... რაც უფრო დააგვიანებ, უფრო გაგიძნელებდა...“ მიჩუმდნენ. ამ კაცმა ყველაფერი იცოდა. თავისიანებთან, მამასთან, ძმებთან მიახლოება რომ გაძნელებოდა ვაჟს, ესეც იცოდა... არადა, მათი ხილვა ენადა, სურვილი კლავდა, ბოჭავდა... სწორედ ეს სანადევი ამოიკითხა ვაჟის თვალეებში ლაზამ.

მდინარის პირას, გაშლილ ჭალაზე, ისლით დახურული ქოხი შეამჩნევს. ლაზას დოხორე აღმოჩნდა. თხილის წკნელით შემოღობილი. წკნელისევე სასიმიდზე, ფაცხა, სათხებო და საქონლის ბაკი. ქოხის კარი შეაღო... ხაბაკ-ხუბაკი, ხის გრძელი ტახტი, ორიოდე კველა, გაურანდავი ფიცრისგან შეჩორკნილი ტაბაკი, თაროები. შუაცეცხლზე ლანჭით დაკიდებული კარდალა. თხის ჭურჭელი, ჯამები, თასები, დოქები. სულ ეს იყო ლაზას სიმდიდრე.

— მდინარესთან ასე ახლოს რატომ დასახლდი?!— ეკითხება ჯონდი.

— მთვარიან ღამით თევზები მოდიან და პირდაპირ ხელებში მიცვივიან.. არ გჯერათ?! დალამდება და გაჩვენებთ... — ჩაიხიროხილა ბერიკაცმა.

ქოხის წინ, წკნელზე გასახმობად ჩამოკიდებული თევზები იყო მისი სიტყვის დასტური. დაწინკლული ყელი და ვერცხლისფერი მუცლები უჩანდათ. სანამ გარე საქმე არ მოილია, ხე-

ირიანად არც მოეკარათ ლაზა. მიდი-მოდიოდა, საქმიანობდა. უპირველესად ბუღალს უზატრონა, ბოძზე დააბა. ჩალა დაუყარა, წყალი ასვა, დამბალი სიმინდის მარცვალის თუჯიათი დაუდგა. შორიანლო ფერდობზე, ბუჩქნარს შეფენილი თხები მოჩანდნენ. თეთრი ბეკეკოები, თითქოს ლაზას გამოჩენას ელოდნენ, ტუჩების ცმაცუნით, კიკინით ჩამოჰყვინნ დაღმართს.

სათხებოში დაამწყვდია ისინი. მოწველა კიდევც... რძე გვიმრის ფოთლებით განურა. ქოხში ქვაბით შეიტანა და სტუმრებიც მიიწვია. ნახევრად ჩაფშუტულ კერაზე ცეცხლი შეაღვიძა. აანთო და ააგიზგიზა. შეშა მიაყარა. რძიანი ქვაბი ცეცხლზე შემოდგა. ლელვის ფოთოლში გახვეული ღომი, ყველი და მოხარშული კვერცხები დაბალ ტაბლაზე დაანყო. თიხის სირჩაში არაყი ჩამოასხა.

— თაფლის არაყია, ჭიქას ლართხი გამოუჩინეთ... წვეთი არ ჩატოვოთ.

შეთბნენ და შეხალისდნენ. უპირველესად, სტუმრის ვინაობით დაინტერესდა ლაზა.

— ასე თქვი, მკურნალიაო... — ვაჟს მოხედა — ციებას მკურნალობს?!?

— კი.

— ნამლით თუ შელოცვით?!

— ნამლით.

— ციებას ბახმაროს მთები უხდება. სამი წელი ზედი-ზედ უნდა იაროს და ავადმყოფის ტანში არ გაივლის. ლავანდის ნახარშიც კარგია. ახალმთვარეობისას მდინარის წყალში უნდა იბანოს...

— წყალში?!

დაუჯერებელ ამბავს ჰყვებოდა იგი... არადა, ნაკვერჩხლების სიმბურვალემ შეანუხა ვაჟი, ფეხზე წამოდგა, ცეცხლს გაეცალა. მდინარის გაღმა, ფერდობზე შეფენილი სოფელი მოჩანდა. ასწლოვანი ხეებით, ყავრის სახურავებით, ჭებით და ოჭინარებით.. სიმწვანეში ჩაფლულიყო.

— იქ ჩემი ძმა ცხოვრობს... — ერთ-ერთ მოსახლეზე მითითა ლაზამ.

— კვარაცხელიები ხართ ხომ, ცნობილი მეჯოგეები?!

— მამაჩემი იყო ცნობილი მეჯოგე...

— აქ რატომ დასახლდი? ძმას გაერიდე?!

— არა, ჭოტის ძახილს...

— ჭოტი რა შუაშია?!

— ძველების აზრით, ჭოტი ეშმაკეული ფრინველია. ღამით მისი ხმა უბედურების მომასწავებელია... სოფლად ჭოტის ხმას რომ გაიგონებენ, ცდილობენ ააფრინონ. ქვებს ესვრიან. სამი ღამე ვერ მოვიცილეთ წყეული. ჭადრის ტოტზე იჯდა, ჩვენს სახლს შემოჰკიოდა. ქვები დავცხე... გავედევნე. უკან რომ მოვბრუნდი, რძლის სიტყვები ჩამესმა, საკუთარი ყურით გავიგონე...

მიჩუმდა ლაზა. წყენით გაბუსხოდა სახე.

— რაო, რა თქვა?!

— „კუდიანი და ავსული, თვითონ არის შენი ძმა, ალბათ მაგას მოაკითხა ჭოტმა...“ კისკისებდა რძალი. ძმაც აჰყვა... ეს ქალი თავად შეერთე ძმას... სოფლის ობოლი, უპატრონო გოგო ღირსეული ოჯახის პატარძალი გავხადე. ასე გადამიხანდა სიკეთე. იმ ღამესვე დავტოვე მშობლების ოჯახი. სამოსახლო ადგილი ვთხოვე ბატონს, „სადაც გინდა იქ დასახლდით,“ — მითხრა. მდინარის პირი ვარჩიე, ღამღამობით თევზები მოდიან და პირდაპირ თითებში მიცვივიან...

უკვე ეჭვით შესცქეროდნენ სტუმრები.

— არ გჯერათ?! მთვარე რომ ამოვა განახებთ, როგორ შემოცურდებიან თევზები ქვალრმულაში, ჩემს ძახილზე მოვლენ...

აფორიაქებული ჩანდა ბერიკაცი, თვალები უგიზგიზებდა. ეტყობა დაცხა, ერთბაშად გადიძრო ჯვალო, გახალვათდა. კუზიანი ნაკლებად ეთქმოდა, უფრო დაბალი, ქვიჯა-კაცი იყო, თავმსხვილა და ბეჭებგანიერი. მოკლედ, რაც ზემოთ იყო, ორი იმდენი მიწაში ჩანდა. სიმდიდრე არ ეტყობოდა, მაგრამ არც შიმშილით უხმებოდა კუჭი. მეტი არც უნდოდა ალბათ... შეშამ მოილხინა, ალი ავარდა. კედელზე, ცირცელის ფოთლებმა და მინდვრის ყვავილების გამხმარმა კონებმა ქანაობა იწყეს.

— ნამლების დამზადება ვისგან ისწავლე?! — ეკითხება ჯონდი.

— დაბადებიდან ვიცი... სიზმარშიც ხშირად ვნახულობ...

ამკარად იტყუებოდა ლაზა, სიცრუეს თხზავდა, საკუთარ ცოდნას თუ მიხვედრას, ძნელად სარწმუნოს ხდიდა... ნამლების, მალამოების, დასახელი საშუალებების ჩამოთვლა იწყო. რომელი რას უხდებოდა... თაროდან ქილა ჩამოიღო, დაყნოსა, უცხოელ მკურნალს მიაწოდა... მთავრის უწლოვან ქალიშვილს, მის სისხლნაკულ დედას, ტკბილ ნაყენს, „შავ სითხეს“ ასმევდა ლაზა. დილა-საღამოს უნდა მიეღო. ევროპელი მკურნალი ამგვარი ნამლების მიღებას კრძალავდა. თუმცა, საკუთარ მოსაზრებას ნაკლებად ამხელდა. ლაზას ამკარა გავლენა ჰქონდა სასახლის კარზე, მის წინააღმდეგ ბრძოლა ძნელი იყო. არც უფიქრია... უპირველესად, „შავი სითხის“ შემადგენლობის გაგება მოინადინა სტუმარმა. უარი არ უთქვამს ლაზას, მის თვალწინ იწყო დამზადება... ერთი ჭიქა ყურანის წვენი, ორი ცალი ბრონეული, სამი კოვზი თაფლი, ყველაფერი ეს წამოადულა და სქელ მასად აქცია. განუწყვეტლივ ხის კოვზს ურევდა, თან ჩურჩულებდა: „ქორი გახტა ქანდარასა, დედალი საბუდარსა. გულო, მოდი საგულესა, გულო, ნუ შეგეშინდება!“ მერე ზედა თაროდან ფხვნილი ჩამოიღო და მუჭით ჩაყარა. წამალი მზად იყო!

— რა ფხვნილია?! — იკითხა ჯონდი.

— ველური ბალის ქერქი.

ყოველივე ნამდვილ შარლატანობას ჰგავდა. ეს კაცი აბრუებდა მათ. საღ აზრს უკარგავდა. ამასაც არ დასჯერდა, დასაგებოვნებლად სტუმრებს კოვზით შეასვა სითხე. მოტკპო, სურნელოვანი სასმელი აღმოჩნდა. საამო ხასიათზე აყენებდა ადამიანს. სანთლის არაყმა იმოქმედა თუ ლაზას „წამალმა“, კარგ გუნებაზე დადგნენ, შეხალისდნენ. ისიც გაახსენდათ, ლაზას წამლის მიღების შემდეგ, მთავრის მეუღლეს და მის მცირეწლოვან ქალიშვილს ფერი მოუვიდათ, ხალისიანები გახდნენ. დილით, სასახლის ბაღში სეირნობისას, გოგონას მხიარული კისკისი ისმის, მთელ სასახლეს სწვდება... მოდი და არკვიე სიმართლე! იმასაც ამბობენ, ლაზა თავის საიდუმლოს არავის უმხელსო... შეიძლება, ახლაც მალავს სინამდვილეს. თუმცა, სტუმარს უშურველად ჩაანერინა წამლის მომზადების წესი. შემადგენლობა. ისე სწრაფად ჩამოთვლიდა, თითქოს ჩქარობდა არ გადაეფიქრა ან თავად არ დაეინწყოდა...

ჯონდის მზერა კედელზე მოქანავე ავგაროზებს მიწვდა... გასანთლულ ძაფზე ეკიდა ისინი, გვერდიგვერდ.

— რა არის?! — ჩაეძია ვაჟი.

— კოლხური თილისმა.

— შენ დაამზადე?!

— ჰო. მდინარის პირას უცხო ქვეები ვიპოვე, ეტყობა წყალმა ჩამოიტანა მთიდან... მთვარის შუქზე ანათებდნენ... რაც უფრო დიდხანს ატარებ, უკეთესია, ყოველგვარ ჯადოს ხსნის... ძალას გამატებს, განსაცდელისგან გიცავს... თუ შორს წახვალ, აქაურობას მოგანატრებს...

თილისმა ჩამოიღო ლაზამ. სტუმრებს ყელზე ჩამოკიდა... უცხო ქვეებით მოჭედული აღმოჩნდა. ნელსაცხებლის კოლოფს წაავადა. მჭიდროდ ამოკემსილი, თხის ტყავში იდო. მძაფრი სუნი ჰქონდა, ოდნავ ამაზრზენი... ცხოველის, მცენარის, ქვის, თუ წყლის. ერთმანეთში აზელილი. გამაბრუებელთან ერთად, დამამშვიდებელიც ჩანდა...

— შიგ რა დევს?! რისი წამალია?! — იკითხა ჯონდი.

— სიყვარულის.

— ამნაირი სუნიო?

— როგორც კი სხეულს შეეხება, სუნი გაქრება...

— საყოველთაოდ ცნობილია, ყველა ჯადოსნური წამალი, უბრალოდ თავლია... — ჩაილაპარაკა პადრემ, აშკარად ჩანდა ლაზას ჯადოქრობის არ სჯეროდა.

ერთხანს სდუმდა ბერიკაცი, მერე ხმადაბლა, ყრუ ხმით ჩაილაპარაკა:

— თქვენი ნებაა. ჩამოიხსენით და კედელზე დაკიდეთ.

— არა. როგორ გეკადრებათ. — შენუხდა ჯონდი — საწყენად არ უთქვამს...

— მაშინ საფასური გადაიხადეთ!

სტუმარმა ჯიბისკენ წაიღო ხელი. შინდისფერ, ხავერდის ქისაში ვენეციური დუკატები, ოსმალური ალთუნები და ირანული ნახევარმარაფები ენყო. ქართული ფულიც ერია... მასპინძლის წინაშე თავისმონონება სურდა თუ გულუხვობის გამოჩენა ენადა, ქისიდან დუკატები ამოიღო პადრემ. ოთხი ცალი, ოქროს ფული... ჩანავლებული ცეცხლის პირას, ნაცარში ჩამუხლებულ ბერიკაცს სათითაოდ ჩაუთვალა ისინი.

უაზროდ დასცქეროდა ბერიკაცი, თითქოს რასაც ხედავდა არ სჯეროდა. თანდათან დაპატარავდა, გნომივით დაეღია სხეული. ერთხანს თავდახრილი იჯდა. ნაცარში ჩაყრილ ოქროს მონეტებს ცდუნების საოცარი ძალა აღმოაჩნდათ! თუმცა, უმალ მოერია თავს, სათითაოდ აკრიფა ისინი, სული შეუბერა და პატრონს უკან დაუბრუნა.

— ესენი არ მინდა! ჩვენებური ფული მომეცი, უბრალო. — ერთხანს სდუმდა — ამისთვის შეიძლება ვინმემ მომკლას. მარტო ვცხოვრობ, უფლის ანაბრად...

მთვარის სხივებმა სივრცე გაანათეს.

ფერდობს შეფენილ სოფელში ბოლო სანთელი ჩაქრა, სიჩუმემ დაისადგურა.

შორიასლო მდინარე ხმაურობდა, შხეფებს ისროდა. ადამიანებს თავისკენ იწვევდა. ცალ ხელში ხის გობი ეჭირა ლაზას, მეორეში — ჭრაქის ლამფა. მდინარისკენ მიიწვედა. ქვიან ბლიკზე ცოცვა არ გასჭირვებია, ნაჩვევი ჩანდა. ეკალ-ბარდებში ქვენარმავალივით მიცოცავდა, მისრიალებდა. ისინიც ფეხდაფეხ მიჰყვნენ. ენოღნენ და ვერც ეწეოდნენ, თანდათან განათდა სივრცე. გალიცლიცდა. მდინარის ჩხრიალა ნაპირთან, ამაღლებულ ლოდზე მამალივით შემომჯდარი დახვდათ ლაზა. უცებ, ფეხზე წამოიმართა და თავის ძონძიან-ქალამნიანად, თმაბურძგვნილი და ძალღივით მყეფარე, მკლავგაშლილი წყლის სიღრმეში ჩაეშვა. ჩაყვინთა და ჩაიძირა. უმალ გამოჩნდა. მთელი ძალით ადგა-ფუნდა. გაღვანღვალდა. მერე მკლავები თავქვე ამოიღო და

ერთხანს ასე უძრავად იწვა მდინარის ჩქერში. სახეზე წყალი გადასდიოდა. ჯერაც თბილი... მზის სხივებისგან გახურებულ ლოდებზე მოჩხრიალე... თითქოს ეძინა და გამოეღვიძა, ერთი მოქნევით წამოიმართა, ფეხზე წამოდგა, რაც კი რამ ემოსა, ბარდალ-ბურდალი, ლოხი ქსოვილი შეიძრო, წყალში გაახამხამა. თითქოს გარეცხა, ოფლი და ჭუჭყი გააცილა. მაჯაგა მკლავებით განურა და ბუჩქნარს გადააფინა.

თბილი სიო უბერავდა...

მკერდგანიერი და ბანჯგვლიანი ჩანდა ლაზა. ახალგაზრდა სხეული უჩანდა, ჯერაც დაუჭქნობელი. რაც იყო, ნაღდი იყო...

— ხშირად ბანაობ?! — ეკითხება ჯონდი.

— სავესმთვარეობისას, წყალი მახალისებს, სიცოცხლით მავსებს... ეს მხარე მე მეკუთვნის. დადიამ მითხრა: "შენთვის მიჩუქებიაო". ეს ქვეები, მდინარე, თევზები... მთავარმა ბრძანა, მე ხომ არ მითქვამს...

ერთგან, კლდეებს შორის, სიღრმეში ჩაჰყო ხელი. თიხნარი მოჩიჩქნა. თეთრი, აყალო მინა მუჭში შეიზილა. საპონივით წაისვა ტანზე. იღლიები, მხრები, ბოქვენი გაისაპნა. თმაზეც წაისვა...

უცხოელი გოცებით შესჩერებია.

— რა არის?! — კითხულობს იგი. — თიხით იბანს?!

— ძველი კოლხები იყენებდნენ ამგვარ თიხას, „აყალო მინას“ ეძახიან... თმას არბილებს, სხეულს აკაჟებს.

— უცნაური ხალხი ხართ...

— რომ იცოდეთ რა თბილი წყალია, მსუბუქი. დალღობას აცლის. მორთი აში, წიე! — მიიწვია ლაზამ.

ვაჟმა მცირედით ჩადგა ფეხი. ნაბიჯის გადადგმა გაუჭირდა, ქვაზე სრიალებდა. ბოლოს იძალა და მთელი ტანით გადაეშვა. გაცურა და გამოცურა, ძველი სურვილი აისრულა, ყმანვილბიჭობის სიამე შეიხსენა. ამოვიდა. ერთხანს ლოდზე იჯდა განბანილი და გასუფთავებული. ლაზაც იქვე დაეშვა. ჩაცმა იწყეს.

წყალში ჩასვლა არ ინება პადრემ, თავს შეუძლოდ გრძნობდა. უცხო კლიმატმა, ნესტმა და ჭაობმა, ხშირმა წვიმებმა, მთებიდან წამოშლილმა ნისლმა ძალა გამოაცალეს, ციების მოახლოებას გრძნობდა, ტანში აჟრჟოლებდა. "როგორც კი დაგზრუნდებით, წამალს მივიღებ, ცხელ რძეს დავლევე და დავწვები" — განაცხადა მან.

— ზემოთ ავეყვით მდინარეს. ქვალბრულას განახებ... გობი წამოიღე, თევზისთვის დავგჭირდება... — ვერ ისვენებს ლაზა, ჯონდის თავისკენ იწვევს.

გაედევნა. ლოდისგან ლოდზე მიხტოდა ლაზა. ტანმსუბუქი და შემართული ჩანდა. ბოლოს, ორ ლოდს შორის იპოვა იგი. ფეხებგაჩაჩხულს, ნახევრადგადაკუშულს, თითქოს მკლავები დაგრძელებოდა. წყლის ჩქერში ბადესავით ჩაეშვა თითები. თევზს იჭერდა... ყოველ ათ წუთში თითო ცალი ამოჰყავდა. კუდმოქნეულსა და ასხმარტალებულ თევზებს გობზე ისროდა. ხტოდნენ ისინი, ჯერაც ცოცხლები იყვნენ... განუწყვეტელი ბუტბუტებდა ლაზა, ჩურჩულებდა, თავისკენ იწვევდა თევზებს. არადა, გაივსო გობი. ღვთის უბეში ნეტარებას ჰგავდა ამგვარი თევზაობა!

— ჩემს სიცოცხლეში ასეთი რამ არ მინახავს... — ჩაილაპარაკა სტუმარმა.

მთვარეულებივით ხელებაცეცებულნი ამოჰყვნენ ხეცს, ახლად დაჭერილი თევზი კალათში გადააწყო ლაზამ, მთავართან მოსაკითხი გაატანა. წასვლის წინ, ვაჟს უჩურჩულა

ლა: „მალე აქედან ნახვალთ... წერილი, რომელსაც ქალბატონი მიიღებს, უკვე გამოგზავნილია. ახალ დავალებას მოგცემთ...“

— სადმე გვგზავნის?!

— ჰო. ორ დღეში ნახვალთ.. შენთან ნახვას მოასწარებ. უნდა იჩქარო! ღმერთმა დალოცვილი გატაროს!

ბოლო სიტყვები ლოცვასავით დაადევნა ლაზამ.

* * *

ყველაზე მეტად, თილისმის ძალის შეცნობა ენადა ვაჟს, მისი გამოცდა სურდა. არადა, მშობლიური კუთხე-სამყოფელისკენ გაქცეოდა მზერა. გული იქით მიუწევდა. ლაზას ღამეულმა შეგონებამ, ჩურჩულმა და დარიგებამ ააფორიქა ვაჟი. მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა, გული ახლობლებისკენ მიუწევს. მამისკენ... ძმებისკენ. მათი ხილვა სწადია. ნათქვამია, „მთა მთას არ შეხვდება, თორემ კაცი კაცს სადმე შეეყრება“. ეგონა ვინმე ნაცნობს იპოვიდა, მათ ამბავს გაიგებდა, მაგრამ ვერავის გადაეყარა...

ათი წლის იყო, დედა გარდაეცვალა... ნინუას ქალი, სოფელ ჯიხაროდან. (დედის მკრთალი ლანდი მალიმალ შეახსენებს თავს, ხმაც ჩაესმის, ტირილის მინამსგავსი, მეგრული „ნანა.“) დედაზე ფიქრს უკრძალავს საკუთარ თავს... მამამ დააპირა შვილების გაზრდა. თუ გაზრდა ერქვა! (ციებ-ცხელებამ იმსხვერპლა ქალი) ცოლის უცარმა სიკვდილმა გონი დაუკარგა კაცს. მზად იყო ჯარგვალი დაენვა და საქონლით, ბავშვებით, ხაბაკ-ხუბაკით, სხვა ადგილას გადასახლებულიყო. სხვა სამოსახლო ეპოვა. მშრალი, ხალვათი ადგილი.

არავინ იცის აისრულა თუ არა გულისწადილი. გაეცალა თუ არა მშობლიურ კუთხეს.

ჯონდი მისიონერებს თავედევნა... ფეხდაფეხ გაჰყვა, გასდია. როგორც მანამდე ემსახურებოდა, წყაროდან წყალი მოქონდა, მათ ბარგს ეზიდებოდა, ახლაც, თან გაჰყვა. ამიტომ იყო უსულო საგანივით შესვეს თუ შედევს გემბანზე. არც მამას გაუწევია დიდი წინააღმდეგობა. თანახმა ჩანდა!.. ოღონდ ეს იყო, ბოლო დღეებში მზერას არიდებდა შვილს, ემალებოდა. სათქმელი არაფერი ჰქონდა... ცამეტი წლის ბიჭი წაიყვანეს და ოცდაექვსი წლის მამაკაცი დაბრუნდა. რაღაც მაგიური იყო ამ რიცხვებში... ორ ცამეტში... ფლორენციელ მისიონერთა საძმოს არ გაძნელებია ყმანვილის აღზრდა, გონიერი ჩანდა, ზრდილი. ენა ადვილად ისწავლა, წერა-კითხვაც. სულ მალე, მართლმადიდებელი ქრისტიანი — ჯონდი მარლია კათოლიკედ მონათლეს. გვარ-სახელის წარმოთქმა უჭირდათ აღმზრდელებს და ისიც შეუცვალეს... **ჯონდი მარლია** — **ჯონო მარგილა** დედა იქცა. არაფერი მიუღებელი არ ჩანდა! თვალსა და ხელს შუა გასხლტა წლები. უცხო ქალაქები, ქვეყნები მოიარა.. თუმცა, მშობლიური კუთხის მონატრება გულიდან, ვერადავერ ამოიგდო. ვერც ახლობლების სახეები დაივიწყა. თან აკვროდნენ ისინი, ასწეპებოდნენ...

ყოველივე ამაზე ნაკლებად ფიქრობდა ახლა.

გზას გასცქეროდა, სოფლებს, ადამიანებს, ჭალა-ველს, ტყის პირს, მწვანე ბორცვებს. ეძახდნენ ისინი... თავისკენ უხმობდნენ... ახლობლებთან შეხვედრა სურდა, მათთან პირისპირ შეყრა.. ვერ გაერკვია, გამყოლთან ერთად ჯობდა წასვლა თუ მარტოდმარტო დადგომოდა გზას... არადა, ყველაფერი ახსოვდა, სად ჩაეხვია, რომელ ბილიკს გაჰყო-

ლოდა, სოფლიდან—სოფელში გადასულიყო. იმასაც მიხვდა, ასე სალოკი თითოვით შიშველსა და მარტოსულს გაუძნელდებოდა მშობლიურ სოფლამდე მიღწევა. ამიტომ იყო, ბათუ ხუბუა გაიყოლა თან.

„კარგი ცხენი ქერს იმატებს, ავი ცხენი მათრახსო“, დილიდან გაუდგნენ გზას. ტლაპოიანი, ნაზელი მიწა შეეგებათ. პიტალო კლდე და დამრეცი ფერდი.. გაშლილ ჭალებს მეჩხერი ტყე მოჰყვებოდა.. კარგახანს იარეს, სოფელი სოფელმა შეცვალა. ლენურწუმეო, ლესიჭინაო, ლეხანდრაო.

მზე სხივებს აჭერდა... როგორც იქნა მიადნისე. დადაბლებული ერგენა მთები, ტყე გამეჩხერებულყო. ხევში ჩაკარგულს ჰგავდა სოფელი, აქა-იქ კვამლი ამოდიოდა. ხმებიც ისმოდა...

ლელის პირას დატოვა თანმხლები. თხმელის ბუჩქნარს გამოაბა ცხენი. დამელოდო, დაუბარა. ფეხდაფეხ გაჰყვა ბილიკს. წითელ თიხნარს. გუმანით გრძნობდა, რასაც ელოდა, ძნელად დახვედებოდა. ხშირი წვიმებისგან ჩამუქებული სახლი, სამზადი და ლაფარო. მამა და ძმები. არავინ ჩანდა, სახლიც გამქრალიყო და ადამიანებიც.. ტლაპო, წუმპე თუ წუნწუხო, საქონლის ხშირმა მისვლა-მოსვლამ რომ იცის, გამშრალიყო. მწვანედ ბიბინებდა ბალახი. ადამიანებს თავიანთი სიცოცხლის ყველა ნიშანი წაეშალათ. ბუნებას ეზეიმა, ნათოხნ-ნაბარის ნაცვლად მიწას პირი შეეკრა, მწვანით შემოსილიყო. „სადაც ჩიტი გაიზრდება, მისი ბაღდადი იქ არისო“... ორიოდ ხე შემორჩენოდა ნაეზოვარს, ტყემალი და პანტა ვაშლი, სხვა დანარჩენი უმოწყალოდ ჩაეჩეხათ. „ხე ხმება და ფესვი რჩებაო“, მიუსაფრობა მოძალგოდა ნასახლარს.

— სად წავიდნენ?! რომელ მხარეს?! — გაუელვა ფიქრმა.

სოფელში შესვლა არ სურდა. შორი გზა მოიარა და ისე მოაღწია. ნაცნობი ვერავინ იპოვა, უცხო მგზავრად დარჩენა სურდა. იძულებულია სოფლისკენ აიღოს გეზი. მეზობლებს თავი შეახსენოს, მათი სალამ-ქალამი მოისმინოს. მის გამოჩენას გაიოცებენ, შეიცხადებენ კიდეც, ამას წინასწარ გრძნობს... მკვდრეთით აღმდგარად ჩათვლიან. (ამიტომ არ სურს მათი ხილვა!)

სოფელს ხალხმრავლობა არ ეტყობა. სამოციოდე ოჯახი, სულ ეს იყო. სახნავ-სათესი მიწები, საბალახოები, გაუყვავიანი კორომები... გზას გაჰყვა. შორიხლო სიმინდის ყანაში, ყავრის სახურავი დალანდა. ბორკვილიანი აივანი. შუა ეზოში, შვიდი-რვა წლის გოგონა ყვავილებს კრეფდა. ძველებს უთქვამთ: „სოფლის თავში რომ მიხვიდე, სოფლის ამბავი ბავშვს ჰკითხეო“. თავისკენ მოიხმო ბავშვი. მისგან დიდათ დალაგებულ პასუხს არ ელოდა, მაგრამ იმგვარი გულმოდგინება გაამჟღავნა გოგონამ, გაოცდა. თავად შეჰყვა აღმართს.

— აი, იქ ცხოვრობენ.

სადაც, ზემოთ მიათითა. თხმელის ბუჩქნარს მიღმა, გაშლილ ჭალაზე ახლადმოსახლე ჩანდა. ოღრო-ჩოღრო, ჩახრამული ადგილი მინით ამოევსოთ. ეზო გაეხსროები-ნათ, ნერგებს ეხარა. ღობე, თხილის წკნელით შემოელობათ. ღობის სარზე ორშიმო(გოგრა) ჩამოეცვათ. ექვსამდე დღიური მიწა იქნებოდა. შუა ეზოში, წაბლის ფიცრისგან ნაშენი ორთვალისანი ოდა მოჩანდა. იქვე სამზადი ედგათ. მოშორებით ხულა, სასიმინდე. სახლის წინ, ეზო ჭიშკრამდე თავისუფალი იყო. ქორფა ბალახი ბიბინებდა. ვაზიც დაერგოთ, ხეხილიც ეხარებინათ.

უხმოდ იდგა ჯონდი. უცხო მზერით შესცქეროდა იქაურობას. თავისიანად ვერ ეცნო. ეტყობა აისრულა მამამ გულისნადილი. სახლი სხვა ადგილას გადიტანა, ნესტსა და ჭაობს გაერია... მთის კორტოხზე შემოდგა მეგრული ოდა. გრილი, საამო ჰაერი უბერავდა... ეზოში ბავშვები თამაშობდნენ. ათი-თორმეტი წლის ბიჭები ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ, მათი ხმები საამოდ ესმოდა ყურს.

ბათუ ხუბუა ქვემოთ, ლელის პირას დატოვა. „აქ დამელოდო“, — დაუბარა.

ლობესთან, უცხო ვაჟის უხმო დგომა, ყველაზე ადრე ჩითისკაბიანმა, ჭრელი სახოცით თავნაკრულმა ქალმა შეამჩნია. შუბლზე ხელი მოიჩრდილა, ეუცხოვა სტუმარი. მეორე ქალიც გამოჩნდა, უფრო ახალგაზრდა, გრძელი, ნაბლისფერი ნაწნავი კოჭამდე სცემდა. „ქალი თმისანი და მწვადი ცვრიანი“. საამო საცქერი იყო! მკერდზე ჩვილი მიეკრა ქალს, უნანავებდა... მურა ნაგაზმა გაკვირვებით მოხედა სტუმარს, ბენვი აეშალა, ღრენით წამოვიდა მისკენ, სიავისგან ნესტოები უთრთოდა. თეთრი, ელვარე კბილები უჩანდა...

თავსაფრიალი ქალი ცოცხით გამოუდგა ძალს. დაუცაცხანა.

— მობრძანდით, ბატონო! — ჭიშკარი ფართოდ მოალო, სტუმარი მიიწვია. ჯირკო გამოიტანა და ჩრდილქვეშ დაუდგა. ზედმეტი არაფერი ჰკითხა, უცხო მამაკაცთან მიეთმეთს, საუბარს ეკრძალოდა. სანამ სტუმარი არ იტყოდა, ვინ იყო, რა უნდოდა, ზედმეტად არაფერს ჰკითხავდა. არადა, ძვირფას სამოსში ჩაცმული მამაკაცი ერთობ უცხო იყო ამ კუთხისთვის, აქაურობისთვის. „ჯერ შემომხედე და მერე შემომკადრეო“, შალის მსუყე ქსოვილი შვენოდა ვაჟს, მის წარმოსადეგ სხეულს. ატლასის საყელო, ტყავის ნაღები... მზერა გაბეცვოდა ქალს. ასეთი ვინმე არასდროს ენახა, ამ მხარეს არასდროს ჩამოველო... არადა, კეთილმოსურნის მზერით შესცქეროდა ვაჟი... ალაგ-ალაგ უღიმოდა კიდეც.

ხის ძირას იჯდა ჯონდი... ისვენებდა. არც ვინაობა ჰკითხეს და არც მოსვლის მიზეზი გაარკვიეს. რამდენ ხანს მოუწევდა ასე უხმოდ ჯდომა არ იცოდა, მაგრამ რატომღაც სიამოვნებდა... თითქოს, შორი მანძილი გაეარა და როგორც იქნა შინამდე მოეღწია... ვერავინ იცნო, ვერც ქალები, ვეღარც ბავშვები, ვეღარც სახლი... მაგრამ გუმანით გრძნობდა, ისინი მისიანები იყვნენ. ამიტომ იყო ყველაზე მეტად სიჩუმე სიამოვნებდა. სულიერად ისვენებდა...

ამ დროს... რაღაც ბედად, ტყისპირა ლობეს მამაკაცები მოადგნენ. ორნი იყვნენ. ყაბალახიანები, სველი, ნაცრისფერი ჩოხებით. პაჭიჭებით, ძირგამორღვეული ქალამნებით. ლობეზე კი არ გადმოვიდნენ, გუდურებივით გადმოგორდნენ. დალილები ჩანდნენ, ძალაგამოცლილნი...

— იპოვეთ?! — მივარდა ქალი.

— არა...

— ვაი, ჩქიმი ცოდვა! — შეიცხადა ქალმა, — რა გვეშველებავა?! დავიღუპეთ. დაგვექცა ოჯახი. ვაი, ნანა! ვაი, ჩქიმი ცოდვა!

ქალის მოთქმა-ვაება ადგილზე გააშეშა კაცები. ბიჭებმა თამაში შეწყვიტეს. დაიძაბნენ. სახე ჩამოიხოკა ქალმა, მკერდში ხელი ირტყა, ვერ იქნა და ვერ დაწყნარდა. პირველსავე თვალის შევლებზე იცნო ჯონდომ ისინი, მისი ძმები იყვნენ. ასაკი მომატებოდათ, შეცვლილიყვნენ. წლობით უნახავი გაუცხოებული ეჩვენა.. პირში სიტყვა გაპრო-

ბოდათ ძმებს... მხარნაქცევებს ჰგავდნენ... ნვერმოშვებულნი. უგერგილოდ ჩაცმულნი. თავდაპირველად, შემთხვევით შემოხეტებული, სამეზობლო ლობეზე ალაღბედათ გადმოსულ-გადმოლაყუნებული მეზობლები ეგონა... სასაუბროდ თუ სალაყბოდ წვეოდნენ. ახლა, სამზადის წინ, დაბალ ჯირკოზე გვერდიგვერდ ისხდნენ ისინი, უძალოდ, უგერგილოდ. უფროსს, თმა გასთეთრებოდა, ერთიანად გაჭალარავებულიყო...

— მესამე დღეა ვეძებთ. ახლო-მახლო სოფლები შემოვიარეთ, მთები, ტყეები, ყანები. ვის არ ვკითხეთ. მნახველი არ არის... ნაკვალევიც ვერ ვიპოვეთ. გაქრნენ. შვიდი სული საქონელი... მენველი ფური, ხარები... მოზერები. დაგვექცა ოჯახი... — ლამის ატირებულიყო კაცი. კარგახანს თავდახრილი იჯდა. მინაზე აწიტიბდა.

სდუმდა სტუმარი. მიახლოება ვერ გაებედა. ვერც ვინაობა გაემხილა... თუმცა მიხვდა, პირველსავე თვალის შევლებზე იცნეს ძმებმა. თუმცა, იმდენად იყვნენ დაზაფრული და ძალაგამოცლილნი, წლების წინ დაკარგული ძმის მოულოდნელი გამოცხადება, მისი ხილვით გამოწვეული აღფრთოვანება, ერთბაშად გაქრობოდათ, განელეზოდათ. თავჩახრილნი და ფეხებგალაჯული უაზროდ ისხდნენ. სტუმარს მზერას არიდებდნენ...

ისევ ქალმა ივარგა, უფროსი ძმის ცოლმა, გამხდარმა და გალანდულმა, სტუმრისკენ მოახედა ქმარს, რაღაც უჩურჩულა. და სასწაული მოხდა! თითქოს ეძინა და უცებ გამოიღვიძა.. დალილობა გაუქრა. წამოდგა... კაკლის ძირას მჯდომ სტუმრისკენ მძიმე ნაბიჯით გამოემართა. ერთხანს უაზრო ღიმილით უცქირა, მერე მკლავები გაშალა და გულში ჩაიკრა. ალულლულდა. მეორეც მოვარდა, შედარებით ახალგაზრდა. ცალფადნაქსოვი, ნაოლარა ძმა. სიხარულისგან ხმამაღლა ზღუქუნებდა იგი...

— ათეზმა ხანს სო რდი ჯიმაია, ჩქი დინაფილ მიმორჩქუდით...¹ — ძლივს ამოთქვა ოდნავ დაშოშინებულმა უფროსმა.

— მისიონერეფწკუმა. ირო აშო იბჯინედი...²

— დოილურ ჩქიმ დუდიქ!³ — ხელი თავზე წაიშინა ძმამ. ლამის ჩაიკეცა და ჩაშვავდა სტუმარი

ძმების ზღუქუნმა ბიჭები დააფრთხო. ამდენხანს გარს რომ უტრიალებდნენ სტუმარს, ღიმილით შესცქეროდნენ, ახლა დაბნეულები ერთმანეთს ეკვროდნენ... უცხო ვაჟის ჩაცმულობა, ბარგი, ფარფლიანი ქუდი აბნევდა მათ. მიახლოება უჭირდათ, ირგვლივ უტრიალებდნენ.

შუბლნაკრულმა ქალმა სამზადს მიაშურა, მოთუხთუხე ღომის ქვაბი ნაკვერცხლებში ჩამოდგა და ზელვას შეუდგა. გამეტებით სცემდა ჩოგანს... მეორე, შედარებით ახალგაზრდა ქალი აივანზე გამოჩნდა. კაბა გამოეცვალა. ხელში ხუჭუჭათმიანი გოგო ეჭირა... ბლის მარცვლებით მრგვალ-მრგვალი თვალები ჰქონდა ბალღს... სტუმარმა ჩანთისკენ წაიღო ხელი, საჩუქრების ამოღება ენადა. სურდა ცალ-ცალკობით ამოფრიალდებინა: საახალუხე და საჩოხე ქსოვილი, დარაია, საკაბე ჩითი, აბრეშუმი. ბავშვებისთვის — ტკბილეული. სტამბოლში წაყიდი ფახლავა და ჰალვა... მოხუცი მამისთვის თბილი სამოსი... მაგრამ,

1. ამდენ ხანს სად იყავი, ძმაო, ჩვენ დაკარგული გვეგონე.
2. მისიონერებთან. გამუდმებით აქეთ ვიყურებოდი...
3. მოკიკვდეს ჩემი თავი!

იგრძნო, რაღაც ბოჭავდა. ვილაცის მზერა! სასიმიინდეს უკან მოხუცი მამის ლანდი გაკრთა. მისი მზერა იგრძნო... უფროსი ძმა უმალ ჩახვდა მის გასაჭირს, ჩაგუდული ხმით ჩაილაპარაკდა:

— სახლი რომ დავშალეთ და გადმოსატანად გავამზადდეთ, იმ ღამით მოკვდა ბაბა... კოკისპირულად წვიმდა. თავი ვერსად შევაფარეთ. ტიროდა საბრალო... „ვიცი, რისთვისაც დამსაჯა უფალმაო...“ შენზე ამბობდა. „ნეტავ ერთი დამანახაო“. გნატრობდა. ვერ გავიხარეთ, ვერც ძველ ადგილზე და ვერც ახალზე... ხვათი არა აქვს ოჯახს. შვიდი სული საქონელი დავკარგეთ... სამი ღამეა ტყე-ღრეს შევბლავით... არაა საშველი...

— ვითომ მოიპარეს?!

— ალბათ. გაუნამუსდა ხალხი. ერთმანეთს არ ინდობენ. ორი თვის წინ ცხენი მომპარეს საბალახოზე. ჩემთან ერთად ხუთი სული, მეზობლების გარეკეს.

— სად მიჰყავთ!

— ბაზრობაზე. თურქების გემები მოადგებიან ნაპირს და მიჰყავთ... წინათ ადამიანებს ყიდულობდნენ, ახლა პირუტყვს ერეკებიან... რაც სოლომონ მეფემ ყმების გაყიდვა აკრძალა, მკაცრი კანონი გამოსცა, ველარ ბედავენ ადამიანებით ვაჭრობას, სამაგიეროდ საქონლის ქურდობა გახშირდა. კვირაობით ნიფურიას ეკლესიასთან იმართება ბაზრობა. ილორშიც, ბედიამიც, კორცხელშიც... ყველგა იყიდება, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილას... როგორ გინდა მოძებნო პირუტყვი?! სად მიაგნებ?! რამდენად უნდა გაიხილო ერთი ადამიანი.?!

მიჩუმდა ძმა. სადარდელი შეეყოფა.

ჯონდიც დაესწრო ილორის ბაზრობას. მთავარმა გაიყოლა სტუმრები, იქაურობა დაათვალიერებინა. კარვების გასაკეთებლად წინასწარ გაგზავნეს ხალხი, მოვაჭრეებს თავშესაფარი რომ ჰქონოდათ. ხუთშაბათ დღეს ვაჭრები გამოჩნდნენ, სომხები, თურქები. გასაყიდი საქონელი მოიტანეს. შეღებილი ტილოები, ირანულ-თურქული შალეები, აბრეშუმი. საფასურად ან ფულს იღებდნენ, ან პროდუქტში ცვლიდნენ. თეთრი სიმიინდის ფქვილს მარილზე ცვლიდნენ, თავფლს — თიხის ჭურჭელზე, საქონელს, — რკინის ნაკეთობებზე... სანამ მთავარი არ მობრძანდა, ვაჭრობა არ დაიწყო. ორ-სამ საათში ყველაფერი გაიყიდა ან გაიცვალა. მთავრის ძლიერი მარჯვენა მართავდა ბაზრობას, ალებ-მიცემობას.

სამზადში მოფუსფუსე ქალმა ლომი შეზილა, გარეცხილ ტაბაკზე მიჯრით ჩამოაგო, (თეფშები არ ჰქონდათ!) ჯირკოებიც შემომამკრივა. სულგუნის მოზრდილი ნაჭრები ჩაჩურთა ლომში. ჯამით, ტყემლის სანებელა და შემწვარი წინილა შემოდგა. ჯალაბი მიიწვია. გამაბრუებელი სურნელი იდგა სამზადში... პირველივე ლუკმა, არა მარტო ეგემრიელა სტუმარს, მოეჩვენა, დიდი ხნის მშვიერი ერთმა ლუკმამ დაანაყრა თითქოს... საოცარი განცდა იყო! ორიოდე წიქი ღვინოც შესვლა, (მიცვალეულთა სულის ცხონება არ დაევიწყნიათ!) რომ... ქვემოთ, ღელის პირას ვილაცამ დასტვივნა. ყველაზე საოცარი ის იყო, მთელი ამ ხნის განმავლობაში, გამყოლის არსებობა თითქოს დაავიწყდა ჯონდის. ძმებთან მისი წარდგენა, გაცნობა რატომღაც არ სურდა, არ ინება... რა იყო მიზეზი თავადაც ვერ მიმხვდარიყო.

ეტყობა ლოდინი მობეზრდა ბათუს, თავისკენ უხმობდა ვაჟს. სტვენდა, თავს ახსენებდა. ნასვლის დროაო, ანიშნებდა. აჩქარდა ჯონდი.

ჯიბიდან, ხავერდის ქისა ამოიღო. გახსნა. ბლუჯად ფული — დუკატები, ალთუნები, მარჩილი, უფროსი ძმას, ახალუხის კალთაში ჩაუყარა. ხეირიანად მაღლობაც არ ათქმევინა, გზას დაეჩქარა. სიზმრიდან მოსულს ჰგავდა და სიზმარშივე სურდა დარჩენა... ნასვლისას, ერთხელ კიდევ მოხედა ძმებს, რძლებს, ძმისშვილებს... ამქვეყნად ყველაზე ახლობელ ადამიანებს. მათთან დამშვიდობება მღელვარებას იწვევდა. არაფერი დაიბარა, ნელ-ნელა, უკან დახვევით გაცდა წიქარს. ლანდად ჩამოიპარა და ლანდადვე ენადა გაქრობა. ცოტაზე ჩასცილდა და... ვილაც მოსდევდა უკან. ქსუტუნით, ქელვით, ხველებით... მოხედა. უმცროსი ძმის-წული აღმოჩნდა, სუსტი და გაკნაჭული, შარვლის ბოლოები ჩარღვეოდა. სორსოლიანი სახე უჩანდა. (წითლად აღუზღუხებოდა კანი.) ბიჭი არც საჩუქრებს დახარბებია და არც ნაბოძებ თანხას... ბიძას გამოსდევნებოდა! დაელოდა. მკლავები გაუშალა და გულში ჩაიკრა ბიჭი. კარგა ხანს იყვნენ ასე ჩაკრულ-ჩანებულნი... დამშვიდობების ამ ერთმა ნამმა ლამის გადაფარა სამყარო. საოცარი რამ მოხდა! ზუსტად ის გაახსენდა, რასაც წლების განმავლობაში, საკუთარ თავსაც კი უმაღავდა...

...მღელვარე ზღვის, აფოფრილი ტალღების შემყურე, უცხო ადამიანებში (საკუთარი ბედით თუ უბედობით) მოხვედრილი ბიჭი კი არ ტიროდა და ლეკვივით ნკავნკავებდა, პირიქით, ჯიქურ უმზერდა ტალღებს, ადამიანებს, ყოველივეს, რასაც პირველად ხედავდა... ერთობ განაწყენებულნი ჩანდა! ბოლმა ჩაედვა გულში. სურდა დროულად გაცლოდა მშობლიურ კუთხეს, ახლობლებს. შორს წასულიყო... დაკარგულიყო... და გაეცალა კიდევ!

ეს არ გახსენებია ახლა. უფრო სხვა... სხვა ქალაქი და სხვა ქვეყანა. ფლორენცია.

... ბოლო წლებში ავადმყოფობდა ჯუზეპე ჯუდიჩე, მისი გამზრდელი — მაღალი, აწონილი კაცი, გაცრეცილი ღანვეებით... თირკმლის კენჭოვანი დაავადება აღმოაჩნდა. თავად უმზადებდა ნამლებს. ღამეებს უთევდა, უვლიდა... გარდაიცვალა. უხმაუროდ დაკრძალეს, მისი პირადი არქივის, ხელნაწერების თუ ჩანაწერების მონესრიგება თავად ისურვა ვაჟმა... პირველივე ფურცელმა გააშეშა. საძმოსადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში, დანახარჯს ჩამოწერდა ჯუზეპე. ყოველი პესო აღერიცხა, რაში გასცა, რას მოახმარა... კოლხეთში გატარებული სამი წელი დანვრილებით აღენერა. რამდენი ლიტრი რძე იყიდა, ყველი და სულგუნი. სიმიინდის მარცვალი, თხა და ცხვარი. გაცემული შეწყალება, შეძენილი ნივთები... ყოველივეს ჩამოთვლიდა. ყმანვილიც ჩაენერა... სალი... გონიერი. შესყიდვის დრო, თვე და რიცხვი. ოცი ვერცხლი ყმანვილის მამას — კონე (კონო) მარლიას გადასცეს, ხოლო ოცდაათი ვერცხლი — ბატონს.

მაშასადამე, გაყიდეს ბიჭი! საკუთარმა მამამ გაიმეტა... ოც ვერცხლად დათმო. ამ მიხვედრამ სულიერად შესძრა ვაჟი, გაანადგურა. არავის ხილვა არ სურდა, არც სამშობლო ენატრებოდა და არც თავისიანები... ყველას და ყველაფრის დავიწყება ენადა და დავიწყა კიდევ, სანამ...

და იგრძნო, ყველას — ყველაფერს პატივებდა. უპირველესად მამას, მწარე ცხოვრებისგან სულშეძრულს... უკვე დიდი სოფლის ბინადარს. მასთან საპაექრო არაფერი ჰქონდა, წლობით ნატარები წყენა ერთბაშად გამქრალიყო...

დასასრული შემდეგ ნომერში



ვერიკო ზამთარაძე

დაიბადა თბილისში, 1980 წელს. დაამთავრა კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლიტერატურათმცოდნეობის ფაკულტეტი. 1997 წლიდან იბეჭდება ქართულ პერიოდიკაში (პოეზია, წერილები, თარგმანები, მინიატურები). 2005-2010 წლებში იყო გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ რედაქტორი. 2006 წლიდან მუშაობს ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქტორად. 2007 წლიდან „ახალგაზრდა ხელოვანთა სალონის“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელია.

დღეს საქართველო...

მწუხრისფერია ახლა თვით ზარზმა,
 ნაოქტომბრალი ბინდით ნაფერი...
 და თვითმკვლელობის კეთილმა აზრმა
 გააფერმკრთალა აქ ყველაფერი.
 მომნატრებია ზეცა ხახულის
 თვალეზაბერილ ქუთუთოებით.
 იდგა ამინდი ჯერ არნახული,
 სატრფოს მკლავებში თრთოდნენ რტოები.
 ჩამოეშალა ნაოჭი ხანძთას,
 შორით უმზერდა გრემს და ალავერდს.
 ოცნება ახლა დარიალს გაცდა
 და ჩამოვარცხნა გარეჯს დალალი.
 ჩემი ნატვრები ახლა ოშკია,
 ლოცვით ნაფერი ცრემლი ტიმოთე.
 დღეს საქართველო ციხე-კოშკიან
 ღვინოში ჩამბალ გულით ილოთებს.
 შემომეშველე ჩემო ალგეთო,
 აუჩეხიათ თორემ ედემი.
 ამ უპატრონო ქართველ ხალხს ღმერთო,
 გასაბრწყინებლად ეიმედები.
 მიდით, დარეკეთ ზარები გელათს,
 იყალთოს რალაც სულ სხვა ფერი აქვს.
 თორემ შემოგვრჩა რუკა იმხელა
 თითქოს არც იყო აქ ივერია.
 ახლა მხოლოდ შენ მეიმედები,
 ჩემო ჯვარო და სვეტიცხოველო,
 ვით გაფრენილი რუხი მტრედები,
 შეფერილია ახლა ყოველი.
 ნუ ამომილბეთ ხსოვნის ქიქაში,
 სამშობლო მხოლოდ ღვინო როდია.
 ათინათივით შემოდის ხაში
 და ყანწებივით მთები მოდიან.
 მე მაინც თვალი იქით გამექცა,
 ეს ქართველობა საცა არ ყოფნით,
 საცა ვარსკვლავად უნთია ზეცას,
 ჩემი სამშობლო — უფლის ნაყოფი.
 გადავცდით ახლა წარსულს მეოცედ,

გადავაბიჯეთ როგორც იქნა და
 მინდოდა გულში ჩუმად მელოცა,
 მაგრამ ზვავევით ჩამომიქანდა,
 ცაზე მოგვილი ღრუბლები ცოცხით,
 ლინდომორეული შავი პირი მთის
 და აფხაზეთი ათლილი ხორცი
 მიხმობდა როგორც კალმასს ქვირითი.

ღეღა არნივი

ნეტა რამდენად უნდა გამყიდოთ,
 რამდენმა უნდა დამინანილოთ?
 მიმიხმობს სოფლად ჩემი აკიდო
 და დაჯიჯგინილი მაინც ვარნივობ!
 მკორტნეთ, გამთელეთ თქვენი შეხება
 ბრძოლის ყიჟინით სხეულს მიკაჟებს,
 ვერ დაგიტიათ ჩემმა ფეხებმა,
 მაგრამ რა ვუთხრა სვალე იმ ვაჟებს,
 რომ დაუფლითეთ უფლის კვართივით —
 სამშობლო, მერე სულმთლად განირეთ.
 თუმც არ მქონია ბედი მარტივი,
 თქვენს ჯიბრზე მაინც დავზრდი არნივებს!

ბელი არსანიტკანე

ვთხოვდები ასე უკანასკნელად,
 სურვილი მიმაქვს დარჩენის თანაც,
 ბრაზი ცრემლებით უკან მასკდება,
 სიბერემდე რომ ჩამომიტიანა.
 ახლა არ მინდა ბედზე წუნწუნი,
 თუმც მარტოობა ბევრჯერ მინატრებს,
 როცა ვილაყებთ, მაშინ წუთს წუნით
 შევეგებებით... მერე იმ მარტებს
 გამოვყოფთ მძიმით, წვიმებს მძივად და
 ჩამოვუგორებთ მთებს თბილ კალთებზე...
 შენით აღსავსე წლები მწირავდა,
 ლექსებში შურით ვთვლიდი ქალთევზებს.
 გამახსენდება ახლა ის წამი,
 სიზმარში ოფლად როგორ მეპკურა,
 იმ მონატრებით როცა ვინამე
 შენში სიკვდილი ჩემი მეფურად.
 ახლა კი, ახლა ნაცვალსახელი
 დავრჩი და ქალურ კაპრიზის ნაცვლად,
 ჩემი სიცოცხლე შენში ვამხილე,
 ლექსში რომ მწყურვალ სიტყვებად ვმარცვლავ.
 ბედს არსაითკენ მივყვები ასე,
 უკანასკნელად მინათხოვები
 და როცა შენით დავრჩები სავსე,
 მომენატრება იმ მათხოვრების,
 ილბალი უხვად რომ თვლის ხარვეზებს
 და არ აწუხებს ვნება პარიზის
 მომავონდება მერე ამრეზად,
 წლებად დაცლილი ლექსის კაპრიზი.
 და რახანია უკვე ამხელა,
 ვამხილე ცრემლთა ჩემთა ცდუნება

და როცა მუზა მერქვა სახელად
ადამის ძეთა ვიყავ ბუნების.
ახლა სიზმრები ამივსებს ფილტვებს,
ნატვრებს უიღბლოდ ვიუღლებ ანი.
კვლავ მოგონების სიმწველეს ველტვი,
შენში რომ ჩემი წარსული დანვა.
ვთხოვდები ასე ჩუმი ქადილით,
შენი ლექსები მიტოვებს მითად.
მხოლოდ სიკვდილი მრჩება ადვილი,
ჩემი სიცოცხლე რომ გაანითვა.

სასლი ყავარჯნით

ვედრება ყაზანის ლეთისმშობელს

ლამეს უთევდა მობუზულ ამინდს
იმედები და წყვეტდნენ ნამებად.
მარადისობამ აღარ დამინდო,
ახლა ლექსებსაც არ ვეამები.
ნეტა უნდოდა ვის რა ჯანდაბად,
ჩემი უიღბლო ბედის წაკითხვა,
როცა ცხოვრების სცენამ დამბადა,
ისე მომარგო როლი, არ მკითხა.
იქნებ მინდოდა ვყოფილიყავი
ჯამბაზი, ანდა მოხლე რამპის,
არ ვწუნუნებდი ეს რა მიყავი,
ნათურის ნაცვლად მინთია ლამპა.
ხელგანვდილია ახლა დროება,
ჩემი სახლივით გდია ყავარჯნით,
მასაც კი ჭორის კუდი მოება,
რადგან ნატვრების საგად დავმარჯნე.
ავადმყოფივით განწყობას ვუვლი,
არ ჩამომექცეს ზეცა ყაზანის,
თავქვეშ სათუთად ვინახავ სურვილს,
მწუთხება მერე ფიქრთა ნაზავი.
და სასთუმალთან ჩამომჯდარ იმედს,
ვეთამაშები იღბალზე დამკას.
ამ ერთხელ მაინც გამოჩნდეს ვინმე,
ნაგებული რომ დაფაზე დამკლას.
რომ აღარ ავჭრა ცხოვრების კარტი
და დედოფლობა შენი ვისურვო,
არ არსებობდეს ჩემთვის ამარტი,
ვით ახდენილი ნატვრის სისრულე.

ვყიდი ნისიად

რასაცა ვასცემ შენია?!

ეს მერამდენედ უნდა გაგცვალო,
გამოგაცვალო ნექნი სტრიქონის,
მოვედი როგორც დედინაცვალი,
ოცდაათ ვერცხლსაც აღარ ვინონი.
ჩემი ლექსების ინკუბატორი,
ახალ პოეტებს საჩუკად ეძებს,
მერე ქუჩაში ვყრი უპატრონოდ,
ღმერთის იმედად და ალალ ბედზე.

ყვავილებივით ვარიგებ ასე
ჩემს ხატად შექმნილ ღვთიურ სასწაულს,
მოსძალებია ხმა კონტრაბასის,
მე რომ გალობა შენთვის ვასწავლე.
ეჰ, მერამდენედ უნდა ვაშვილო,
რამდენი უნდა შეგქმნათ კლონებად,
არ დაგადგებათ ვიცი საშველი,
თქვენ ჭკუა მოგცათ, მე კი ქონება.
მერე კი ქვაზე სიკეთესავით
დაგიკრავთ ლექსებს, როგორც ობლის კვერს,
დავბადებულვარ თქვენთვის მთესავი,
ნატვრების, რადგან ჩემი მომიკლეს.
და ამ ხილვების მზე — დისონანსი,
შევქმენი, მერე ვიმსგავსე ხატად,
ამღერებული ჩემი რომანსის
ცრემლები ახლა აყრყოლებს ტატანს.
დღეს ყველაფერმა დაკარგა ფასი,
პოეტობს თურმე მეზობლის კატაც.
დაგვიავადდა მძიმედ ეპოქა,
გრაფომანიის შეყრია სენი,
ჩვენი მწერლობა კოსმოსს ეყოფა,
მაგრამ ლექსებს კი არ შერჩათ ხსენიც.
მბორგავი სისხლის ლურჯი ტაროსი,
ნაილეთ მიდით, ვყიდი ნისიად,
თქვენთვის უცხოა ხმა კვიპაროსის,
თუმც თქვენგან ალბათ ფურთხის ღირსია.

ხვალის სამშობლო

იუდეებს

მიდით, აჩეხეთ ზვრები, ყანები,
ამოიყარეთ ბოლმა და ჯავრი.
გძულდეთ, მე მაინც სულ მეყვარებით,
რადგან თქვენა ხართ ის მძიმე ჯვარი,
დაბადებიდან რომ მერგო ნილად,
ახლა კი ჩემი ხორციტ ერთობით,
ჩემო მტარვალო მაინც ვერ გწირავ,
თუმც ნაშოლტარი მენვის ფერდობი.
მომკვეთე მკერდი, გულიც შენ გქონდეს,
მე ვიყავ შენი გვანცაც, თამარიც,
მაგრამ იცოდე მოგკვდები ოდეს,
აღარ გექნება ჩემში სამარე.
არ გეყო ნუთუ მთების ბორცვების,
აბიბინებულ ველთა გათელვა?
როგორც ჭრილობა კვლავ მიხორცდები,
რომ ახლად გშობო ისევ ქართველად!
იმდენ ხანს უნდა გატარო უბით,
სანამდე ჩემით არ დანაყრდები,
რომ არ მენვოდეს ნატყვიარს შუბლი,
როგორც სინდისი ჩემი საყდრების.
მტარვალო ჩემო, ცოდვილო ჯიშო,
ამ სისხლითა და ხორციტ ნაშობო,
სხეულზე არა, მაგ გულზე ვშიშობ,
ხვალ შენ გერქმევა რადგან
სამშობლო!

დოზის სურნელი

მომნატრებისხარ როგორც გვირილას
 ნაგაზაფხულარს ცხელი ივრის მზე,
 მოგონებებში მსტუმრობს ყვირილა,
 გაჯავრებული დედის ყვირილზე.
 შენს დობას ჩემო, არ აქვს ბადალი,
 მხოლოდ შენ გესმის გულის ბაგუნი,
 ჩემი ლექსები როგორც ნადავლი,
 ღმერთო, ნუგეშად თუ კი მარგუნე,
 რა მოხდა ახლა მზეს რომ მოვპარო
 ფერი ან ზეცას მოვხიო ბოლო,
 იმღერებს მერე მკვახედ სოპრანო,
 ჩემი ცოდვილი ლექსების სოლოს.
 ძვირფასო დაო, რამ შეგაფრჟოლა,
 ვიცი, განუხებს ჩემი მინორი,
 დაებადებულვარ თუმცა მაჟორად,
 შენ კი დედოფლის გცხია მირონი.
 მე მიმსგავსებდა ლექსად შეკერილს
 აყრანტალეზულ ბოლმით ყვავი და
 ნასათუთევი ფიქრი ნეკერი
 გადაძოვილი რითმის ყანიდან.
 ავაშიშხინებ ცოდვებს მაყალზე,
 ცხოვრებას დღეს რომ მიჭიანურებს,
 მერე ფიქრების აყალმაყალზე,
 ახმაურდება ვით ჭიანური.
 მრცხვენია ჩემო, სავსე ვედრებით,
 ცოდვილ ლექსების მიეთ-მოეთი,
 ჩამოვულენე ლექსებს ფერდები
 და მალეღვებდა მუზა ყოველთვის.
 აქ ნისლიანი ჟიპიტაურით,
 ამოუვსია ხახმატს ჭინჭილა.
 აქაფებული ზღვების ხმაური
 ჩემი ქართული სიტყვით მიჭირავს.
 შემოგიკეცავ ნატვრის ქათიბებს
 ჩემი ბავშვობის ტკბილო სამანო,
 შენი ყოველი ნერვი გავთიბე
 და მაინც ჩემთვის იასამანობ.
 როცა ჩამოყრის მერე მზე ყურებს,
 შემომეჩვევა დარდი კუნელის,
 დაო, ლექსებად ავამზეურე
 ცა გაჟღენთლი შენი სურნელით.

ჰომატი კაცის ზიქრები

აღარ მანუხებს აღარც დარდი და
 სხეულს სწყურია მხოლოდ ნანწალი.
 მზე შემოჭრილი ქარვის ფარდიდან
 ლოგინში მითრევს როგორც ნანწალი.
 ქალობას შენსას ვეტრფი უბადლოდ,
 მეამაყება მამრის სიმყრალე,
 შენს ჭაობისფერ მზერას ვუმადლი,
 რომ ლექსებს ჯერაც არ გასდით ყავლი.
 აკიაფებულ ღამის ნათურით
 ქუჩის სისველე უფრო მიზიდავს,
 შენა ხარ ჩემი ვნების ფათური,

რომ მაიძულებს ნასვლას იმ გზიდან,
 საცა ოჯახი ობლად დავტოვე,
 აკიდებული ჩემი კერა და
 შენი ნადილით ამ გულს ნატორებს
 ეჭვის ხუნდებით რომ მიკერავდა.
 რად გადამრიე ასე ძალუმად,
 გადამიქციე ნატვრა მათხოვრად,
 ისე დამრია ხელი ამურმა,
 რომ სიზმარშიაც არ გაგათხოვებ!
 ვეღარ ხნავს ფიქრებს ბებერი ხარი,
 ასე რამდენ ხანს უნდა მანვალო,
 ვერ გადავიტან შენ გყავდეს ქმარი
 და მხოლოდ მუზად დამრჩე ნანწალი!
 მე ახლა ალბათ ამდის პაპობის
 სურნელი, რომ სდევს კვამლი ჩიბუხის,
 რა ვუყო ამ გულს ორად გაპობილს,
 შენს ნადილსა და ნატვრას იმ ბუნრის,
 ცოლის ლოდინი რომ არ ასვენებს
 და ლოცვა-კრულვით მიხმობს თავისკენ,
 ვიცი, გიყვარვარ და მეც ასევე,
 ტკბილი სიბერე მიტომ გავრისკე.
 ნუხელ მესიზმრა მომკვეთეს მკლავი
 და მე ვიყავი ის არსაკიძე,
 შენ რომ ყოველდამ გიმზერდა მალვით,
 როდესაც სხვისთვის ხსნიდი საკინძეს.

...და ბეჰას...

გადავულეღავ ლექსებს გულისპირს
 ვენებში მჩქეფავ ალადასტურით,
 ძვირფასო, მხოლოდ შენი გულისთვის
 სიკვდილს მივეცი ახლა დასტური.
 და არ მანუხებს უკვე თავკენარს
 ლექსად ნანატრი შენი თავკავთა,
 როგორც ასპიტის ლურჯი ნაკბენი
 ჩამომხობილი მთების აკვანთან.
 ცა ასე სავსე ღვინის სურნელით,
 ამოვლებული ქართლის ჭალებში,
 შემოგვეყარა ზნე უკურნელი,
 ეპოქალური თრობით გაღეშილთ.
 ენადნენ დიდხანს დაეკრათ კვერი,
 ჩვენში დიდება რომ ცამან ჩარგო,
 დამაჭრებული როგორც თავკვერი,
 აჭაშნიკებდა მზეს სამაჩაბლო.
 მოიმკი იმას რასაც დათესავ...
 ჩვენ ახლა მხოლოდ გვწაღია ღვინი,
 ბინდი დაუკრავს სოფლურ ადესას
 და ჭაობიან ფილტვით ხიხინებს.
 გაუმარჯოსო იმერ-ამიერს,
 დასჭექს და ბანსაც მისცემს მთებს გუნდი,
 ღმერთო, მიცოცხლე მრავალჟამიერ,
 ივრის ჭალა და წმინდა თეთნულდი!
 ამ ხილვებს ჩემსას ლექსები ერქვა,
 არ მსურს სიკვდილმა ცას რომ გამყაროს,
 შენ დედამინის გული ხარ — ბექა,
 რადგან შენა ხარ მთელი სამყარო!



წლებთან ერთად ტკივილიანი ხდება განცდა, პოეტური სტრიქონი სულ უფრო და უფრო მიძიმდება ფიქრით, როცა წრფელი და ნამდვილია განცდა, სტრიქონიც მიმზიდველი და დასამახსოვრებელია, ანდა პირიქით.

თეიმურაზ ლანჩავას ლექსები სინამდვილის ტკივილიანი აღქმით გამოირჩევა. სანუთროს ამაოება, ამქვეყნიური ყოფნის საზრისის ძიების ცდა, იმაზე დარდი, რას, რატომ და რისთვის ვშვებით, მისი პოეზიის ძირითადი თემებია. და რაც მთავარია, ყოველივე ლაღად და მარტივადაა პოეტურ ფრაზაში გამხელილი: „ინვის ნარსული და მოლოდინი საუკუნეებს ლოდინით თენთავს, და ვიქექებით საკუთარ მტვერში და მტვერში ვეძებთ დაკარგულ ჩვენს თავს“.

როცა ბავშვობა ნარსული გახდა, როცა გაუმართლებელ იმედივით წუხს მოლოდინი, ისეთი გაყინული ყოფიერება რომ ჩამომდგარა, საკუთარ მტვერში რომ ვიქექებით და ხელისცეცებით ვეძებთ ჩვენსავე თავს... მაშინ უნდა დაინყოს პოეტმა საკუთარ მე-სთან დიალოგი, ეცადოს იმ კითხვებს გასცეს პასუხი, რაზეც აქამდე ასე მძაფრად არასდროს დაფიქრებულა.

ტკივილიან ფიქრებს მშვენივრად გვისურათხატებს პოეტი ამ ელემენტურ ლექსებში.

თეიმურაზ ლანჩავა

ცის სიმშვიდე მინას ახურავს,
მიიზღაზნება ნოემბერი
სიმშვიდესავით
და ბელურები აცვივიან
სახლის სახურავს.

* * *

ეს დედამინა საკუთარ ღერძზე
ტრიალებს, ბრუნავს, არ გაცვდა, ნვალობს,
ყოველდღიურად ვკიდევართ ბენვზე,
თუმცა ჯერ ღმერთი გულუხვობს, გვწყალობს.
ინვის გონება საკუთარ ცეცხლში,
საკუთარ ფერფლში მივსტირით ჩვენს ძვლებს,
დაგვემშვიდობნენ სხვა პლანეტები,
რომლებმაც ჩვენგან გაღწევა შეძლეს.
ვარსკვლავებს, მზეებს, უამრავ მთვარეს
აქვს მაგიური ზეციურ ფერთა —
მარადიული გამობრწყინება,
რომელიც აღწევს სინათლედ ჩვენთან.
და ჩვენ, გონებით საოცრად მწირებს,
რომელთაც რწმენა სიმშვიდით გვმოსავს,
არ გვპატიებენ სხვა პლანეტები,
დედამინაზე სიცოცხლედ მოსვლას.
ინვის ნარსული და მოლოდინი
საუკუნეებს ლოდინით თენთავს,
და ვიქექებით საკუთარ მტვერში
და მტვერში ვეძებთ დაკარგულ ჩვენს თავს.

* * *

ჩემმა მატარებელმა
დატვირთულმა ვარდებით,
ჩაიქროლა გრიალით
და მე დავრჩი ბაქანზე.
მომაძახა ვილაცამ:
— რატომ არ მობრძანდებით?
და ვაგონის კარები საგანგებოთ ჩარაზა.
დამრჩა ვარდის სურნელი,
ცოტაოდენ ხალისი,
ცოტა იმის იმედიც,
დავეწევი ვაგონებს,
თუმცა ეს ყველაფერი,
სატყუარი თვალისი,
გარდაცვლილი ბავშვობის
სასაფლაოს მაგონებს.

* * *

გაუმართლებელ იმედივით
წუხს მოლოდინი,
მიიზღაზნება ნოემბერი
ქარით, წვიმებით,
ავობს დღეები, წივის ქარი
და მე ვერ ვამბობ —
ამინდის გამო უსათუოდ გაინირებით.
და მე ვერ ვამბობ,
რომ სიმშვიდე მოგიტანს ზამთარს,
რომ თოვლის ფერი
ყველა ფერზე არის სპეტაკი,
რომ თქვენ გიხილავთ
სიყვარულის სიმშვიდით გამთბარს,
ჩაქრება ჭალი,
დაინყება სულ სხვა სპექტაკლი.
გაუმართლებელ იმედივით
წუხს მოლოდინი,
წვიმს მონატრებად,

* * *

ვწერდი წერილებს გარდაცვლილ დედას,
მამასაც ვწერდი, ფიქრს ვერ ვმალავდი,
თუმცა მპარავდა, მიჰქონდა ჩემს დას
და ვერ აღწევდა დარდი მამამდი.

ვხატავდი ტკივილს, ცახცახით ხელის,
ულმერთოების ცრემლიან სისხლით,
ვიხვეწებოდი, თუ დაბრუნდებით,
თქვენს შვილს მონური ხვედრისგან იხსნით.

ვწერდი, თუ როგორ დამძიმდა მხრები,
როგორ დაანვა სიმძიმე ჩემს ძვლებს,
როგორ მომრავლდნენ პატარა მტრები,
რომლებმაც ჩემი დაჩაგვრა შეძლეს.

ვეხვეწებოდი და ვთხოვდი გამჩენს
ჩემი მშობლების სულის ცხოვნებას,
ვერ ჩავატიე თხოვნა ლოდინში,
ვერ ავუჩუყე გული ცხოვრებას.

* * *

მე მიყვარს ზამთრის უსახურ დღეთა
ნივილი ქარის — მომტირლის როლში,
ცქერა ჩონჩხების გაძარცულ ხეთა,
მიმოფანტული ჩრდილები თოვლში.

დაგმანულ ფანჯრებს და კარებს იქით,
როგორ აისხამს ყინვას მძივებად
დღე იანვარის, თოვლის საბანში
ფიქრსაც რომ მშვიდად ჩაეძინება.

გაძარცულ სხეულს, შეცივებულ ფიქრებს
ვუნთივარ, ვათბობ, არ გაიყინოს,
ვაფარებ ტუჩებს გათოშილ თითებს,
რომ უშენობა არ დაიყვიროს.

დამესიზმრება, მოგაქვს ზაფხული,
უბე მზითა გაქვს სავსე, გამთბარი,
ყვავილთა თოვა გაქვს განზრახული,
რომ ააჭრელო ჩემი ზამთარი.

აგედევნება სურვილი ჩემი
და თოვლში შენთვის იებს აგროვებს,
მშვენიერია, სიზმარში ვრჩები
და ყველაფერი სიზმარს მაგონებს.

მე მიყვარს ზამთრის უსახურ დღეთა
ნივილი ქარის, მომტირლის როლში
და საუბარი უშენოდ შენთან
და სიარული შენ გამო თოვლში.

* * *

გადაპენტილა, ბრწყინავს, ციმციმებს,
ცას მიწა თეთრად დაუმარხია,
დაუმარხია თოვლის სიმძიმეს
ის, რაც არავის დაუნახია.

დარდისგან თვალბგაბრწყინებული,
თოვლში დაგეძებ, იმედს შევხარი,
უამინდობით განზილებული
და უშენობით ტოტებშემხმარი.
მომნატრებიხარ, რომ დაგინახო,
სურვილს ვიმონებ, სევდით ვირთვები,
მყუდროებაში რომ დავიმარხო,
ზამთრის დღეს ქსოვენ შენი თითები.

* * *

მასხოვს ზამთარი გაზაფხულს ჰგავდა,
ფანტელი თოვლის — ყვავილთა თოვას,
ოცნება თოვლში ზამბახებს რგავდა,
ბავშვობა ბანგით იწყებდა თრობას.

რა თბილი იყო ის ყინვა მაშინ,
რა თბილი წვიმა, შრიალი ქარის,
ჭინკები ლალად დახტოდნენ თვალში,
მეცვა სიზმარი მთვარიან ღამის.

მერე ღრუბლებმა დაფარეს ზეცა,
დაუკითხავად მომრავლდნენ წლები,
წამართვეს მთვარე, გამძარცვეს... შემრცხვა...
გვიან ვიღვიძებ და აღრე ვწვები.

შენც, გაზაფხულო, რომელსაც გნატრობ,
ხომ არ შეგყრია გაყინვის შიში,
ნუ მიმატოვებ უმთვაროდ მარტო,
ნუ ამიტირებ ბავშვობას ძილში.

* * *

ერთი შენც ხარ ლამაზჩელი,
წისკვილები გიდგას ქარის,—
დამცინოდა მამაჩემი,
ცქერა უხაროდა ქალის,
მე რომ ცხენზე შევისვამდი,
თავს რომ ურცხვად ვინონებდი,
სხვისი ცხენით, სხვისი ქალით
ჩემს ხასიათს ვისწორებდი.

გაქრა, წარსულს მიეზარა
ძველი ჟანგიანი დაშნა,
ბედაურს რომ ვაგრილებდი,
ის მდინარეც თითქმის დაშრა.

აღარც ცხენი, აღარც ქალი,
მომლიმარი მამაჩემი
დრომ წაილო, გადამალა,
სხვაც მრავალი, დანარჩენი.

ვზივარ, მონყენილი ვუმზერ,
ახლა სხვათა თარეშია,
დარდი მიხატუნებს გულზე,
სევდა ჩამქრალ თვალბშია,
რასაც ვუმზერ, რასაც ვხედავ,
ჩემს იქით, ჩემს გარეშეა...

* * *

ჩემი ბავშვობა დავხატე,
ფეხსაცმელები გავხატე,
მოკლე შარვალი ჩავაცვი,
მიკუნტრუშობდა სახლამდე.

დავხატე დიდი ყურებით,
გაცისკროვნებულ თვალბებით,
ნაცარქექიას ტყვილებით,
კუდიანების მთქნარებით.

დავხატე პურის ნატეხით
აგორებული მთა-გორებს,
ხელს რომ უქნევდა შორიდან
ხალხით გაჭედულ ვაგონებს.

პატარა გოგოც დავხატე,
ჩემი პირველი სინაზე,

იმასაც ფეხზე გავხადე
ფეხსაცმლიანთა ჯინაზე.

ფრთებიც დავხატე ოცნების,
შორიახლო რომ ეყარა,
ის ფრთები, ბავშვურ ოცნებით
რომ მომატარა ქვეყანა.

ასე გავითბე ზამთარი,
ასე მივედი მარტამდი,
რა ბედნიერი ვიყავი,
როცა ბავშვობას ვხატავდი.

* * *

ვწუხვარ, ზამთრის დღეებს ვწუხვარ,
თუმცა თოვლი სპეტაკია,
ჩემს თავს ვეუბნები, მძულხარ,
ყველაფერი სპექტაკლია.

მარადმწვანე ნაძვებისკენ
ყრანტალი თუ გამახედებს,
საქმე მიდის გაძლებისკენ,
ზეიმი აქვთ ამ თავხედებს.

აქა-იქა შიშნარევი
ბელურა თუ გადაიფრენს,
ფაფუკ მხრებზე ფაფუკსავე
თოვლის ფიფქებს გადაიფენს.

ნისლი ფარავს, აღარ ჩანან
თოვლიანი მწვერვალები.
სარკეს ვმალავ, მეტიჩარა,
საკუთარ თავს ვემალევი.

ვწუხვარ ზამთრის დღეებს ვწუხვარ,
თუმცა თოვლი სპეტაკია,
ჩემს თავს ვეუბნები, მძულხარ,
ყველაფერი სპექტაკლია.

* * *

ქუჩაში ჩემი ბავშვობა ტირის,
დაუხარჯავი ალერსი ქალთან,
შეგუებია ოცნება ტყვივის,
ატუზულია დაკეტილ კართან.

კარს იქით — ნატვრა გაღებულ კარის,
კარს აქეთ — ნატვრა კარი გაიღოს,
ჩურჩული კართან ლამაზი ქალის,
რომ წვიმდეს, წვიმამ არ გადაიღოს.

ჩაივლის ვილაც და დაინახავს
გაუთავებელ ცდას და მოლოდინს,
მიხვდება, გრძნობა არ დამიმარხავს,
რომ მოლოდინი შემრჩა ბოლომდი.

ქუჩაში ჩემი ბავშვობა ტირის...

* * *

როგორც ყოველთვის,
ამ გაზაფხულს სხვასთან ვატარებ,
დაალბეს კვირა კოკისპირული,
შმაგმა წვიმებმა,
შემომელია სიყვარული, რაც გამატანე,
ვსესხულობ სხვისგან,
მომიტევე, ნუ გენყინება.
ხმაურობს ტალღა მოვარდნილი
ფანჯრის რაფასთან,
მგონი, ნაგველკოს, გაგვიტაცოს,
ღმერთმა დალახვროს!

მე ვდგავარ, როგორც ოროსანი
ცარცით დაფასთან

და ველოდები, წვიმამ რამე
რომ მიკარნახოს.

არ გიღალატე, უნებურად
ცოტა გავერთე,

აცივდა კიდეც, ჰოდა,
ცეცხლი რომ არ დამენთო...

რომ არ დამეთმე,
მონატრებას ვერ შეიგრძნობდი,
მონატრებამდეც ბევრი რამე
გვექონდა საერთო.

ალბათ სულ ცოტაც
და უეცრად დაგიბრუნდები,
ვნებებით დაცლილს
უშენობა უნდა მაკმარო,
დამადე ხელზე შენეული
ოქროს ხუნდები,
ჩამკეტე შენთან და არავინ
არ გამაკარო.

* * *

არა უგვიანეს თვეში იანვრის
თოვლი მოინდომებს ყველგან გამოჭვინოს
თავის სითეთრე და თუმცა გვიან არის,
თავის სისპეტაკით მაინც კმაყოფილობს.

ბუხრებს დაუდგებათ ჟამი გაცოცხლების
და გრძელ ღამეებში სიზმრის აბლაბუდებს
მშვიდად შეერევა ლანდი მკვდარცოცხლების,
მთვლემარეში რომ ნაკლებ განხაურდეს.

შეაცოცდებიან კვამლის ღამურები,
ირგვლივ შემოიქსოვს თოვლი მყუდროებას,
ჭრელი ოცნებების თოკით დაბმულები,
მოიმიზეზებენ დროის უდროობას.

შენ კი როდის მოხვალ, გაურკვეველია,
როცა დაბრუნდები ან ვინ გაგაცილებს,
მოვა სიზმარივით თეთრი მყუდროება,
დაგეუფლება და მშვიდად დაგაძინებს.



ამ თხუთმეტობედი წლის წინათ დიდი პოლონელი პოეტი ქალის, ვაცლავა შიმბორსკასათვის ნობელის პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ წერილი დავეჭყდეთ სათაურით — „პოეზიის დედოფალი“. ახლა, სამწუხაროდ, იძულებული ვართ ამავე პოეტისადმი მიძღვნილი წერილი მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოვაქვეყნოთ. რაც შეეხება ახლანდელი წერილის სათაურს, „ნიუ-იორკ ტაიმსს“ დავესესხეთ, უფრო სწორად, ეს ტერმინი თავდაპირველად შვედეთის ნობელის კომიტეტმა გამოიყენა.

ამბროსი გრიშკაშვილი

პოეზიის მოცარტი

ვერ ვიტყვით, რომ როგორც პოეტთა უმრავლესობა, შიმბორსკაც უდროოდ გამოეთხოვა ამ წუთისოფელს; წლეულს, ივლისში პოეტი ქალბატონი 89 წლის გახდებოდა, მაგრამ ასეთ კარგ პოეტებსა და საერთოდ, ასეთ ღირსეულ ადამიანებთან სამუდამო განშორება დიდ სევდას ტოვებს ჩვენს გულეებში.

„გარდაიცვალა წყნარად, ძილში“ — განაცხადა პოეტი ქალის მდივანმა მიხაილ რუსინეკმა.

თუმცა, რას იზამ, ასეთია ცხოვრება...

„ქალბატონი ვისლავა ჩვენი მფარველი ანგელოზი იყო. მის ლექსებში ვნახულვობდით მშვენიერ აზრებს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სამყარო. ჩვენი ყოველდღიური ყოფა, როგორც ზემი, იქიდან ისე წარმოგვიდგება“ — ასე დაწერეს პოეტის გამოსათხოვარ წერილში პოლონეთის პრეზიდენტმა ბრონისლავ კომოროვსკიმ და მისმა მეუღლემ, ანა კომოროვსკამ. შარშან იანვარში პრეზიდენტმა კომოროვსკიმ პოეტი „თეთრი არწივის“ ორდენით დააჯილდოვა.

„უაღრესად უბრალო, ამასთან, მეტად მომხიბლავი ადამიანი გახლდათ. მისი პოეზია შეიცავდა როგორც სიბრძნეს, სილამაზეს, ისე გარკვეულ ცინიზმსაც. შიმბორსკას ლექსები ერთდროულად მარტივიც იყო და მეტად რთულიც. მისთვის მიუღებელი გახლდათ ხელოვნურად ამალელებული სტილი, ყალბი პათოსი“. — იხსენებს პოეტ ქალს კრიტიკოსი იანუშ გლოვაცკი. სხვა კრიტიკოსის, ედუარდ ბალცუჟანის განცხადებით, ადვილი როდი იყო შიმბორსკას რომელიმე ლიტერატურული მიმდინარეობისათვის მიკუთვნება, მისი პოეზიის დეფინიცია.

„ვისლავა შიმბორსკასთან ერთად მთავრდება გარკვეული ლიტერატურული და ცივილიზაციური ეპოქა. მისი პოეზიის გაგება შეეძლოთ არა მხოლოდ პოლონეთში, არამედ მთელ მსოფლიოში. ასეთი ადამიანები, როგორც ის იყო, ძალზე იშვიათად იბადებიან. ამასთან, ასეთთა გარდაცვალების შემდეგ მთელი ლიტერატურა მიმართულებას იცვლის“ — წერს პოეტი და პუბლიცისტი ტომაშ იასტრუნი.



ვისლავა შიმბორსკა

ვისლავა შიმბორსკა დაიბადა 1923 წლის 2 ივლისს. სწავლობდა კრაკოვში, იაგელოს უნივერსიტეტში, თანამშრომლობდა ლიტერატურულ ჟურნალებთან. გამოცემული აქვს ლექსების კრებულები: „მარილი“, „ყოველ შემთხვევაში“, „აქ და ახლა“, „ორი წერტილი“... ვერ ვიტყვით, რომ მეტად „სიტყვაუხვი“ ყოფილიყოს. წელიწადში სულ ბევრი 4-5 ნაწარმოები

დაწერა, მეტი არა. დაახლოებით 350 ლექსამდე აქვს გამოქვეყნებული. ანუ წერდა მხოლოდ იმის შესახებ, რაც მეტად მნიშვნელოვნად და აუცილებლად მიაჩნდა. როდესაც ერთხელ ჟურნალისტი შეეკითხა, თუ რატომ აქვეყნებდა ასე ცოტა ლექსს, მისი პასუხი იყო: „შინ ნავის კალათი მაქვს“. იგივე ჟურნალისტი იხსენებს, თუ როგორ აჩვენა პოეტმა მას კარადის უჯრა, სადაც დაჭმუჭნული ქალაღები ეყარა. „რაა ეს? — შეეკითხა ჟურნალისტი, — ახალი ლექსია, თუმცა, ჯერ არ ვიცი, იქნება თუ არა ლექსი, — უპასუხა პოეტმა. ეს უბრალოდ იყო ერთი ლექსის უამრავი ვერსია.

თავისი ვერდიქტის დასაბუთებაში შიმბორსკასათვის ლიტერატურული ნობელის პრემიის მინიჭებისას შედეგის აკადემიის კომიტეტის წევრები წერდნენ, რომ ჯილდო მიენიჭა „მისი ნაწარმოებისათვის, რომელიც ირონიულად და ზუსტად წარმოაჩენს ადამიანური სინამდვილის ფრაგმენტებში ისტორიულ და ბიოლოგიურ დამოკიდებულებას“.

პოეტი ქალი, რომელიც ცნობილი იყო თავისი უბრალოებითა და მაინცდამაინც დიდი სიამოვნებით არ იძლეოდა ინტერვიუსს, ახლა გაკვირვებული და შეშფოთებულიც კი ჩანდა ცნობით მისთვის პრემიის მინიჭებასა და საზოგადოებრივ პირად გახდომაზე. „ჩემი ბუნებით კამერალური ხასიათის ადამიანი ვარ და... იმედი მაქვს, ეს ჯილდო თავბრუს არ დამახვევს“ — უთქვამს მას.

„ეს ჩვენთვის უდიდესი დანაკარგია. დავკარგეთ მენტორი, ავტორიტეტი, ავტორი და მეგობარი. მისი ლექსები იმათაც კი ბევრ რამეს ეუბნებოდა, ვინც დიდად არა სწყალობს პოეზიას. ლირიკოსის ამ გავლენის გამო ადამიანთა ცხოვრებაზე ჩვენ მისი დიდად მაღლიერნი ვართ“ — განაცხადეს პოეტი ქალის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამომცემლობა „ზნაკში“, რომელმაც 2011 წლის ბოლოს მის ლექსთა კრებული — „მცენარეთა დუმილი“ — გამოსცა.

ვისლავა შიმბორსკას გულთბილად იგონებენ მისი მეგობრები, პოლიტიკოსები, მწერლები და მთარგმნელები.

პოლონეთის პრემიერ-მინისტრის დონალდ ტუსკის განცხადებით, „შიმბორსკას ლექსებს ჰქონდათ იმ ლირიკული ნე-

რილების ხასიათი, რომლებშიც ყოველი ჩვენგანი საკუთარ აზრებს იპოვიდა. ის არ ეძებდა აღიარებას, და როდესაც თვითონ დიდებამ იპოვა იგი, ძალზე შეფიქრიანებულად გამოიყურებოდა“.

„იგი ნამდვილი მოსიარულე უბრალოება, ისეთი ბუნებრივი იყო, რომ ასეთი მხოლოდ ის — ვისლავა შიმბორსკა — შეიძლება და ყოფილიყო. მეტად კეთილგანწყობილი გახლდათ ყოველი ადამიანის მიმართ. თუმცა ატყობდა სხვების ნაკლს, მაგრამ მისთვის დამახასიათებელი ტოლერანტობის წყალობით ამას ოდნავადაც არ იმჩნევდა. მასსოვს, როდესაც ერთხელ საუბარი ჩამოვარდა მის დაჯილდოებაზე ნობელის პრემიით, პოეტმა შენიშნა, რომ მისი ცხოვრება ორ ნაწილად იყოფა: ნობელის ტრადიციამდე და ნობელის ტრადიციის შემდეგ. „ტრადიციის“ ცნება ამ პრემიის მინიჭების კონტექსტში მხოლოდ მას შეიძლება გამოეყენებინა და ეს მეტად უჩვეულო იყო“ — ეს ბოგდან ზდროვესკია, პოლონეთის კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის მინისტრი.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა: „ამას წინათ სტოკჰოლმში, ნობელის მუზეუმში გახლდით. ცუდად როდი ვართ იქ წარმოდგენილი, მაგრამ მხოლოდ ლიტერატურაში (ცნობისათვის: პოლონეთის ოთხი ნობელიანტი ჰყავს ლიტერატურაში: ვლადისლავ რეიმონტი, ჰენრიკ სენკევიჩი, ჩესლავ მილოში და ვისლავა შიმბორსკა. მათ გარდა ნობელის პრემია მშვიდობის დაცვის დარგში მიღებული აქვს პოლონეთის ყოფილ პრეზიდენტს ლეხ ვალენსას და ორჯერ ფიზიკასა და ქიმიას — მარია სკლოდოვსკა-კიურის — ა. გ.). შიმბორსკას დაკარგვა უდიდესი დანაკლისია პოლონეთის კულტურისათვის“.

პოეტის მეგობრის, ლიტერატურის კრიტიკოსის იან პეშახოვიჩის დახასიათებით, „შიმბორსკა დიდად აფასებდა და პატივს სცემდა სიტყვას. ვერ ეგუებოდა დღევანდელ მდარე პოეტურ ატმოსფეროს, სადაც სიტყვას აქეთ-იქით დაუფიქრებლად ისვრიან. მისთვის ყოველი დანერვილი სიტყვა მისი პოეტური და არა მხოლოდ პოეტური, სამყაროს არსებითი ელემენტია... ვფიქრობ, რომ შიმბორსკა დიდხანს შემორჩება ისტორიას, რადგანაც პოეტური ხერხებით წარმოგვიჩენს კაცობრიობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, ცხოვრების ფილოსოფიას. ძალიან მიყვარდა იგი, და მეტად მეძნელება შევეგუო იმ აზრს, რომ პოეტმა სამუდამოდ დაგვტოვა“.

როგორც პეტრე ვოიცხოვსკიმ, პროზაიკოსმა, პოლონელ მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარემ განაცხადა, პოეტებთან დაკავშირებით ვერ ვიტყვით იმას, რასაც ვამბობთ სხვა ადამიანთა შემთხვევაში: გარდაიცვალაო. კარგი პოეტი და შიმბორსკა კი ნამდვილად ასეთი იყო, ყოველთვის ცოცხლობს, ის მუდამ ჩვენს გვერდითაა.

პროფესორი, ენათმეცნიერი, ეუი ბრალჩიკი: მისი პოეზია ხშირად და, ამასთან, მრავალ ენაზე ითარგმნებოდა. დარწმუნებული ვარ, მისი ლექსებიდან ყოველ ენაზე შეიძლება იმის გაგება, რომ სამყარო ძალზე რთულია, თუმცა კი შეგვიძლია მისი აღქმა, მაგრამ არა რაციონალურად, არამედ მხოლოდ ემოციურად. და ჩვენ ამ სამყაროს სწორედ შიმბორსკას პოეზიის წყალობით ოდნავ მაინც უკეთ ვიგებთ.

უცხოურ პრესაშიც ვრცელი წერილები დაიბეჭდა ვისლავა შიმბორსკას გარდაცვალებასთან დაკავშირებით. მას პატივი მიაცეს „New York Times“, „Washington Post“, „Spiegel“, BBC, „El Pais“, „ABC“, „El Mundo“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებმა.

„ნიუ-იორკ ტაიმის“ წერილში ვკითხულობთ, რომ როგორც ადამიანი, შიმბორსკა იყო მეტად უბრალო, მორიდებული, არ ეძიებდა ტაშსა და აღიარებას საზოგადოების მხრიდან. თუმცა ნობელის პრემიამ მას პატივსა და დიდებასთან ერთად სიმდიდრეც შესძინა, მაგრამ თავისი მოკრძალებული ბინა კრაკოვში არ მიუტოვებია და საცხოვრებლად სხვაგან არ გადასულა.

2012 წლის 8 თებერვალს პოეტსა და მთარგმნელს ბელა შალვაშვილს „შაჰნამეს“ ქართული თარგმანისათვის ირანის ისლამური რესპუბლიკის წლის ნიგნის საერთაშორისო პრიზი მიანიჭა. ქალბატონი ბელა მეოთხე ქართველია (მათ შორის — ერთადერთი ქალი), ვინც ამ მნიშვნელოვანი პრემიით დაჯილდოვდა. ამ ნიგნის გამოცემას წინ უძღოდა „შაჰნამეს“ ცალკეულ მონაკვეთთა დამოუკიდებლად გამოქვეყნება: „მანუჩარი“ (1976), „ამბავი სიაუშისა“ (1979), „ქეი-ქაუსი“ (1987), „მეფე ხოსრო ფარვიზი“ (2009). ამასთან, მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის ტომში, რომელიც ირანულ პოეზიას დაეთმო, დაიბეჭდა ბელა შალვაშვილის მიერ თარგმნილი „ამბავი ბეჟანისა და მანიჟისა“ (1977). წლის ნიგნად აღიარებულ ამ ახალ 981-გვერდიან გამოცემაში შევიდა როგორც ძველი, ასევე ახალი თარგმანები — სულ 12 ამბავი ფირდოუსის პოემიდან.

გთავაზობთ ინტერვიუს ბელა შალვაშვილთან.

ირანი — ჩემი სიზმრების ქვეყანა

— ქალბატონო ბელა, თითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა, რაც „შაჰნამეს“ თარგმნით ანუ ცოტა უფრო მეტი, ვიდრე ფირდოუსიმ მოანდომა თავის პოემას. ცხადია, ამ პროცესს თავისი ისტორია აქვს. გთხოვთ, უამბოთ მკითხველს, როდის და როგორ დაინტერესდით „შაჰნამეს“; დასრულდა ეს პროცესი თუ კიდევ უნდა ველოდით რამეს?

— ეს იყო ვახუშტის ბრძანებით, თხოვნით კი არა. თუმცა მანამდე გეტყვით, რომ დიდი გაჭირვების წლები მქონდა და იძულებული ვიყავი, ჟურნალისტიკაში გადავსულიყავი. ასე რომ, თუ ვიანგარიშებთ, ალბათ, 18 წელი მაინც მოვანდომე იმას, რაც ვითარგმნი. ძალიან ვდარდობ, იმიტომ, რომ შემეძლო აქამდე სულ მეთარგმნა „შაჰნამე“, მაგრამ როდესაც პურის ფულისთვის შრომობ და დარბიხარ, იძულებული ხარ, „შაჰნამე“ გვერდზე გადაადო. სამწუხაროდ, მე ასე მომიწია. რაც შეეხება იმას, თუ როდის დაინტერესდი: მე იმხელა წარმოდგენა მქონდა სპარსულ პოეზიაზე საერთოდ, მით უფრო, „შაჰნამეზე“, რომ არასოდეს მომივიდოდა აზრად თარგმნა, თუნდაც ერთი პატარა ლირიკული ლექსი რომ მე-თარგმნა. მესამე კურსზე ჩემმა ლექტორებმა: დავით კობიძემ, კოტე ფალავამ და სხვებმა უკვე დამინყეს შეგულიანება, „შაჰნამეს“ თარგმნას მოკიდე ხელიო. მე სულ მიკვირდა: რა დანიხსნეს ჩემში ისეთი, რომ შემეძლია რაიმეს თარგმნა-მეთქი. საერთოდ, ისე „გამოვძვერი“ უნივერსიტეტიდან, რომ არაფერიც არ მითარგმნია. 5 წლის დამთავრებული მქონდა უნივერსიტეტი, როცა ვახუშტიმ დამიბარა აღმოსავლეთმცოდნეობის კაბინეტში ზეზვა მედულაშვილის პირით. ვიკითხე, რა უნდა-მეთქი. ზეზვამ არ იცოდა. რომ სცოდნოდა, რისთვის მიბარებდა, არ მი-

ვიდოდი. კიდევ ვიმეორებ: იმხელა სიყვარული მქონდა სპარსული პოეზიისა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ შეეძლებდი მის თარგმნას. შეიძლება, ჩემი შესაძლებლობები ამ შემთხვევაში ვახუშტიმ უფრო დაინახა, ვიდრე მე თვითონ. დამიბარა და შესვლისთანავე მითხრა: შავლეგო (შავლეგს მეძახდა), ხომ იცი, მსოფლიო ლიტერატურის ოთხმოცტომეული გამოდისო, ერთი ტომი სპარსულ პოეზიას დაეთმობა და ჩვენ ღირსეულად უნდა წარმოვაჩინოთ ფირდოუსიო. შენ, როგორც ქალსო, რომანტიკული „ბეჟან-მანიჟე“ შეგიჩრჩიეო. აჰ, არა, არაფრით არ შემოიძლია-მეთქი, ვახუშტი. არა, მე შენ არ გეკითხები, გიბრძანებო. ეტყობა, იცოდა ლექტორებისგან, რომ მეუბნებოდნენ: დაინყე „შაჰნამეო“, — და მე არ ვინყებდი.

— **საინტერესოა, რატომ გადაწყვიტეს თქვენმა პედაგოგებმა, რომ „შაჰნამეს“ თარგმნა შეგეძლოთ? რა დაინახეს სტუდენტ გოგონაში ისეთი? თქვენ იმ დროს უკვე წერდით ლექსებს? თუ იცნობდნენ თქვენს პოეზიას თქვენი პედაგოგები?**

— საქმე ისაა, რომ ძალიან ადრე დავინყე ლექსების ბეჭდვა. ჯერ არ ვიყავი უნივერსიტეტში შესული და უკვე „ცისკარში“, „მნათობში“, „ლიტერატურულ საქართველოში“ უხვად იბეჭდებოდა ჩემი ლექსები. ვახუშტი ძალიან პოეტური კაცი გახლდათ, დიდებული და გრანდიოზული... ვახუშტის გულგრილად ვერ ვიხსენებ... ეტყობა, მას მოსწონდა ჩემი ლექსები. ხმამაღლაც უთქვამს ამის შესახებ. იმიტომ იყო, რომ, რამდენჯერაც ვუთხარი: ვახუშტი, ხომ ხედავთ, რა ცუდადა ვარ... (როცა ვახუშტისთან მივედი, ძლიერი შეტევა მქონდა, ისეთი შეტევა, როცა სასწრაფოს ვიძახებ ხოლმე), მითხრა: „დღეს ცუდადა ხარ, ხვალ კარგად იქნები. მე გიბრძანებ, არ გეკითხები“-ო. რა მიზეზიც არ ვუთხარი, მეუბნებოდა: არ გეკითხები, გიბრძანებო. აი, ეს იყო მიზეზი. პირველად, სულ პირველად ცხოვრებაში, სადღაც მეშვიდე თუ მერვე კლასში ვიყავი, „გოლეს-თანი“ წავიკითხე და უკვე ძალიან შემეყვარდა სპარსული ლიტერატურა. მაშინ არც ვიცოდი, რომ ეს ამბაკო ჭელიძის თარგმანი იყო, მაგრამ უკვე ძალიან მიყვარდა. სამაგიეროდ, ვიცოდი ხაიამი. შეყვარებული კი ვიყავი სპარსულ პოეზიაზე, მაგრამ რა? აი, მე რომ მეთარგმნა, ეს ვერ წარმომედგინა. მიუხედავად იმისა, რომ აღმოჩნდა, მართლა კარგი თარგმანი გამოვიდა. აღმოჩნდა...

— **დაიხ. ნამდვილად.**

— თანაც რა მითხრა იცით, ვახუშტიმ? საინტერესო რამ: „შავლეგო, ჩვენ, კაცები, „შაჰნამეს“ ვერ ვთარგმნითო“. რატომ-მეთქი? ჩემზე ბევრად უკეთესად იცით სპარსული და არაჩვეულებრივად თარგმნით-მეთქი. არაო, აქეთ ქალიო,



ბელა შალვაშვილი

იქით — ღვინოო და ამის დრო აღარ გვაქვსო. „შაჰნამეს“ სჭირდება პოეტი ქალი, შენნაირიო. აი, ასე მითხრა ზუსტად. სხვათა შორის, „ბეჟან-მანიჟე“ რომ ვთარგმნე და მივუტანე ვახუშტის, ნაიკითხა, ძალიან მოეწონა და მითხრა: დღეს დაინყენე და ხვალ „მანუჩარი“ დაინყეო. ასედაც მოხდა. მეორე დღეს დავინყე „მანუჩარი“. მერე უკვე ძალიან დავინტერესდი. თანაც საკუთარი თავის რწმენა გამიჩნდა, იცით... დავინახე, რომ შემეძლო. მანამდე კი ვერაფრით წარმოვიდგენდი.

— **ფაქტობრივად, თქვენ სპარსული პოეზიის თარგმნა დაინყეთ და დღემდე „შაჰნამეით“ მოხვედით. თუ კიდევ გაქვთ თარგმანი და მე არ შემხვედრია?**

— ერთადერთი პატარა ლექსი ვთარგმნე შაჰიდ ბალხელის... აი, ეს ლექსი.

— **არ დაბეჭდილა? მე არსად შემხვედრია.**

— არა. აი, უყურეთ: „ცეცხლივით დარდაც რომ ჰქონდეს კვამლი, გაეხვეოდა ქვეყანა წყვილადს, კიდით კიდემდე სამყაროს დავლით ვერსად იპოვით მხიარულ ჭკვიანს“.

— მშვენიერია!

— **რა როლი ითამაშეს „შაჰნამეს“ ძველმა ქართულმა თარგმანებმა თქვენი მუშაობის პროცესში. იქნებ ისე არ გინდოდათ ვეთარგმნათ, როგორც ადრე უთარგმნიათ ან...?**

— ნამდვილად არ მინდოდა, ისე მეთარგმნა...

— **ან რა დამოკიდებულება გაქვთ ამ თარგმანების მიმართ?**

— ამ თარგმანებს — ვერსიებს, რა თქმა უნდა, ვიცნობ. ნაკითხული მაქვს თავის დროზე,

მაგრამ იოტისოდენა გავლენა მათ ჩემი თარგმნის პროცესზე არ მოუხდენიათ იმიტომ, რომ მე ჩემი ესთეტიკა მაქვს, ჩემი გაგება მაქვს პოეზიისა. ჩემი გაგება ის არის, რომ, რაც შეიძლება, ახლოს იყოს დედანთან და იყოს მხატვრულად კარგი. ისეთი, რომ მკითხველს არ მოებზრდეს. აი, ეს არის ჩემი პრინციპი.

— **ეს შთაბეჭდილება, მართალი გითხრათ, პირადად მეც მქონდა, მაგრამ მინდოდა, თქვენც დაგედასტურებინათ, რომ ნამდვილად ასეა. ფაქტობრივად, ის თარგმანი დარჩა როგორც ტრადიციული თარგმანი (ვერსია), თქვენ კი სცადეთ, რომ რაღაც ახალი შეგექმნათ, რაღაც განსხვავებული იმისგან. იმიტომ, რომ მიგაჩნდათ, ასე იყო საჭირო...**

— სულ მეგონა, რომ გვერდით ფირდოუსი მედგა. მე მთელი ღამეები ვთარგმნიდი. ახალგაზრდობაში მაინც. ახლა უკვე 12 საათის მერე აღარ შემოიძლია მუშაობა. მაგრამ მაშინ 12-ის მერე ვინყებდი საერთოდ თარგმნას და მთელი ღამე ვმუშაობდი. ყოფილა ბეითები, რომლებზედაც ღამე გამითენებია. ნამდვილად გამითენებია. ჰოდა, მერე უკვე, კორექტურის თვალსაზრისით რომ ვკითხულობდი და ეს

ბეითები მხვდებოდა, ვბრაზობდი, რატომ თავიდან არ გამოვივიდა-მეთქი. მაგალითად, ერთი. ისე მომწონს ეს ბეითი! წავალ თურანშიო და მენამულს გარდა სხვას გავაქრობ თურანში ფერებსო, როსტომი რომ ამბობს. ან კიდევ: „თუ უპასუხო მოვისმინე პასუხი შენი, მაშინ, მეფეო, მოდავეებს ხმალილა შენის“. ამაზე გათენებამდე მიფიქრია... არა, ბევრია ასეთი, რომელზედაც გათენებამდე მიფიქრია და მიწვალა. გარდა ამისა, მე ასეთი ხასიათი მაქვს: თუ რომელიმე ბეითი არ გამოვივიდა ისე მხატვრულად, როგორც საჭიროა, წინ არ წავალ. ეს კახური ხასიათია თუ რა არის, ვერ გეტყვით...

— ქართულ ირანისტიკაში „შაჰნამესა“ და მისი ქართული ვერსიების კვლევა ცალკე დარგად შეიძლება გამოიყოს. ამ მიმართულებით უამრავი რამ გაკეთდა საქართველოში, თუმცა, სამწუხაროდ, ირანში ამის თაობაზე ბევრი არაფერი იციან. თქვენ თუ დაგეხმარათ ქართველი მეცნიერების ნაშრომები „შაჰნამეს“ შესახებ? თუნდაც ბ-ნი დავით კობიძის გამოკვლევები? თქვენ ხომ ახლახან გამოსული თქვენი თარგმანი სწორედ მას და ბ-ნ ვახუშტი კოტეტიშვილს მიუძღვნით...

— უცნაური ის არის, რომ ბ-ნი დავითი — მე „ნაკადულში“ ვმუშაობდი მაშინ — ამოვიდოდა იმხელა კიბეზე (მოგესხენებათ, ძალიან მაღალი შენობაა სანაპიროზე) და თავის წიგნებს მჩუქნიდა. როგორ შემეძლო მე ეს წიგნები არ წამეკითხა?! ერთხელ ჩემ მიერ თარგმნილ „ბეჟან-მანიჟეს“ ტექსტთან დაკავშირებით შენიშვნა ჰქონდა, მგონი, თავის მე-3 ტომში, ზუსტად აღარ მახსოვს. მებოდიშებოდა, რომ აი, აქო, შენიშვნა მოგეცით. მე ვუთხარი: ბ-ნი დავით, ჩემო საყვარელო, განა შეიძლება ამაზე ბოდიშები თქვენგან? ეს ხომ ფუფუნებაა, თქვენ რომ შენიშვნას მაძლევთ-მეთქი. ის შენიშვნა, რა თქმა უნდა, ამ წიგნში გავითვალისწინე. დიდი პიროვნება იყო ძალიან. ძალზე ორიგინალური და პოეტური კაცი.

— მე-20 საუკუნეში თვისობრივად ახალი ეტაპი იწყება სპარსული ლიტერატურის ქართულად თარგმნის პროცესში. ეპიკურ ნაწარმოებთა თარგმნის ტრადიციას თანდათან ცვლის ლირიკით დაინტერესება, ითარგმნება მანამდე უთარგმნელი ავტორები, ქართველი მთარგმნელები თანამედროვე სპარსული პროზითაც ინტერესდებიან. მიუხედავად ამისა, თითქოს „შაჰნამეს“ პოპულარობას არაფერი აკლდება. 1916 წ. იუსტიინე აბულაძემ გამოსცა „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების I ტომი; 1934 წელს ფირდოუსის ათასწლოვან იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა ამ ვერსიების II ტომი. მოგვიანებით ფირდოუსის თარგმნას იწყებენ სახელოვანი მთარგმნელები: ვ. კოტეტიშვილი, მ. თოდუა. ბ-ნი მაგალის „შაჰნამეს“ დასაწყისი თავები თითქმის მიმდევრობით აქვს თარგმნილი, ჩანს, პომეის ბოლომდე თარგმნას აპირებდა. მასვე ეკუთვნის „შაჰნამეს“ პროზაული გარდათქმა... მაგრამ თქვენ უფრო თანმიმდევრული აღმოჩნდით ამ საქმეში. როგორ ფიქრობთ, რატომ? თუ ითამაშა რაიმე როლი თქვენთვის, მაგალითად, ბ-ნი მაგალის თარგმანებმა?

— „ბეჟან-მანიჟე“ რომ ვთარგმნე, იმ დროისათვის ბ-ნი მაგალის თარგმანები ჯერ არ მენახა... და საერთოდ, ძალიან მეშინია ხოლმე გავლენის. აი, გალაკტიონის სულ გავურბი, რომ ლექსში არ გადამედოს. გალაკტიონი მართლა ძალიან გადამდებია. და ძალიან ვუფრთხი ამას.

— ბ-ნი ვახუშტი კოტეტიშვილს ძალიან ცოტა აქვს თარგმნილი „შაჰნამედან“, ფაქტობრივად, მხოლოდ „წიგნის დასაწყისი“. ეს ნაწილი მაგალითოდ თარგმნა. რამდენადაც ვიცი, „შაჰნამეს“ შესავალი თქვენს სულ ბოლოს თარგმნეთ. რატომ? მიგაჩნდათ, რომ თქვენს მასწავლებლებს უკეთ გამოუვიდათ და აღარ იყო საჭირო თარგმნა თუ ამის სხვა მიზეზი არსებობდა?

— მე დასაწყისი თარგმნილი მქონდა. როდის? ახლავე გეტყვით: 1986 წელს. ცოტა უფრო ადრეც.

— და გამოაქვეყნეთ სადმე?

— არა.

— დაბეჭდილი არ მინახავს და ვიფიქრე, რომ ამ წიგნისთვის სპეციალურად თარგმნეთ.

— არა, არა. სპეციალურად ამისთვის არაფერი გამიკეთებია.

— ანუ თავისთავად დალაგდა დაგროვილი მასალა?

— ასე დალაგდა, ხო.

— „შაჰნამეს“ გამოუქვეყნებელი ნაწილები ამ ახალი წიგნის ნახევარს შეადგენს, მგონი, არა?

— ნახევარს, კი. შეიძლება, მეტსაც: შესავალი „მანუჩარამდე“ ვთარგმნე; „ანუშირვანი“ — სუთიოდე წლის წინათ და... „ხოსროვ ფარვიზი“ ხომ გამოიცა.

— „ხოსროვ ფარვიზი“, მახსოვს, რომ „საბაზეც“ იყო წარდგენილი?

— წარდგენილი იყო, კი.

— ჩემი აზრით, თქვენი თარგმანის ერთ-ერთი ღირსება ის არის, რომ თარგმანის ენა თანამედროვეც არის და, იმავდროულად, არქაულობის ელფერიც დაკრავს. ტონალობა და საზღვარი სიძველესა და სიახლეს შორის ძალზე მარჯვედ გაქვთ შერჩეული. ტექსტი ლაღად იკითხება, მკითხველი წამდვილ სიამოვნებას იღებს. ამ ტონალობის შერჩევისას რა პრინციპებით ხელმძღვანელობდით?

— ეს ჩემი შინაგანი მოთხოვნილებაა, რომ ისე ვთარგმნო, როგორც მესმის. ჩემთვის არქაული და დღევანდელი მაინცდამაინც არ განსხვავდება.

— კი, მაგრამ, ასე ხომ არ მეტყველებთ? თუ პოეტის ენა მაინც სხვა არის?

— მაინც პოეტის ენა სხვა არის. მე ისე მიყვარს ეს არქაული! და თან ვითვალისწინებ, რომ ეს მე-10-11 სს. ენაა.

— ე.ი. თს მომენტი მაინც არის: ეპოქას მაინც ითვისებთ.

— ჰო, ეპოქას ვითვალისწინებ. სულ მგონია, ყოველი ბეითის თარგმნისას რომ ის დალოცვილი დამყურებს.

— ფირდოუსი?

— უნამუსო ვიყო, ეგეთი შეგრძნება მაქვს რატომღაც.

— რატომ? გაკონტროლებთ თუ თანაგვიგრძნობთ?

— მეტსაც გეტყვით, როცა ვთარგმნიდი ფირდოუსის დატირებას ვაფიშვილის სიკვდილის გამო, მეც ვტიროდი, იცით... ძალიან შემებრალა. ძალიან, ისე, რომ მეტი არ შეიძლება. მე ემოციური ადამიანი ვარ. ხანდახან მეუბნებიან, როგორი ემოციური ხარო. ვარ ასეთი და რა ვქნა?

— პოეტი სხვანაირი ალბათ არც შეიძლება იყო. ისევე იმავე თემას გავაგრძელებ. თარგმანში თქვენთან საკმაოდ ხშირად იგრძნობა „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა...

— „ვეფხისტყაოსანი“ თითქმის ზეპირად ვიცი. და ალბათ ამიტომაც მომდის ეს. ბუნებრივად მომდის. ცხოვრებაში მე „ვეფხისტყაოსნის“ გიჟი ვარ და ვაჟა-ფშაველასი.

საერთოდ, ამით უსუნთქავ და ვარსებობ. ეტყობა, ეს ასე გამოდის, თორემ ძალით კი არ ვაკეთებ.

— ანუ თქვენი ბუნებრივი ენა „ვეფხისტყაოსანი“?

— კი, კი. „ვეფხისტყაოსანი“ ჩემი ბუნებრივი ენა.

— გასულ წელს თქვენი თითქმის 40-წლიანი გარჯის შედეგი ერთ წიგნად აიკინძა და გამოიცა ირანის ისლამური რესპუბლიკის კულტურული წარმომადგენლობის მხარდაჭერით. „შაჰნამეს“ ამ ახალ გამოცემაში თავმოყრილია თქვენი ყველა ძველი და ახალი თარგმანი. ძალზე სასიხარულოა, რომ ამ თარგმანმა ირანის ისლამური რესპუბლიკის „წლის წიგნის“ პრიზი დაიმსახურა. რას ნიშნავს თქვენთვის ამ წიგნის გამოცემა და მიღებული ჯილდო?

— რას ნიშნავს ჩემთვის ეს ჯილდო? — ძალიან ბევრ რამეს. ჯერ ერთი, ასე, ამდენი წელი რომ წიგნს გადაყვები — ეს გადაყოლა იყო — ამას რომ დაგიფასებენ, ეს ძალიან დიდი რამ არის. ეს მართლაც დიდი რამ არის. ჩემთვის მნიშვნელოვანია ეს ფაქტი — დაფასება. ძალიან დიდი მადლობელი ვარ ირანის ისლამური რესპუბლიკისა, ირანის კულტურული წარმომადგენლობისა, რომელმაც ეს წიგნი წარადგინა პრიზზე და, ცხადია, იმ ინსტანციებისა, რომლებმაც მომანიჭეს ეს ჯილდო.

— წიგნის შესავალში წერთ, რომ აქ ფირდოუსის პოემის თითქმის 1/3 შევიდა. თუ აპირებთ თარგმნის გაგრძელებას და რა გეგმები გაქვთ „შაჰნამესთან“ დაკავშირებით?

— საქმე ის არის, რომ მე ძალიან კარგად ჩავვყევი (ღმერთო მაპატიე ამ სიტყვისთვის!) — მე ძალიან კარგად შევედი ფირდოუსის სამყაროში და, ამდენად, რასაკვირველია, მნადია, რომ „შაჰნამე“ გავასრულო. ამისთვის შეიძლება 10 წელი დამჭირდეს, მეტი — არა. თუკი, რასაკვირველია, მექნება საშუალება. საშუალებაში იმას ვგულისხმობ: აგერ უნდა დაგავო, სადელი გაამზადო, ეს ქნა, ის ქნა... 10 წელი დამჭირდება. იცით, როგორი ინერცია ვიცი? თუ დავინწყე, აღარც ჭამა მახსოვს და აღარც — სმა. თუ დავინწყე... რა თქმა უნდა, მაქვს ამის დიდი სურვილი.

— მკითხველს ალბათ გააკვირვებს იმის გაგება, რომ თქვენ არასოდეს ყოფილხართ ირანში. როგორია „შაჰნამეს“ ქართული მთარგმნელის წარმოდგენაში ირანი? რისი ნახვა გინდათ ყველაზე მეტად ირანში?

— მე სიზმარში ვყოფილვარ არაერთგზის ირანში. ახლა არ შემიძლია, არ მოგიყვებ ამ ზაფხულის სიზმარი. ძალიან მინდა, რომ ეს დარჩეს ინტერვიუმში.

— კი, ბატონო.

— ირანი არის ჩემი სიზმრების ქვეყანა. ძალიან ბევრჯერ ვყოფილვარ სიზმარში. უნდოდადის ხიდზეც გამივლია, სიზმარში, რა თქმა უნდა. ამ ზაფხულს ალექსანდრე მაკედონელი მესიზმრა. ვისაც ვუთხარი, მოკვდა სიცილით. ირანთან დაკავშირებით ვნახე მაკედონელი. ვეუბნები: „ალექსანდრე, გენაცვალე (71-სა ვარ და ალექსანდრე არის ასე, 28-ის), მითხარი, რატომ დაანგრე პერსეპოლისი?“ ალექსანდრე მეუბნება: „არა, მე არ დამინგრევია“. — აბა, ვინ დაანგრია, ალექსანდრე?“ — ასე, თითქოს ვერხუბები. ეგო, თემისტოკლემ დაანგრიაო. რას მეუბნები, ალექსანდრე, თემისტოკლემ შენზე ორი საუკუნით ადრე იყო-მეთქი. მითხრა, ალბათ, ჩემმა ერთ-ერთმა სარდალმა დაანგრიაო. აა, გასაგებია-მეთქი. ის ხომ შენი ბრძანების გარეშე ვერ დაანგრევდა-მეთქი. ალექსანდრე, რატომ ჰქენი? შენ ხომ, სადაც შეხვიდოდი, იმათ კერპებს არ ეხებოდი?! დარიოსმა ეს თავის სატახტოდ

ააშენა, შენ კიდევ დაანგრე. არა გრცხვენია-მეთქი? შენ როგორ მიყვარხარ-მეთქი... (მართლა ძალიან მიყვარს მაკედონელი), მაგრამ ამას ვერ ვპატიობ. — „იცით რაო?“ — მეუბნება, — „აბა, თქვენ არ გახსენდებათო, ათენი მაგათ რომ გადაწვესო?“ მერე, შენ ხომ ის კაცი არა ხარ, ვილაცას სამაგიერო რომ გადაუხადო-მეთქი. ერთი სიტყვით, ალექსანდრემ თავი დამნაშავედ სცნო. მაგრამ უცნაურია. მე მართლა მანუხებს: როგორ შეიძლება სილამაზე დაანგრიო? პერსეპოლისი ხომ ძალიან ლამაზია. ისე ვიცი, კი არ მინახავს.

— ნამდვილად არაჩვეულებრივია. ორჯერ ვარ ნამყოფი და ვადასტურებ. დანგრეულიც კი არაჩვეულებრივია...

— ჰოდა, ძალიან მინდა, ისე არ მოვკვდე. ახლა 71 წლისა ვარ და თუ 10 წელი მაინც ვიცოცხლებ, „შაჰნამეს“ უმთავრეს ნაწილებს მაინც ვთარგმნი.

— ირანში ნახვლა, იმედია, გინდათ...

— ძალიან მინდა. მინდა კი არა, ეს არის ჩემი ოცნება.

— თქვენს წარმოდგენაში ფირდოუსის ირანი ხომ არ ჭარბობს?

— ალბათ. ნომადი ბართაიამ რომ მითხრა, ომარ ხაიამის საფლავი ვნახეო, გავგიჟდი. შემშურდა. ფირდოუსის საფლავიც... დღევანდელი ირანის ნახვაც მინდა, უნდოდადის ხიდის ნახვაც მინდა. მთელი ირანი, ასე მგონია, ხელის-გულზე მაქვს. ვიცი ეს ყველაფერი, მაგრამ რა ვიცი... მძიმე ჯანმრთელობის პატრონი ვარ. ასეა თუ ისე, როგორღაც ღონე უნდა მოვიკრიბო და ვნახო ირანი. ისე არ მოვკვდები.

— რა ქალაქების ნახვა გინდათ?

— რა თქმა უნდა, ირანის უმთავრესი ქალაქების ნახვა. ისე მინდა შირაზის ნახვა... ყველაფერი მინდა.

— კიდევ ერთი კითხვა: ასე მოხდა, რომ მთელი თქვენი დრო „შაჰნამეს“ თარგმნამ დაიკავა. არასოდეს გაგრენიათ სურვილი, რომ სხვა რამ გეთარგმნათ? მაჰმად ბალხელს არ ვგულისხმობ...

— არა. არა. სხვათა შორის, ბ-ნი დავითი ამობაჯბაჯდებოდა „ნაკადულში“, მაშინ რედაქტორად ვმუშაობდი. ერთი იდეა დამებდაო, — ასე მეუბნება ერთ დღეს. რა იდეა, ბატონო დავით, ვეუბნები. „უნდა გამოიცეს საადი შირაზელის სრული კრებული“. „უი, რა კარგი იდეაა, ბატონო დავით“, — ვეუბნები. მპასუხობს: — „გოლესთანი“ თარგმნილია, „ბუს-თანი“ თარგმნილია. ჰოდა, უამრავი ყაზალი აქვს საადი. 100 ყაზალი უნდა თარგმნოს ვახუშტი კოტეტიშვილმა, 100 — ბელა შალვაშვილმა“. — „უიმი, რას მეუბნებით, ბატონო დავით! მე „შაჰნამეს“ არ მოვეშვები. თუ ვთარგმნი, ისევე „შაჰნამეს“. მე ლირიკა არ გამომივა“. შენი თარგმანებიდან ჩანს, რომ ლირიკა უკეთ გამოგივაო, — მეუბნება ბ-ნი დავითი. ერთი სიტყვით, რამდენჯერმე მოვიდა. ბ-ნმა დავითმა იცოდა ჩემი მონაცემები. მით უფრო, როცა „ბუჟან-მანიჟეს“ ჩემი თარგმანი წაიკითხა, მოვიდა და მეუბნება: ეს ჩემი ოცნების ასრულებააო. წარმოგიდგენიათ! ისე, არაერთხელ მიფიქრია: ამ ხალხმა რომ დამინყო: „შაჰნამე“ თარგმნე, თარგმნეო, ჩემ მეტი ვერავინ ნახეს-მეთქი? სულ მიკვირდა. ვახუშტის ბრძანება, თორემ მე მართლა ხელს არ მოვკიდებდი.

— ქალბატონო ბელა, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის. კიდევ ერთხელ გილოცავთ მიღებულ ჯილდოს; ჯანმრთელობასა და წარმატებას გისურვებთ.

ესაუბრა
თეა შურღია

ლალი ალექსი-მესხიშვილი

რეკვიემის მავიარ

ანუ
ბარდასულ დღათა მძიმე მოგონებანი

ჩემი წინაპრები

„მესხიშვილების გვარი საკმაოდ სახელოვანია, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩნდებიან XVII საუკუნის დასასრულიდან. ამ დროიდან ორი საუკუნის განმავლობაში აწარმოებენ მრავალმხრივ და საინტერესო მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებაში. შესანიშნავი კალიგრაფები, მთარგმნელები, პოეტები, ტექსტების შემსწორებლები, ამავე დროს არიან მდიდარი და საინტერესო კერძო წიგნსაცავების მფლობელები. მათი მოღვაწეობის ძირითადი ადგილია ანჩისხატის ტაძარი. ამ ოჯახის შემდგომი თაობების სულისჩამდგმელი გახდა გრიგოლ მესხიშვილი — მეფის კარის მხატვარი, მწიგნობარი და მგალობელი. მისი შვილი ალექსი ითვლება კალიგრაფ მწიგნობრების წინამორბედად. ის ფაქტი, რომ მეფე ერეკლემ უფლება მისცა მის შვილებს და მრავალრიცხოვან მემკვიდრეებს ინოვაციური ალექსი-მესხიშვილების გვარად, მიუთითებს იმაზე, თუ რა დიდი როლი ეკუთვნოდა ალექსი მესხიშვილს მისი თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში... კალიგრაფების შემდეგი თაობაა ალექსის შვილები: სოლომონი, დავითი, გიორგი და ნიკოლოზი.

ალექსის შვილებიდან განსაკუთრებულები არიან დავითი — რექტორად წოდებული და სოლომონი. დავითი უშვილოა, ხოლო სოლომონი მრავალშვილიანი ოჯახის მამაა. დავით რექტორი, პოეტი და მეცნიერი, ხელნაწერთა მომხატავი და გამმართველი, დიდი პედაგოგი და სახელმძღვანელოების შემდგენელი, ლექსიკოგრაფი და ქართული ლექსის ნოვატორი, ბრწყინვალე და უბადლო კალიგრაფი — ასეთი იყო დავით მესხიშვილის შემოქმედებითი დიაპაზონი.

1790 წლის 21 სექტემბერს ერეკლე მეფის მიერ გაცემულ სიგელში ვკითხულობთ: „ჩვენ მეფემან ირაკლიმ, განგანსკეთ თელავს ქალაქის სემინარიის რექტორად შენ, ალექსის შვილი დავით, ასე რომე მონაფეთ შემოგიკრეფთ და ფილასოფია უნდა მოასმინინო და ზოგი საეკლესიო წიგნი და წერა...“

სოლომონი — საინტერესოა და მრავალმხრივი მისი მოღვაწეობა, ბიბლიოფილი, კალიგრაფი, საზოგადო მოღვაწე, ასოების მხატვრულად გამფორმებელი და სხვა მამამისის ტრადიციების გამგრძელებელი“.*

სოლომონის ერთ-ერთი შვილი დიმიტრი, ანჩისხატის უკანასკნელი დეკანოზი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათლიაა. მისი შვილია სარდიონი, დაიბადა 1814 წელს. 30-იან წლებში ამთავრებს პეტერბურგის სამედიცინო აკადემიას. განათლებული ადამიანია, უცხო ენების მცოდნე. პეტერბურგიდან ჩა-

* „მესხიშვილთა კალიგრაფიული სკოლა და მათი საოჯახო წიგნსაცავი“ ია გაჩეჩილაძე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. „სადისერტაციო ნაშრომი“, 1975

მოსვლის შემდეგ მუშაობს ექიმად თბილისის ჰოსპიტალში, შემდეგ სიღნაღის ექიმია. ყიდულობს რუისპირში მამულს და იქ სახლდება. მისი მშობლები თბილისში ცხოვრობენ. ბაგრატიონის (შემდეგში ჩახრუხადის) ქ. 14, დიდ სახლში, აქვთ ბალი. ანჩისხატის მახლობლად, რომელიც ითვლება მათ ტაძრად.



მისი მეორე მეუღლე — სოფიო ჩოლოყაშვილი. ჰყავს ოთხი შვილი: ლეონიდე, აპოლონი, ვლადიმერი (ლადო) და სარდიონი.

1863 წლის 11 იანვარს იბადება სარდიონი, რის შემდეგ, რამდენიმე დღეში გარდაიცვლება მისი მამა სარდიონ დიმიტრის ძე, ძალიან პოპულარული პიროვნება მთელ კახეთში და თბილისშიაც, როგორც კარგი ექიმი და განათლებული ადამიანი. მისი დასაფლავების დროს აუარებელი ხალხი ჩამოდის თბილისიდან, თელავიდან, სიღნაღიდან და სხვადასხვა სოფლიდან. დაკრძალავენ შუამთის მონასტრის ეკლესიაში. მისი საფლავის მარმარილოს დაფაზე წარწერაა ფრანგულად, რომელიც ქართულად ასე ჟღერს: აქ განისვენებს სარდიონ ალექსი-მესხიშვილი, უდიდესი ცოდნის ექიმი.

ეს წარწერა ეკუთვნის ფრანგ სკულპტორს ჟან ბატისტ გრასეს, რომელიც სარდიონის მამულის ყოფილი მმართველია. 1868 წელს გარდაიცვლება სარდიონის მეუღლე — სოფიო, დამარხავენ მეუღლის გვერდით.

მშობლების დაღუპვის შემდეგ მათ შვილებს კარგი დღე არ დაუდგებათ. ობლებს მამა უტოვებს მამულს რუისპირში, თელავში, სიღნაღში, თბილისში — სახლს, აგარაკს — ახალდაბაში. უახლოესი ნათესავის ხრიკებით ბიჭები ყველაფერს კარგავენ. უხდებათ დამოუკიდებელი არსებობა, ვინაიდან იგივე პიროვნება მათ ერთმანეთს აკარგვინებს. ლეონიდე იურისტი ხდება, მაგრამ ძმები საბოლოოდ მას ვეღარ მიაკვლევენ. აპოლონი ამთავრებს იუნკერების სასწავლებელს, შემდეგ ქართულ ჯარშია, ხდება პოლკოვნიკი, ირთავს ცოლს — ელენე კვინიტაძეს (გენერალ გიორგი კვინიტაძის დას), შემდგომ, 1905 წელს — პორტ-არტურშია — პოლკის მეთაური და ბრძოლაში გმირულად იღუპება. რჩებიან უმცროსი ძმები — ლადო და სარდიონი. ლადო ბევრი პერიპეტეიის გავლით, ბოლოს ხდება ცნობილი მსახიობი (მისი სახელობისაა ქუთაისის დრამატული თეატრი). სარდიონიც ამთავრებს ჯერ გიმნაზიას, სადაც ძალიან უყვართ და დირექციის წყალობით, 3 წლის განმავლობაში სწავლობს ხარკოვში, შემდეგ განაგრძობს სწავლას პეტერბურგის სამედიცინო აკადემიაში, რომელსაც ამთავრებს 1890 წელს ქირურგიის სპეციალობით. 1896 წელს იქვე იცავს სადოქტორო დისერტაციას (მისი თემაა აპენდიციტი) და ხდება საქართველოში პირველი სამხედრო ქირურგი — მეცნიერებათა დოქტორი.

1891 წელს სარდიონი ირთავს ცოლად ალექსანდრა გიორგის ასულ ჭავჭავაძეს, მათი მეჯვარე და შვილების ნათლიაა ილია ჭავჭავაძე. ოთხი შვილი ჰყავთ: სოფიო ბაქრაძე (დალის და ნიკოს დედა), თამარი (სტომატოლოგი), გი-

ორგი (მამაჩემი) და ნინო — აკაკი ხორავას მეუღლე.

მშობლები

წარმოშობით ორივე მხრიდან კახელი ვარ.

თუ ვის და სად რამე გვაქვს კარდანახში, ყვარელში თუ სხვაგან, ყველაფერს კომუნისტები გვართმევენ.

ჩემი დედა — მარიამ კონსტანტინეს ასული ვაჩნაძე დაიბადა 1900 წ. 8/1.

ბებია — ქეთევან მიხეილის ასული სულხანიშვილი.

პაპა — კონსტანტინე ივანეს ძე ვაჩნაძე სამხედრო, წოდებით გენერალ-მაიორი რუსეთის არმიის. ცხოვრობენ პეტერბურგში. ჰყავთ 2 ქალიშვილი ელენე და მარიამი. 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს კოტე ილუპება (ჩამოსვენებენ, დაკრძალულია კუკის სასაფლაოზე ეკლესიის გვერდით), ელენე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტია, ფილოლოგიის ფაკულტეტის, მარიამი ჯერ სწავლობს შაფფეს გიმნაზიაში, შემდგომ, 1917 წელს იღებს დიპლომს სახლის მასწავლებლის). დროებით რჩებიან პეტერბურგში. 1917 წელს ბოლშევიკების შემოსვლისას მარიამს უკვე დამთავრებული აქვს სწავლა, ხოლო ელენეს აგდებენ უნივერსიტეტიდან, როგორც ყოფილ თავადის ქალს. მამიწვე ბრუნდებიან სამივენი თბილისში.

ჩემი მამა — გიორგი სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილი, დაიბადა 1897 წელს. 1914 წლის 16 ივნისს ამთავრებს სათავადაზნაურო გიმნაზიას. შემდგომ სამხედრო განათლებას იღებს პეტერბურგის საარტილერიო სასწავლებელში და ხდება სამხედრო მოსამსახურე. მონაწილეა პირველი მსოფლიო ომის. თავის მამასთან — სარდიონთან (დივიზიის ქირურგი) და დასთან თამართან (სტომატოლოგი — მოწყალეების და) ერთად ამიერკავკასიის პირველ მსროლელ დივიზიაშია ბატარეის უფროსია.

ტაბახმელასთან ბრძოლის დროს წოდებით კაპიტანია. აი რას წერს ამ ბრძოლის შესახებ გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე სტატილაში „სამხედრო სკოლა“:

„21 თებერვალს ჩვენს უბანზე მოვიდა მაიორ ჩრდილელის ბატარეა, აგრეთვე მაიორ მახარაძის ბატარეის ერთი მწყობრი გოგი მესხიშვილის მეთაურობით (მისი გმირობის დღე 24 თებერვალი იყო)“.

„დადგა 24 თებერვალი ქართული სამხედრო სკოლის და მისი ოფიცრების გმირობისა და დიდების დღე!

...ჯერ კიდევ 23 თებერვალს მესხიშვილმა გამოუცვალა ადგილი თავის ზარბაზნებს გორაკზე და დააყენა ბალის ცოტა აღმოსავლეთით, ბილიკზე №4 სანგრების უკან...

...ძნელი სათქმელია თუ რამდენი იყო იერიში იმ დღეს. ერთ-ერთის დროს ბოლშევიკები შემოვარდნენ სანგარში №4, რომელიც პირველ ათასეულს ეკავა... აღმოჩნდნენ მესხიშვილის ზარბაზნებთან და გამარჯვების ზეიმით მისცვივდნენ ხიშტზე ზარბაზნების ასაღებად. სრულიად ახალგაზრდა ყმანვილმა მესხიშვილმა აქ გამოიჩინა გმირობა, მან გადაწყვიტა მომკვდარიყო თავის ზარბაზნებთან, შემოიკრიბა თავისი ბატარეის ჯარისკაცები, იძრო ხმალი, თავგანწირული გამბედაობით გადაეშვა მტრებში და დაუწყო ჩეხვა... მაგრამ იუნკრებს ჯერ კიდევ არ ეთქვათ თავისი უკანასკნელი სიტყვა. ისინი უთვალთვალდნენ ბრძოლის მსვლელობას...

...და როგორც გამოცდილმა მეომრებმა, სიზუსტით განზომეს თავისი გამანადგურებელი დაკვრა, როდესაც კურსანტები შეეტაკნენ ბატარეაზე მესხიშვილს, მის ზურგთან უკვე გრიალებდა ძლიერი „ვაშა“ იუნკრებისა. ისინი მოჰყავდათ მამაც ოფიცრებს: შავდას, ხოშტარისა და ჩოჩუას. ყველაფერი

აირია, სროლა, ხიშტები, კონდახები, რევოლვერები, ხმლები...

აკეთებდნენ თავის საქმეს. კურსანტები მედგრად შემოხვდნენ იუნკრების დაკვრას, მაგრამ მათი ხუთ-წვერიანი ვარსკვლავის ბრწყინვალეობა დაჩრდილა თეთრი გიორგის ელვარებამ და... ჩააქრო“.

აგრეთვე, ამ ბრძოლის შესახებ აღწერილია ფრანგი ავტორის რემონ დიუგეს შესანიშნავ ნიგნში „მოსკოვი და ნამებული საქართველო“.

„ამ ნიგნს მონივნითა და თაყვანისცემით ვუძღვნი საქართველოს დამცველებს. იმათ, ვინც შეიძლება უიმედო, მაგრამ უბრძოლველად მშობლიური მიწის ერთ გოჯსაც არ თმობდნენ, ტაბახმელას გმირებს, თბილისის სამხედრო სკოლის მამაც კურსანტებს ყველას იმას, ვინც თავისი სისხლით საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ფურცელი დასწერა“.

იმ ვაჟკაცებს, კოჯრის მთა რომ დაუბრუნეს. ქართველებს, კაპიტანი ალექსი-მესხიშვილის ბატარეა ახლავს. იგი უკან იხედება და რას ხედავს: 50-ოდე ბოლშევიკი ზურგიდან უფლის ბატარეის ხელიში ჩასაგდებად. „ჩემკენ!“ — ბრძანებს ალექსი-მესხიშვილი, თვალისდახამამებაში ხმალამონწვილი მეზარბაზნეები მის გვერდით დგანან. „ვაშას“ ძახილით, ეს პატარა რაზმი მტერს ეკვეთება. სამხედრო სკოლის კურსანტებიც მათ დასახმარებლად მიეშურებიან. წითლებმა ველარ გაუძლეს ორივე მხრიდან შემოტევას. ნაწილი დაიღუპა, ნაწილი ტყვედ ჩავარდა...

საბოლოოდ რაც ხდება, ცნობილი ფაქტია. ნოე ყორღანის მთავრობა გარბის პარიზში. იუნკრები ბათუმიდან გემით მიდიან. მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე ოჯახით (ჩვენი სიძეა), გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე და სხვებიც, ყველანი მიდიან ემიგრაციაში — ძირითადად საფრანგეთში. მამაჩემი რჩება (ნეტამც ნასულიყო).

გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე მეუღლით — სოფიო კვინტრადით, სახლდება ვარშავაში. სოფიო კვინტრადე გენერალ გიორგი კვინტრადის დაა (გიორგის სამი და ჰყავს სოფიო, ელენე — აპოლონის მეუღლე და ბარბარე). ბარბარე მარტოხელაა, ცხოვრობს თბილისში — ახლანდელ თაბუკაშვილის ქუჩაზე.

ჩხეიძეებს ჰყავთ ორი ვაჟკაცი, რომლებიც პოლონელებთან ერთად ებრძვიან რუსებს. ორივე ილუპება იმ ომში. რუსების ვარშავაში შემოსვლისას გენერალი ჩხეიძე და მისი მეუღლე ვერ ასწრებდნენ პოლონეთიდან გაქცევას — შვილების საფლავს აკეთებენ. რუსების შემოსვლის მეორე დღესვე ალექსანდრე ჩხეიძეს აპატიმრებენ და ხვრეტენ, მის მეუღლეს კი ჩამოიყვანენ რუსეთში და გააცემიბრებენ.

მიყვარს მოხუცები, ხშირად დავდივარ დეიდა ბარბარესთან, ძალიან საინტერესო პიროვნებაა. მას სოფიოსთან მიწერ-მონერა აქვს ციმბირში. შემდგომში სოფიოს ათავისუფლებენ, ჩამოდის ბარბარესთან და ერთად ცხოვრობენ. მისი ცხოვრების უმძიმესი ისტორია თავად დეიდა სოფიოს ნამბობიდან ვიცი. ამ პერიოდში ემიგრანტებს უფლება აქვთ თბილისში ჩამოსვლისა. ისინი ხშირად იკრიბებიან დეიდა ბარბარესთან, მე ამ შეხვედრებით ძალიან კმაყოფილი ვარ, ბევრს ახალს და საინტერესოს ვიგებ. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ბ-ნი სპირიდონ ჭავჭავაძე, ძალიან კოლორიტული ფიგურაა. დეიდა სოფიო კი ისეთი ადამიანია მარტო ნიგნებში თუ ნამიკითხავს, ძალიან მაგონებს „პიკის ქალს“ (პუშკინის).

ძია აკაკი სადილს გაუმართავს დეიდა სოფიოს, მთელი ჩვენი ნათესაობა აქაა. სადილის დროს დეიდა სოფიო უცებ მობრუნდება და ამალღებული ტონით რუსულად წარმოთქვამს: „как проживают княгиня Варя и князь Георгий?“ (მა-

ყაშვილების უფროს თაობას მოიკითხავს). ამის გაგონებაზე, ძალიან უტაქტოდ გადავიხარხარებ, რითაც ბიძაჩემისგან შენიშვნას ვიმსახურებ. თავად დედა სოფიო განითლდება, შენუხდება და ბოდიშს გვიხდის. ამ პერიოდში, ჩემთვის ეს „სასაცილოდ“ მოსასმენია, მთელი ინტელიგენცია ძირითადად გვარების გამო დახვრიტეს და გაანადგურეს.

დედაჩემი გადასახულიდან, ამდენი უბედურების გადატანის შემდეგ, როდესაც წარმოვიდგენ თბილისში მეფეს და განსაკუთრებით მის ამაღას, მწარედ მეცინება, რა უბადრუკებად გამოჩნდებიან არა? ყოველივე ისტორიას უნდა ჩაბარდეს, რაც უკეთესი იქნება ქართველებისთვისაც და თავად ისტორიისთვისაც.

გადის დრო, 1924 წელს თბილისში მზადდება აჯანყება. შეკრების ერთ-ერთი ადგილი ჩვენი ბინაც არის (ვარდისუბნის ქუჩაზე, შემდეგ ჯანაშიას №4). უკანასკნელი შეკრების მეორე დილით უნდა დაიწყოს აჯანყება, მაგრამ ვიღაც გასცემს და ყველას აპატიმრებენ. მერე მამა იტყვის: ვერავის დავადანაშაულებ, ვერც ერთს წარმოვიდგენ გამცემლად. დაპატიმრებულებს მისჯილი აქვთ დახვრეტა. მამა ძლიერი პიროვნებაა. მე ხელთა მაქვს მისი სამი წერილი. ციხიდან მამიდაჩემს ნინას სწერს: გამაღობთ, ყველაფერი მივიღე. გამომიგზავნეთ პატარა ხალიჩა კედელზე და მუთაქა თავქვეშ. მეორე წერილში ითხოვს ჩუბინაშვილის ლექსიკონს, წასაკითხ ნიგნებს და სამხედრო ლიტერატურას, რომელიც სახლში ეგულება. მესამე წერილში წერს: „თხოვეთ არჩილ ბაქრაძეს (ჩვენი ოჯახის ახლობელია, არაჩვეულებრივი პიროვნება, როგორებიც ყველა ბაქრაძეები არიან) 2 ცალი ესპადრილი და ორი ნიღაბი.“ საკანში ერთად სხედან კათალიკოსი კირიონ საძაგლიშვილი და მამა. მასთან ხომ არ აპირებს „ხმალაობას“ მამა, როგორ ფიქრობთ? კირიონი დასაწყისში ეჭვის თვალთი უყურებს მამას, მაგრამ ძილში შემთხვევით აღმოუჩენს კისერზე ჯვარს. ამის შემდეგ დამეგობრდებიან. თბილისში ყოველ დილით გამოდის გაზეთი, სადაც იბეჭდება იმ დღეს დასახვრეტ პატიმართა სია. ერთხელ, გვიან ღამით, ვიღაც აკაკუნებს ეზოდან ამოსასვლელი კიბის კარზე. პაპა სარდლიონი აღებს კარს. დგას უცნობი მამაკაცი, ბოდიშს უხდის პაპას შუალამით მოსვლის გამო, მაგრამ თვითონვე განმარტავს: „მე ხომ ვიცი, რომ არავის არ გძინავთ, მე სტამბის მუშა ვარ და მოვედი შეგატყობინოთ, რომ „თქვენი“ დედაჩემი გაზეთის სიაში არაა“. ამას ამბობს და გარბის. ჩვენები დაბნეულობისაგან ვერც კი ასწრებენ მაღლობის თქმას. იმ წელს მამა დახვრეტას გადაურჩება. მისი დეიდაშვილი სოფიო ვაჩნაძე — სერგო ქავთარაძის მეუღლეა. სოფიოს მამა ძალიან უყვარს. ეტყვის სერგო, გოგა უნდა გადავარჩინოთ. ის ურჩევს, შენ წადი ორჯონიკიძესთან და უარს ვერ გეტყვოსო. ასეც მოხდა. ორჯონიკიძე, რომელიც იმ დროს ჩეკას უფროსია, სოფიოს უარს ვერ ეუბნება. დარეკავს ზარს და ამბობს: „გიორგი ალექსი-მესხიშვილი საჯიშედ დატოვეთო!“ რა ცინიზმია, მაგრამ ორჯონიკიძე მე რომ მიცნობდეს კარგად, ალბათ ამ ბრძანებას არ გასცემდა.

შემდგომ წლებში მამა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კითხულობს არტილერიას, სტუდენტებს ძალიან უყვართ. გამოსაშვები ჯგუფის სტუდენტები სამახსოვრო საჩუქარს უკეთებენ: ვერცხლის პორტსიგარს შემდეგი წარწერით: „любимому Гоги Месхивили от 38 молодых комзводо 1933 15.VIII“. იგივეს ჩუქნიან მეორე წელს გამოსაშვები ჯგუფის სტუდენტები ისეთივე თბილი წარწერით, ოღონდ „от молодых командиров горняков“ — 34 წელს.

1930 წელს 1/VII დედა და მამა დაქორწინდებიან. მე და-

ვიბადები 1932 წლის 9 მარტს.

ჩემი ბავშვობა

ესა ყველაზე კარგი ხანა ადამიანის არსებობისა. თავის თავის, მშობლების, ახლობლების, გარე სამყაროს, ბუნების აღქმის, შექმენების, ყველაფრის ვარდისფერ ფერებში წარმოდგენის. ამავე დროს სიკეთის სიბოროტისაგან, ზრდილობის უზრდელობისაგან, მაღლიერების უმადურობისაგან განსხვავების, გარჩევის. იმასაც აქვს მნიშვნელობა, როგორც ამბობენ, თუ რა ვარსკვლავის ქვეშ დაიბადები. თუ მან რაღაც მომენტში ზურგი არ შემოგიბრუნა. პირადად მე როგორი ვარსკვლავის ქვეშ დავიბადე, არ ვიცი, მაგრამ განგებას თუ ღმერთს უნდა ვუმაღლოდე, რომ დავიბადე ჩემს უძვირფასეს, მრავალრიცხოვან, მოსიყვარულე ოჯახში, სადაც თითოეული პიროვნება, ბებიიდან და პაპიდან დაწყებული და ჩვენი — ბავშვებით დამთავრებული, ზრუნავს მუდამ ერთმანეთზე და ჭირში (რომელიც სჭარბობს) თუ ლხინში, ერთმანეთის გვერდით ვდგავართ ყოველთვის დიდი თუ პატარა.

ჩემი ნამდვილი ბავშვობა ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდება, სულ გრძელდება ხუთ წელს. მე, პატარა ბავშვს, ძალიან მომწონს ჩემი მშობლები. ორივე მაღალი, ტანწერნეტა, მოსიყვარულენი არიან და როგორც ყველა ბავშვი, ვთვლი, რომ ყველაზე ლამაზი და კარგი მშობლები მყავს, ალბათ, ახლაც ასე ვფიქრობ. ეს პერიოდი კარგად მახსოვს. სამი წლიდან მყავს გერმანელი პედაგოგი „ტანტე იდა“, ჩვენს სახლში დადის და ბავშვების ჯგუფს გვამეცადინებს აგრამანულში: მერაბ ალექსიძეს, ამიკო მესხს, ტურანდოტ ანდრონიკაშვილს (ორი დანი არიან, ტურიკო და ინესა, ტურიკო მე-10 კლასში, უცებ გარდაიცვლება) და მე. „ტანტე იდა“ გერმანულ ლექსებს გვასწავლის, როიალზე უკრავს და ვმღერით გერმანულ სიმღერებს, ხუთი წლისანი უკვე კარგად ვტლიკინებთ გერმანულად. როგორც ვიგებთ, ომის დროს მას ასახლებენ საქართველოდან.

1937 წელი

დადგება 1937 წელი, ჯერ არავინ იცის, თუ როგორ აირევა ყველაფერი ჩვენს ისედაც გაუბედურებულ ქვეყანაში და საქართველოში მცხოვრებ ძალიან ბევრ ოჯახში.

დედაჩემი საზოგადოება „შევარდენის“ აქტიური წევრია, მსროლელი — ძალიან კარგად ისერის რევოლვერიდან და თოფიდან. „ვოროშილოვის“ მედალი აქვს (იმ დროს ეს იყო ჯილდო), მე ის სულ გულზე მანბნევია, ივნისის შუა რიცხვებში პეტერბურგში საკაფირო პირველობაა. დედა, როგორც მსროლელი, მიდის მონაწილეობის მისაღებად. საქართველოდან მიდიან დედა და ბერიას ცოლი ნინო (კონკურენტები არიან). რამდენადაც ვიცი, დედა სჯობნის მას. მამა სულ ეხვეწება დედას: „я тебя умоляю обстреляй эту стерву“. მამა და დედა დადიან თბილისის გარეუბნის ტყეში (მეც თან დავყავარ, თურმე პირველი გასროლისას გული წამსვლია, მერე მივეჩვიე). ხეზე კიდებენ ტრაფარეტს — სამიზნეს და დედა ისერის და ისერის. მაისში მამას სტუდენტები მიჰყავს გორში, 10 ივნისს უნდა დაბრუნდეს და მამინათვე დედა და მამა მიდიან პეტერბურგში, მაგრამ არ დასცალდათ, 9 ივნისის ღამეა, უცებ ჩვენთან შემოცვივდებიან ჩეკისტები. გაიგებენ რა მამის ადგილსამყოფელს, მამინათვე ორ ჩეკისტს აგზავნიან გორში მის დასაპატიმრებლად. დანარჩენი სამი

ჩვენთან რჩება და იწყება ბნის ანიოკება-ჩხრეკა. რას ეძებენ თვითონაც არ იციან. მე, პატარა მძინარე ბავშვს მალე-ძებენ და ლოგინიდან ამგაგდებენ. ყოველივე სამუდამოდ ჩამებეჭდება თავში და დღემდე მასსოვს (საერთოდ კარგი მასსოვრობა მაქვს). დანვრილებით, თვით ამ ბანდიტების სახეებიც კი, ერთხანს სულ მესიზმრებოდა. ისინი დილის 9 საათამდე რჩებიან ჩვენს ოჯახში (მათი წასვლის შემდეგ მთელ ოთახებში გაბნეულ საფანტს ვაგროვებ). ოჯახის ყველა წევრი ისე იქცევა, როგორც მათ ეკადრებათ, წარბეუხრელად, ხმის ამოუღებლად, გარეგნულად მშვიდად. დედაჩემი ხანდახან გესლავს მათ. მაგალითად, როდესაც მის ჩანთას გადაჩხრეკენ, ეუბნება: „რას ნიშნავს ჩვევა, მე სხვის ჩანთაში ასე ვერ ჩავძვრებოდიო“. იღებენ საქსოვი ძაფის დიდ გორგალს და იწყებენ მის გადახვევას. უცებ დედა წამოიყვირებს: „ფრთხილად, აფეთქდება!“ შიშით ხელიდან უვარდებათ, მაგრამ, რაც მართალია, ხმის ამოუღებლად აკეთებენ თავის ბინძურ საქმეს. კიდევ ერთი დეტალი. ჩვენს სასტუმრო ოთახში დიდ მაგიდაზე ყრია მთელი ფოტო-სურათები, გროვად. დედა და ჩემი მამიდა თამარი (ტატა) მაგადასთან სხედან. უცებ შენიშნავენ ერთ სურათს — მამა თავის მეგობრებთან ერთად, ისინი ჯერ დაპატიმრებულნი არ არიან. გაითამაშებენ სცენას, ტატა შეუმჩნეველად გადაადგებს ამ სურათს იატაკზე და როდესაც „სტუმრები“ რალაცით არიან გართულნი, დედა დაიხრება, იღებს ამ სურათს, კაბაში მალავს და სთხოვს, ტუალეტში მიინდა გასვლაო. მიაცილებენ. ეს სურათი იგლიჯება ნაკუნებად და წყალში ჩაიშვება. ჩვენი ოთახების ჩხრეკის შემდეგ გადადიან ტატას ოთახში და იქ კედელზე, ჩარჩოში ანათებს ამ სურათის ორეული (ორივე საერთოდ ძალიან დაკვირვებულები არიან. რა მდგომარეობაში არიან შინაგანად, რომ ეს არც ერთს არ ახსენდება).

კიდევ ერთი მომენტი: ჩეკისტები იმავე მაგიდაზე ათავსებენ მამას მთელ იარაღს: ჩემს საყვარელ ოთხ არაჩვეულებრივ ძველებურ ვერცხლის ბეჭუთს. მე სულ ვთამაშობ ამ ბეჭუთებით, ისე ფრთხილად ვეძებ (მე, ცელქი ბავშვი), რომ არ მიშლიან, ხანჯლები, რევოლვერი, სანადირო თოფი და დედას თოფსაც მიაყოლებენ. დედა არაფერს ამბობს, ესმის, რომ ეს თოფი აღარასდროს დასჭირდება. მამა ხშირად დადის სანადიროდ, ყოველთვის დაჰყავს ძაღლები, გყავს ორ-ორი, ერთის სახელი — ყურმა მასსოვს. აქვე მაგიდაზეა მამას სანადირო დიდი ვერცხლის დანა. მაგიდასთანვე ზის ჩვენი სახლის რწმუნებული — ვახტანგ ადვიშვილი, არაჩვეულებრივი პიროვნება. ზის გაყინული სახით და ხელში ამ სანადირო დანას ათამაშებს. მაგიდასთანვე დგას ჩვენი მალალი ლამაზი ღრმა სავარძელი და ზედ თავისივე ბალიში ადევს. ვახტანგი ზის და უყურებს ჩეკისტებს. მე კი გასუსული ვზივარ და ვუყურებ დანას. უცებ ვახტანგი ოსტატურად მოისვრის ამ დანას სავარძელში. დანაც თითქოს გრძნობს, თუ როგორ უნდა მოიქცეს, გადავარდება ბალიშის უკან და „გაისუსება“. ასე შეგვრჩება ეს დანა, მასზე ძვირფასი არა მეგულეა რამ.

არ მესმის, თუ რატომ მიაქვთ ამ უცხო კაცებს ჩემი „საყვარელი იარაღი“ და ვდარდობ, ის კი არ მესმის, რომ ჩემს საყვარელ მამიკოს ვერასდროს ვეღარ ვნახავ, მე უბედური. ღმერთმა დედა მაინც მიწყალობა. მერე ჩეკისტები მამის რეაბილიტაციის დროს იტყვიან, რომ დედა სიიდან ამოუვარდათ.

დედა დღე მუშაობს, მთელ ღამეებს კი ციხესთან ატარებს, იქ ხალხმრავლობაა, ყველა ჩვენი ნათესავი, ახლობელი და ნაცნობი იქაა. დილის ექვს საათზე ბრუნდება სახლ-

ში. პაპა სარდიონი არ წვება, სულ დედას ელოდება ხოლმე. ცხელ ჩაის და ანთებულ ლუმელს ახვედრებს, რომ აკანკალებული ცოტათი გათბეს და ორ საათში ისევ გაიქცეს სამსახურში. ჩვენს პირდაპირ პირველ სართულზე ცხოვრობს მძლოლი, რომელიც თითქმის ყოველდღე, დილის 3-4 საათზე მოდის სახლში. მანქანის ხმაზე ინთება ჩვენს ქუჩაზე სინათლები და ყველა ფანჯრებზე ჰკიდა, ღელავენ თუ ვის დასაპატიმრებლად მოვიდნენ. ჩემი დედა ელენე ველიამინოვის ქუჩაზე ცხოვრობს თავის მეუღლესთან, დედასთან და დედამთილთან ერთად. მისი მეუღლე — მიხეილ ბორკონი, უკულტურულესი, ცნობილი ეკონომისტი. შვილები არა ჰყავთ და ძალიან ვუყვარვარ. დააპატიმრეს, დახვრიტეს და დედაც მიაყოლეს, როგორც ოჯახის წევრი. ჩემი მამიდის — სოფიოს მეუღლეც (გოგი ბაქრაძე — ინჟინერი, მისი ამენებული სახლი ისევ დგას ელენე ახველიანის ქუჩაზე, მისი კვალი კი დაკარგულია — დახვრიტეს).

მთელი ჩვენი დიდი სანათესაოდან კაცი არ დარჩა, ყველა დააპატიმრეს და დახვრიტეს: ვანჩაძეები, ჭავჭავაძეები, ჩოლოყაშვილები, მაყაშვილები და სხვა, მანამდე, ბოლშევიკების შემოსვლისას, ჩემი ერთ-ერთი ბიძის, ივანე მაყაშვილის (ივანეც დახვრიტეს 37 წელს) მეუღლე ნინო ერისთავი (მშობლები იდიკო და რეზო მაყაშვილების) თავის მშობლებთან ერთად იმყოფება კახეთში, თავის მამულში. შემოვარდნილი ბოლშევიკები ნინოს და მისი დის ეკატერინეს (უაღრესად კეთილშობილი, სათნო ადამიანები) თვალწინ დახვრეტენ მათ მამას — მიხეილს და ძმას — რეზოს. რომელი ერთი მათი ბარბაროსობაა გასახსენებელი?

ქმრების შემდეგ იწყებოდა მათი ცოლების დაპატიმრება, როგორც სამშობლოს მოღალატეები ოჯახის წევრებისა, დაპატიმრებულ ქალებს ხელზე აქვთ მომაგრებული წარწერა რუსულად **ЧСИР** — რაც ნიშნავს — ოჯახის წევრი სამშობლოს მოღალატისა. დედაჩემს ელენეს დააპატიმრებენ ასეთი რუბრიკით და რვა წელიწადს ციმბირში გაატარებს. დედაჩემი კი ყოველ ღამეს აგრძელებს ციხესთან დგომას. ერთხელ დაინახავს დიდი რაოდენობით საბარგო მანქანებს „დატვირთულებს“ ახალგაზრდა ქალებით — ცოლებით: ყვირიან, ტირიან, შველას ითხოვენ, „გვასახლებენ“, ზოგი ორსული, ზოგს სახლში თოთო ბავშვი ჰყავს დატოვებული. ამ დროს დედა დაინახავს დედაჩემს, დაუძახებს და გაეკიდება მანქანას. მის დანახვაზე მანქანიდან ჩამოუგდებენ რალაც შეკრულ ტვირთს, საკმაოდ დიდს. სახლში მოტანისას გახსნიან და რას ნახავენ: პურანგების, კაბების, ქალაღების ნაგლეჯებზე: მისამართები, გვარები, სახელები, შველის თხოვნით. მთელი თვე თუ მეტი მამიდაჩემი და დედა დადიან ამ მისამართებზე. იმ ღამეს კი დედა წამოიყვანს თავის დედას ქეთევანს და გარბიან ნავთილში, საიდანაც მიემგზავრება ქალების ემელონი ციმბირში. დარბიან და ყვირიან დედაჩემის სახელს, მაგრამ მალე ემელონი მიდის, წავა ციმბირში და მიდის მთელი თვე, ხოლო ეს ახალგაზრდა მშვენიერი ქალები, არაადამიანურ პირობებში მგზავრობენ, ამის აღწერა არ შემიძლია; მრცხვენია ისეთი შელახვა ნებისმიერი ადამიანის ღირსებისა. და ამ უბედურმა ცოლებმა ამას გაუძლეს, როგორ — სრულებით გაუგებარია.

დედა კი სულ დადის და დადის ციხეში. ერთ ღამეს — 13 აგვისტოს დაინახეს ისევ საბარგო, მაგრამ მხოლოდ ერთ მანქანაა. მის შუაში სკამებზე დამსხდარა ათიოდე კაცი, მათ გარშემო კი შეიარაღებული სალდათები. მამას მისი სწორი პროფილით და იერით შეიცნობს დედა, გაეკიდება მანქანას,

მაგრამ ნერვიულობის გამო ხმას ვერ ამოიღებს, ჩაუნყდება ხმა. თურმე დასახვრეტად მიჰყავდათ, მხოლოდ რამდენიმე წლის წინ გავიგე (ოფიციალური დოკუმენტი მომცეს, დამჭირდა, სადაც ეს წერია), რომ დახვრიტეს 1937 წლის 13 აგვისტოს, კრწანისის მიდამოებში. მშიშარა კომუნისტური მთავრობა გვიმალავს, რომ დახვრეტილები არიან ჩვენი მამები, შვილები, ძმები და წლების მანძილზე გვატყუებენ, რომ: „მისჯილი აქვს 10 წელი, ცოცხალია და მუშაობს“.

1937 წლის შემდგომი წლები ძალიან მძიმეა მთელი ქვეყნისათვის. დედა ყოველ დილით რომ მიდის სამსახურში, მე არ ვუშვებ. მამას შემდეგ ძალიან მეშინია დედაც სადღაც არ გაჰქრეს. დედა მთხოვს: „გამიშვი, თორემ სამსახურიდან გამაგდებენ და ფულს ველარ მიიღებ. „განა შენ სამსახურში ფულს გაძლევენ? მაშ რატომ ხარ სულ უფულოდ?“ დედას მართლაც ათავისუფლებენ სამსახურიდან მამას გამო. ნიკო კეცხოველი როგორც კი გაიგებს, რომ დედა დარჩა უმუშევარი, იმავე წუთას იღებს სამსახურში თავის მდივნად. ბ-ნი ნიკო მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიურ განყოფილებას ხელმძღვანელობს. ის მამასთან ერთად ებრძვის ბოლშევიკებს და მამა ძალიან უყვარს.

მე სულ ვდარდობ, სადაა მამა? რატომ არ ჩამოდის? მისი სახელით საჩუქრებს მიგზავნიან, წარწერებიან წიგნებს მჩუქნიან, ვიცი, რომ დედას ხელია, მაგრამ ახლაც სათუთად ვინახავ.

მძიმედ ვარ ავად. ორივე ყურის ჩირქოვანი ანთებაა, 40⁰, ბოღვა. გადანყვეტენ შუა ყურის გაჭრას, რომ ჩირქი თავში არ წავიდეს. მოდის ცნობილი ექიმი გია ხუციშვილი და სახლში მიკეთებს ოპერაციას. მსვამენ ლოგინში. ამ დროს შემოდის ბებო საშუკო, საერთოდ თავშეკავებული ადამიანია და მშვიდად მეუბნება: „ლალი, იცოდე ძალიან გეტკინება, მაგრამ შენ ვაჟკაცი მამის შვილი ხარ, ეს გახსოვდეს ყოველთვის, ყვირილი არ გიშველის, ექიმს ამით მხოლოდ ხელს შეუშლი. შეკარი ორივე ხელი მუშტებად, ტკივილის დროს მაგრად მოუჭირო და მოგეშვება“. ყველა გაოგნდება, ორივე ყურის ოპერაციისას ხმას არ ვიღებ (5 წლის ბავშვი). ასე გაგრძელდება მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე. მომინჯის არაერთხელ დაწის ქვეშ დანოლა და ყოველთვის ვაჟკაცურად ვიქცევი. ახლაც კი, სიბერეში, 74 წლის ასაკში, დავეცი და მთლიანად ჩამემსხვრა ბარძაყის ყელის ძვალი. ოპერაციის დროს (ზურგის ტვინის ანესთეზიით) ექიმებს ვეშაყრები, გაჭირვების ჟამს მამას ვიხსენებ და მშველის. ოპერაციის შემდეგ გადის სამი წელი, რამდენი ხანია ჯოხსაც კი გადავაგდებ და მშვენივრადაც დავდივარ.

ჩვენ, დაობლებულ ბავშვებს — დალის, ნიკოს და მე — გვპატრონობს ჩვენი ბიძა აკაკი ხორავა. 1938 წელს ზაფხულში ჩავგვსვამს ყველას საბარგო მანქანაში და წყნეთში წავიყვანს, ჩვენს მშობლებთან ერთად იქ დავგაბინავებს, მამიდა სოფიო რჩება ჩვენთან, დანარჩენები ბრუნდებიან თბილისში, მუშაობენ. ყოველ შაბათს დედა და ცაცა — მამიდაჩემი — ფეხით ამოდიან ჩვენთან წყნეთში. ერთხელ დედას ვეტყვი: „Я по пальчикам считаю дни, когда вернусь домой“. ამას რომ გაიგებს ჩემი პაპა სარდიონი, თურმე ამბობს, მეც ასევე ვითვლი დღეებს, როდის ჩამოვლენ, ძალიან მოვიწყინეთო.

პაპა სარდიონი განსაკუთრებული პიროვნებაა. დისერტაციის დაცვის შემდეგ მას შეუძლია მშვიდად იცხოვროს თბილისში, კლინიკაში იმუშაოს, მაგრამ არა, სადაც გაჭირვებაა — იქ არის. მაგალითად, ლენინკანშია ხოლერაზე, მა-

ცა იქ დაიბადება და სასწრაფოდ ბრუნდებიან თბილისში. ხან სადაა და ხან სად. საბოლოოდ, მამასთან და ტატასთან ერთად ამიერკავკასიის დივიზიაშია (ფრონტზე) — ქირურგად. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ აღარ მუშაობს, სახლში აქვს მიღება, კარზე აბრაა გაკრული. ეს აბრაა მაქვს შენახული. ბოლო წლებში სახლში ფუსფუსებს. სადილის კეთება მისი პრეროგატივაა. როდესაც რამეს ამზადებს, დანას სკალპელივით ხმარობს. თევზს ფატრავს, იფიქრებ, ადამიანის ოპერაციაა, ნაზად, ლამაზად აკეთებს ყოველივეს. ლანგარზე აუცილებლად აწყობს, ისე, რომ ხელი ხლევა არ მოგინდება. არა აქვს მნიშვნელობა, სტუმარია თუ მარტო ჩვენ ვართ. წერილები მაქვს ფრონტიდან პაპასი და ფრონტზე საშიკოსი. პაპა რუსულად სწერს, ბებო უმეტესად ქართულად პასუხობს. იფიქრებ, რუსული არ იცისო. რამდენიმე წერილია, ისეთი რუსულით დანერილი — შეგშურდება. ეტყობა თავისი პრინციპები აქვს ბებოს.

1940 წელს უცებ გარდაიცვლება პაპა სარდიონი (კენჭის გავლით). უკეთილესი მეგობარი (და არა პაპა) დაკარგე, მზრუნველი, ალერსიანი, მოსიყვარულე, საათობით ვუზივარ კალთაში და მისი თეთრი წვერისაგან ნაწნავებს ვწნავ, საოცარი მოთმინებით, ჩუმიად ზის. უმძიმესი ცხოვრების გზას ტანჯვით, უსამართლოდ გაივლის. სიბერეში შვილებით და შვილიშვილებით ტკებება, მაგრამ განგება ამას არ აცლის, სიკვდილის წინ რა დარტყმას მიიღებს: მის ბიჭს — საამაყოს, უსაყვარლესს, ულამაზესს — ბანდიტი კომუნისტები წარბეზრებულად კლავენ, ხელი როგორ არ აუკანკალდებათ, ასეთ ვაჟკაცს უმონყალოდ რომ ესვრიან. რა უნდა ინამოს ადამიანმა ამის შემდეგ, როცა უკეთილშობილესი პიროვნებები ასეთი უსამართლობით, ტანჯვით ტოვებენ ნუთისოფელს? ალბათ არაფერი...

ერთი წლის შემდეგ ბებია საშიკოს სისხლი ჩაექცევა, მაგრამ გონზეა. დედაჩემი სულ უკითხავს „მამას წერილებს“, არ ვიციტ სჯერა? ერთ თვეში ისიც იღუპება.

41 წლის მაისში დედა და ბებია ქეთევანი მიდიან ციმბირში სამი საათით დეიდა ელენესთან შესახვედრად. რა არ ჩააქვთ აქედან, განსაკუთრებით იქ დაბადებული პატარა ბავშვებისათვის, რომლებიც ციხის ზოის გარდა სხვა არაფერს ხედავენ. ჩვენები გზაში არიან 1 თვეს. ადგილზე ჩასვლისას მათ დააბინავებენ ტყეში მეტყევეებთან, მეორე დღეს სალამოს აქვთ შეხვედრა, აქვე, 1 საათით. დილით ადრე 6 საათზე მეტყევე აჩვენებს — საკმაოდ შორს ჩანს თუ როგორ მიჰყავთ ქალები ტყეში სამუშაოზე. მწკრივებად, მწკრივში 10-10, გარშემო დაცვა, თოფიანი ჯარისკაცები, გერმანული ჯიშის ძაღლებით, საშინელი სანახავია (გერმანელი ფაშისტები თუ საბჭოთა კომუნისტები — იდენტურნი არიან), ან რისი ეშინიათ? სად უნდა გაიქცნენ ეს უმწეო ქალები? თუ როგორი იყო ეს შეხვედრა 3 დღის განმავლობაში თითო საათით, ისედაც გასაგებია. ელენე ყვება თუ როგორ უხარიათ ბავშვებს საჩუქრები, განსაკუთრებით ააღელვათ სამი გოჭის ზღაპარმა. გოჭებს კისერზე ეფვანი აქვთ. მორბის ბავშვი ყვირილით: „мама, мама посмотри поросенок с отбоем на шее“.

დედა და ბებია დაბრუნდებიან 1941 წლის 10 ივნისს თბილისში, ათი დღის შემდეგ იწყება მეორე მსოფლიო ომი, რომ არ მოეხროთ ჩამოსვლა... ამის წარმოდგენაც კი მზარავს.

— გიორგი (იურა) ულამაზესი და უნიჭიერესი. იურა და ნინა თავის ძმასთან და ბიძასთან (ლადოს უფროსი შვილია შალვა, იურისტი) ერთად სახლდებიან ჩვენთან. დეიდა ვარია და მისი მეუღლე — ესტატე ინასარიძე (ექიმია) ჩვენთან არი-

ან. ვარიას და იურას სულ დაყვავარ სპექტაკლებზე (გრიბოედოვის თეატრში, გრიბოედოვებთან ერთად ჩანაცვლებით გამოდიან). იურა ჩვენი თბილისის გოგონების კუმირია, გარეთ ნივილ-კივილით ელოდებიან, მე კი გვერდით ამაყად მივყვები და მიხარია. ომი მთავრდება, ჩვენები მოსკოვში ბრუნდებიან, იურას „მხატმი“ მიიღებენ. ამ დროს საშინელება ხდება, მას ემართება ენდოკარდიტი და უეცრად ემბოლიით იღუპება, 29 წლისა. ამ მომენტში მეც იგივე დიაგნოზით — ენდოკარდიტით ვხდები ავად. გაუბედურებულები (მოსკოვში) ჩემს ამბავს რომ გაიგებენ, დეპემა დეპემაზე მოდის და წერილი წერილზე. ჩემი ბიძაშვილი ლადო (შალვას შვილია და დედაჩემის ნათელი) არქიტექტორია, ამავე დროს კარგი სპორტსმენიცაა, ყოველ დღით 6 საათზე მირბის უძოზე (გაზაფხულია), იქიდან რომ ბრუნდება, ჩემთან შემოირბენს და მოაქვს დიდი თაიგულები მინდვრის ყვავილების, ყაყაჩოები, გვირილები და სხვა. ყოველდღე ჩემი ოთახი ყვავილებით ივსება, ვნეწარ და აკაკი მოსკოვშია, სასწრაფოდ შოულობს 3 მილიონ პენცილინს და გვიგზავნის დეპეზას: „ვიშოვე 3 მილიონი, დახვდით ამა და ამ თვითმფრინავს“.

ქალაქში ჭორი ვრცელდება, ხორავამ 3 მილიონი ფული გამოუგზავნაო, თბილისი თბილისად რჩება. მე რამდენიმე თვეს ავადმყოფობ. სკოლიდან გამომიყვანენ, ერთ წელს ვისვენებ. შემდეგ ძია აკაკი დამიქირავებს პედაგოგებს ძირითად საგნებში: ქართული, ფიზიკა, ინგლისური, დანარჩენს თვითონ ვეუფლები.

1950 წელს ექსტერნად ვამთავრებ სკოლას და იმავე წელს ჩავირიცხები უნივერსიტეტის ბიოლოგიურ ფაკულტეტზე.

ბრუნდება დედაჩემი ელენე ციმბირიდან; გამხდარი, ლანდი გასდის, ხელზე უკიდია პატარა ტომარა პურის ნამცეცებით. მე სულ მიჩინებ: „არასდროს გადაყარო პურის ნამცეცებით“.

ციმბირიდან ჩამოსულ „ცოლებს“ უფლება აქვთ იცხოვრონ, მხოლოდ დედაქალაქიდან 100 კმ-ის დაშორებით, რის გამოც ჩეკისტები თავს არ „მოგვანატრებენ“, ხშირად გვეწვევიან ხოლმე ელენეს „მოსანახულებლად“. 1952 წელს მას გამოიძახებენ „სადაც ჯერ არს“, გადაუხაზავენ პასპორტს — მოსთხოვენ 10 დღეში დატოვოს დედაქალაქი. ჩვენი ახლო ნათესავი გოგი ჯანდიერი მუშაობს გორში, იქ რალაც კომბინატი შენდება (ალარ მახსოვს), ის ამას ხელმძღვანელობს, ელენეს აიყვანს მთავარ ეკონომისტად (ციმბირიდან ჩამოსვლის შემდეგ ელენე თბილისში, სულ მუშაობს თავისი სპეციალობით, მაგრამ რომ არა აქვს უფლება დედაქალაქში ცხოვრებისა, ხშირად დიდი უსიამოვნება შეხვდება), საუწყებო ბინასაც აძლევენ, მეათე დღეს უკვე გორშია, მოეწყობა. ბებია ქეთევანიც მასთან ჩადის და ერთად ცხოვრობენ. გადის 10 დღე, მე ავად ვარ გრიპით, ღამეა, უცებ ისეთი კაკუნია ეზოს მხრიდან, კარს კინალამ ჩამოიღებენ (საერთოდ, ჩეკისტები ყოველთვის ეზოდან ამოდიან), მთელი მეზობლები გამოცვივდებიან. შემოვარდება სამი ჩეკისტი, სტაცებენ დედაჩემს ხელს (ხალათის ჩაცმას ძლივს ასწრებს) და მიათრევენ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ეს უკვე ბოლო წვეთია, ალარ შემოძლია და ვინყებ ტირილს (ალბათ დიდი სიცხის გამო). აქ უკვე ბებიაჩემიც ხმას ამოიღებს: „რამ გაგამხეცათ ასე, ბანდიტებს ხომ არ იჭერთ, რალა გინდათ ჩვენგან“. „ჩვენ დავიჭირეთ ელენე ვაჩნაძეო“. დედა ცდილობს აუხსნას, მე მარიამი ვარ და ახლა ალექსი-მესხიშვილის გვარზე ვარო. ელენე გორშია, არაფერი არ ჭრის, სახლის რწმუნებულს აღვიძებენ, ნახავენ საბუთს ელენეს ამონერის შესახებ. ძლივს იშორებენ თავიდან. დედა ძალიან შეწუხებული ამოდის სახლში. სადარბაზოსთან დგას შავი მანქანა („ყვავს“ ეძახიან), გულგახეთქილი ქალებით სავსე. გადასახლება არ აკმარეს ამ უდანაშაულო ადამიანებს მხეცებმა და ახლაც მასხრად იგდებენ და ანიოკებენ.

ამ დროიდან ყოველ შაბათს და კვირას გორის მატარებელში ვარ, შაბათს — აქედან, კვირას — იქიდან.

ბატონო რედაქტორო,
„ჩვენი მწერლობის“ მოყვარული, ერთგული მკითხველი — ბათუმელი სტუდენტი გნერტ. 2012 წლის ჟურნალის მე-3 ნომერში დაბეჭდილმა სტატიამ ნაცის გატყევა და წერილის ჟურნალზე მითითებული ფოსტის მისამართზე გამოგზავნა გადაამწყვეტინა.
 მიუხედავად ტექნიკური პროგრესისა, ინფორმაციის მოზღვავებასა და მოპოვების გაადვილებას რომ გულისხმობს, სულაც არ გახლავთ ადვილი საწაღმართო იდეალების მქონე პერიოდული გამოცემის მოხელთება. ალბათ ამიტომაც ჩვენს ქალაქშიაც ასეთი მოუთმენლობით რომ ველით თქვენს ჟურნალს.
 ამჯერად ვეცდები ის აღტაცება გაგიზიაროთ **ზურაბ ხასაიას** წერილმა **„დემოკრატიის სიცრუე“** რომ განმაცდევინა. არ დავმალავ, პირველი თავის ნაკითხვა, „ორპალატიან ჯოჯოხეთზე“ რომ მოგვითხრობს, ჩემთვის სამყაროს ამოყიარებას უფრო ჰგავდა... მიზეზი კი ჩემი თაობის მკითხველს კარგად მოეხსენება: ჩვენ ხომ დემოკრატიის გამკერპებული ეპოქის შვილები ვართ და რობაქიძის ემიგრაციიდან მოწვენილი ხმა „დემონოკრატია“ რომ რაცხება მას, მხოლოდ წითელი ტერორის საუკუნეზე გავრცელებული შეფასება გვგონია. გულწრფელად გეტყვით, ძნელი იქნება ჩვენი საოცნებო, თვალისმომჭრელი ბომონის ასე ერთბაშად გაცამტვერებაც.
 წერილი სუნთქვაშეკრულმა ჩავიკითხე და, როცა გონება დაინმინდა, ავტორის ნააზრვეი კვაზიკულტურული, სნობური, გლობალისტური საფრთხეების, მექანიკური, დინებასმინდობილი ცნობიერების შერყევის მცდელობად მომეჩვენა.
 ფოტოდან აკადემიური გარეგნობის ადამიანი შემოგვცქერის, ვინც წონასწორობის შემოქმედებით წვაში პოვნას უნდა იყოს ჩვეული და ისე ერთბაშად ხდება ეს პიროვნება ჩვენი ნაწილი, ვებდავ თხოვნით მოგმართოთ. ბატონო როსტომ, იქნებ უკეთ გავგაცნოთ ბატონი ზურაბი. ის ხომ იმ რანგის მოაზროვნეა, ვისაც თავისუფლად შეეძლო სხვა ჟანრშიც ნარმატებით ეცადა კალამი. შესაძლოა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა. როგორი სიამოვნება იქნებოდა მისი ლექციების მოსმენა. ვფიქრობ, სტატიების გამოქვეყნების შემდეგ მკითხველში დიდი ინტერესი და მოლოდინი უნდა გაჩენილიყო. მაღლიანი საქმეა და გილოცავთ ამგვარი მოაზროვნის აღმოჩენას. იქნებ მომავალშიც დაუთმოთ მის წერილებს ჟურნალის ფურცლებში.
 ბატონ ზურაბს ერთი რიგითი მკითხველის პატივისცემას ვუდასტურებ. რასაკვირველია არამარტო ამ წერილისათვის, „ჩვენს მწერლობაში“ დაბეჭდილი სხვა პუბლიკაციებიც მახსოვს: **პესიმისმის მაღლობელი (შოპენჰაუერი)**, 2009 წელი, №15, **აკუტავავას ტრაგედია**, 2010 წელი, №3, **შალვა ნუცუბიძე**, 2010 წელი, №24. **ფიცხი კოლხი**, 2011 წელი, №25. გამუდმებით რომ ვისაჭიროებ და შთაბეჭდილებები მეგობრებისთვისაც მრავალგზის გამოზიარებია.
 მაღლობა სიტყვისთვის, რომელიც ჩვენს გონებას აცოცხლებს და ამ ბურუსიანი საუკუნის ლაბირინთებში გზის გასაგნებად გვეიმედება. არ გეგონოთ, სწორი გზით სიარულის სწავლებისათვის, სულიერი საზრდოს მოწოდებისათვის გულგრილნი დაგვრჩეთ.

თაონა გომიტიჩია

რისმაც გორდებინა

თითქოს ორიბინალს კითხულობდეთ და არა თარგმანს

პლუტარქოსი, მორალიები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო ნანა ტონიამ, ლოგოსი, თბილისი 2011

თანამედროვე მკითხველი ახ. წ. I-II საუკუნეების პოპულარულ ბერძენ ავტორს, პლუტარქოსს იცნობს უპირველეს ყოვლისა შესანიშნავი „პარალელური ბიოგრაფიების“ წყალობით, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულად გასულ საუკუნეში თვალსაჩინო მეცნიერმა აკაკი ურუშაძემ თარგმნა. მკითხველისათვის ნაკლებადაა ცნობილი პლუტარქოსის „მორალიები“, ეთიკურ, ფილოსოფიურ, პრაქტიკულ-აღმზრდელობით პრობლემატიკაზე შექმნილი ნაშრომების ვრცელი კრებული. ამ ოპუსის 80-მდე თხზულებიდან ანტიკური კულტურის ცნობილმა მკვლევარმა და ბერძნულ-რომაული პოეზიის (საპფო, ალკეოსი, პინდაროსი, ოვიდიუსი) გამორჩეულმა მთარგმნელმა პროფესორმა ნანა ტონიამ შეარჩია რამდენიმე თხზულება და ამჯერად ჩვენს აუდიტორიას შესთავაზა ანტიკური პროზის დიდოსტატის უმაღლეს დონეზე შესრულებული თარგმანი.

არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ პლუტარქოსის თხზულებები, ფაქტობრივად, ანტიკური კულტურის საკმაოდ სრულ, დიდი მხატვრული ღირსებებით გამორჩეულ ენციკლოპედიას წარმოადგენს. ისინი საუკუნეების განმავლობაში და დღესაც მდიდარ საზრდოს აძლევენ მეცნიერებს ანტიკური სამყაროს ისტორიაზე მსჯელობისას, ხოლო მწერლებს — ინსპირაციას კაცობრიობის ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა და ფიგურების მხატვრულად ხორცშესხმისას.

სწორედ ამიტომ პლუტარქოსის თხზულებათა თარგმნისას საჭიროა ორი პრინციპის ურთიერთშეხამება: მეცნიერული სიზუსტისა და ბელეტრისტული სილალის.

ნანა ტონია ორივე ამ პრინციპს ზედმიწევნით კარგად იცავს. ქართულად ამეცყველებული მორალიები სიამოვნებით იკითხება და საესებით სიამოვნოა მეცნიერული აკრიზიის თვალსაზრისით. მთარგმნელმა გამოსაცემად შეარჩია „შვიდი ბრძენკაცის ნადიმი“, და აპოფთეგმათა მთელი წყება: „მეფეთა და მთავარსარდალთა აპოფთეგმები“, „სპარტელ კაცთა აპოფთეგმები“, „უცნობ სპარტელ კაცთა აპოფთეგმები“, „სპარტელ ქალთა აპოფთეგმები“, „უცნობ სპარტელ ქალთა აპოფთეგმები“.


მთარგმნელის წინათქმა, ლაკონიური და ტევადი განმარტებები თითოეული თხზულებისათვის და ტექსტებში დადასტურებულ უმნიშვნე-

ლოვანეს ტერმინთა განმარტებები მკითხველს შესაძლებლობას ანიჭებს, სრული წარმოდგენა შეიქმნას ბერძენ ავტორსა და მის თხზულებებში დადასტურებულ ფიგურებზე, მოვლენებსა თუ ტერმინებზე.

სიმპოსიონი, რომელიც სიტყვასიტყვით, „ერთად მას“ ნიშნავს, ანტიკური ბერძნული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. აქ ბერძნულმა გენიამ კიდევ ერთხელ გამოავლინა საკუთარი შესაძლებლობა, ყველაზე უფრო ტრადიციული ჩვევისათვის ნოვატორული სული შთაებერა. მრავალი ხალხისათვის იყო დამახასიათებელი ნადიმების მოწყობა, რომლებიც, ჩვეულებრივ, საქეიფო სტიქიის მეუფებას გვთავაზობდნენ. ბერძნებმა ამგვარ თავყრილობებზე ჯერ პოეტურ და მუსიკალურ ნაწარმოებთა მოსმენისა და განხილვის როლი გაზარდეს, ხოლო შემდეგ კი სიმპოსიონები, ფილოსოფიური აზროვნების განვითარების კვალდაკვალ, ინტელექტუალებისათვის განყენებულ ფილოსოფიურ თემებზე მსჯელობის ასპარეზად აქციეს. ამან ასახვა ჰპოვა ბერძენ ავტორთა თხზულებებში ე. წ. სიმპოსიასტიკური ჟანრის აღმავლობაში. საუკუნეების განმავლობაში შეიქმნა მრავალი თხზულება, რომლის ამ ჟანრისადმი კუთვნილებაზე მათ სახელწოდებებში სიტყვა „სიმპოსიონის“ გამოყენება მიგვითითებს. საუკეთესო მაგალითად ამ თვალსაზრისით პლატონის სიმპოსიონი გამოდგებოდა, რომელიც მონადიმეთა ფილოსოფიური საუბრის მხატვრულად გადმოცემის ჭეშმარიტ შედეგად გვევლინება.

ბუნებრივია, როდესაც პლუტარქოსმა ამ ჟანრს მიმართა, მის წინაშე იდგა ტრადიციული ფორმისა და ნოვატორული ელემენტების ურთიერთშეხამების საკითხი. მან მონახა საკმაოდ საინტერესო გზა: სასაუბროდ ერთმანეთს შეახვედრა შვიდი ბრძენი. უკვე პლატონი იცნობს მათი ერთმანეთთან შეხვედრის ფაქტს, „პროტაგორასში“ ეს დელფოსში ხდება, სადაც შვიდმა ბრძენმა თავი მოიყარა, რათა მათი სიბრძნის ერთობლივი ნიმუშები აპოლონის ტაძრისათვის მიეძღვნათ, კერძოდ, „შეიცანით თავი შენი“ და „არაფერი გადამეტებით“. ბერძნული ტრადიციის მიხედვით, ამ ცერემონიის შემდეგ კორინთოსის ძლევა მოსილმა ტირანმა, პერიანდროსმა, ისინი თავისთან მიიწვია.

პლუტარქოსმა გამოიყენა ეს ცნობები და შექმნა თავისი ვარიანტი შვიდი ბრძენკაცის სიმპოსიონისა. ბრძენთა პლატონთან მოცემულ ნუსხაში პლუტარქოსს მხოლოდ ერთი ცვლილება შეაქვს. მისონ ქენეელის ნაცვლად მასთან სკვითი ანა-



ქარსის ფიგურირებს. ბრძენკაცთა და-სი მასთან ამგვარად წარმოგვიდგება: თალესი, ბიასი, პიტაკოსი, სოლონი, ქი-ლონი, კლეობულოსი, ანაქარსისი. წარ-მოსახვითი სიმპოსიონისათვის დამატე-ბითი ინტრიგის მისაცემად მოქმედებაში იგი ნავკრატისელ ნილოქსენოსს და ცნობილ მეიგავეს ესოპოსს, ხოლო მეტი ინტიმის შემოსატანად სუსტი სქესის ნა-მომადგენლო, მელისას და ვემეტისს რთავს.

რაზე მსჯელობენ ბრძენკაცნი? უპირველეს ყოვლისა იმაზე, თუ როგო-რი უნდა იყოს ღირსეული მბრძანებელი. ეს თემა კორინთოსის მმართველისათ-ვის ერთობ აქტუალური იყო. ტირანი პე-რიანდროსი ხომ იმდენად გამორჩეული გახლდათ თავისი სიბრძნით, რომ ბრძენ-კაცთა შვიდეულების ზოგიერთ ნუსხაში ისიც შეჰყავდათ. პლუტარქოსი კარგად იცნობდა ამ საკითხზე ყველა იმ მოაზროვნის თვალსაზრისს, რომლებიც ბრძენთა შვიდე-ულის შემდეგ მოღვაწეობდნენ. ამიტომაც მისი თხზულებ-ბის პერსონაჟები ნებით თუ უნებლიედ ეხმიანებიან ხოლ-მე პლატონის, არისტოტელეს და სხვათა, მათ შორის თვით პლუტარქოსის, მოსაზრებებს. ამ თხზულების ნა-კითხვა, ვფიქრობ, XXI საუკუნის მმართველთათვისაც უაღრესად სასარგებლო იქნებოდა, რადგან იგი მრავალ ბრძნულ რჩევას შეიცავს, რომელთა გათვალისწინება სა-ხელმწიფო მანქანის ყველა მესაჭეს ესაჭიროება. თხზუ-ლების ერთ-ერთი პერსონაჟის სიტყვით რომ ვთქვათ, „მბრძანებელს მართებს იფიქროს არა მხოლოდ იმაზე, რაც ჟამიერია, არამედ უფრო იმაზე, რაც მარადიულია“.

ნანა ტონია კარგად ჩანდა ამ თხზულების საკმაოდ არაერთგვაროვან სტილს, რომელშიც ბრძნული და ლაკო-ნიური გამონათქვამები, დიალოგური და ნარატიული პა-საჟები ერთმანეთში მონაცვლეობენ. ქართული ტექსტი ლაღად და ბუნებრივად იკითხება, ისეთი შეგრძნება გე-უფლებათ, რომ თქვენს წინაშე ორიგინალია და არა თარ-გმანი.

ნიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა აპოფთეგმებს, ანტიკური ე.წ. გნომური ლიტერატურის ერთ-ერთ პოპუ-ლარულ სახეობას. ეს არის სხვადასხვა ეპოქის, ჯგუფის ადამიანთა, ცნობილ პიროვნებათა გამონათქვამები. პლუტარქოსისგან დაგვრჩა აპოფთეგმების სამი კრებუ-ლი: მეფეებისა და მთავარსარდლებისა, სპარტელი კაცე-ბის, სპარტელი ქალების. პირველ კრებულში წარმოდგე-ნილია სხვადასხვა ეპოქისა და რეგიონის უძლიერესთა ამა ქვეყნისა გამონათქვამები, რომლებიც მოცემულია მოკლე ამბის თუ ნოველის კონტექსტში, რაც მათ საოცარ დამაჯერებლობას ანიჭებს, ხოლო სტატუსი ამ გამონათ-ქვამების ავტორებისა ზრდის მათი მნიშვნელოვნების ხა-რისხს. შესაბამისად თითქმის ყოველი აპოფთეგმა შედგე-ბა ორი კომპონენტისაგან: სიტუაციური კონტექსტი ანუ იმ გარემოების მოკლე გადმოცემა თუ აღწერა, რომელ-შიც აღმოცენდა ციტატა, და თვით გამონათქვამი, მეტნი-ლად აფორისტიკული ხასიათისა.



ნანა ტონიამ ამ შემთხვევაშიც მშვე-ნივრად აულო ალლო აპოფთეგმების სპე-ციფიკურ სტილისტიკას, და ძველი სამყა-როს მეფეები და მთავარსარდლები ქარ-თულად აამეტყველა. იმდენად საინტერე-სო და მიმზიდველია თითოეული აპოფ-თეგმა, რომ ძნელია მათ შორის არჩევანი გააკეთო. დარწმუნებით შეიძლება ითქ-ვას, რომ თანამედროვე მკითხველს ისევე მოეწონება სპარსელთა მეფის კიროსის გამონათქვამი: „ვისაც საკუთარი თავის-თვის არ სურს სიკეთე, ის უნდა ვაიძუ-ლოთ, რომ სხვებისთვის აკეთოს სიკეთე: ხოლო განმგებლობის ღირსი არ არის ის, ვინც განსაგებელზე უკეთესი არ არის“, როგორც ათენელ ტირან პისისტრატოს-თან დაკავშირებული აპოფთეგმა: „ახალ-გაზრდა თრასიბულოსს უყვარდა პისის-ტრატოსის ქალიშვილი და გზად რომ შემოხვდა, ეამბორა.

ამაზე ერთობ განანწყენდა პისისტრატოსის ცოლი, ხოლო თავად პისისტრატოსმა თქვა: „თუკი დავსჯით მათ, ვისაც ვუყვარვართ, რაღა ვუყოთ მათ, ვისაც ვძულვართ?“ — და თრასიბულოსს მიათხოვა თავისი ასული“, ან ალექსანდრე მაკედონელთან დაკავშირებული აპოფთეგმა: „ალექსანდ-რეს მისივე მეგობარმა პერილოსმა ქალიშვილის გასამ-ზითვეზღად ფული სთხოვა. ალექსანდრემ მას 50 ტალან-ტონი შესთავაზა. „მეფეო, ათიც საკმარისია“, — თქვა პე-რილოსმა. ალექსანდრემ კი უპასუხა: „საკმარისია შენთ-ვის, რომ აილო, მაგრამ არ არის საკმარისი ჩემთვის, რომ გავცე“, ანდა კატონის პიროვნებისათვის ესოდენ დამახა-სიათებელი აპოფთეგმა: „დაათვალიერა რა მან ქანდაკებე-ბი, მრავლად რომ იყო აღმართული, თქვა: „ვისურვებდი, ხალხმა ის იკითხოს, რატომ არ ჩანსო კატონის ქანდაკება, ვიდრე ის, თუ რატომ აღუმართესო ქანდაკება“.

სპარტელთა მენტალიტეტის გასაცნობად საყუ-რადლებო ინფორმაციას გვანვდის სპარტელ კაცთა და სპარტელ ქალთა აპოფთეგმები. როგორც პლატონი შე-ნიშნავს, თვით ყველაზე არაენამჭყერი ლაკონელიც კი „უცბად, საუბრისას, ნებისმიერ მომენტში, ვითარცა კარ-გი მოისარი, იმგვარ ზუსტ, მოკლე და შეკუმშულ გამო-ნათქვამს სტყორცნის, რომ თანამოსაუბრე მასთან პატა-რა ბავშვად მოგეჩვენებათ. ეს თანაბრად ეხება კაცებსაც და ქალებსაც. ამ უკანასკნელთ სპარტაში განსაკუთრე-ბით დიდი უფლებები ჰქონდათ, რაზეც კარგად მეტყვე-ლებს ეს აპოფთეგმა: „როდესაც ვიდაც ათენელმა ქალმა ჰკითხა გორგოს: „რატომ მბრძანებლობთ თქვენ, სპარტე-ლი ქალები, ერთადერთი ვაჟკაცებზეო?“ მან უპასუხა: „ჩვენ ერთადერთი ვშობთ ვაჟკაცებს“.

სმირად აღნიშნავენ ხოლმე ანტიკურობის, მისგან კა-ცობრიობისათვის დატოვებული უდიდესი მემკვიდრეო-ბის მნიშვნელობას და ინსპირაციის ძალას. ამ ნიგნის გა-მოცემით ქართველ მკითხველს დიად ანტიკურ კულტუ-რასთან ზიარების და ძველების სიბრძნით ტკბობის კიდევ ერთი შესაძლებლობა ეძლევა, რისთვისაც ქალბატონ ნა-ნა ტონიას და საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსს“ გულ-წრფელი მადლობა ეკუთვნის.

ეკა ბუჯიაშვილი

„წყლით ქვანაცა გამოსხდინა“

„ჩვენ ვცხოვრობთ გარემოში, სადაც ქაოსი და კაკაფონია ჭარბობს და ასეთ დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შენარჩუნებას ნამდვილისა, ბუნებრივისა... ეს ნიშნავს, რომ არა მხოლოდ კულტურას ემსახურები, სახელმწიფოებრივ საქმესაც აკეთებ.“

ჩვენი დღევანდელი სტუმრები ქართულ სიმღერას თავის მადლს უნარჩუნებენ — **დავით არჩვაძე და მისი მემორაბი**, რომელთაგან თითოეულთან ცალ-ცალკე შეიძლება გვეკონდეს შეხვედრა და ასე გამოვაცხადოთ: **ლაშა ლლონტი** და მისი მეგობრები, დავით კიკაბიძე და მისი მეგობრები... რადგან ისინი საერთო საქმეს აკეთებენ და თითოეულს თავისი გამორჩეული ღვაწლი აქვს ამ საქმეში. შემოდგომაზე გამოვა „ქართული ხმების“ ალბომი და გვინდა ჩვენთან დიდი კონცერტიც გაიმართოს. ეს შეხვედრა კი დაე პრელუდია იყოს იმ კონცერტისა, — თქვა **როსტომ ჩხაიძემ** „ჩვენი მწერლობის“ სალონში გამართულ საღამოზე, სადაც ამჯერად დავით არჩვაძის სახელში მოექცა ამ ადამიანთა მოღვაწეობა, საზოგადოება კარგად რომ იცნობს და წარდგინებაც აღარ სჭირდებათ: **ლაშა ლლონტი, ნანა მესხი, დავით კიკაბიძე და „თბილისური კვარტეტის“ წევრები — თემო რიშაბაძე, ლუკა ანთიძე, ილია და დანი ბახუაშვილი** — ამ შეხვედრას სიმღერითაც რომ დაამშვენებენ და გამორჩეულადაც ჩაწერენ „ჩვენი მწერლობის“ სალონის ისტორიაში.

პრესრელიზს, რომელიც **იოსებ ჭუმბურიძემ** შეადგინა რედაქციის თხოვნით და ამ ნიმუშითაც წარმოჩნდა მისი ჟურნალისტური ოსტატობა, სიტყვის ფლობაცა და ფრაზის ჩვეული ლაკონიურობით მოქმედის უნარიც, პირდაპირ ვთავაზობთ მკითხველს.

ცნობისათვის

დავით არჩვაძე — მომღერალი, ანსამბლ „ქართული ხმების“ მეორე (შვილების) თაობის წევრი, რამდენიმე კვარტეტისა და ანსამბლის, ასევე საბავშვო სტუდიის ხელმძღვანელი, უკვე საკმაოდ პოპულარული საავტორო სიმღერების შემქმნელი;

„ქართული ხმების“ პირველი თაობა (მამები) საქართველოში იმდენად პოპულარულია, რომ ამაზე სიტყვის გაგრძელება აუცილებელი არ არის.

1996 წელს გაჩნდა იდეა, რომ შექმნილიყო შვილების ანსამბლი.

თავდაპირველად მას „უნივერსიტეტი“ დაერქვა. 2003 წელს კი ფილარმონიაში გამართულ კონცერტზე მამებმა სახელი „ქართული ხმები“ შვილებს ოფიციალურად გადაულოცეს.

იმთავითვე დაიბადა იდეა, რომ ანსამბლში შექმნილიყო „ოთხი დათოს კვარტეტი“:

- დავით არჩვაძე,
- დავით კიკაბიძე,
- დავით უგრელიძე,
- დავით ჭკუასელი.

მას შემდეგ, რაც დავით ჭკუასელი (თემურ ჭკუასელის ვაჟი) ამერიკაში წავიდა, კვარტეტს ძმები ზურაბ და გივი

ბაკურაძეები შეუერთდნენ. დღეს „ქართული ხმების“ კვარტეტის შემადგენლობა ასეთია:

- დავით არჩვაძე,
- დავით კიკაბიძე,
- ზურაბ ბაკურაძე,
- გივი ბაკურაძე.

დავით არჩვაძის მოღვაწეობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. ის ამის გარდა:

ა) ზურაბ ბაკურაძესთან ერთად ხელმძღვანელობს „ქართული ხმების საბავშვო სტუდიას“;

ბ) ხელმძღვანელობს თეატრალურ კვარტეტს, რომელიც 7-8 წელია, წარმატებით მოღვაწეობს და პოპულარობა მოიხვეჭა;

გ) ხელმძღვანელობს „თბილისურ კვარტეტს“, რომელიც ასევე წარმატებულია;

დ) ხელმძღვანელობს სამხატვრო აკადემიის ანსამბლს. აღსანიშნავია მისი

სოლოკარიერა

და

დუეტები

ცალკე უნდა გამოიყოს მისი **საავტორო სიმღერები**.

მართალია, უპრეტენზიოდ ამბობს, ჩემთვის ვწერო, მაგრამ ფაქტია, რომ ეს სიმღერები მსმენელმა შეიყვარა.

ერთ-ერთი საავტორო სიმღერით ის პირველი „პატრიოტის“ გამარჯვებულიც გახდა.

ეს არის „კურთხეული საქართველო“ (**მაკა ბლიაძის** ლექსზე).

უახლოესი გეგმები

2012 წლის შემოდგომაზე გამოვა დავით არჩვაძის ალბომი, რომელშიც შევა მხოლოდ მისი საავტორო სიმღერები — მხოლოდ „ქართული ხმების“ შესრულებით. ამასთან დაკავშირებით, დიდ კონცერტსაც გამართავს.

„დავით აღვრთოვანაუზლი“

თამრიკო ჭოხონელიძეს დაურქმევია მისთვის და ამგვარად გამოუხატავს თავისი დამოკიდებულებაც დავით არჩვაძისადმი და მისი ბუნებაც.

ლაშა ლლონტი კი, ვისთანაც არაჩვეულებრივი ტანდემი შედგა მომღერლისა და კომპოზიტორისა, ასე ახასიათებს მას:

— დათოს ყველაზე დიდი ნიჭი უბრალოება და უშუალობაა. ის ძალიან მაგონებს გოგი დოლიძეს. ყველგან ყოველთვის აგვიანებს, რადგან ვერავის ვერაფერზე უარს ვერ ეუბნება. ძალიან ცუდადაც რომ იმღერო კაცმა, ხომ იტყვის ვინმე, ან მეგობარი არ ჰყავს ან კეთილისმრჩეველიო?! დათო ის მეგობარია, რომელიც არაფრით არ გეტყვის ცუდს ერთი უბრალო მიზეზის გამო — არ უნდა ვინმეს გული ატკინოს.

მან ძალიან ბევრი საგალობელი და ფოლკლორული ნიმუში იცის და ამ ცოდნას სხვასაც უზიარებს. დგას ქართულ ფესვზე, ქართულ ტრადიციაზე და, ამავე დროს, თანამედროვეობასაც მისდევს ფესდაფეს.

ამიტომ... და კიდევ ბევრი რამის გამო მემამყება, რომ ასეთი მეგობარი მყავს.

ნანა მესხი კი, ულამაზესი ქალაქური სიმღერების ავტორი, ვისი „ფარვანაც“ გამორჩეულად შეიყვარა მსმენელმა და მეორე დღესვე იქცა ჰიტად, ამბობს, რომ დავით არჩვაძე გამორჩეული მოვლენაა თანამედროვე მუსიკის სფე-

როში და, ნიჭიერების გარდა, მას აქვს თვისება, რომლითაც ბევრი ვერ დაიკვებინის:

— რომ არა საოცარი უნარი გვერდში დგომისა, მისი ერთგულება და მხარდაჭერა, ბევრი ჩემი სიმღერა ასეთი პოპულარული ვერ იქნებოდა. იგი საერთოდ არ ფიქრობს იმაზე, რომ ვიღაც შეიძლება მისი კონკურენტი იყოს, უბრალოდ აკეთებს თავის საქმეს, აფასებს სხვის ნიჭიერებასაც, მიდის ყოველთვის წინ და ცდილობს გარშემომყოფნიც წაიყოლოს, დააკვალიანოს, გზა დაულოცოს... ამიტომაცაა, რომ იგი ყველას ერთნაირად უყვარს.

არა მხოლოდ პიროვნულად.

მსმენელმა განსაკუთრებულად შეიყვარა მისი სიმღერები, მათ შორის გამორჩეულად — „მონატრებისარ ფიქრებს“.

— ეს სიმღერა ღამის ოთხ საათზე დაიწერა, — გვიამბობს ლაშა ლლონტი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამას ხომ არ ეძინა, ნანა ცინცაძესაც არ ეძინა და შუალამისას დაურეკა დათომ ლექსისთვის.

ერთხელ, ისევ გვიან ღამით, მცხეთის გზაზე ეწვია მუზა.

შევეხმთან ნანას, ავედით მასთან და იქ შეიქმნა კიდევ ერთი კარგი სიმღერა.

ასეც ყოფილა: რაჭიდან დაურეკავს ქალბატონი ნანასთვის, მობილურით მოუსმენინებია მელოდია, მას კი ექსპრომტად დაუნერია ლექსი და მესიჯით გაუგზავნია.

თვითონ **დავით არჩვაძე**

ამბობს, რომ შეკვეთით სიმღერა არასოდეს დაუნერია. კი, ყოფილა ასეც — მიუციათ ლექსი, უთხოვიათ, შეექმნა სიმღერა, მას კი ხან ერთი თვე უტარებია, ხან მეტიც... და მერე, განწყობილების შესაბამისად, დაუნერია მუსიკა ამ ლექსისათვის.

— ჩვენ უბრალოდ გამტარები ვართ და ადამიანებს ვუზნაწილებთ იმას, რაც ღმერთმა გვაჩუქა.

კიდევ იმას ამბობს, რომ ამ საზოგადოებაში ყოფნას ძალიან დიდ პატივად მიიჩნევს, რადგან აქ ძალიან კარგად იციან იმ ყველაფრის ფასი, რაც ასე ღირებული უნდა იყოს ქართველი კაცისთვის.

საერთოდ კი მიიჩნევს, რომ ასეთ შეხვედრებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული სიმღერის გადასარჩენად. აკი **როსტომ ჩხეიძე** დაუდასტურებს:

— მითუმეტეს ისეთ რეალობაში, როგორშიც ვართ, ამას არამარტო ესთეტიკური, უთუოდ პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს და, რაც უფრო დიდია მნიშვნელობა, მით მეტია პასუხისმგებლობაც იმისა, რასაც ვაკეთებთ.

ამ შეხვედრებს ეს დატვირთვაც აქვს — არა მხოლოდ მოვისმინოთ სიმღერები, არამედ ჩვენი ხმაც შეგანით, რადგან საერთო საქმეს ვაკეთებთ — ჩვენ სიტყვით, თქვენ

სიმღერით. და ამიტომ შეძლებისდაგვარად ახლოს უნდა ვიყოთ ერთმანეთთან.

მოგვიანებით დავით არჩვაძე კიდევ ერთხელ რომ შეეხმიანება ამ თემას, იტყვის:

— არ ჯობია დღესვე დავუფასოთ ერთმანეთს ნიჭიცა და სიკარგეც, დღესვე გავიმეტოთ, პირისპირ ვუთხრათ ერთმეორეს საქებარი სიტყვა, თუკი ამას ვიმსახურებთ, და არა ოთახიდან გასვლის შემდეგ...

როსტომ ჩხეიძე კი:

— ოთახიდან გასვლას ვინ ჩივის, წუთისოფლიდან რომ გადაინ, მერეც ვერ იმეტებენ ხოლმე.



ლაშა ლლონტი და დავით არჩვაძე

მალე ახლანილი სიზმარი

ბავშვობისას ლაშა ლლონტი ბათუმში სტუმრად მყოფ გოგი დოლიძესთან მისულა და, ყველანაირი მორიდების გარეშე, თავისი თავყვანისცემა გაუზიარებია.

მას უთქვამს:

— მე ის კი არ მიხარია, ამას რომ მეუბნები, ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, შენ რომ ქართული სიმღერა გიყვარსო.

გავიდა წლები და ახლა უკვე თვითონ ზრდის ამ მიდგომით მომავალ თაობას და დავით არჩვაძის ყველაზე დიდ დამსახურებადაც იმას მიიჩნევს, რომ უამრავი პატარა მოაჯადოვა ქართული სიმღერის სიყვარულით.

— დათოსთვის მთავარი არ არის ის, რომ მღერის, გაცილებით მნიშვნელოვანია, ეს ყველაფერი მომავალ თაობას გაუზიაროს. რობერტ ბარძიმაშვილმა საქართველოს არაჩვეულებრივი ანსამბლები აჩუქა და ჰქონდა უნარი უმურველად და უანგაროდ დაენახა ნიჭიერება, მაგრამ თვითონ არც ქმნიდა მუსიკას და არც მღეროდა. სხვისი ნიჭიერების დანახვა კიდევ სხვა რამაა, სხვა ღირსება.

დავით არჩვაძე ის მომღერალია, რომელმაც თითქმის ყველა მივიწყებული სიმღერა იცის, ბევრ კომპოზიტორს უთქვამს: ეს სიმღერა არ მახსოვდა და დათომ გამახსენაო, — ამას **ნანა ცინცაძე** იტყვის, ნაგვიანევად რომ შემოუერთდება საღამოს: ქალაქიდან გასული ვიყავი და როცა გავიგე, ბიჭებს აქ ჰქონდათ შეხვედრა, მანქანა შუაგზიდან მოვებრუნე და მოვედი, რადგან არ შემეძლო მათ არ მოვფერებოდიო, — და დასძენს:

— ამ ყველაფერთან ერთად დათო ისეთ მუსიკას ქმნის, ისეთს...

ერთხელ ზვიად ბერიაშვილმა, პროფესიონალმა მუსიკოსმა, ამისხნა, რომ როცა ამა თუ იმ კომპოზიტორის სიმღერები გადაგაქვს საგანგებო სანოტო სისტემაზე, თითოეული თურმე გარკვეულ დეტონაციებს მოიცავს და ამ სისტემის შესაბამისად სწორდება. ჩემი გამოცდილებით, ერ-

თადერთი კომპოზიტორი, რომლის მუსიკასაც გასწორება არ სჭირდება, დათო არჩვაძეაო.

ოლონდ თვითონ ამას არასოდეს შეიმჩნევს. ძალიან თავმდაბალი და მოკრძალებული ადამიანია და ჩუმად აკეთებს საკუთარ საქმეს.

ამ მორიდებულ და თავმდაბალ ადამიანს წლების წინათ ერთი დიდი ოცნებისტოლა სიზმარი უნახავს — ვითომ „ქართულ ხმებთან“ ერთად ქეიფობდა.

მერე ეს სიზმარი, ქეიფიან-სიმღერიანად, ძალიან მალე აუხდა — ამბობს, რომ უფლის წყალობით. ამ ანსამბლის ერთ-ერთ კონცერტზე, შვილების თაობაც რომ წარდგა მსმენელის წინაშე, ბავშვობის მეგობარს მიხეილ ჯიბუტს დავით გოგოლაშვილისთვის (რობერტ გოგოლაშვილის ვაჟისთვის) ასე წარუდგენია:

— ეს ჩემი მეგობარი დავით არჩვაძეა და ხვალიდან ჩვენს ანსამბლში იმღერებსო.

იმ დამეს არ ეძინა.

ერთ ასეთ ღამეს დავით კიკაბიძესაც არ ეძინა.

მანამდე ის სულ სხვა სფეროში იყო ცნობილი — წარმატებული მკლავჭიდელი გახლდათ.

„ქართულ ხმებს“ პირველი ხმა რომ დასჭირდათ, დავით არჩვაძეს მიუყვანია მოსასმენად.

— „ვკეცე, ვკეცე, ვერ დავეცე“ ვამღერე და... დღესაც მახსოვს დავით აბესაძის განცვიფრებული სახე, კარი რომ შემოაღო და იკითხა: — ვინ არის, საიდან მოიყვანეთ?!

მას შემდეგ დავით კიკაბიძის მკლავჭიდელობა აღარავის ახსოვს...

სახელიცა და პოპულარობაც მამათა თაობამ ლანგრით მოგვართვა და ჩვენ ამ ყველაფერს თვალისჩინივით ვუფრთხილდებით, ვცდილობთ, ღირსეულად ვატაროთ ეს პატივი.

მოგა დრო, როცა ჩვენც გადავცემთ სახელს შვილების თაობას, მანამდე კი ვზრდით შესაფერის მემკვიდრეებს და ამ პასუხისმგებლობითაც ვაგრძელებთ მუშაობას.

მიდის და...

მიიკვლევს მტკიცე ნაბიჯებით

იტალიაში გასტროლისას ფესტივალის შემდეგ გამართულ ბანკეტზე ერთ-ერთ სასულიერო პირს ასეთი რამ უთქვამს:

— როცა მოვა დრო და იმქვეყნად წავალ, სამოთხეში შესვლისას პირველად რასაც გავიგონებ, ალბათ ქართული სიმღერა იქნება.

ეს ამბავი შეკრებაზე დავით კიკაბიძემ გაიხსენა, გაიხსენა მაშინ, როცა იოსებ ჭუმბურიძემ ასეთი რამ იკითხა:

— „ქართული ხმები“ ძალიან უყვართ საქართველოში. თავის დროზე გამიკვირდა კიდევ, როგორ დაითანხმეს შვილებმა მამები ამ სახელის დათმობაზე.

მართლაც, რა ფენომენია ქართული სიმღერა?

ხშირად გამიგონია, უცხოური სიმღერის შესრულება უფრო იოლია, ვიდრე ქართულისო. ზოგჯერ შემეშინდება ხოლმე, ეს ნაკლია ქართული სიმღერისა თუ ღირსება? ქართული ზმნისა არ იყოს, უცხოელებს არაერთხელ უთქვამთ, ძალიან რთულიაო. ასეთი შეხვედრები არ არის ადგილი, სადაც სიღრმისეულად განვიხილავთ მსგავს საკითხებს, მაგრამ იქნებ თქვენი აზრი გავგიზიაროთ?

დავით არჩვაძემ კი:

— ქართული ფოლკლორი, ქართული გალობა ისეთი სასწაულია, უფლის ხელი რომ ურევია, უფლის საჩუქარია ჩვენთვის — გამოგვარჩია ღმერთმა და ამ მაღლს გვაზიარა. რომელ ქვეყანაშიც უნდა წავიდეს თუნდაც ჩვეულებრივი — არა მაღალი რანგის — ანსამბლი, პრიზი აუცილებლად ჩამოაქვს. ეს ქართული სიმღერის სიღრმეზე მეტყველებს.

პირადად მე, როცა ვმღერი, მთელ სიცოცხლეს ვდებ მასში. მომღერალი ვერ იქნები, თუ თითოეულ სიტყვას, თითოეულ ბგერას არ განიცდი. დათო კიკაბიძეს უთქვამს: დარბაზში თუნდაც ერთი ადამიანი რომ იჯდეს და მთელი გულსყურით გისმენდეს, იმ ერთი ადამიანისთვის ღირს სიმღერაო.

„ქართულ ხმებს“ რაც შეეხება, ორი წელი გვეკონდა პირველ არხზე პროექტი „ქართული ხმები“ სიმღერის კვალდაკვალ“. თითქმის მთელი საქართველო შემოვიარეთ — ტრადიცია, იუმორი, სიმღერა... ყველგან სხვადასხვანაირი გვხვდებოდა. გურული სიმღერა ნათესავად არ ჰგავს კახურს, კახური — მეგრულს, მეგრული — აფხაზურს.... როცა ერთ პატარა ქვეყანაში ამდენი განსხვავებული ნიმუში არსებობს ფოლკლორისა, მართლაც დიდი საგანძურია.

ბევრი საბავშვო ანსამბლი მოღვაწეობს წარმატებულად და, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ამით შენარჩუნდება ეს ყველაფერი. დგას 5-6 წლის ბავშვი სცენაზე და იცის, რომ მას უნდა, იმღეროს ქართული სიმღერა და მშობელს არ მოუყვანია ყურით. ჩვენი სპექტაკლები მარტო სიმღერის გაკვეთილები არ არის. აქ ვსაუბრობთ ქართველობაზე, ტრადიციაზე, ჯანსაღ ურთიერთობებზე... იმ ღირებულებებზე, რომლებსაც ეყრდნობა ზოგადად ქართველი კაცის ბუნებაცა და ქართული სიმღერის ფენომენიც.

ეს ის ფენომენია, რომელსაც, ლაშა ლლონტის აზრით, ვერ გაათავისებ, თუ პიროვნება არ ხარ; ქართულ სიმღერას ვერ იმღერებ, თუ გვერდით მდგომი არ გიყვარს. მრავალხმიან სიმღერაში საკუთარი თავის წარმოჩენას თუ შეეცდები, სიმღერა მოკვდება. თუკი მსოფლიოში არსებობს ჯაზი, კლასიკური მუსიკა... იქვეა ქართული მუსიკაც, უბრალოდ თვითონ არ ვიცით, რა სიღრმეები აქვს მას. ამიტომაც ქართულ სიმღერასთან დილეტანტი არ უნდა მიუშვას, არაპროფესიონალი მას ვერ უნდა შეეხოს.

— იცვლება პოლიტიკური ნყობა, საზოგადოებრივი ფორმაციები, ხელისუფლებანი... იცვლება დრო და ღირებულებანიც იცვლება, ქართული სიმღერა კი ვითარდება ისე, რომ სულაც არ აინტერესებს ეს ყველაფერი, მიდის და მიიკვლევს თავის გზას... და ამას ვერაფერი შეცვლის, რადგან ის ძლიერია, მისი ნაბიჯები კი — მტკიცე.

ვისაც აქვს უნარი ქართული სიმღერა მოისმინოს, **ნოდარ მაგლობლიშვილის** აზრით, ბედნიერია, მაგრამ კიდევ უფრო ბედნიერია ადამიანი, რომელსაც მისი შესრულების ნიჭი აქვს.

— მთელი ცხოვრება ვფიქრობდი სიმღერაზე და მოლაპარაკე მსახიობი გამოვედი. მთელი ცხოვრება მინდოდა სიმღერის ნიჭი მქონოდა და მსმენელად დავრჩი, ამიტომ ძალიან ბედნიერი ადამიანი მგონია დავითი — ვის ცხოვრებასაც ყურადღებით ვადევნებ თვალს — რადგან შეუძლია თავისი უნარი სხვებს გადასცეს. ამიტომაც უყვართ განსაკუთრებით საქართველოში — სულიერების გამორჩეული მედროშეობის გამო. მახსოვს, მანქანა რომ მოიგო სატელევიზიო შოუში, ნამოვხტი, ისე გამიხარდა, ვიფიქრე, მე ხომ არ მოვიგე-მეთქი, მაგრამ მე რომ მომეგო, ალბათ ასე არ გამიხარდებოდა.

ბედნიერებაა ისიც, რომ ასეთი ხმები არსებობს საქართველოში. დღეს ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, როცა ქართულ სიტყვას ისეთი აქცენტით ამბობენ, არ იცი რას უსმენ — ქართულს, ინგლისურს თუ ფრანგულს.

რატომ უნდა ვთქვა მე, მაგალითად...

აქ ბატონი ნოდარი უცნაურ ბგერებს გამოსცემს, უცნაურივე აქცენტით და დიდი მსახიობის ოსტატობით, და ეს პატარა დეტალიც კიდევ ერთხელ შეახსენებს შეკრებილებს, რამხელა რანგის არტისტი დგას მათ წინაშე.

იცინის დარბაზი, მისი იუმორითაც მოხიბლული.

ლაშა ლლონტი კი:

— თქვენ ესეც შესანიშნავად გამოგდით, ბატონო ნოდარ!

სამი ამაპი იუმორით

იუმორი კი საერთოდ იმ საღამოს არ აკლდა, ქართული სიმღერის მაღალთან ერთად მოჩქევდა და სხვანაირ მუხტს სძენდა შეკრებას. გოგი დოლიძისა და ზაურ ბოლქვაძის შესახებ გვიამბობდა ლაშა ლლონტი, ჩინებულ მომღერლობასთან ერთად დეკლამაციის ნიჭითაც რომ გამოირჩევა თურმე.

„ქართული ხმები“ მღერიან ერთ-ერთ სუფრაზე.

ისე მღერიან, ანგრევენ ყველაფერს. ზის საზოგადოება — ასეთიც და ისეთიც, რაც უფრო ხმამალა მღერი, მით უფრო ხმამალა რომ ლაპარაკობს; შენ ცდილობ, ყველაფერი ჩადო სიმღერაში, ის კი ჩანგლით ნიგვზიან ბადრიჯანს ეტანება...

დათვრა ერთი სტუმარი და აჰყვა თავისი ფარშევანგის ხმით. თან ტექსტი იცის, ბოლომდე იცის და არ ჩერდება.

„ქართული ხმები“ კი მღერიან, აგუგუნებენ დარბაზს, ისე მღერიან, სიმღერასაც რომ ვეღარ დაარქმევ, რაღაც სხვა განზომილებაში რომ გადადის, უკვე რომ გეშინია სიმღერის, აი ისე მღერიან...

მიუტრიალდა ზაურ ბოლქვაძე და:

- პატარა ხმადაბლა რომ იმღერო, არ შეიძლება?
— კაი, გულში ვიმღერებ, — დაირცხვინა „ფარშევანგმა“.
გოგი დოლიძემ კი გადახედა და:
— შენ გულშიც არ იმღერო, გულს გეიფუჭებო.

ფოთში აქვთ კონცერტი „ქართულ ხმებს“. „რაფით“ მიდიან. გოგი დოლიძე ზის საჭესთან. ძალიან ცუდი გზებია, ის კი 120-ით მიჰქრის. ზაურს შეეშინდა:

- პატარა ნელა რომ იარო, გოგი, არ შეიძლება?
— რას ლაპარაკობ, ფოთში უნდა ჩავიდეთ, დავიბანოთ, გავიპარსოთ, გამოვიცვალოთ... — აღელდება გოგი.
ზაური კი:
— მერე მაგი ჩვენით რომ ვქნათ, არ შეიძლება?!

ერთ-ერთ მეგობარ ბიზნესმენთან აგარაკზე არიან ზაურ ბოლქვაძე და გურამ თამაზაშვილი.

დალია ერთი-ორი ჭიქა იმ ბიზნესმენმა და... გაიხსნა.

გაიხსნა და მოყვა ისეთი ამბები...

— ბავშვობის მეგობარი მყავდაო.

დავასახლე, დავასაქმე, ყველაფერი გავუკეთე, რაც შემიძლო, ათას ლარში მომატყუა.

ყველაფერი წავართვი, დაკვარგე და ამოვშალე მეხსიერებიდანო.

სხედან ესენი, ჩუმად უსმენენ. ის კი აგრძელებს:

— მეორე მეგობარიც მყავდაო.

ასევე ბავშვობისო.

ისიც დავასახლე, დავასაქმე... ყველაფერი გავუკეთე, რაც შემიძლო. 16 წლის ბავშვი შეაცდინა და იმასაც გადავუსვი ხაზიო...

ზაური გადახედავს გოგის და:

— ნევინიეთ ორი ადგილით წინ.

„ქართული გენია ხმაში განფენილი“

— უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები, როცა ვთქვი, რომ ასეთი საღამოები არ არის ის ადგილი, სადაც სიღრმისეულად განვიხილავთ ჩვენთვის მტკივნეულ საკითხებს, მაგრამ... იქ, სადაც მკაცრად ვხვდებით, ამის გარეშე ვერ გადავრჩებით — თქვა იოსებ ჭუმბურიძემ ქალბატონი მაკას გამოსვლის შემდეგ, ვინც ქართული სიმღერის, ქართული მრავალხმიანობის არსი საინტერესო ლიტერატურული თუ ბიბლიოთეკური ალუზიებით გახსნა და ძვლის მისტიკის ფონზე გამოკვეთა, როგორც თვითონ უწოდებს, „ქართული გენია ხმაში განფენილი“. აი ეს გამოსვლაც:

— ქართულ სიმღერას ვერ იმღერებ, თუ გვერდით მდგომი არ გიყვარსო — ლაშა ლლონტი ბრძანა.

ყველას გვახსოვს გრიგოლ რობაქიძის ფანტასტიკური ნერილი „ქართული გენია როკით განფენილი“.

სიმღერასთან დაკავშირებით კი ჩვენს ესეისტიკაში, სამწუხაროდ, არ მახსენდება ახსნა და შეფასება იმ გენიისა, რასაც ქართული სიმღერის ფენომენი ჰქვია.

არადა ჩინგიზ აიტმატოვის შესანიშნავმა რომანმა („საჯალათო კუნძი“), რომელიც ჩვენთან 90-იან წლებში ითარგმნა, პირადად ჩემი ყურადღება ამ კუთხითაც მიიქცია.

რომანის ერთ-ერთ თავს „ექვსი და მეშვიდე“ ჰქვია. ბოლშევიზმი მძინვარებს, პოლიტიკური ვენებათაღელვა პიკს აღწევს. 7 ქართველს გადაწყვეტილი აქვს დატოვოს ქვეყნის საზღვრები. სულისმოსათქმელად ტყის განაპირას შეისვენებენ. ნაიხემსებენ და იწყებენ სიმღერას, რომლის ღვთაებრივი შუქითაც ნათდება იქაურობა. უცხოელმა მწერალმა გამაოგნებელი სიღრმითა და სიყვარულით შექმნა მკითხველის თვალწინ მისტიკა. მღერის 7 კაცი. მღერის მათი ღირსება, სიმტკიცე, დარდი... უმღერიან ამ მიწას, ამ ზღვას, ამ ცასა და მზეს. მღერის ერთგულება, დროებითი განშორება და სიყვარული ქალისადმი, კაცისადმი, სამშობლოსადმი.

წამოდგება თუ არა მეშვიდე, გული რეჩხს იტყვის. არადა ცეცხლისთვის ფიჩხის შესამატებლად შედის ტყეში... იქიდან, ბნელი სიღრმიდან, სინათლეში ხოცავს ექვსივეს... თანამეინახეებს...

საოცარი, წინასწარმეტყველური მეტაფორა და გაფრთხილება მოგვცა თითქოს ქართველებს: როგორც ამ სიმღერის, ისე თქვენი ძალაც მხოლოდ ერთობაშიაო.

არც ის იყო შემთხვევითი, რომ ერთ-ერთი ცენტრალური რუსული გაზეთის ვრცელ ინტერვიუში, როცა ამ რომანზე საუბრობდნენ, მწერალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსაკუთრებით ქართველი კოლეგების აზრი აინტერესებდა „საჯალათო კუნძის“ შესახებ...

სწორედ ამ ღვთაებრივმა ჰანგებმა, ამ ერთობის სულმა, რასაც ჩვენ დღეს ამ დარბაზში ვისმენთ, გამახსენა ეს ყველაფერი. დათო არჩვადემ, თავის წარმატებებთან დაკავშირებით, არაერთხელ ახსენა სიტყვა უფალი. ამ სიტყვას იშვიათად ახსენებენ ხოლმე, განსაკუთრებით ე.წ. წარმატებული ადამიანები.

მართლაც, თუ არა უფლისაგან, რანაირად შეიძლება არსებობდეს ასეთი ძლიერი, უნიკალური ხმები, ასეთი საოცარი ხალხური სიმღერები, საგალობლები, რომელთა გავლენის ძალას უკვე მედიცინაშიც კი იყენებენ.

დიდი მაესტროს ნოდარ ანდლულაძის მოსაზრება: „უბედურებაა, რომ ჩვენ აღარა გვაქვს სიმღერა სკოლაში და ეს არის სიყრუის უმთავრესი ფესვი“ — ჩვენი საგანმანათლებლო სისტემისათვის დღემდე რჩება ხმად მალაღებლისა უდაბნოსა შინა. მის ლექციაზევე მოვკარი ყური საგანგებო ტერმინს „ძვლის კონტროლი“, რომელიც იქვე განმარტა კიდევ: ყველა დიდი მომღერალი მღეროდა ძვლიდან, საშუალოები კიდევ — ხორციდან. ძვალს თურმე საოცარი ვიბრაციების უნარი გააჩნია.

იქნებ ამიტომაც აღიარებს დავით წინასწარმეტყველი ერთ-ერთ საგალობელში — ჩემი ძვლებიც კვნესისო. ძვალს, ეტყობა, ბევრი რამის უნარი გააჩნია. აღმოჩენილია, რომ წმინდანობის ხარისხს, წმინდანი იყო თუ არა, ძვლის ფერიც განსაზღვრავდა. წმინდანის ძვლები თურმე ქარვისფერია. სხვათა შორის, ელიას მთაზე მდებარე სამების სახელობის ტაძარში, ვისაც უნახავს შიო მღვიმელის, ევსტათი მცხეთელისა თუ სხვა წმინდანთა ძვლის ნაწილები, მას არასოდეს დაავიწყდება ამ უცნაური ქარვისფერის ნათება. ბევრი რამ უკავშირდება ძვალს, მარტო სიტყვა ძვალთმესალაგი რად ღირს.

ძვლის სიმტიცე და სინმინდე უშუალოდ იგრძნობა ხალხურ სიმღერებში, ჩვენს საგალობლებში. ამიტომ ვფიქრობ, რომ მადლიან საქმეს აკეთებთ, როცა დღეს, ამ რთულ პერიოდში, თაობებში ნერგავთ და ახარებთ ჩვენს ხალხურ შემოქმედებას. ამ უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქვეყანაში განსაკუთრებით დღეს იგრძნობა, რომ წყალივით, პურივით, ჰაერივით მნიშვნელოვანია თქვენი საქმიანობა.

ისიც გამიხარდა, რომ თქვენს შორის არავის უთქვამს — ვაკეთებ მუსიკასო. კარგი მუსიკა, მაღალი მუსიკა იქმნება და არა კეთდება.

ბედნიერი დღე გვაჩუქეს ამ ადამიანებმა. როცა დავით კიკაბიძე მღერის — ადამიანი ბუღბუღი მგონია. ქართული ტაძრისა და ჩუქურთმის ხიბლი მის სისადავეშია. ლაშა ლლონტი სწორედ ასეთ ჩუქურთმას ძერწავს ხმით — ძალიან სადად, ზომიერად. გემოვნებასთან ერთად ეს გენეტიკური ნიჭიერებაცაა... ამიტომ კიდევ ერთხელ გამოვხატავთ მადლობას დათო არჩვადისა და მისი მეგობრების მისამართით. ამ არაჩვეულებრივი ადამიანებისადმი, რომელთაც ასე უყვართ და უფრთხილდებიან ჩვენს საგანძურს.

ნუთუაბი, რომლებიც უნდა შეაბროვო

მღერიან „თბილისური კვარტეტის“ წევრები დავით კიკაბიძესთან ერთად. „წინწყაროს“ ავღუენებენ, ყველას ხალხური რომ ჰგონია და ძალიან ბევრისთვის იყო აღმოჩენა, როცა დავით არჩვადემ თქვა, რომ „წინწყაროცა“ და „თუ ასე ტურფა იყავიც“ ანზორ ერქომაიშვილის დამუშავებული და შექმნილია ხალხურ მოტივებზე.

მერე **ნანა ცინცაძე** კითხულობს ლექსს მუსიკის ფონზე, მისთვის ჩვეული ექსტაზითა და ექსპრესიით. რაღაც განსაკუთრებულ ეშხში შედის საღამო.

მღერიან ქართული ხმები.

ცაში იჭრება დავით კიკაბიძის „პირველი“, ფეხდაფეხ მიჰყვება „მეორე“, ფრთხილად გადიგამოდის ბანი... მართლა ძვლამდე აღწევს მუსიკის შეგრძნებაცა და ქართული სიმღერის მაღლიც.

მღერიან...

ავღუენებენ...

უკვე ისე მღერიან, სიმღერის რომ გეშინია, სხვა განზომილება რომ ჰქვია...

მერე „მრავალუმიერით“ აწვევენ ჭერს და ასე გაასრულებენ საღამოს, ოღონდ ეს მერე...

ჯერ კი... ისეთი ნუთები იმარცვლება, ჟამსაბრუნავს რომ არ გადაჰყვებიან და პირდაპირ მარადიულობაში გადადიან... ასეთი ნუთები უნდა შეაგროვო და კიდევ იტყვი **ვაჟა ოთარაშვილი:**

— თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში არის წამები, წარსულსა და მომავალს შორის რომ რჩებიან მარადიულად.

მახსენდება 2009 წლის აგვისტო.

მარიამობა თენდებოდა. ამ ბიჭებთან ერთად პარხალის ხეობაში ვისხედით, მდინარის ნაპირას, სუფრასთან და ქართული სიმღერა არღვევდა სივრცეს.

სამოთხეში შესვლისას ალბათ ქართულ სიმღერას მოვისმენო, რომ უთქვამს იმ სასულიერო პირს, სწორედ ასეთი სამოთხე შექმნეს იქაც.

ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ტაო-კლარჯეთი დავიბრუნეთ იმ სიმღერებით, პარხალიც დავიბრუნეთ, შაქბერდიც...

და ამ განცდისთვის მიწა მადლობა ვუთხრა მათ.

სანამ ეს ხმები იქნება საქართველოში, სანამ ასეთი სიმღერა იარსებებს, ამ ქვეყანას ვერავინ წააქცევს.

სწორედ სიმღერის ძალა ათქმევინებს **ლია სტურუასაც**, ვინც თავისი გამოსვლით კიდევ შეკრავს საღამოს:

— სხვა დროსაც ხომ მისმენია თქვენთვის, მაგრამ დღეს რაღაც განსაკუთრებული სიამოვნება განვიცადე. მიწა გავიხსენო რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რა ძალა აქვს ქართულ სიმღერას — ტარიელის საძებნელად წასული ავთანდილი მიწაზე გადის და იწყებს სიმღერას.

რა ესოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან, მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან.

ვაჟა-ფშაველას — ერთადერთს მსოფლიოში — უთქვამს: — ხომ ვიცი, რომ ქვას ტვინი არა აქვს, მაგრამ ხომ ფიქრობსო.

ესეც რუსთაველისგან მოდის, რადგან მან ქვა გამოიყვანა წყლიდან და ქართული სიმღერა მოასმენინა.

რა თქმა უნდა, უფრო დიდი კონცერტები გქონიათ, გაცილებით დიდი აუდიტორიების წინაშე გამოსულხართ, ბევრი მსმენელი და თაყვანისმცემელიც გყავთ, მაგრამ დღეს ისეთი ინტიმური გარემო იყო, მგონია, რომ თქვენც განსაკუთრებულად დაიმუხტეთ, რაღაც სხვანაირი მადლით იმღერეთ, გამორჩეული საღამო გვაჩუქეთ.

...და ალბათ ქვაც რომ ყოფილიყო, ისიც სმენად იქცეოდა დღეს.

იოსებ ჭუმბურიძე

ნაწიქრალეზი

მინური ცაში

ამაოდ დაშვრენენ,
მათ, უგუნურთ,
ლაჟვარდი ჰგუბეს,
მე ხომ გითხარი,
ეგ ბილიკი ზეცას გაიარს...
დაადგი ფეხი გაბედულად
გაპენტილ ღრუბელს,
ფეხი დაადგი ღრუბლის ქულას,
ჩემო დაია...

— ასე მიმართავდა ანა კალანდაძეს მურმან ლებანიძე.

ქარო, მიუვალს კლდეზე დადგი
ჩემი მინური...
შენ მოგუგუნდი ხშირად
იმ კლდესთან
და მომიტანე
ფოთოლი ვერხვის...

— ამას ითხოვდა თვითონ ანა.

„მიუვალს კლდეზე“ არა, მაგრამ მთანმინდის ღვთიურ კალთაზე დაიდგა ანას „მინური“, რომელიც მერაბ ბერძენიშვილის მიერ მიტანილმა ვერხვის ფოთოლმა სამუდამოდ მოავარაყა.

აქ მშვიდად განისვენებს პოეტი-დედოფალი, ვინც უძვირფასესი მარგალიტები („ჩემი ზურმუხტი, ჩემი ძონი, ჩემი ბივრილი...“) შეჰმატა ქართული პოეზიის საგანძურს.

მაგრამ, რატომღაც, მშვიდად ვერ არიან ზოგიერთები — რაგინდ გასაკვირიც იყოს, ისეთებიც, ჭემმარიტი პოეზიის გემო და ყადრი კარგად რომ იციან.

ხანდახან სურვილი მიჩნდება, ისინი დავამშვიდო და ვუთხრა: თქვენ ანას „მინური“ მართლა დედამინაზე ხომ არ გეგულეებათ?! ანა „ნავიდა და ღრუბელს გაჰყვა ცადა“.

აკი ურჩევდა მურმანი (ლებანიძე), ფეხი დაადგი ღრუბლის ქულასო.

ჰოდა, ისიც ღრუბლებშია, გაპენტილ ღრუბლებში.

აკი ამბობს მეორე მურმანი (ჯგუბურია), ანა ერთადერთია, ვინც თავი დააღწია გალაკტიონსო.

ჰოდა, ისიც, გალაკტიონივით, „სივრცეებმა დააბინადრეს“ — მთლად გალაკტიონთან არა, რამდენიმე ღრუბელს აქეთ.

სამაკორდინი „კომპოზიტორები“

რამდენი გენიალური კომპოზიტორი ვიცით. ყველა — მამაკაცი.

გენიოსებს თავი დავანებოთ, საერთოდაც, მთელს მსოფლიოში იშვიათობაა ქალი კომპოზიტორი.

მთელს მსოფლიოში, საქართველოს გარდა!

ამ მაჩვენებლით („ერთ სულ მოსახლეზე ქალი კომპოზიტორების რაოდენობით“), ნამდვილად პირველ ადგილზე აღმოვჩნდებით.

საკმარისია, უნიჭო ტექსტზე რამდენიმე სიმღერა დაწეროს და უკვე კომპოზიტორია (!?).

თუნდაც კარგ ლექსებზე შექმნილი კარგი სიმღერები საკმარისია იმისთვის, რომ კომპოზიტორი ერქვას?

არც ოპერა, არც ბალეტი, არც სიმფონია, არც საფორტეპიანო ან სავიოლინო კონცერტი, არც სონატა, არც სუიტა და მანც კომპოზიტორი ჰქვია.

„ნავიდეს (აქ სხვა ზმნა უნდა ვიგულისხმოთ!) მაგისი სამაკორდინი სიმღერები!“ — მითხრა ვაჟა აზარაშვილმა ერთ-ერთ ასეთ „კომპოზიტორზე“.

გავიდა ორიოდე თვე და იმ „კომპოზიტორს“ ვარსკვლავი გაუხსნეს.

თვითონ ბატონ ვაჟას კი, მართლა კომპოზიტორს — მხოლოდ 3 წლის შემდეგ...

მნუხარება სხვისა თარგმანსა ზედა

თუ თარგმანი ასეთია, დედანი რაღა უნდა იყოს, ნუთუ უკეთესი შესაძლებელია? — ეს უნდა გაფიქრებინოს კარგმა პოეტურმა თარგმანმა.

ზუსტად ამას ვფიქრობ მაშინ, როცა იეჰუდა ჰალევის ლექსის („ჟამგადასული სიყვარულის საგალობელი“) ჯემალ აჯიაშვილისეულ თარგმანს ვკითხულობ:

როგორ ვგალობდი,
როგორ ვხარობდი,
შენი მინდვრით და
შენი წყაროთი
და სიყვარულის საბალნარომდი,
რა სასოებით მოვიჩქაროდი,
მოვიჩქაროდი,
მოვიჩქაროდი...

სულაც არ მიკვირს, ეს შურს რომ აღძრავს მათში, ვისი ხვავრიელი ნაჯახირევიც (თარგმნილიც და „ორიგინალურიც“) ამ ერთ სტროფად არ ღირს.

პერ გაუზიანა?!

თვალეზს არ ვუჯერებ: ჟურნალ „ლიბერალში“ ვკითხულობ სტატიას, სადაც ლაშა ბულაძე სოციალურ ქსელებში გამეფებულ უზნეობას უპირისპირდება.

მიხარია — სწორ გზაზე დამდგარა!

მაგრამ სიხარული ხანმოკლეა.

უცებ ვკითხულობ:

„ვერ გამიგია, რომელი სახეობის ვნებასთან გვაქვს საქმე, როცა „ფეისბუქში“ დედები შვილებს, ანკი ცოლები ქმრებს ყველას დასანახად უწერენ, მიყვარხარ და მომენატრეო“...

დედები — შვილებსო?!
ცოლები — ქმრებსო?!
და ვერ გაუგია?!

ენა და მარცხი

ყურებს არ ვუჯერებ: ის **დავით ტურაშვილი**, ვინც დავით გარეჯისთვის დამიზნებულ რუსულ ტყვეებს ქართულად მფეთქავ გულს უშვერდა, დღეს ტელევიზიით აცხადებს, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ენაზე ისაუბრებს ქეცბაია, ოღონდ საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვოსო.

ნუთუ შესაძლებელია, დათომ არ იცოდეს, რომ ასე საქართველოს ნაკრები ვერ გაიმარჯვებს?

ვიცი მისი ემოციურობის ამბავი — ამას ნაკრების ერთ-ერთი შემთხვევით მოგებული მატჩის შემდეგ, ცხელ გულზე ამბობს, მაგრამ მაინც არ უნდა ამბობდეს.

...ორიოდე დღის შემდეგ საქართველოს ნაკრები ისევ მარცხდება.

ვინაიდან...

ბორხესმა შერაკლიტეს უკვდავი სენტენციის („არავის ძალუძს ორჯერ შევიდეს ერთსა და იმავე მდინარეში“) გაგრძელება („ვინაიდან წყალნი შეიცვალნენ“) დაუნუნა — რაც ისედაც იგულისხმება, მისი ახსნა ზედმეტიაო.

საინტერესოა, რას იტყოდა ბორხესი, **ბესიკ ხარანაულის** ეს აზრი რომ წაეკითხა:

„**უცნაურია, როგორ არ ბერდებიან ძველი ფოტოები, პირიქით, რაც დრო გადის, უფრო ახალგაზრდადებიან, ეტყობა, ახალი თვალით რომ ვუყურებთ.**“

თუ დაეთანხმებოდა, ახსნას აქაც ზედმეტად მიიჩნევდა.

დაეთანხმებოდა?

გიორგი კვეკელიძის ამ სტრიქონებიდან კი საერთოდ არაფერს დატოვებდა:

„**ვაჟა-ფშაველაც სიზმარია. თვალთა ქვეყანას ესიზმრა და მაშინ, როცა არ ელოდა. და ვერ ჩახვდა ქვეყანა ნასიზმრეს, შეშინებულმა დილით წყალს მოუყვა და გააყოლა. მალე წყალი უკან მოუბრუნდა. მას მერე სულ ახსოვს და ვერ ამოუხსნია, ახსოვს და არ ითვალისწინებს**“ (ყურნ. „ტაბულა“, 87, 2012).

რაც გაუგებარია (თანაც ორიგინალურობის პრეტენზიით), ის ხომ მითუმეტეს არის ზედმეტი...

მკარხელოვა
„თავისუფალ ფრენაში“

„**მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის.**“ — ილიას ეს სიტყვები გამახსენდა ამას წინათ, როცა ხელში ჩამივარდა ჟურნალ „**საქართველოს ეკონომიკის**“ 2012 წლის პირველი ნომერი.

დიას, არსებობს ასეთი „ყოველთვიური საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი“, რომელსაც „**თავისუფალი ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტი**“ გამოსცემს. მის „სამეცნიერო რეკოლეგიაში“ ეკონომიკის დარგის 28 პროფესორი შედის.

ცხადია, ამ პროფილის „სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალის“ ანალიზს ვერ ვიკისრებ, თუმცა ძალიან რთულიც არ მგონია ასეთი „მეცნიერული“ მსჯელობის შეფასება:

„**ჩვენი ბაზარი მთლიანად გაჯერებულია ბრენდებით, რომლებიც გენერიულ ფორმებზე 3-4-ჯერ ძვირი ღირს. ექიმების 90%-ზე მეტი მაინც ბრენდებს ნიშნავენ. რატომ იქცევიან ექიმები ასე? ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს — პირველი — დღეს ექიმები არიან „თავისუფალ ფრენაში“, რასაც უნდათ იმას ნიშნავენ“.**

საკითხავია, რა უფრო ძნელი გასაგებია — რას „ნიშნავენ“ ექიმები, თუ რას ნიშნავს ეს აზდაუბდა...

და მაინც, ამ რეპლიკას სულ სხვა რამით გამოწვეული აღშფოთება მანერინებს: ჟურნალში სათაურების უმეტესობა (ქართული სიტყვები) ინგლისური შრიფტით (ლათინური ასოებით) არის დაბეჭდილი, თანაც ისე, რომ სიტყვები დაშლილ-დაფანტულია (?!).

ერთ-ერთ სტატიაში ჟურნალის მთავარი რედაქტორი (პროფესორი **ემზარ ჯგერენაია**) მოგვითხრობს, თუ როგორ ნახა სიზმარში სმიტი, მარქსი და ლინკოლნი, რომლებიც მსოფლიო კაპიტალიზმის დღევანდელ ბედზე მოთქვამდნენ.

ეტყობა, რედაქტორის ზემოხსენებული „მიგნებაც“ ერთ-ერთი სიზმრიდანაა.

სამწუხაროდ, მას არ ესიზმრება გრიგოლ ორბელიანი, ილია და იაკობი, რომლებიც ქართული ენის დღევანდელ ბედზე გოდევენ.

ეტყობა, ამ ჟურნალის შემქმნელებიც „თავისუფალ ფრენაში“ არიან და როგორც მოეპრიანებათ, ისე წერენ.

ეს ენის (ერისა და ქვეყნის!) ან შეგნებული მტრობაა, ანდა წარმოუდგენელი უგუნურება. ერთიც საშიშია და მეორეც.


განმკითხავი კი არავინაა?!

საბანაო-საფინანსო სექტორი

**mosaxl eobi s 70%-sTvis
samedi ci no momsaxureba
xel mi uwdomel ia**

ალექსანდრა
ლალიაშვილი

საქართველოში ჯანდაცვის სისტემის დეცენტრალიზაციის შიდათვლით პირველი ნაბიჯები 2006 წელს გადაიდგა, რის შედეგადაც სამედიცინო დაწესებულებებს დიდი ნაწილი კარსი სექტორში გადავიდა, სადაზღვეო კომპანიებმა კი, სახელმწიფო სადაზღვეო პროგრამის ფარგლებში, ბიუჯეტიდან მასშტა-



როსტომ ჩხეიძე

დარდი ფარული

IV. არჩევანი

შინ მობრუნებული პირველ ყოვლისა იმას გავიხსენებ, თუ როგორ მითხრა ძია გრიგოლმა: ლადო ასათიანის ეპიგრაამა თითქოს ჩემზე იყო დაწერილიო.

მამა არ დამიჯერებს:

– ახლა ეგ არ გინდა!..

ვირწმუნები, რომ ნამდვილად მითხრა.

– არ არის გრიშა მაგის მთქმელი... რალაც არასწორად გაიგე... მჯერა, რომ ტყუილს არ იტყვი, მაგრამ უნებურად გადააბამდი სხვადასხვა ნათქვამს. ან იმ წუთას დაგჩა ასეთი შთაბეჭდილება, ანდა მერე მოგეჩვენა, თითქოს იმ ეპიგრაამის პერსონაჟთან აიგივებდა თავს. თორემ აგერ ვახტანგსაც ვკითხავ...

ახსენებს თუ არა, კიდევ დარეკავს ტელეფონი – ვახტანგ ქელიძეს სჩვეოდა ყოველდღიური შეხმინება ოთარ ჩხეიძესთან, ხან დღეში ორ-სამჯერაც... და მამა ჩემს ნაამბობს რომ ამცნობდა, თან მე მომიბრუნდებოდა:

– აგერ, ვახტანგი სულაც იცინის, არ არის გრიშა მაგის მთქმელიო... მასაც ჩემსავით ჰგონია, რომ რალაც არასწორად გაიგე, რალაც მოგეჩვენა, უნებურად გადააბამი სხვადასხვა ფრაზები ერთმანეთს.

არადა, არამცთუ მაშინ, ახლაც, ამ წუთშიც თვალნათლივ შევეყურებ, როგორ მომმართავს:

– ასე მგონია, ჩემზე იყო დაწერილი!..

მზერაში უზომო სევდა ჩასდგომია.

ხმაში დარდი მოჟონავს

თან მე მომჩერებია, თან სადღაც გადაჰქრის მისი ფიქრი. მაგრამ იმასაც შევეყურებ, იჭვნულად რომ აქნევს მამა თავს.

და ვახტანგ ქელიძის სიცილიც ჩამესმის ყურში, მისეზური, გულიანი, წუთისოფლის ათასგვარ ხლართში გამოვლილი და დარდთა და გულისტკივილთა შემამსუბუქებელი.

ნარმოიდგენდა თავის მეგობარს, ვისთან მხარდამხარაც ენია მწერლობის ჭაპანი, და ვერა და ვერ დაიჯერებდა, გრიგოლ აბაშიძე უეცრად ასეთი განდობის გუნებაზე თუ დადგებოდა... თანაც ვისთან – ახალგაზრდა კაცთან, ვის თვალშიც რომანტიკული შარავანდით შემოსილიყო მისი სახე და ვითომ რატომ უნდა ჩამოეფხრინა თავისივე ხელით ეს შარავანდი?.. ჩამოეფხრინა თუ... სწორედაც პირიქით – გულის ასეთი გადახსნით მეტი ღირსებითაც განემსჭვალა?..

შორიდან ასეც შეიძლება აიხსნას ის უჩვეულო გულახდილობა, ფსიქოლოგიურად დამაჯერებელია ნლობით გულში ნაგროვები ნუხილისა და სინანულის გამჟღავნების წადილი, მაგრამ რეალურ ყოფაში როგორ გინდა ამოაცილო ბავსს?

ბოლოსდაბოლოს, სააღსარებოში ხომ არ დგახარ.

მაინც ამოეცილებინა.

რა ვქნა, ამოეცილებინა და...

ნუხილსა და სინანულს თავისით გადმოეხეთქა ნაპირები. და გულზეც მოეშვებოდა.

ყოველი აღმატებისას, ხელისუფლებისაგან ნაბოძები ყოველი წყალობისას, ეტყობა, თავისმართლება უწევდა მამისა და ძმის, ბიძისა და სიძის აჩრდილებთან, ნანამებ თანამოკალმეთა ლანდებთან, უღმერთო რბევა-ანოკების უამრავი მსხვერპლის გოდება ჩაესმოდა ყურში... და მისი სულიერების პიროვნებისათვის არ ყოფილა ეს ყოველივე ადვილი გადასატანი.

თუმც საყვედურით არავინ არაფერს საყვედურობდა, თვითონ ველარ მორეოდა თავს, მაგრამ... ველარც გამოსცლოდა იმ მდინარეებს, საითაც სიჭაბუკის არჩევანმა უბიძგა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჯერ სამხრეთლო გაზეთის ფურცლებზე გამოაცხადებდნენ მტრული იდეების მქადაგებლად – გიორგი შატერაშვილთან ერთად – მერე კი ორივეს კონტრრევოლუციონერად და ანტისაბჭოელად შერაცხავდნენ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიის მდივნის კაბინეტში.

რა დაავიწყებდა, როგორ არიდებდნენ ნაცნობები სახეს, ზოგი მათთან შეხვედრასაც გაურბოდა, რადგანაც ყველა ვარაუდობდა, დღეს თუ ხვალ გარდუვალი სასჯელი მოელითო.

გიორგი შატერაშვილი უფრო ამოელოთ მიზანში, რადგანაც ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი მიძღვნილ ლექსს – გმირის მოლოდინით განმსჭვალულს – არაფრისიდეებით არ აპატიებდნენ, მითუმეტეს, იგი რას წარმოიდგენდა, რომ როდესაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს საჩივარს მისწერდა, „ახალგაზრდა კომუნისტი“ უსამართლოდ დამესხა თავსო, ამ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის ავტორი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში იმ განყოფილების ხელმძღვანელი აღმოჩნდებოდა, შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალყურის დევნება რომ ებარა.

და დაუჯდებოდა „მკვდრის მზის“ მომავალ შემოქმედს ეს პროტესტი დაჭერა-გადასახლება.

გრიგოლ აბაშიძე იმ ორომტრიალისას როგორღაც მირჩათ, მაგრამ განა როდემდე გაუმართლებდა?.. და კიდევ გადაწყვეტდა, რომ არავითარი საბაბი აღარ მიეცა ჩეკისტური კრიტიკისა და ხელისუფალთათვის.

განუკითხაობის ჟამს ყველაფერი იყო მოსალოდნელი და ახალი რეჟიმის თვით თავგადაკლული მომხრენიც შეიძლება რებრესიებში მოყოლილიყვნენ?

ამისთანა შემთხვევა არაერთი მოხდებოდა და სხვათა გამწვანე თვითონაც აღმოჩნდებოდა მოუსავლეთში, მათ შორის ისიც, ვინც დედასაც დაახრწობდა და მამასაც დახვრეტდა, რევოლუცია თუკი უბრძანებდა; მაგრამ გრიგოლ აბაშიძეს მაინც ხელისუფლებასთან თანამშრომლობა ერჩივნა – არც თავგადაკლული მომხრეობა და თანამოკალმეთა გამეტება, მაგრამ პროტესტანტობაზე უარს იტყოდა და თავისი ადგილის მოძებნას შეეცდებოდა ახალ მოწესეთა გვერდით.

V.

ერთ ქარღვზე: „გიორგი მიაქვსა“, „სამხრეთი საზღვარზე“, მანდორ პიტაფი

თავისი ადგილის მოძებნას შეეცდებოდა ახალ მოწესეთა გვერდითო...

ეგაა, პატრიოტულ განცდას არ ჩაიკლავდა გულში და „გიორგი მეექვსეს“ იმ რომანტიკული სულისკვეთებით განმსჭვალავდა, მისი პოემა XIX საუკუნის პოეტური ეპო-

* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №4

სის (ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა) სულიერი მემკვიდრე რომ აღმოჩნდებოდა.

ამ ეპიკოსთაგან აკაკი წერეთელთან უშუალოდაც გასდებდა ხიდს.

როგორღაც მიყრუებულიყო გიორგი მეექვსის სახელი, სხვა მეფეებს გადაეფარათ და ძალიანაც გადაეფარათ, და ერის გასამხნეველად ხან ვის სახელს რომ ახსენებდნენ და ხან ვისას, ეს გმირი აღარსად გაიელვებდა, თითქოს თემურ ლენგის ურდოებთან შეუპოვარი ბრძოლა და ქვეყნის ხსნა სრული ნალექვისა თუ გამაჰმადიანებისაგან მცირე ღვან-ლი ყოფილიყო.

განა ბევრი პიროვნება გამოიჩინდა ასეთ თავგანწირვა-სა და ძალგულოვნებას?

განა ბევრი აღმოჩნდებოდა ასეთი სამხედრო სტრატეგი?

განა ბევრი გაბედავდა ასე თამამად მიეწერა ამხელა იმპერიის მბრძანებლისათვის, რომლის წინაშეც მთლად სამყარო აკანკალებულიყო: ამდენი ბოროტება დაგვატეხე თავს და მაინც ვერ გაძეხი ჩვენი სისხლით, სიმრავლით გვჯობნიდი, მაგრამ არც ჩვენგან წასულხარ უფნებელიო?

მემატიანეს შემოენახა ეს სიტყვები, რომელსაც გამუდმებით უნდა ეხმიანა შთამომავალთა სმენაშიც და გულისყურშიც, მაგრამ ცალკე რჩებოდა ისტორიული ქრონიკის ეს სტრიქონები და ცალკე – საზოგადოებრივი ცნობიერება, რომლის ჩარჩოც ძალიან დავინროებულიყო და სრულყოფილი გალერეის ნაცვლად აქა-იქ თუ ამოყოფდნენ თავს ის დიდებული სახებანი, რომელთა თავდადებითაც მოგვეღწია აქამდე და კვლავაც გაძლებას ვიმედოვნებდით.

ფრაგმენტულ გალერეაში გიორგი მეექვსის სახე ლამის გაკრთომითაც არსად გამკრთალიყო.

და თუ აკაკი წერეთელი ვერ გაიმეტებდა დასაკარგად მის ეროვნულ ღვანლს და აღმატებულ ეპითეტებსაც არ დაიშურებდა, მისი პოემის – „ბაგრატ დიდი“ – შუაგულში მაინც ეს მეფე იდგებოდა, გიორგი მეექვსის მამა, და ის გადაწონიდა თავისი მონუმენტურობით, ის გადაწყვეტდა სასიკეთოდ ქვეყნის ბედს, მძვინვარე სარდალს თავს მის ერთგულად რომ მოაჩვენებდა და თითქოს წინამძღოლად გამოჰყვებოდა მონღოლებს საქართველოს ასაკლებად, ფარულად კი გიორგის მისწერდა: ბერდუჯის ახლო ხეობაში ჩასაფრდი, იქ შემოვიყვან გზადაბნეულ ჯარს და მაშინ, გმირო, შენ იცი, როგორ დასცემ ზარსო.

და კიდევ: უეცრად მიწიდან ამომძვრალი ქართველი მეომრები თავს რომ დაატყდებოდნენ მტერს, მთხრობელსაც აღარ გაუშვებდნენ, ისე აავსებდნენ ხევს მონღოლთა ლემით.

იმერ-ამერიც შეერთებოდა და სამშობლოს წყლულიც კიდევ ერთხელ განიკურნებოდა.

ჰეროიკულ ფინალს კი აკაკისებური მონოდება აგვირგვინებდა:

**ასე იღვწოდა მამულისათვის
თავგანწირული ის წინაპარი
და, რომ მის ხსოვნას თაყვანი არ სცეს,
მისთანა ჩვენში, აბა, ვინ არი?!**

ცნობისწადილი ღვივდებოდა გიორგი მეექვსის მიმართაც, მაგრამ არ იკმარებდა ბაგრატ დიდისადმი მიძღვნილი

პოემა მისი ვაჟის განსადიდებლადაც, ვერ განვდებოდა ორივეს თანაბრად, და ავერ გრიგოლ აბაშიძე უშუალოდ მას მოაქცევდა სიუჟეტური ქარგის შუაგულში, რომლის შესაქმნელადაც დაჭირდებოდა სატრფიალო სიუჟეტის გამოგონებაც, ორი პიროვნების ჭიდილისა ერთი ქალის დასანარჩუნებლად – მეფისა და მეომრის, გიორგი მეექვსისა და გვარამ მარგველის, ქალმა მეომარი რომ უნდა ამჯობინოს გვირგვინოსანს.

საკმაოდ მძაფრი და მიმზიდველი სიუჟეტი გაიშლებოდა და მკაფიოდ გამოიკვეთებოდა პოეტის ეპიკური უნარი, რასაც შესაძლოა მარტოდენ პოემებში ეტრიალა და შესაძლოა ბელეტრისტულ თხრობასაც მისადაგებოდა, თუკი ოდესმე ჩაუჯდებოდა რომანებსაც.

ჯერ მხოლოდ პოეტურ გზასავალს მისდევდა და გიორგი მეექვსის აჩრდილსაც ამ მხატვრულ გარსში მიუჩენდა ადგილს და ისეთი გზნებით წარმოსახავდა, რაც შეიძლება მძაფრად რომ შეხებოდა თვისტომთა პატრიოტულ ძარღვს.

**მეფე მხეცქმნილი გლეჯდა ვეფხვურად,
ჩეხდა, კისკასად სცემდა ფიცხელი,
სისხლი ეცვა და სისხლი ებურა,
ცხენიც მტრის სისხლით ჰყავდა წითელი.**

და თავიდანვე რომ იფიქრებდა, ვაითუ მკითხველს მარტოდენ ჩემი ფანტაზიის ნაყოფი ეგონოს მისი სახის ასეთი ამაღლებაო, იმ თავის ეპიგრაფად ამიტომაც გაიტანდა „ქართლის ცხოვრების“ იმ პასაჟს:

— მაშინ ფრიად შეწუნხა მძლავრი ლანგთემურ ესრეთ რომე ამისთანა მარცხი და ზიანი მას არასოდეს შემთხვევია...

მემატიანის ამგვარი შეფასება ძალაუნებურად გულისხმობდა გიორგი მეექვსის სახეების ისეთ პოეტურ გააზრებას, ამ და ასეთივე სტრიქონებს რომ უნდა გამოეხატა შთამბეჭდავი სილუეტი და კიდევ ერთი უსამართლოდ მიჩქმალული გმირი დაებრუნებინა საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის – ხანძარში მდგარი, დაქცეული დედაქალაქის შემყურე და მაინც გაუტეხელი და იმედიანი.

საბჭოთა იმპერია და გერმანია სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეჭიდებოდა ერთმანეთს და თუ აქამდე პატრიოტული თემატიკა იზღუდებოდა თუ სულაც იკრძალებოდა, ახლა ხელისუფლება დათმობას ამჯობინებდა და გზას გაუხსნიდა პატრიოტულ განცდებს — დაე ეგრძნოთ ხალხებს ეროვნული თავმოყვარეობის ხელშეუხებლობაც და წარსულისაკენ გახედვის უდანაშაულობაც.

გრიგოლ აბაშიძე პიროვნული ბუნებითა და იდეურ-ესთეტიკური მრწამსით მონოდებულიყო და მომართულიყო ისტორიაში ჩასანთქმელად, ყოველთვის თანადროულობასავით განიცდიდა გარდასულ ჟამს და გზის გახსნას მარჯვედ ამიტომაც გამოიყენებდა იმ მრისხანე 1942 ნელს ნამდვილ მხატვრული ფასეულობის შესაქმნელად და შინაგანი ძაფებით ამიტომაც გადაეჯაჭვებოდა საუკუნის წინანდელ პოეტურ ეპოსს.

მათ მომდევნოობას, უშუალო მემკვიდრეობასაც დაიჩემებდა და ცნობისწადილით მიმოიხედავდა გარშემო, ნეტა კიდევ ვის შესწევს ძალა ლირიკული პოემის დამკვიდრების ხანაში ეპიკური სიუჟეტი შესაფერისად აზიდოსო.

პატრიოტულ განცდას არ ჩაიკლავდა გულშიო...

ხოლო როდესაც საბჭოთა იმპერატორი საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის დაბრუნებას მოისაბაბებდა, რათა თურქეთისათვის გამოეტაცა რამდენიმე პროვინცია, გრიგოლ აბაშიძე გულწრფელად აპყვებოდა ამ მისწრაფებას, პირად ტკივილებს შეურევდა საბჭოურ-იმპერიულ პოლიტიკას, ისევე, როგორც ათწლეულთა წინათ აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და ნიკო ნიკოლაძე შეეგებებოდნენ უზომო სიხარულით ამ ისტორიული ტერიტორიის კვლავ შემოერთების პერსპექტივას, თუნდ ეს ცარისტული რუსეთის ინტერესითა და მეოხებით ხორცშესხმულიყო.

გამეორდებოდა იმედოვნება.

მისი ჩაფუშვაც განმეორდებოდა. და საკუთარ თავზე გამოცდიდა გრიგოლ აბაშიძე, თუ რა გუნებაზე დამდგარიყო მაშინ ის დიდი სამეული, რა ნაღველი დაუტრიალდებოდათ კიდევ ერთხელ, ჩვენი ისტორიული მიწა-წყალი წამიერად ხელისგანვდენაზე რომ დაეგულებინათ და... და...

ეს რა უცნაურად დატრიალებულიყო ისტორიის ჩარხი.

ჯერ მაშინაც ვინ იფიქრებდა, რომ საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის შემოერთების იმედი ჩაისახებოდა, იმ ტერიტორიისა, საიდანაც ჩადგომოდნენ სათავეში ოდესღაც აშოტ კურაპალატი და გრიგოლ ხანძთელი დაკარგული ქვეყნის ამოგებას – იქ დაიწყებდა საქართველოს სახელმწიფო ფეთქვას და ამ გულისცემას აპყვებოდნენ თანდათან სხვა კუთხეებიც, თითქოსდა სამუდამოდ გამოტირებულნი. და გამოღვიძება-აღორძინების რამდენიმე საუკუნოვან პროცესს დავით აღმაშენებლის მოვლინება დაადგამდა გვირგვინს.

რუსეთის მონარქიულ იმპერიას თავისი მისწრაფებანი აქეზებდა – მესამე რომად გამოცხადების ცთუნებას აეყოლიებინა და ოსმალთაგან იმ ტერიტორიის გამოგლეჯას ლამობდა, ჩვენი ისტორია სადაც გაშლილიყო და სულიერი შეჭირვებისა თუ ტკივილისას კვლავაც მისი გახსენებით ვაღწევდით თავს სასონარკვეთას...

და აგერ ხელში გვივარდებოდა.

მაინც რა ხდებოდა.

აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და ვაჟა-ფშაველა ყველაზე კომპარულ სიზმარშიც რომ ვერ წარმოიდგენდნენ, თუ ოდესმე რუსეთის ჯარის ტრიუმფალურ სვლას აღტაცებით გამოეხმაურებოდნენ და მოუთმენლადაც დაელოდებოდნენ ამ მსვლელობის შესაფერის დაგვირგვინებას... არადა, წუთისოფლის უცნაური განჩინებით დადგე-



გრიგოლ აბაშიძე და იოსებ გრიშაშვილი

ბოდა ჟამი, რომ არც პუბლიცისტურ სტატიებს მოაკლებდნენ და არც პოეტურ სტრიქონებს რუსული არმიის სწრაფვას ამ მიზნისაკენ, უნებურად ჩვენს სახელმწიფოებრიობა-დაკარგულ ქვეყანას ისტორიული მიწების დაბრუნების იმედს რომ გაუღვივებდა და სულიერ სიმხნევესაც შთაბერავდა განწყვეტილი ისტორიის ჯაჭვის გასამართლებლად.

ჰოი, რა იმედოვნებითა და აღტაცებით აღვსილა მათი ეს თხზულებანი, ცალკე რკალად რომ გამოიყოფა იმდროინდელ ლიტერატურულ სინამდვილეში და კიდევ ერთხელ შეგაგონებს, რომ დაუფიქრებლად და ზერელედ არ უნდა განსაჯო დიდებულ მოღვაწეთა ნაკალმარი და არ მიანერო,

თითქოს რუსული იარაღის წინაშე იხრიდნენ ქედს და ხელი აეღოთ საქართველოს გამოსხნის ოცნებაზე.

სწორედაც პირიქით – იმპერიისაგან თავდაღწევის შემდეგ ჩვენი ქვეყანა ამოგებულ ისტორიულ მიწა-წყალთან ერთად ჩაერეოდა საკაცობრიო ცხოვრებაში და გაპყვებოდა განვითარების ბუნებრივ გზას.

და არც გრიგოლ აბაშიძის პოეტური ციკლი – „სამხრეთ საზღვარზე“ – უნდა შეფასდეს ნაჩქარევად და მიეკეროს საბჭოთა პროპაგანდისტულ მღელვარებაში იძულებით ან ანგარებით ჩარევის წადილი.

იძულებითი სტრიქონები საკმაოდ დაითვლება მის შემოქმედებაში, მაგრამ ეს ციკლი, 25 ლექსის

მომცველი და ცალკე კრებულად გამოცემული 1949 წელს, უპირველესად წრფელი ალტკინებით შეგძრავს, ოცნებასთან მიახლოების შეგრძნებით.

მიახლოება მეტი რალა უნდა ყოფილიყო: ის, ვინც შელენა ბერლინის კარი ადვილად შევა მათ ანკარაშიცო:

**შვეალთ,
ხმალდახმალ შეხლა გვექნება,
ერთად გადვუხდით ვალებს უკლებლად,
რომ ვედარას დროს თურქთა ბეგებმა
ველარ გვინატრონ მამელუკებად!**

ოცნება იყოლიებდა და ისე ცხადად შეჰყურებდა შორს გადაწეულ სამხრეთის საზღვარსა და საგრძნობლად გადასინჯულ წინააზრის პოლიტიკურ რუკას, კიდევ გაუკვირდებოდა, სხვათა მზერას ჯერ აქამდე თუ ვერ მიეღწია და მასავით თავი არ ეგრძნოთ ტრაპიზონის ოლქკომში... თვითონ კი ოლქკომის მდივანთანაც გაება წარმოსახვითი საუბარი, მდივანთან, კოლხური იერი რომ გადაჰკრავდა და ლაპარაკში ლაზურად უქცევდა... თურმე გვიან ღამით თათბირიც მოეწვია, დღეს კი რაიონის ამბები ძირისძირობამდე გამოეძია...

აგერ ტელეფონმაც უნდა დარეკოს და მდივანმა პირდაპირი ხაზით მოუსმინოს კანდიდ ჩარკვიანს, ვისი დირექტივებიც სასწრაფოდ და პირნათლად შესრულდება და ვალ-მობდილი ოლქკომის მდივანი „შუა ლამით კრემლს უპატაკებს ჩვენი სამხრეთის ალორძინებას“.

დღეს ეს წარმოსახული სურათი და პოეტური აღტკინება პაროდიად უფრო აღიქმება, მაგრამ მარტოდენ უნაპირო ფანტაზიის ნაყოფი რომ არ ყოფილა „ოცნება ტრაპიზონის ოლქკომზე“ და გრიგოლ აბაშიძის ლირიკულ განცდებს საკმაოდ რეალური საყრდენი მოეპოვებოდა, ლამა ბაქრადის ისტორიული ძიებაც დაადასტურებდა, არაერთი საგულისხმო დოკუმენტური ჩვენება, თუ როგორ დაეჭირა წინასწარი თადარიგი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჯერ არშემოერთებულ ტერიტორიებზე პარტიული უჯრედების ჩამოსაყალიბებლად და შესაფერის-შესაბამისი კანდიდატებიც მოემზადებინა ართვინის, არტაანის, ტრაპიზონის მხარეთა რაიკომის მდივნებად.

გრიგოლ აბაშიძის ეს ლექსი ამ ფონზე დოკუმენტურ მნიშვნელობასაც იძენს – ამ მასშტაბური განზრახვის კიდევ ერთ საბუთად გამოადგებათ მკვლევარებს, ისევე როგორც მაშინდელი სახელისუფლებო განწყობილების უშუალო ამრეკლავად მოჩანს გაგულისება ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, საბჭოთა იმპერიას მარტოდმარტო რომ არ შეატოვა თურქეთი და შეეცადა აღეკვეთა რუსეთის იმპერიის სამხრეთ საზღვრის გადაწევა.

გერმანიის წინააღმდეგ თუ ერთობლივად მოქმედებდნენ, ამჯერად გაყოფილიყო ამერიკისა და საბჭოეთის ინტერესები, სულაც ერთმეორეს შეჯახებოდა და საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანა პოეტთა ხელითაც მოინდომებდა ამერიკელთათვის ყისტის ნაკვრას:

**ამიტომ გვიცქერს ლულები ბრაზით –
თვალები ნავთით გაუძლომელთა
და უოლ-სტრიტის „თავდაცვის ხაზი“
ამიტომ გადის ქართულ სოფელთან.**

თუმც ეს მარტოდენ დაკვეთის შესრულება არ უნდა იყოს და არც არის – ეს განწყობილება პოეტის პირად განცდასაც გულისხმობს, რაკილა ყველასათვის თვალნათლივია, რომ თუ საბჭოთა კავშირი ვერ გაბედავს თურქეთის საზღვრის გადალახვასა და მერე სულაც გადაწევას, ერთადერთი ამერიკისათვის ანგარიშის განწევის იძულებით, თორემ ბერლინის კარის შემლენავი მართლაც ადვილად შევიდოდა ანკარაშიც.

თავისას ცდილობდა საბჭოთა იმპერატორი, მსოფლიო რევოლუციანზე მეოცნებე და სამყაროს კიდით კიდემდე კომუნისტური საზოგადოების შექმნისა და ახალი ადამიანის ჩამოყალიბების მოწადინე დროის დაკარგვას ვერ მოითმენდა და გერმანიის წამოჩოქებისთანავე მოამზადებდა იდეოლოგიურ შტურმს, გამოსხეულს საქართველოს ისტორიული მიწების დაბრუნების საბურველში.

მსოფლიო მოქალაქეს ქართველობის პატრიოტულ განცდებზე თამაში დაჭირდებოდა, ისევე, როგორც ცოტა ხნის წინათ საბჭოთა მოსახლეობად შერაცხილ ხალხთა რელიგიურ გრძნობებს მოეჭიდებოდა მთელი ძალ-ღონით, რათა მანამდე უღმობლად დევნილი ეკლესია და მორწმუნენი თავის მხარეს შემოეკრიბა გერმანიასთან ომში გამარჯვების მოსაპოვებლად.

თავისას ცდილობდაო...

ასე გაჩნდებოდა 1945 წლის 14 დეკემბრის „კომუნისტის“ ფურცლებზე სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-პოლიტიკური სტატია „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“, რომელსაც მოჰყვებოდა და მოჰყვებოდა პუბლიცისტური წერილების სერია, მათ შორის არნოლდ ჩიქობავას, ექვთიმე თაყაიშვილისა და თვით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს ხელმოწერით, პატრიარქის, ვინც ქართველი ხალხის სახელით მოითხოვდა ისტორიული უსამართლობის გასწორებასა და საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიულ გაერთიანებას ანუ თავისუფალ ერთა გაერთიანების წევრი ოსმალეთისაგან ქართული მიწა-წყლის დაბრუნებას (რაიონები არტაანისა, ართვინისა, ოლთისისა, თორთუმისა, ისპირისა, ბაიბურთისა, გიუმისხანესი და ლაზის-ტან-ჭანეთი ტრაპიზონისა და გირესუნის ჩათვლით).

მიმართავდა გაერთიანებულ ერთა ხელმძღვანელებსა და მსოფლიო მოწინავე საზოგადოებრიობას და მოუწოდებდა მათ, თანადგომა გამოეჩინათ ისტორიული სამართიანობის აღდგენის ამ წმინდა საქმისათვის.

გადაიქროლებს ნახევარ საუკუნეზე მეტი და მთელი ეს მასალა თავს მოიყრის ერთ წიგნად: „ერთი იდეოლოგიური კამპანიის ისტორიიდან (საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთისადმი 1945-1953 წლებში)“, რომელსაც გამოსაცემად მოამზადებს და შესავალ წერილსაც წარუშმდვარებს ჯაბა სამუშია, იმ რეალობის ზოგად მიმოხილვას, დიდ მღელვარებას რომ გადაგვიშლის თვალწინ, მალევე მოთავებულს – ეგაა, წარუმატებლად.

მართალია 1953 წლის 30 მაისამდე კვლავ გრძელდებოდა ეს სწრაფვა, ვიდრე საბჭოთა მთავრობა ოფიციალურად განაცხადებდა უარს ამ მიწების დაბრუნებაზე, და მიმართვაში კი ჩაინერებოდა კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებისა და მშვიდობის განმტკიცების აუცილებლობა, მაგრამ 1946 წლის შუა ხანებიდან უკვე დაეტყობოდა ამ წამოწყებას, რომ რაღაც დიდი ცვლილება აღარ უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი – სტატიებს სიცხარეც მოაკლდებოდა და სიმკვეთრეც და პროფესიონალი მკითხველი ადვილად ამოიცნობდა, რომ მთელი ეს ალიაქოთი პუბლიცისტიკას არ გაცდებოდა...

თუმც მწერლებს ვერ მოსთხოვდი, რომ იოლად შეგუებოდნენ ოცნების ერთბაშად ჩაფუშვას და, რაკილა ხელი-სუფლება ამ მხრივ ნებაზე მიუშვებდათ, კვლავაც შეეცდებოდნენ საზღვრის მიღმა გადახედვას შთამომავალთა მზერით და გულში ჩაკრული მჯილით: ისე როგორ იქნება, მართლა ასე უნუგეშოდ მოთავდეს ეს წამოწყება და ბერლინის კარის შემლენავმა ადრე თუ გვიან ეს ტერიტორიები ისევ საქართველოს ნაწილად არ აქციოს, დაე ძრწოდეს ანკარა, თორემ თუ გაჯიქდება, მასაც მოუწევს ბერლინის ბედით.

„სამხრეთ საზღვარზე“ ყველას ნააჭარბებდა რაოდენობით – სხვა პოეტებს ერთადაც არ დაენერათ ამდენი, და თუ წლების ჩავლის შემდგომ მათგან არაერთი ამოაკლდება გრიგოლ აბაშიძის ლირიკულ მონაგარს და მარტოდენ მკვლევარებს დააინტერესებთ იმჟამინდელი სინამდვილის აღდგენისას, რამდენიმე ნიმუში მის საუკეთესო ქმნილებათა შორის დამკვიდრდება, როგორც ვაჟა-ფშაველას „ფშაველი ჯარისკაცის წერილის“ ნაკითხვისას პირველ ყოვლისა სულაც არ მოგვავიწყდება ისტორიული კონტექსტი... და სწორედაც მისი განზოგადებული მხარე, სულისკვეთება მოგვცნობავს, სა-

ქართველოს სახელმწიფოს მოღანდება აგვანთებს მხნობით და თეთრცხენიან მხედარს ჩვენც ლაშარის ჯვრად და ეროვნული აღორძინების სიმბოლოდ შევრაცხავთ.

გრიგოლ აბაშიძის ეს და ამგვარი სტრიქონებიც ძალდაუტანებლად გაერიდება ისტორიულ კონტექსტს და უშუალოდ აგრძელებს მისთვის ასერიგად მახლობელ პატრიოტულ მოტივს, ხშირად დაკნინებულსა და გაუფასურებულს უნიჭო მოკალმეთა ხელში.

ფესვი ჩამრჩა შენს მინაში, რაგინდ ცეცხლით გადაგრუჯონ, ჩემს ხსოვნაში თქვენ ვინ წაგშლით, შატბერდო და არტანუჯო!

მოტივისა რა ბრაღია, მაგრამ ძალიან კი ზარალდება გალექსილ დეკლარაციებსა და ძარღვმოკლებულ ლაღისში, იმ ფესვამოკვეთილ რიტორიკაში, ნამდვილი ლირიკაში ასე თვალნათლივ რომ მოჩანს მისი მხატვრული ძალა იმის მიუხედავად, უშუალოდ მოიხსენიებენ თუ არა.

ამ ლექსში კი – „ტაო“ – ეს სტრიქონი ასე პირდაპირაც რომ არ გაიეღვებდეს, მაინც იგრძნობდა მკითხველი, ამის დამწერს უთუოდ ფესვი ჩარჩენია ამ მინაშიო.

ჩვენ თავისას მივაგებთ პოეტს ამ ციკლის ცალკეულ ნიმუშთათვის.

საბჭოთა იმპერია თავისას დაუფასებდა და ამ კრებულს სახელმწიფო პრემია მიენიჭებოდა.

ეს შერჩებოდა სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა!..

პაველ ინგოროყვასი არ იყოს, „გიორგი მერჩულეს“ ამ აღტიკნებით რომ მოჰკიდებდა ხელს, ვინ იცის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძისა და ვაჟა-ფშაველას ჩაშლილი ოცნება ახლა მაინც აცხადდეს და ჩვენი სამხრეთ საზღვარი ბევრად იქით გადაინიოს, ვიდრე მე მოვახერხე იმ საბედისწერო 20-იან წლებში – ჩოლოქიდან ქოროხამდე რომ გადავადგილეო.

ყველაზე უკეთესი და მტკიცე იდეური საფუძველი რა შეიძლება ყოფილიყო ამხელა განზრახვის აღსრულებისას, თუ არა გრიგოლ ხანძთელისა და აშოტ კურაპალატის ეპოქა და მათი თაოსნობით აღდგენილი ქვეყანა, ყველაზე უკეთესი გზამკვლევი კი გიორგი მერჩულეს მხატვრულ-დოკუმენტური ქმნილება იმ დიდ საეკლესიო მოღვაწეზე, ვინც კვლავ მომავლის იდეალად რჩებოდა თანამოდასებებთან ერთად.

ჯავა სამუშაის მიერ შედგენილ კრებულში აუცილებლად უნდა მოხვედრილიყო რაიმე ფრაგმენტი „გიორგი მერჩულეს“ იმ ნაწილიდან, უშუალოდ რომ მიმოიხილავს ამ ისტორიულ მხარეს, წინასიტყვაობაში კი ზოგადად შეფასებულიყო ეს ვეებერთელა ქმნილება, რომელიც ამავე განწყობილებებში ტრიალებს, ამ წამოწყებას უშუალოდ ეხმიანება და, სამეცნიერო ღირებულებასთან ერთად, იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სურათს უფრო სრულად ამიტომაც წარმოაჩენდა, ახლა ამ კარგად გააზრებულ წიგნში უსათუოდ რომ მოვისაკლისებთ.

„გიორგი მერჩულე“ იმ ფესვებს ამიშვლებდა და მონუმენტური შთამბეჭდაობით წარმოაჩენდა, გრიგოლ აბაშიძე ასეთი გზნებით რომ მისტიროდა: შენს მინაში ჩამრჩაო.

მაგრამ მარტოდენ ისტორიული მეხსიერების იმედად როდემდე მოვჭიდებოდით შატბერდსა და არტანუჯს, თუკი იქ მისასვლელი გზები სამუდამოდ ამოქოლილი დარჩებოდა?!

ესელა დარჩა სანაცვლოდო...

ჩვენი ქვეყნის ლხინის დედავ, მტრებმა მკერდს რომ მიგიბლუჯეს... შენს ჩუქურთმებს ძილში ვხედავ, შენს დაქცეულ ციხის ბურჯებს.

კვლავაც ზმანება უნდა ეკმარა, კვლავაც ძილის საუფლოს მინდობოდა ოცნების წამიერი სხვივის განცდისათვის.

აკი აკაკი წერეთელიც, ნიკო ნიკოლაძეც და ვაჟა-ფშაველაც ზმანებებს მინდობოდნენ კიდევ ერთი იმედგაცრუებით გულადულებულნი!..

* * *

პატრიოტულ განცდას არ ჩაიკლავდა გულშიო...

იმ ვერსიფიკაციული ოსტატობით, იმ დახვეწილი სალექსო კულტურით, რისთვისაც გრიგოლ აბაშიძეს მიეღნია, უთუოდ დააჩნევდა სასიკეთო კვალს ქართულ პოეტურ თარგმანსაც, თუკი ასეთი მისწრაფება გაუჩნდებოდა.

გაუჩნდებოდა, რატომაც არა, ამხელა ერუდიტს, რა გული მოუთმენდა, ფრანგული პოეზიის თანავარსკვლავედთაგან არ ამოერჩია მისთვის ყველაზე მახლობელი ლექსები და ქართულად ამეტყველება არ ეცადა, ფრანსუა ვიიონსაც მოსინჯავდა, ტეოფილ გოტიესაც, პოლ ელუარსაც, ანდრე ფრენოსაც, მაგრამ ყველაზე მეტ წარმატებას პიერ რონსარის გადმოქართულებისას მიაღწევდა, უხვდაც გადმოიტანდა და ჩვენი მთარგმნელობითი ხელოვნების სისხლხორცეულ ნაწილადაც აქცევდა.

აქეთ ნიზამი თუ იაპონელი პოეტები გაიტაცებდნენ, სხვათაც გადაწვებოდა – ადამ მიცკევიჩისა თუ იან წერუდას, მიხაი ემინესკუსა თუ ქრისტო ბოტეცს, ივან ვაზოვსა თუ ქრისტიონას დონელაიტისს – და ეს ყოველივე თანდათან ერთ კრებულად რომ მოიყრიდა თავს („ასკილის რტოზე გალობს ბულბული“), თავისებურ მოვლენად წარმოადგებოდა ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში... მაგრამ რა იქნებოდა ან ამ კრებულის მნიშვნელობა და ან გრიგოლ აბაშიძის მთარგმნელობითი ღვაწლი, შანდორ პეტეფის პოეზია (ლექსებთან ერთად პოემებიც) რომ არ მოექცია ქართულ სამოსელში – ყველა სხვა თარგმანი ამ სახელის ირგვლივ ერთიანდება, როგორც განსაკუთრებული მიღწევისა, რომლის ბადალიც თითო-ოროლა თუ დაითვლება, როგორც შედეგრთა წესია.

ქართული პეტეფის არსებობა ძალდაუტანებლად აბათილებს იმ შეხედულებას, თითქოს პნკარედის მეშვეობით შეუძლებელი იყოს სრულფასოვანი მხატვრული ღირებულების შექმნა. თეორიები თეორიებია, მთავარი მაინც ისაა, რამდენად შეაღწევს მთარგმნელი იმ პოეზიის სიღრმესა თუ ფარულ ნიუანსებში, რამდენად აქცევს თავის კუთვნილებად, თავისი სულის განუყოფელ ნაწილად.

ამჯერად შესაღწევი არც არაფერი ყოფილა და შანდორ პეტეფის ტკივილები და ოცნებანი თავით ბოლომდე მოერგებოდა გრიგოლ აბაშიძის ტკივილებსა და ოცნებებს, უნგრელის მუხტი და სულისკვეთება ქართველის მუხტსა და სულისკვეთებას, რადგანაც ერთი სახმილი სტანჯავდა და ერთი იმედი ასულდგამულებდათ – სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

„სალოცავ ხატად ორი რამ მინდა: თავისუფლება და ტრფობა წმინდა“ – ცეცხლმოდებული გულიდან აღმოხდებოდა პეტეფს და ქართველი პოეტი ამ სტრიქონების ქართულ შესატყვისთა გამოძებნაზე კი არ ზრუნავდა უპირვე-

ლესად, არამედ იმ განცდას საკუთარ გულს შეაგებებდა და მის რიტმს აყოლილი იგალობებდა თავისუფლების ჰიმნს:

**ყველა ოცნება ამისრულდება,
გულს სიყვარული თუ მიქცევს ფერფლად,
მაგრამ თუ მომთხოვს თავისუფლება,
მას სიყვარულსაც შევნირავე მსხვერპლად.**

„დროშები ჩქარაო!“ – ეს მოწოდება თუ გადმოესროლა გალაკიონ ტაბიძეს ხალხში, „ზარები ჩქარაო“ – ამ მოწოდებით აღეფრთოვანებინა პეტეფს თვისტომნი, და თუ ცახცახებდა, შიშით კი არა, დარღით და ბრაზით გაჰქონდა ცახცახი.

**გამოიღვიძე, აღსდექ, მამულო,
ცოტა დრო დაგრჩა თვალგასახელი,
საფლავის ქვაზე მაინც დანერე
სახელოვანი შენი სახელი.**

საფლავის ქვაზე მაინცო...

დაუსრულებელ ძილს, უნუგემო არსებობას ისევ ეს ერჩინა – სახელოვანი აღსასრული მთელი ერისა.

ყველგან და ყველაფერში თავისუფლების ანარეკლს ეძიებდა და ცდილობდა შეეპირისპირებინა მორჩილები-სათვის, რათა ეროვნული თავმოყვარეობა შეეჯანჯღარებინა და ქედის მოდრეკა სიმხნევით შეეცვალა.

მისთვის მგელი განა მტაცებელი გახლდათ, დაუმორჩილებლობას განასახიერებდა სიმბოლურად, სუსხის, ქარისა და შიმშილისაგან ფერდებდალენილი თოფის ლულაზე ადენილ ბოლსაც რომ არ ეპუებოდა და სიამაყით ინარჩუნებდა არსებობას: ყმად არ ვეკუთვნივთ არვის, თავისუფალნი დავალთო.

ალარც ძალდი იყო შინაური ცხოველი, ისიც სიმბოლოდ წარმოდგებოდა, ოღონდ მორჩილების, და თოვლის, წვიმი-სა და ქარის იმიტომაც რომ არ ეშინოდა, ბინაც მაქვს, ბუხრის სითბოც და საჭმელიცო. ხან მწარე შოლტსაც გადაუჭერდნენ? ძალღური ძვალი ამ დარტყმასაც აიტანდა და, რისხვაგადავლილი ბატონი მიახლოებას რომ უბრძანებდა, ისიც სიხარულით მიიჭრებოდა მასთან: ფეხებს ვულოკავთ ენით, ბედნიერი ვართ დიდადო.

რა რწმენასა და იმედსაც ილია ჭავჭავაძისა თუ აკაკი წერეთლისათვის ჯუზეზე გარიბალდი განასახიერებდა, გრი-გოლ აბაშიძის თვალში შანდორ პეტეფს შეეძინა ის შარავან-დი და მისი პოეზიის ჩრდილქვეშ ამიტომაც ითქვამდა სულს. და მისგან ამიტომაც აღარ განარჩევდა მკითხველი.

**VI.
ახალი ნაკადის სათავეში**

„იმელის“ დარბაზში კი ფიქრობდა გამოსწრებაზე და სხვა აღარაფერი ანუხებდა, მაგრამ უვნებლად გამოღწევა თანდათან მოაგებდა გონს და მწერალთა კავშირის ყრილო-ბისათვის მოამზადებდა განმარტების სიტყვას, თავდაჭე-რილს, მაგრამ აუცილებლად სათქმელს, რადგანაც „ლაშა-რელას“ გარშემო დრტვინვა კვლავაც გრძელდებოდა.

რომანის ახალ გამოცემაში შესწორებების შეტანა მტკი-ცედ გადაწყვიტა, მაგრამ არა საგრძნობისა – ეს უფრო უნდა შეხებოდა რუსუდანის იმ უხერხულ მოქმედებებს, რაც უმტ-

კიენეულოდ ამოაკლდებოდა თხრობას, რადგანაც სიუჟეტის მსვლელობისათვის აუცილებლობას არ წარმოადგენდა მათი არსებობა, მაგრამ ლაშა-გიორგის სახესაც თუ გადააკეთებდა მოთხროვის კვალობაზე, მიმზიდველი თხრობა ისე გაუუფერ-ულდებოდა, რომანი სულაც გაუქრებოდა ხელიდან.

რეალისტური მანერის ფონზე ლაშა-გიორგის ბუმბერა-ზული პორტრეტი – რომანტიკული სტილისტიკისათვის ნიშანდობლივი – სიყალბედ და ერთგვარ კომიკურადაც წარმოჩნდებოდა, რომანტიკული მანერა კი მწერლის ბე-ლეტრისტიული თვალთახედვისათვის შეუთავსებელი გახ-ლდათ და მისი მომარჯვებით შესაფერის ექსპრესიას ამი-ტომაც ვერ მიანიჭებდა თხრობას.

თანაც – უპირველეს ყოვლისა – გრძნობდა ისტორიუ-ლი მზერის გადანაცვლების აუცილებლობას.

ისტორიული რომანის ფერისცვალების ჟამს.

და დაე მისი ხელით აღსრულებულიყო ეს შემოტრიალე-ბა ამ ნაკადში.

ახალი კალაპოტი გაჭრილიყო. გაიჭრებოდა კი?

იქნებ „ლაშარელა“ გამონაკლისადაც დარჩენილიყო სა-ერთო ფონზე?

ეს გამონაკლისიც შეასრულებდა თავის როლს საზოგა-დობრივი ცნობიერებისათვის, თანაც, აგერ მისი გაგრძე-ლებაც იწერებოდა და ორივე რომანი – საერთო მდინარე-ბას გამოცალკევებული – უფრო მკაფიოდ დააჩნდებოდა სალიტერატურო პროცესს.

მაგრამ მის განკერძოებულ არსებობას მალევე მოეღე-ბოდა ბოლო, როდესაც გამოჩნდებოდა გივი მალულარიას, თამაზ ბიბილურის, გურამ გეგეშიძისა და ჯემალ ქარჩხა-ძის ისტორიული მოთხრობები და რომანები.

ერთის – „მეამბოხენი“ და „და იყო ზარზმა“;

მეორის – „ჟამი კითხულისა“;

მესამის – „ჟამი“ და „დიდება“;

და მეოთხის – „ზებულონი“, „ანტონიო და დავითი“ და „რაჰათლუხუმი“.

რაც შეეხება ოთარ ჭილაძის რომანს „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, ის უნებურად ნიკო ლორთქიფანიძის მიერ შე-მოღებული მანერის გამგრძელებელი აღმოჩნდებოდა – რეალისტური ხედვითა და რომანტიკული სტილით. ოღონდ რაკილა მისი რომანი „ლაშარელასა“ და „დიდი ლამის“ შემ-დგომ შეიქმნა, რეალისტური ხედვა მაინც ამ თხზულებით გაჭრილ კალაპოტს მიუყვება და არა „რაინდებისა“ თუ „მრისხანე ბატონისაგან“ მონაბერ ზეგავლენას.

რევაზ ჯაფარიძე „მძიმე ჯვრის“ წერისას კონსტანტინე გამსახურდიას ეჯავახებოდა და თითქოს მის გზას აგრძე-ლებდა, „დავით აღმაშენებლის“ ფარდი რომანის შექმნა ეწა-და (და იქნებ მისი ჩამნაცვლებლისაც!), მაგრამ „ლაშარელას“ ზეგავლენა მასაც უფრო რეალიზმისაკენ გადახრიდა.

ამ მწერლებს უკვე აღარ მოუხდებოდათ თავის დაცვა თუ განმარტებანი, ასე ამიტომ და ამიტომ მოვიქეციით და რეალისტური მანერა სულაც არ გულისხმობს ისტორიული წარსულის დაკნინებასა თუ გაბიაბრუებასო. აღარავინ ძრახავდათ, აღარავინ ედავებოდათ ამ მხრივ, რადგანაც მთავარი ბრძოლა უკვე გადატანილიყო და ახალი ნაკადის თაოსანს მდგრადაც გაეძლო თავდასხმებისათვის.

ფარად ივანე ჯავახიშვილის სიტყვებს მოიმარჯვებდა, მის მიერ სამეცნიერო ფორმულაში მოქცეულ ისტორიულ ხედვას ილია ჭავჭავაძისა:

– ჩვენს დაუფიქრებელ მოამაგეს საქართველოს ისტორია ეროვნული თავმოქმედების თვალსაზრისითა და ეროვნული სიამაყის გრძობის ჩასანერგავად კი არ უნდოდა და სჭირდებოდა, არამედ მას წარსულის მხოლოდ უტყუარი და დაუნდობელი, მაგრამ პირუთვნელი შეფასება აინტერესებდა.

საკუთარი კრედიტ ამ ფორმულაში ამოეხვია ისტორიკოსს და გრიგოლ აბაშიძე – მისივე შეფასებით – „ამ უალრესად სწორ შეხედულებას ისტორიაზე“ სახელმძღვანელო პრინციპად დაისახავდა ისტორიულ რომანზე მუშაობისას და კრიტიკული შემოტყვევის დროს კვლავაც მის იმედად იქნებოდა.

თანაც წამდაუნუმ ახსენებს რომანის რეალისტურ ყაიდას, კარგის გვერდით ავის ჩვენების აუცილებლობას, რათა ამ გზით ახსნილიყო საქართველოს უძლიერესი სახელმწიფოს დაცემის მიზეზები და რელიეფურად გაცოცხლებულიყვნენ ის ადამიანები, რომელთაც ბედისწერამ არგუნათ პასუხისმგებლობა ქვეყნის მომავლისათვის საქართველოს ისტორიის ამ ტრაგიკულ ჟამს.

– მე ამ ადამიანების ბედი, მათი სახის დადებითად თუ უარყოფითად ჩვენება იმდენად მაინტერესებდა, რამდენად მათმა ცხოვრებამ და მოღვაწეობამ არგო ან ავნო ჩვენი სამშობლოს მომავალს.

რეალისტური მანერის გასამართლებლად დაიმონებდა ჰაინრიხ მანისა და ლიონ ფოიხტვანგერის რეალისტურ ხედვას ისტორიულ თემატიკაზე წერისას, განსაკუთრებით კი მოეჭიდებოდა ალექსეი ტოლსტოის რომანს „პეტრე პირველი“, სადაც აღწერილი იყო რუსეთის იმპერიის შემქმნელის სიჭაბუკისდროინდელი წრეგადასული დროსტარება და ორგები, მისი სიმბლავიც, ჟინიანობაც, დაუფიქრებლობაც, აგრეთვე არისტოკრატის ხელმრუდობა. მწერალი არ ერიდებოდა სიკვდილით დასჯის რუსული წესის ამაზრუნ სცენათა წარმორჩენასაც... და თუ რუსეთში ამ ყაიდის რომანის შექმნისათვის ალექსეი ტოლსტოი არავის გამოეცხადებინა მშობელი ერის შეურაცხმყოფელად და ანტიპატრიოტად, ქართველი მწერალი რატომ უნდა განწიროულიყო ასეთი ხვედრისათვის?

გრიგოლ აბაშიძეს მიაჩნდა, რომ იქაურმა მკითხველმა ისევე აღიქვა ეს რომანი, როგორც ავტორს ჩაეფიქრებინა – წარმოესახა მთავარი გმირი ცოცხლად და სისხლსავსედ.

ოთარ ჩხეიძისა არ იყოს, მასაც ჩინებულად მოეხსენებოდა, რომ რასაც რუს მწერალს აპატიებდნენ, ქართველ შემოქმედს არ დაუთმობდნენ და „პეტრე პირველი“ და „ლაშარელა“ სხვადასხვა რაკურსიდან განიხილებოდა, მაგრამ ამას ასე პირდაპირ ხომ არ აღიარებდა ხელისუფლება და ნომენკლატურული კრიტიკა?! და გრიგოლ აბაშიძე ხელსაყრელად ამიტომაც მიიჩნევდა ამ რომანის ხსენებას.

სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილის პირობებში უპირველესად, ცხადია, ბიბლიას მოიმარჯვებდა უპირველეს თავდასაცავად, მაგრამ ქრისტიანული რელიგიისა და ეკლესიის დევნა-შევიწროების ხანაში წმინდა წიგნი არამცთუ საყრდენად არ გამოადგებოდა, იქნებ გაეღიზიანებინა კიდევ ძლიერნი ამა ქვეყნისანი. ამიტომაც ფრთხილად ახსენებდა, თუმც მანაც შემოიტანდა მსჯელობაში ერთ-ერთ არგუმენტად გმირისა და მეფის დავით წინასწარმეტყველის ბიოგრაფიის იმ ეპიზოდს, სიცოცხლის მიმწუხრზე ბერსაბესადმი სიყვარულით აღგზნებული მის თავს რომ ართმევს ჰურია ქეტელს, ქმარს კი ომში აგზავნის და აკვლევინებს უდანაშაულო ადამიანს, რათა მისი ცოლი დაინარჩუნოს.

– თუკი ამ საღვთო წიგნში შეიძლება ასეთ ამბებს დავთმოს ადგილი, ნუთუ ჩვენ ესოდენ პურისტები ვართ, რომ 20 წლის მეფის ჭაბუკური ვნებების ჩვენება მკრეხელობად მოგვეჩვენოს?

თვით რომანშიც გამოეყენებინა ეს პარალელი.

რეალისტური მრწამსი და მანერა ჩააგონებდა, რომ ლაშა-გიორგი წარმოესახა ისეთად, როგორსაც ხედავდა, „წინააღმდეგობებით, ავითა და კარგით, ცოცხალ და სისხლსავსე ჭაბუკად და არა ბიზანტიურ ფრესკასავით მკვდრად და უსიცოცხლოდ“.

რატომ არ მიაქცევდნენ ყურადღებას მისი კრიტიკოსები ან განზრახ რატომ ჩქმალავდნენ, რომ მწერალს მთავარი პერსონაჟი გამოეხატა ომში უებრო გმირად, ლილესადმი წმინდა, რაინდულ სიყვარულისას კი უალრესად კეთილშობილ ვაჟუკად. და თუმც არცერთ მემატინანეს არ შემოენახა ცნობა იმის შესახებ, თითქოს ლაშა-გიორგი ვარსკვლავთმრიცხველი ყოფილიყო ან ფილოსოფიური ლექსები და ტრაქტატები ეწეროს, ვაჟუკისა და ბრძენი ჭაბუკის ყველა ეს ნიშანი თუ თვისება გრიგოლ აბაშიძეს უშურველად ებოძებინა თავისი გმირისათვის მისი სახის ასამაღლებლად.

წიგნი თავიდან ბოლომდე ლაშასადმი სიმშაბითითაა დაწერილი, – იძულებული გამხდარიყო ეს ემტკიცებინა მწერალს და სათაურიც ერთ-ერთ თვალსაჩინო საბუთად დაემონებინა: სხვაგვარად წიგნს რატომ ვუნოდებდი „ლაშარელას“, ფოლკლორიდან შემოტანილ მზის ღვთაების მოფერებით სახელსო.

მიყრუებულიყო პავლე ინგოროყვას ის შეხედულება, „ლაშარს“ თამარისა და ლაშას კულტის შესაქმნელად ზრუნვის ნაშთად რომ მიიჩნევდა... მაგრამ ამჯერად ზედმეტია ამ მიმართულებით მსჯელობის გადახვევა, რადგანაც მთავარი ისაა, რომ მწერალი თავის გმირს მზის ღვთაების სახელს უსადაგებს, მის პორტრეტს ამ ძარღვზე ამოაშენებს.

მზის შარავანდში გახვეული რომ დაეტოვებინა თბრობის დასაწყისიდან დასასრულამდე, ის რომანტიკული სახეება იქნებოდა და არა რეალისტური, შესაფერისი სხვა მწერლის მხატვრული სამყაროსათვის და არა მისი ესთეტიკური მრწამსისათვის.

არაჯანსაღი აჟიოტაჟის გავლენით ისიც რომ ეკიჟინებინათ მისთვის: დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფესაც უკადრისად იხსენიებსო, – გაოგნებული სთხოვდა ყველას, გულდასმით გაეცანით რომანს და ნახავთ, რომ მათ მიმართ თავყვანების გარდა არაფერი გამომიხატავს: თამარს ყველგან ნეტარსა და წმინდას ვუნოდებ, ლაშას მოქმედების მაგალითად კი ყოველთვის დავით აღმაშენებელი გამომყავს, როგორც უბრძენი და უძლიერესი მეფე საქართველოსი, ლაშა ყველგან მას ბაძავს საქმეთა გადაწყვეტისას და თუ თავისი დიდი პაპის მსგავსად ვერ ახორციელებდა მიზნებს, ამაში იმდენად თვითონ კი არ იყო დამნაშავე, რამდენადაც მისი ვარემო პირობებით.

და კიდევ ერთხელ რომანის მთავარი გმირის მიუყერძობულად წარმოჩენის აუცილებლობაზე:

– სწორედ ამიტომ იყო ლაშა ტრაგიკული პიროვნება და მე მას კი არ ვკიცხავ, ყველგან თანაგრძობითა და სიყვარულით ვხატავ.

ეს რეალიზმის თანაგრძობა და სიყვარულია, რომანტიკული შარავანდის ფონზე – საკმაოდ თავშეკავებული.

ამიტომაც მკითხველის შეჩვევა სჭირდებოდა ამ მანერით გამოცხადებულ თანაგრძობასა და სიყვარულს.

ამრეზილობის, გულმოსულობის თანდათანობით ჩაცხრობა...

არამცთუ მისი ხელოვნური გაღვივება და აღშფოთების ტალღად გადაზრდა, სულაც შთანთქმით რომ დაემუქრებოდა ავტორს.

როდესაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობა და განწყობილება შენს მხარესა და შენც საკმაო გავლენა მოგიპოვებია, ამ ხელსაყრელი ვითარების გამოუყენებლობა გენანება და კიდევ შეეცდები ამ გზით სვლის ხალისი დაუკარგო მწერალს მკაცრი სამსჯავროს მოწყობით.

* * *

– თითქმის ოცი წელიწადი ვცხოვრობდი მეცამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრებით.

არ აჭარბებს, მართლაც ცხოვრობდა.

და არა მხოლოდ იმის გამოსობით, რომ ამ ხნის მანძილზე მის სამუშაო მაგიდას – „ქართლის ცხოვრებასთან“ ერთად – არ მოშორებია რაშიდ ადინისა და იბნ ალასირის, ნესევისა და ჯუვეინის, ვასაფისა და კირაკოსის და სხვათა მატინაეები, არამედ უფრო იმიტომ, რომ შინაგანად ჰქონდა განცდილი ეს საბედისწერო ხანა ჩვენი წარსულისა.

ოღონდ ესეცაა:

„ლაშარელას“ გაგრძელებად ნაგულისხმევი, იქ შემზადებული ამბების შემდგომი გაშლისათვის შექმნილი „დიდი ღამე“ თუ ამავ სტილისტიკას მიჰყვება, ტრილოგიის მესამე რომანი „ცოტნე ან ქართველთა დაცემა და ამაღლება“ გადახვევა ნამოწყებული გზიდან და რეალისტური თვალთახედვა რომანტიკული მანერითაა ჩანაცვლებული.

ცოტნე დადიანი რომანტიკულ გმირადაა ჩაფიქრებული, ზუმბერაზულ ხასიათად.

რას შეიძლება გამოეწვიო მწერლის ეს მეტამორფოზა?

თუ „იმელის“ იმ თავიერილობამ დაზაფრა და რეალისტობის სურვილი ჩაუკლა, ეს განწყობილება უპირველესად „დიდი ღამის“ სტილისტიკის შეცვლით უნდა გამჟღავნებულიყო, იქ ეჩინა თავი რომანტიკულ მანერას.

არადა, „დიდი ღამე“ აკი უშუალოდ აგრძელებს „ლაშარელას“ მხატვრულ ხედვასა და კონცეფციას.

მაშ ტრილოგიის მესამე ნიმუშის წერისას განა რას უნდა გამოეწვია სტილისტიკის შემოტრიალება?

ისტორიული ცნობების უქმარობას ხომ არა?

ის ორიოდ მტრისი, რაც შემონახულა ცოტნე დადიანის პიროვნულ ხასიათზე, მწერალს არ აძლევდა წინააღმდეგობრივი თვისებების წარმოჩენის საშუალებას და იძულებული შეიქნა რომანტიკული საღებავები უხვად მოემარჯვებინა.

მომარჯვებით კი მოიმარჯვა, მაგრამ... მანერის შეცვლამ არ გაუმართლა.

რეალისტმა დამაჯერებლად ვერ იგრძნო თავი მისთვის უჩვეულო გარემოში. და რომანის პერსონაჟ ცოტნე დადიანს რომანტიკული სტილისტიკის კვალობაზე ზუმბერაზული იერი თუ გადასდევს, ეს იერი იმ მხატვრული ძალისა ვერ არის, რაც ვასილ ბარნოვის, კონსტანტინე გამსახურდიასა თუ ლევან გოთუას ხელში სულ სხვა შთამბეჭდაობით აელვარდებოდა.

ამიტომაცაა, რომ ეს პერსონაჟი ოდნავადაც ვერ მიუახლოვდება ლაშა-გიორგის.

შალვა ახალციხელიც კი, ვინც არ არის „ლაშარელას“ მთავარი გმირი, გაცილებით რელიეფურად და შთამბეჭდავადაა წარმოსახული, ვიდრე ცოტნე დადიანი.

ვერც სიუჟეტი გაშლილი „ლაშარელასა“ თუ „დიდი ღამის“ მიმზიდველობითა და ექსპრესიით.

თვითონ მწერალი თუ რამხელა მნიშვნელობას ანიჭებდა „ცოტნეს“ შექმნას, მისი ბოლოსიტყვაობიდან მკაფიოდ ცნაურდება:

– ქართლის ცხოვრების ამ უძნელეს უღელტეხილზე ცოტნეს გმირობა ქართველი ერის ისტორიის აპოთეოზად მესახებოდა და მის თავდადებაში მარტო ერთი თაობის განწმენდას კი არა, მთელი დაცემული საქართველოს სულიერ ამაღლებას, ფენიქსებერ აღდგენასა და გამარჯვებას ვხედავდი.

იქვე ამ თავდადებას იხსენიებს კეთილშობილი რაინდობისა და დიდსულოვნების განუმეორებელ ნიმუშად და დასძენს: ცოტნეს გაკვეთილის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდი უნდა იყოს დღესო.

ზნეობრივი გმირის იდეალსა და ორიენტირს სთავაზობს თანამედროვეებს ცოტნე დადიანის მხატვრული სახით.

თურმე რა იმედებს ამყარებდა ტრილოგიის დამამთავრებელ ნიგნზე.

ისტორიული აპოთეოზი მხატვრულ აპოთეოზად უნდა განმეორებულიყო.

არადა, ეს რომანი არამცთუ ჯეროვნად ვერ აგვირგვინებს ტრილოგიას, აშკარად ჩამოუვარდება თავის წინამორბედებს.

მაშ რა გამოდის – „ცოტნე ან ქართველთა დაცემა და ამაღლება“ მხატვრულ მარცხად თუ შეფასდება?

ალბათ ასეც იქნებოდა, რომანის ორი მონაკვეთი რომ არა, ორი ჩართული ნოველა კოხტისთავის შეთქმულების მონაწილეებზე – თორღვა პანკელსა და, განსაკუთრებით, ეგარსლან ბაკურციხელზე.

აი, ხატვის ნამდვილი ხელოვნება.

აი, გრიგოლ აბაშიძის მწერლური ტალანტის დამადასტურებელი ქმნილებანი.

და ეს იმიტომ და მხოლოდ იმიტომ, რომ ორივე ნიმუში რეალისტური თვალთახედვითაა გააზრებული, პერსონაჟთა წინააღმდეგობრივი ხასიათები ღრმა ფსიქოლოგიზმითაა გადახსნილი და სიუჟეტებიც მძაფრი დრამატიზმითა და დინამიურობით აღბეჭდილია.

და ეს იმიტომ, რომ მწერალი მისთვის ბუნებრივ სტილისტიკაში ლაღად და ძალდაუტანებლად გრძნობს თავს. და თუ თორღვა პანკელის სახეზე უდავოდ დასამახსოვრებელი ხდება, ეგარსლან ბაკურციხელი სულაც მონუმენტურ ფიგურად წამოიმართება და თავისი მხატვრული ძალით აშკარად ჩრდილში მოაქცევს ცოტნე დადიანს და წიგნის მთავარ ღირსებასაც ის ქმნის – ეს თითქოსდა რიგითი პერსონაჟი.

იქნებ სჯობდა გრიგოლ აბაშიძეს იმთავითვე ამერიკული რომანის ერთ-ერთი ნაირსახეობის არქიტექტონიკით განეზრახა ამ თხზულების შექმნა?

ეს გულისხმობს – კოხტისთავის ყველა შეთქმულს თავთავისი ნოველა მიძღვნოდა და ცოტნე დადიანიც ერთ-ერთი ნოველის გმირი ყოფილიყო.

შინაგანი ძარღვი მაინც მის ირგვლივ შენივთდებოდა და „ცოტნე“, როგორც რომანი ნოველებად, ერთიან და დასრულებულ შთაბეჭდილებას მოახდენდა მკითხველზე.

ის ცნობები, რაც ცოტნე დადიანზე შემოგვრჩენია ჟამთააღმწერლის წყალობით, სავსებით განვადებოდა ნოველის სიუჟეტურ ქარგას და მწერალს აღარ დაჭირდებოდა გულუბრყვილო სურათებისა და სცენების ჩადგმა თხრობაში.

ბედი კაცისა

ცოტნე დადიანის რომანტიკული იერი საერთო რეალისტურ ფონზე ერთგვარად ამოვარდნილი კი გამოჩნდებოდა, მაგრამ ისეც არა, ეს ორიგინალური ყაიდის რომანი მარცხისათვის განწირულიყო.

პერსონაჟი ზიდავდა თავის სიუჟეტს და მთავარიც ეს არის. ახლა – ველარ ზიდავს.

და ბედად ევლინებიან თორღვა პანკელი და ეგარსლან ბაკურციხელი მშველელებად და იმ ტვირთის ამწეებად, რამაც ეს რომანი დასავინყებლად აღარ უნდა გაიმეტოს.

„ეგარსლან ბაკურციხელი“ კი ადრე თუ გვიან აუცილებლად და მტკიცედ დამკვიდრდება ქართული ნოველის ანთოლოგიებში.

ცოტნე დადიანის ირგვლივ ეპიკური სიუჟეტის მოქსოვის სირთულე – და იქნებ გადაულახავი სირთულეც – ჯერ კიდევ როდის ეგრძნო აკაკი წერეთელს, ვინც – ამ ისტორიული პიროვნებით აღტაცებული – მის უშუალო მხატვრულ ხორცშესხმას კი არ გადაწყვეტდა, არამედ სრულიად ახალ სიუჟეტს შეთხზავდა და მის შუაგულში მოაქცევდა ცოტნე დადიანის მეუღლეს, ვის შესახებაც მინიშნებითაც არაფერი ვუწყით. აკაკი სწორედ ამ გარემოებით ისარგებლებდა და ცოტნესადმი თავყანებას ამ გზით გამოახვევდა პოემაში „ნათელა“.

დასასრული შემდეგ ნომერში

კრიტიკა

ელიზბარ ელიზბარაშვილი

ნიჰილისტური ცივილიზაციიდან ამ ქვეყნის „უტკბილეს გვირგვინამდე“

(სოფიკო კვანტალიანის პოეზიის მიტაფორული სამყარო)

მრუმე, მძიმე, ცივი და ბნელი, ტლანქი, მაგრამ რიტმულად მოძრავი, ყველაფერი დაშლილია ან იშლება ატომებად, ზედაპირის მექანიზმებად: ადამიანები, ცხოვრებისეული მოვლენები, ემოციური პროცესები... „სამყარო ჰიპნოზირებული ბურთია“, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ცივილიზაცია — ჰალუცინაციური. ყველაფერი დამთავრებულია. აქ ადგილი აღარ რჩება ღვთიური „ნაპერნკალისათვის“. ავტორის „მე“ ფილოსოფიური „დისტანცირებით“ უყურებს ამ უმსგავსო სამყაროს და პროზაული სიცივით აგვიწერს მას: „**სამყარო დაემსგავსა გამოხრულ ზეროს. სადაც დღემუდამ მოძრაობს ფეკალური მასა. ზოზინით, ზანტად მერე ზმუილით.**“ (ვზივართ გამოქვაბულში... „ალტერნატივა“. 1998, 10)

ეს სოფიკო კვანტალიანის პოეზიის მეტაფორული სამყაროა, არტურ შოპენჰაუერის ყველა შესაძლო სამყაროს შორის უარესი, სამყარო, მაგრამ მსუბუქი, სტილიზებული ენით, ჩამქრალი პათოსით და გაცნობიერებული ინფანტილურობით გადმოცემული.

შესაძლებელია კი ღირებულებებითა და ესთეტიკურად ამაზრზენი სამყაროს აღწერა მშვენიერების „ტერმინებით“? — აი, საკითხავი სწორედ ეს არის.

„ლამეს ღამურები ჰკიდია ილღიებქვეშ“, „სამყარო დაემსგავსა გამოხრულ ზეროს“, „შეშლილი ადამიანები“ და „მგლები“, „ნაწლავებგამომიგნული, ზოგი რა ჭკვიანია მკვლელობის პროცესში“, „საპოხისა და ბნელი სამყაროს სუნი“, „ყველაფერმა დატოვა მტვერი! სხვა არაფერი“, — ეს მართლაც უარესი სამყაროა მათ შორის, რაც ოცი წლის გოგონას შეეძლო წარმოედგინა. სწორედ მაშინ დაინერა პოეტური ციკლი „პარანოიები“, შემდეგ — „მულტიპლიკაციები“, შემდეგ — „მუნასიბები“.

ნებისმიერი ავტორის შემოქმედების მთლიანობით და ღრმა აღქმა რომ მოვახდინოთ, საჭიროა მისი ტექსტე-

ბის შინაგან საკომუნიკაციო განზომილებაში გავიდეთ, აღწეროთ მისი ტექსტების მეტაფორული ლანდშაფტი, გამოვკვეთოთ მეტაფორული სიუჟეტი, როგორც შინაგანი მოქმედების პროცესი, გამოვყოთ ავტორის „მე“ და მისი ვირტუალური თავგადასავალი.

სოფიკო კვანტალიანის ტექსტების მეტაფორული სამყარო ყველაფრისაგან დაცლილი და დაბერებული ცივილიზაციის სამყაროა, რომელიც დაავადებულია, გადაგვარებულია, დეგრადირებულია. აქედან იწყებს ის.

„ერთი-ორად გაიზარდა შიდსით ინფიცირებულთა რიცხვი“ (ვზივართ გამოქვაბულში...)

„ყვითრით მდიდარი, გიგანტური კვერცხით ჩანდა მთვარე, ავადმყოფურად დასიებული“ (პარანოია V, „ალტერნატივა“, 1998, 10).

ამ დროს კი „ცაში გაისლიპინეს ატლასის ყვავებმა — მის ნესტოებთან დატოვეს საპოხისა და ბნელი სამყაროს სუნი...“ (პარანოია IV, „ალტერნატივა“, 1998, 10).

„ჩაქრა სამყარო ფანჯარაში“.

ასეთ სინამდვილეში ადამიანები მუდმივ ურთიერთგაუტანლობაში, მტრობასა და ურთიერთგაუცხოებაში არსებობენ:

ჩვეულებრივ, ქალაქში, სადაც ცხოვრობენ მგლები, იქ ადამიანებიც ცხოვრობენ (!) ნახევრად შეშლილი ადამიანები!..

(პარანოია V)

ადამიანები მგლებად იქცევიან და „ერთი მგელი ეძახის მეორეს: მიიყუდე ვისკი და შესვი!“ (ვზივართ გამოქვაბულში...) იმავე ლექსში კი „მგლებმა ჩამოხსნეს მთვარე და გაიქცნენ!“

ადამიანები ხდებიან ნამუსახილები, გაუკულმართებული, ხეიბრები, მკვლელები, რომელთაც არ სწამთ არაფრის. ეს არის ღვთისგან მიტოვებული სამყარო, რომელიც ბნელში აგრძელებს არსებობას, გამოსცემს ხმებს, თუხთუხებს საკუთარ თავში, აქვს რიტმი. რიტმი ყოველთვის შეიძლება დავინახოთ (პარანოია III, IV, V, ვიზვართ გამოქვაბულში...).

პარანოია I-ში აღწერილია პიროვნული ურთიერთობის დრამატიზმი, რომელსაც ვერაფერი შველის. ლექსის გმირები განწირულები არიან ერთმანეთის დასაკარგავად: მთავარი გმირი და მისი ცოლი — ნამუსახილი კუნეგონდა.

**ერთხელაც გარეთ გამოავლო
ქალი — ნამუსახილი კუნეგონდა,
რომელიც ტიროდა.
დაიბნა უბნის პოლიციელი,
ვერაფერი უშველეს მაინც.
...
დილით ერთად შესანსლეს საუზმე
და გაიყარნენ.**

(ალტერნატივა, 1998, 10).

პარანოია II-ში გმირისთვის უმნიშვნელოა სამყაროც და მისი ცოლიც, რომელიც მასში ცხოვრობს: „მისთვის უმნიშვნელო იყო სამყაროს ჰიპნოზირებული ბურთი, რომელშიც მისი ცოლი ცხოვრობდა“ (ალტერნატივა, 1998, 10).

პარანოია III-ში კიდევ ერთი, ამ სამყაროსაგან სრულად გადაგვარებული ადამიანი წარმოგვიდგება ჩვენს თვალწინ, რომელიც ბავშვობაში იყო კეთილი. ახლა კი „შორს წავიდა“, ანუ ბოლომდე შეეთავსა იმ სინამდვილეს, სადაც ცხოვრობს, ბოლომდე დაკარგა კეთილშობილურის ნასახიც:

**ქუჩის ძაღლებისაგან დასახიჩრებული,
ვეებერთელა ჩემოდნით მოდის —
ილიაში ქალაქამოჩრილი, უმსგავსო ქმარი.
ახლა ინექციები დასჭირდება უთუოდ
და მასზე გაიღესავს კბილებს მთელი თერაპია.
(ალტერნატივა, 1998, 10).**

ამგვარ სამყაროში ადამიანები მუდამ ებრძვიან და კლავენ ერთმანეთს, ეს ცივილიზაცია მუდმივი ომის მდგომარეობაა:

**გარეთ გავარდა და ნახა —
ხიდიდან როგორ ამოჰქონდათ გვამი,
წყლის ფსკერიდან — ნანლავებგამოშიგნული...
ზოგი რა ჭკვიანია მკვლელობის პროცესში...
(პარანოია IV).**

**საბეჭდი მანქანები
ბეჭდავენ:
თუ როგორ იგერიებენ
გოლიათები გოლიათებს,
იუნყებიან ქალაღებ:**

**რომ ომი დაიწვა!
ჭისტვალემა მეცნიერები
იკვლევენ წვის შედეგებს...**

(ბავშვი — დამნაშავეთა სამყაროდან.
„ალტერნატივა“, 1998, 10).

ამ ბნელ სამყაროში ებრძვიან მზეს, სინათლეს და სინათლის ყოველ წყაროს, რომელიც იმედის, სიკეთის და ბედნიერების მეტაფორაა. პარანოია IV-ში ატლასის ყვავებმა მზე ჩაქოლეს და სხვა ლექსში კი მგლები მთვარეს ჩამოხსნიან.

ადამიანების ეს გამგელების ანუ გააარაადამიანურების პროცესი ბავშვობიდანვე იწყება: პარანოია III-ში ბავშვები დარბიან და ერთობიან ნანლავებგადმოყრილი მტრედით, ლექსში „ბავშვი — დამნაშავეთა სამყაროდან“ კი ვხედავთ, რომ ადამიანების აღზრდა-მომზადება ამ ცივილიზაციისათვის და ამავე დროს მათი სულების გადარჩენა ურთიერთშეუთავსებელია. ბავშვები თავიდანვე ერთევიან ურთიერთსიძულვილის და ომის დამოკიდებულებაში, მათ „სათამაშოები“ ველარ შველით. ადამიანები შეიშლებიან, მაგრამ ავტორის პოზიციით შეშლილობა კიდევ უკეთესი გამოსავალია, რადგან ისინი ამ დროს ნახევარადამიანებად მაინც რჩებიან.

**ბავშვი, რომელმაც შარშან დაარბია
მთელი საბავშვო ბაღი —
წელს შეიშალა!
მომავალ წელს ალბათ მოკვდება!**

**...
ბავშვები ბოლოს უღებენ ერთმანეთს,
ბავშვებს ომი სწყურიათ.
და ომობენ საკუთარ თავთანაც!
ბავშვები სხვებზე მეტად განიცდიან
არასრულყოფილებას.**

(ბავშვი — დამნაშავეთა სამყაროდან).

სოფიკო კვანტალიანის მეტაფორული სამყაროს „ადგილია“ მრუმე, „ნათურებგადაცლაპული“ ქალაქი, სადაც დაძრწიან მგლები, ასევე დაქრიან სავაჭრო ავტომობილები წარწერი — „კაკამბო“. ამ ქალაქში ყველა და ყველაფერი ემალება მზეს, მზე არც არსებობს. ამგვარ სამყაროში სინაზე, მშვენიერება, პოეზია პროფანირებულია. პოეტები — ცივილიზაციაში გაშარყებულნი — „მომღერალ პოეტებზე ჩვეულებრივი შარყები“ (ჩემი სახლია... „ალტერნატივა“, 1998, 10).

პოეტები აღარ არიან მამულის მკერდით წიაღში დავანებულნი, არამედ „ისინი ჩამოცვივდნენ მამულის მკერდიდან — ტრამეის ხაზზე“ (საკუთარი ქალაქის... „ალტერნატივა“, 1998, 10) პოეტის მეტაფორა აღარაა ზეცაში მფრინავი არსება, არამედ ქვაა ლიანდაგზე დაგდებული. თანამედროვე ცივილიზაციის ატმოსფერო კულტურისა და სულიერებისაგან დაცლილია — „პლასტმასის ხიდი“, „ცხოვრება კონსერვის ქილაში“, ქალაქი-ქარხანა, სადაც მზე შემთხვევით ამოდის — „ქალაქში კულტურის გაუვალობა (საჭიროა გორგაცია თუ კათარსისი?)“ (ჩვენს წინ... „ალტერნატივა“, 2000, 8), თუკი

„სამყარო დაემსგავსა გამობრულ ზეროს, სადაც დღემუდამ მოძრაობს ფეკალური მასა“, ცივილიზაცია „**მსოფლიო კანალიზაციაზე ვრცელი რეპორტაჟებია**“ (ჩემი სახლია...). ამ ბნელი სამყაროს მოციქული ფრინველი კი ღამურაა. ცივილიზაციის ადამიანები ღამის შვილები არიან. ამიტომ წერს ავტორი: „**ღამეს ღამურები ჰკიდია ილღიებქვეშ**“ (პარანოია I). ყველა ადამიანის სულში, ვინც ამ სამყაროს „შვილია“, ღამურა ცოცხლობს, ღამურა მოქმედებს.

ეს არის ნიჰილიზმის სამყაროს სულიერი კლიმატი, რომელსაც ფრიდრიხ ნიცშე აღწერდა თავისი გულმოდგინე დეტალურობით. პარანოია II-ში პრეისტორიულ ადამიანთა მითიური ყოფა ზღაპრებადაა გამოცხადებული. ყველაფერი ზღაპარია, რაც ისტორიულად აქამდე ადამიანებს ასულდგმულედათ: რომანტიზმი, ადამიანური გრძნობები, სულიერი ნაპერწკალი, რწმენა... ყველაფერი დაშლილია „სიტყვებზე“ და „ქრომოსომებზე“. ამიტომ მიდიან ლექსის გმირები ქალაქში სახელად „ჭრელი ძროხა“, ქალაქში, სადაც ნიცშეს ზარატუსტრა მივიდა. ეს დაშლა სულიერი პროცესების თუ ღირებულებებისა ცალკეულ ატომებად და შემადგენელ ქიმიურ ელემენტებად ნიცშეს ცნობილი მეთოდია. ამ ცივილიზაციაში ყველაფერი დაიყვანება ტექსტებზე — სიტყვებზე და გენურ ინჟინერიაზე — ქრომოსომებზე. ისეთი სულიერი მოვლენაც კი, როგორც შინ დაბრუნებული ადამიანის ღრმად ამოხვნეშაა, პარანოია III-ში დაშლილია სკრუპულოზურ დეტალებად, ფიზიოლოგიურ ფაზებად — ემოციების ქიმიანება დაყვანილი — არავითარი განსაკუთრებული, არავითარი სულიერი, უბრალოდ მექანიკური პროცესი:

**ძველი ჰაერი გამოდენა ოთახიდან —
პნევმოთორაქსიანი ფილტვი დაიცალა
და ჰაერით ისევ გაივსო.
რიტმულად, რიტმულად.**

მულტიპლიკაციებში კი ისეთი შემზარავი სცენა, როგორც შენი პატარასათვის აგრესიული ფრინველის მიერ თვალების ამოკორტნაა, ფიზიოლოგიურ და მექანიკურ პროცესად არის აღწერილი და დაშლილი: „**წკაპ, წკაპ! ყურძნის ნაყოფებივით ჩასლიპინდება მათ ცერბერულ ჩინახვევებში გულუბრყვილო შენი პატარას ცილოვანი სხეულაკები**“ (არ დაგრჩეს ბავშვი... „ალტერნატივა“, 2000, 8).



სოფიკო კვანტალიანი

ხოლო მეორე ლექსში მორწმუნის სულის ფიზიოლოგიურ-ფსიქოლოგიური „ქიმიანა“ აღწერილი ნამდვილ ნიცშეურ სტილში: „**შენს წინ გაიღვებ მორიგი მორწმუნე (ინფანტილური სასქესო ორგანოთი) პატივი ეცი მას, თუნდაც იმიტომ, რომ ოდესღაც ცნობილი სილუეტგრაფი იყო, ან თავგამოდებული ექსტრემისტი...**“ (ბევრი იმოგ ზაურა... „ალტერნატივა“, 2000, 8).

სამყაროს დაშლის და ქიმიური გაშიშვლების მეტაფორა კი ლექსში პარანოია III ნაწილზეგამომიგნული მტრედია, რომელიც პატარა ბიჭებს ხელში უჭირავთ ჯოხზე ნამოცმული. ისინი ჩაიქროლებენ ჩვენს წინ.

ამას ემატება პარანოია IV-ში ნიცშეურ-ფილოსოფიური პათოსი — ავტორის მიერ მურაბისა და ნაწილზეგამომიგნული გვამის ერთ აღწერით სიბრტყეში დაყენება — არაფერი მნიშვნელოვანი, არაფერი სულიერი, ყველაფერი გვერდიგვერდ.

ამიტომაც „ყველაფერმა დატოვა მტვერი! (სხვა არაფერი)“ (საბეჭდი მანქანები... „ალტერნატივა“, 1998, 10), ამიტომაც „გკარგავთ ღმერთებს“ (ვზივართ გამოქვაბულში...), ამიტომაც ბავშვები მიისწრაფიან „ღმერთკაცობისაკენ“ (ბავშვი — დამნაშავეთა სამყაროდან) — ზეკაცისაკენ, რომელიც ღმერთის ადგილს იკავებს.

— და „რასა ჰგავს ეს?!“ — აღმოხდება ბოლოს ავტორის (ვზივართ გამოქვაბულში...). იგი ზურგს აქცევს ამგვარ ცივილიზაციას. ფრაზა ინფანტილურია, მაგრამ აქედან იწყება სოფიკო კვანტალიანის ტექსტთა მეტაფორული სიუჟეტის შემობრუნების წერტილი. ავტორის „მე“ უარს ამბობს ამგვარ სამყაროზე და მიდის გამოქვაბულში, შინაგანში, საკუთარ შინაგან სამყაროში საძიებლად: ყოფიერების სწორი ფორმის დასადგენად. ჩვენი „მითის“ შემდგომი განვითარება ასეთია:

**ვზივართ გამოქვაბულში —
მე და დიდყურა მთვარე:
ვუსმენთ „ათას ერთი ღამიდან“ ზღაპარს
და ამ დროს ჩემს ყურთან
წაიმღერებს ბულბული
ერთ-ერთ ტაქტს გერშვინიდან.**

გამოქვაბულში არის ვნებიანი (ზღაპარი „ათას ერთი ღამიდან“), ესთეტიკური („ბულბული“, „გერშვინი“) და ინფანტილური სამყარო („დიდყურა მთვარე“). ავტორის „მე“ შინაგანში შებრუნებით ეძიებს სამყაროსთან დამოკიდებულების ახალ გზას. ერთადერთი ადგილი, სადაც თავს დააღწევს სამყაროს საძინელებას, საკუთარი შინაგანი სამყაროა —

„გამოქვაბული“, სადაც შეიძლება შეინარჩუნო სიკეთე, სილამაზე. ამ „ფეკალური მასისაგან“, სულიერად დაცლილი სამყაროსაგან, უნდა „განიმინდო“ საკუთარ თავში ჩაღრმავებითა და გარემოსგან სულიერი გამოყოფით. ავტორი უარყოფს ნიჰილიზმის ფილოსოფიას, ადამიანის სულის გარდაქმნის სამ საფეხურს: აქლემი, ლომი და ბავშვი-ზეკაცი; და გვთავაზობს სულიერი ტრანსფორმაციის თავის მეტაფორებს: ღამურა-ბულბული-მერცხალი. ღამურა — ცივილიზაციის ადამიანის სულიერი მდგომარეობა, ბულბული — განწმენდის ეტაპი სულში და მერცხალი — მზისკენ მოფრენალი სული, რომელიც აღწევს ბედნიერებას.

**ვზივართ გამოქვაბულში —
ჩვენს მიღმა ლურჯი ტყეა
და ლიზოლიანი აბაზანა —
განიმინდები უსათუოდ...
მღერის ბულბული.**

ბულბული, როგორც მუსიკის სიმბოლო განწმენდის გზა-საშუალებაა. მუსიკა განწმენდელია თავისი კათარზისული უნარით. ავტორის „მე“ უნდა განიმინდოს სამყაროს ამაზრზენობისაგან. ავტორის „მე“ მიიჩნევს, რომ ის დაბინძურებულია არა ცოდვის გამო, არამედ — ამ სამყაროში უბრალოდ არსებობს. განწმენდას კი წინ უძღვის მონანიება. ეს მართლაც აბსურდული მონანიებაა, რადგანაც არ არსებობს დანაშაული, მისი ერთადერთი დანაშაული ისაა, რომ ამ ცივილიზაციაში მოუხდა სიცოცხლე.

**ახლა, ქლოროფორმით
დავიზელ გონებას
და მივიწყებულთა სიასთან ჩავიჩოქებ.
ზურგზე მანვეს ჩემი ცოდვა
და ისევ მშია.**

რამეთუ მონანიებას აქვს ფასი.
(*ჭის სიღრმეში... „ალტერნატივა“, 1998, 10*).

საკუთარ სულიერ გამოქვაბულში ჩაშინაგანება, მონანიება და განწმენდა გარეგნულ ქმედებაში ამ ცივილიზაციისაგან გაქცევას წარმოადგენს. ადამიანები — სულით ტურისტები — მოსდევენ ავტორს და არ ანებებენ თავს, ჩხრეკენ მის სულს: „და მე გავრბივარ... მე შენვეიან ტურისტები მინის კოლბებით და ათასგვარი საჩხრეკებით, მნიფე ქოლგებით. პენსიონერთა პანსიონთან ტელეპერსონაჟები. მომღერალ პოეტებზე ჩვეულებრივი შარყები... საყოფაცხოვრებო სექციები მხარს გიჭერს რომ გაექცე ცივილიზაციას...“ (*ჩემი სახლია...*)

მაგრამ სად? მთავარია არა რისგან, არამედ სად გავრბივართ საბოლოოდ. სოფიკო კვანტალიანის პოეზიაში ეს საკუთარი — ალტერნატიული — სამყაროს გახსნა-გამოვლენაა, სადაც სული-ბულბული, სულ-მერცხლად გადაქცევა, სადაც მივალწვეთ მზეს და სხვა სამყაროს, სადაც ადამიანი შეძლებს აღარ გაუცხოვდეს გარემოსაგან და იყოს ბედნიერი. ასეთი სამყარო, ავტორის „მე“-ს აზრით, არსებობს პოეტენციურად, ჩვენს შესაძლებლობაში, საჭიროა მხოლოდ მისი გახსნა-გამოვლენა, შემდეგ შესვლა მასში.

**და აჰა — „ჰოპ! დაიჭირე ოქროს გასაღები —
შენთვის ღიაა დიდი კარები!**

(*ჩემი სახლია...*)

ავტორის „მე“ ხვდება, რომ სამყაროში მისი პიროვნული შესაძლებლობანი ჯერ კიდევ სრულად არაა გამოვლენილი. გამოქვაბულში ჯდომისას და „ათას ერთი ღამიდან“ ზღაპრის სმენისას იგი მიხვდება, რომ ეს „ოქროს გასაღები“ არის მისი ქალური ბუნება და ამ ბუნების რეალიზაცია, რომელსაც ძალა შესწევს შექმნას ახალი სამყარო — გახსნას კარი ახალ სინამდვილეში. **„შენ აწყობ აქციას: ყველაზე ღამაში ქალი!“** (*ჩემი სახლია...*)

გაქცევის მიმართულება არის „ოქროს გასაღები“ და „დიდი კარები“, რომელიც ღიაა. „ოქროს გასაღები“ ავტორის საკუთრებაა — მისი ქალური სანყისი. ავტორის „მე“ განწმენდის შემდეგ ამ ამაზრზენ სამყაროს გაურბის საკუთარი ქალურობის დამკვიდრებაში, რათა გაჩნდეს გულში „მერცხალი“, რომელიც მიიღწევა მეორე ადამიანთან ფსიქო-ფიზიკურ შერწყმაში, ეროტიკაში.

საკუთარი ქალურობის რეალიზაცია არის გზა, რომელიც პიროვნებას გარდაქმნის და თითქოს ახლიდან დაბადებს მას არსებობისათვის. ამ სამყაროდან გაქცევა-გათავისუფლება და სხვა სამყაროში გადასვლა, რომელიც საკუთარი ქალური სანყისის განხორციელებაა, არის დაბადება სხვა ადამიანისათვის: **„მე თევზის ქალაში დავსახლდები: ის პირს გააღებს და მხოლოდ მაშინ მშობს მე, სწორედ ისეთს, როგორც გინდა შენ!“** (*სიზმრის მანიფესტი, „ალტერნატივა“, 1998, 10*).

ეს — სიცოცხლისათვის ახალი დაბადება — საკმაოდ ხანგრძლივი და მძიმე პროცესია და ამიტომ ახლავს შიში, რომ ვერ შეძლო ეს ანდა ოცნებებში ჩარჩე:

**ხანგრძლივი შიში (!).
შობამდე დიდი დრო დარჩა,
ვაი თუ ველარ დავიბადო
და შემრჩეს ყელში გაჩრა!
ჩემი სიზმრების საბუნფისოდ!**

(*სიზმრის მანიფესტი*).

ასე თავდება „პარანოიები“, რომელიც სწორედ ასე იმიტომ იწოდება, რომ გაქცევის პარადიგმა გამოხატული. „მულტიპლიკაციები“ კი წინ დაბადების, განწმენდისა და ქალად გახდომის მზაობის თემატიკას წამოსწევს.

დაბადებას ტკივილი ახლავს თან. იგი გულის გახსნაა მეორე ადამიანისათვის. ქალად დაბადება არის სიყვარულში გახსნა. ღამურიდან მერცხლად გადაქცევა:

**მე ვტირი,
რადგან ჩემში გულია,
რომელიც უნდა გაიხსნას,
ჩემში მერცხალია შავი...**

(*მულტიპლიკაცია II, „ალტერნატივა“, 1999-2000, 26*)

ჯერ დედის სხეულში ყოფნა, შემდეგ ძუძუზე, შემდეგ მისი გაქრობაც: **„მე ვიძალეები დედის სხეულში“**. „პირში მიდევს ყინულის ძუძუ და ძალიან კარგად ვიცი, რომ ის აუცილებლად გაქრება“ (*მულტიპლიკაცია II*).

აქ ხდება პირველი სიყვარულის გახსენება:

**უყუყუები —
ჯერ კიდევ შვიდი წლისას
როგორ შემეყვარდა პატარა ბიჭი.**

მულტიპლიკაცია V-ში იგივე თემატიკა გრძელდება: „**მე დავიბადე ჩემი მშობლების ეფემერული თამაშის დროს**“. „**მე ქალაჩი ვარ; გაკვირვებული ფრინველი**“ („ალტერნატივა“, 2000, 8).

მულტიპლიკაცია VI-ში ასევე გაშლილია განწმენდის თემა, მზადება დაბადებისათვის — გულის გახსნისათვის, გაფრენისათვის: „**ჰე, იესო ახლა უნდა ვიმღერო მისთვის — ვისი გულიც გაიხსნა**“ („ალტერნატივა“, 2000, 8).

ამიტომაც მულტიპლიკაცია I-ში სოფიკოს მეტაფორული სამყაროს ტრანსფორმაცია იწყება — პირველად შემოდის მასში მზე და მერცხალი, ლამურა კი ქრება: „**ერთხელ, წვიმაში გალუმპული ლამურა შემოვიყვანე, გასაშრობად დავკიდე ყიყლიყო ქუდის გვერდით, როცა ბალიდან დავბრუნდი, ვნახე — იატაკზე პრიალა შავი ლაქა**“. („ალტერნატივა“, 1999-2000, 26).

მულტიპლიკაცია X-ში გრძელდება მონანიების, განწმენდისა და მინიერი სიმძიმისგან გათავისუფლების თემა:

**კინალამ გადაუხვიეს ჩემმა ფეხებმა,
ქოთნიდან ამოყრილი
ყვავილთა ღეროების მსგავსად
ეყარნენ ისინი გზაზე —
ჰე გრძნეულო კატერლიზხენ
შენ გაასუფთავე ისინი მინისაგან.**

(„ალტერნატივა“, 2001, 5).

ბოლო მულტიპლიკაციაში კი პირველად შემოდის ეროტიკული ელფერი და საკუთარი ქალურობისათვის ხაზგასმა:

**განგებ დავიხარე ჰერცოგის წინაშე,
მკერდი რომ გამომჩენოდა...**

(„ალტერნატივა“, 2001, 5).

პირველად შემოდის ხედვის ჰორიზონტზე კონკრეტული მამაკაცი, როგორც მიზიდულობის საგანი:

**ჰე მხიარულებო,
თუ იცით რომ
ჰერ ჰერცოგ შნიებერნი
ის კაცი იყო,
ვინც პირველად ჩამიკრა თვალი!**

პირველად შემოდის სიკეკლუცე — „**მერე გავკოხტავდი და გავილიმე**“.

პირველად შემოდის უშუალო შეხება მზესთან, როგორც ახალ სამყაროსთან, ახალ ენერჯისთან: „**ტერფები ამენვა რატომღაც, ძირს დავიხედე — მზეებისთვის დამიდგამს ფეხი ხალიჩაზე!**“

და დაბადება — ლექსი „**უზუნდარა**“:

**როგორ შევებრძოლოთ ნაკადულებს
ჩემსკენ რომ მოედინებინ?
სხვანაირი გალვიძება მქონდა დღეს
ცეკვასავით —
მთელი ღამე კაცთან მძინებია თითქოს,
არადა ზრდასრული მზესუმზირა იწვა
ჩემს გვერდით!**

**მერამდენედ მივიღე ყვავილი
როგორც კაცი და
დავწექი მასთან!
შაქრისაგან გაცისკროვნებული ვწევარ
და მთლად ვკაშკაშებ,
ჰე, მომადრეთ გამსკდარი ფატას აპკი
და ამომიყარეთ თავიდან
საპატარძლო თეთრი ვარდები.**

(„ჩვენი მწერლობა“, 2010, 17).

ნაკადულები ვნებაა, რომელსაც ვეღარ აჩერებს ავტორის „მე“. ხდება ქალური სანყისის განხორციელება სხვა ადამიანთა ფსიქო-ფიზიკურ შერწყმაში, სექსუალურ ტკბობაში, სიყვარულში. სწორედ აქ ახდენს ავტორის „მე“ საკუთარი ქალური ბუნების დამკვიდრებას და მეორე ადამიანისათვის, მამაკაცისათვის „დაბადებას“. აქ იკვეთება გულში „მერცხალი“. ამ ლექსიდან მზე და მზის ენერჯია მთლიანად შემოდის ავტორის „მე“-ში, სწორედ სასიყვარულო ტკბობის ობიექტიდან. ავტორის „მე“ უკვე თვითონაც მზის ენერჯის მატარებელია, ამიტომაც წერს — „**მზეს ტყუპისცალი გავუჩინო**“. ტექსტში „შიბუ“ კი მზის სხივი პირდაპირ ეროტიკულ სიმბოლოდ იქცევა — „**მზის სხივი იყო, ჩემში რომ შემოსრილა და გამაღვიძა**“.

ამით ავტორის „მე“ გაექცა ნიჰილისტურ სამყაროს, ბნელ ცივილიზაციას და შექმნა სიყვარულის, ტკბობისა და ეროტიკის სამყარო საკუთარი ბუნების რეალიზაციით. თუკი „**მუნასიბებს**“ ეროტიკა გვინდა დავარქვათ, მას რეაქტიული ეროტიკა უნდა ვუწოდოთ, რადგანაც მისი სანყისი ბიძგი, მამოძრავებელი მოტივი და ენერჯის წყარო გადაგვარებული ამაზრზენი ცივილიზაციიდან გაქცევაა. „**სიტკბოს მუნასიბშიც**“ გრძელდება ორი ადამიანის სიყვარულით ტკბობისა და ამ ურთიერთობაში ავტონომიურ სამყაროდ ჩამოყალიბების თემა, რომელიც ჰედონისტური ფილოსოფიის აღიარებამდე მიდის:

**ასე ვტკბებოდით ფენა-ფენა,
შაქრის სიროპში თიმთიმებდა
ჩემი ძვალ-ხორცი,
ერბოთინაზელ ტკბილ ქადის ცომში
მენყო სიზმრები.**

**ვიყავით მშვიდად მტკბარნი
„ერთ ხორც და ერთ სულ“
მსუქანი მუცლებით შეზრდილი
ტყუპ ქლიავივით...**

**აღმოვაჩინე საიდუმლო
მურაბადქცევის
სიტკბოთი უკვდავებაში გადასვლის.**

(„ჩვენი მწერლობა“, 2010, 17).

„იისფერ მუნასიბში“ ასევე პოეტური ენითაა აღწერილი სასიყვარულო შერწყმის ფიზიოლოგიური დეტალები:

**კენკროვანი ტკაცუნით სკდება
სიქალწულე რიშქალასი
და ისე ნაზად იხსნება მისი გული,
თითქოს ღვთაებრივად მნიფე ბრონეული
უსისხლოდ გაგეხლიროს...**

(„ჩვენი მწერლობა“, 2010, 17).

ტექსტში — „ქურდი“ ასევე სექსუალური თემატიკაა გათამაშებული.

მაგრამ რითი განსხვავდება რეაქტიული ეროტიკა უშუალოდ, „პირველადი“ ეროტიკისაგან? რეაქტიულ ეროტიკას ფესვები სხვაგან აქვს გადგმული, ის არ არის პირველადი მოვლენა, არამედ — მეორადი, ის რეაქციაა უმსგავსო სამყაროზე, ის მთელ ენერგიას საზიზღარი ცივილიზაციიდან გაქცევამი ღებულობს. ის „ყველა შესაძლო სამყაროებს შორის უარესი სამყაროდან“ გასვლის გზა-საშუალებაა. ამიტომაც ასეთი ეროტიკა, როგორც აღნიშნულ შემთხვევაში, ძალზე მძაფრია, ინტენსიურია გადმოცემაში და — ბუნებით ჰედონისტური — ტკობას უმაღლეს ღირებულებად აღიარებს.

მაგრამ ქალური ბუნების სრულყოფილი გამჟღავნება შეუძლებელია მხოლოდ სასიყვარულო ტკობაში, უფრო მეტიც — ავტორის „მე“-ს ვნებაც საბოლოოდ ნელდება და ქრება. ბოლო მუნასიბში — „სიყვარულის მუნასიბი“ — ჩვენ ვკითხულობთ: **„ჩემი სიყვარული კი აიფშუკა, ვნება გაინოვა და აღარ მილიტინებს“** („ჩვენი მწერლობა“, 2010, 17).

რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ ნიჰილიზმის დამარცხება ჰედონიზმით შეუძლებელია. სიყვარული არ დაიყვანება ტკობაზე და ტკობა კი ვერასოდეს დაამკვიდრებს სამყაროში ახალ ღირებულებას. მიზანი ქალურ სანყისში დაფუნება, ამ სანყისში რეალიზაცია და მისით ამ სამყაროს ალტერნატივის შექმნა იყო. ავტორის „მე“ კი ბოლომდე ვერ განინმინდა ნიჰილისტური ცივილიზაციის „დაბინძურებისაგან“, რომ ამის განხორციელება სრულად შეძლებოდა. იგი ვერ გათავისუფლდა ემოციათა „ქიმიისაგან“, რომელიც ყველაფერს შლის ფიზიკალისტურ ატომებად, ყველაფერი დაჰყავს ფიზიოლოგიურ მექანიზმებზე. ამან განაპირობა, რომ „მუნასიბებში“ სიყვარულიც დაიშალა ასეთ ფიზიოლოგიურ ატომებად და დაყვანილი იქნა ტკობაზე, შემდეგ მოხდა სექსუალური შერწყმის შეგრძნების ესთეტიზება და პოეტიზება, მაგრამ სიყვარულმა ვერ შეიძინა ექსისტენციური განზომილება — მიმართება „შენ“-თან და ამ მიმართებაში მარადიულის წვდომა — მივიღეთ ჰედონიზმი. არც ერთ მუნასიბში („უზუნდარას“ ჩათვლით) არ ჩანს მიმართება მეორე პიროვნებასთან, არც საკუთარი პიროვნება ჩანს, არ ჩანს მეორე ადამიანის „გულის ძგერა“, მისი „სულის მოძრაობა“ და მისკენ ლტოლვა, მოკლედ, ამ სიტყვობების მორევში არ ჩანს სიყვარულის აღმადგენელი — მთვარის მუქი გაცისკროვნება ან ვარსკვლავების მოჭედული ცით მოჯადოება — არავითარი რომანტიზმი, არავითარი მისტიკა — პროცესში მხოლოდ საკუთარ სხეულსა და საკუთარ სიამოვნებაზე კონცენტრირება.

ამიტომ „სიყვარულის მუნასიბი“ (ჯერჯერობით ბოლო ლექსი, რაც სოფიკო კვანტალიანმა გამოაქვეყნა), სადაც

ქალური ბუნების განხორციელების სხვა გზა არის არჩეული, ვიდრე მამაკაცისადმი სიყვარულია, რომელიც ავტორის „მე“-ს ხელში შემოეცალა, დაეშალა, „გაინოვა“, ეს გზა ახალი ადამიანის გაჩენაა ამქვეყნად და მასთან ერთად დედა-შვილის სულიერ-ინსტინქტურ ავტონომიურ სამყაროში გაერთიანება, რომელიც წარმატებით ახდენს ნიჰილიზმის გადალახვას, დაცემული ცივილიზაციისაგან დამოუკიდებელი ღირებულებითი სამყაროს შექმნა-დადგენას. დედაში ხდება ქალური ბუნების სრულყოფილი განხორციელება და მისვლა ღვთაებრივ შეგრძნებამდე. ავტორის „მე“-მ მიაგნო ცივილიზაციიდან ბოროტების განდგომის ნამდვილ გზას — არა ეროტიკა, სხვა ადამიანთან ფსიქო-ფიზიკური შერწყმა, არამედ დედობა — მეორე ადამიანის მოვლინება ამ ქვეყანაზე. აქ ავტორი მთლიანად უნდა გათავისუფლდეს ემოციათა ფიზიკალისტური „ქიმიისაგან“, რომელიც ხელს უშლიდა მუდამ ნამდვილის დადგენაში, ღირებულებითი საყრდენის პოვნაში. უნებურად გვახსენდება ნიცშეს ფრაზა ქალური ბუნების შესახებ — „ქალისათვის მამაკაცი მუდამ საშუალებაა, მიზანი მარად ბავშვი“.

**მეკვირტებოდა შიგნით რაღაც,
მხიარული, ანგელოზური
და სქელი სიზმრიდან
გამოვედი ხელვარდიანი —
ჩვილი ვაზარეთი!
ამ პატარა, მარწყვისგულა
შვილის გამო
უეცრად გადავიხარე
იის სინორჩისკენ
და არა სიკეკლუცის მიზნით,
არამედ რაღაც
ღვთაებრივი შეგრძნების გამო,
ხელით მოვისინჯე
ორი, ზომიერად მოზრდილი
ძუძუ!**

(„ჩვენი მწერლობა“, 2010, 17).

აქ თავდება სოფიკო კვანტალიანის პოეზიის მეტაფორული სამყაროს ხანგრძლივი ტრანსფორმირება. ეს არის ძიების გზა, რომელიც აღსავსეა შინაგანი ძლიერი ფილოსოფიური ინტენციით. დაბერებული, ნიჰილისტური ცივილიზაციიდან გარდაქმნების გზით ჩვენ მივედით დედა-შვილის ავტონომიურ, მშვენიერ სამყარომდე, რომელიც თვით არის სიცოცხლე და თვით არის ღირებულება. გაუცხოებიდან რეაქტიული ეროტიზმის და სიკეკლუცის გავლით — ნაყოფიერების ხორცშესხმამდე. ქალური სანყისი სრულად ორსულობაში და ახალი სიცოცხლის წარმოქმნაში მფლავნდება, სწორედ ამ გზით შეიძლება „ყველა შესაძლო სამყაროს შორის უკეთესი სამყარო — უტკბობლესი გვირგვინი ამ ქვეყნად“, როგორც ამას წერს ავტორი ტექსტში „დედუნა“.

მხოლოდ ამ გზით გადავივართ პირდაპირი გზით ჩვენ უკვდავებაში.

მხოლოდ ამ გზით გადაიქცევა ადამიანის სული მერცხლად — მზისკენ მოფრენალ არსებად.

მრუმე, მძიმე, ცივი და ბნელი, ტლანქი, მაგრამ რიტმულად მოძრავი სამყარო ახლა „დავინყებულისა“.

აღსარების სურნელი

ზოგჯერ თურმე რა კარგია, როცა ტელეფონს არ პასუხობენ.

შენ რეკავ, სათქმელს გონებაში ალაგებ... ყველაფერს ერთად, ცხადია, ვერ ეტყვი, ამიტომ მთავარს არჩევ, აი იმას, რის გამოც არ შეგიძლია, არ დარეკო... უკვე იცი პირველი წინადადება: თქვენმა ბოლო წიგნმა მოლოდინს გადააჭარბა, ძალიან მომწონს... ან იქნებ სჯობს პირდაპირ იმით დაიწყო, რატომ გადააჭარბა მოლოდინს — ასეთი მართალი წიგნი დიდი იშვიათობაა... და ის რომ დაგრჩება სათქმელი, რომ გურამ დოჩანაშვილი ისეა ჩამოქონილი სტრიქონსა და სტრიქონს შუა, რომ მარტო სიტყვით კი არა, თავისი ფერით, მუსიკით მოდის... ჰო... ეს სათქმელია და... ისიც რომ უნდა ვთქვა აუცილებლად, რომ ეს მარტო გურამი კი არა, მთელი ეპოქაა თავისი ფსიქოლოგიური ნიაღვრებით და გაუბოროტებელი, არა-შურისმაძიებელი აღქმით. და ლიტერატურაზე რომ არ ვთქვა რამე, როგორ შეიძლება. ეს დედაბოძად უდგას წიგნში აღწერილ იმ და ამ ეპოქასაც და საერთოდ...


ზოგჯერ თურმე რა კარგია, როცა ტელეფონს არ იღებენ, იმიტომ რომ კალამს აიღებ და მისწერ. ყველაფერს, დინჯად გადაიტან ფურცელზე, რასაც წამდვილად ვერ მოაბამდი თავს, თუკი გიპასუხებდნენ.

ბატონო როსტომ!

მინდა იმ კიბეზე გიამბოთ, გურამ დოჩანაშვილის ბინამდე რომ ავყავართ... პირველად, როცა ამ კიბეზე მოვხვდი, გული საგულეს აღარ მქონდა. სართულებს ვითვლიდი და მწერლის ხმა ყურში ისევ ჩამესმოდა, ცოტა ხნის წინ ტელეფონში რომ გაისმა: „ამოხვალთ მეშვიდე სართულზე. ზარს კარგად დააჭირეთ ხელი, ზოგჯერ არ რეკავს, რალაც წერტილის მოძებნა უნდა. თუკი მოახვედრებთ, დაირეკება. ძველი, დანგრეული კარია, არ აგერევათ“.

ეტყობა, როცა დიდი მოლოდინია, ყველაფერი მძაფრად გამახსოვრდება, სწორედ ამიტომ დამამახსოვრდა სრულიად უაზრო ნიუანსებიც: მეორე სართულზე შემწვარი კარტოფილის სუნი იდგა, მესამეზე რალაცნაირი სისველისა და მტერის — ეტყობა ახლახანს მოენმინდათ სადარბაზო, მეოთხეზე — სუნამოსი... მეხუთეზე ხორცს ამზადებდნენ სადილად... და მეშვიდეზე... იქ იყო რალაც სრულიად განყენებული და განზოგადებული. იქ თითქოს არაფრის სუნი არ იყო! ოღონდ ამ სურნელს მაინც თავისი სახელი ერქვა, რომელიც მე არ ვიცოდი... ძალიან მიწოდდა, საფერი სიტყვა მომეძებნა, დამეზუსტებინა, მაგრამ... ასე იოლი ხომ არ არის ხოლმე იმ კარის შეღება, რომლის იქითაც ძველ სავარძელში ზის კლასიკოსი. ზარისა არ იყოს, წერტილი უნდა მოძებნო.

ეს იმიტომ გამახსენდა, რომ თქვენი წიგნი „აღსარება გურამ დოჩანაშვილისა“ გადავფურცლე თუ არა, ის უსახელო სურნელი ვიგრძენი.



სიყრმიხეულ განცდებზე წერთ, როგორ გიყვარდათ დოჩანაშვილი, როგორ იყავით „მისოლოგი!“ (დოჩანაშვილოლოგი) და მიუხედავად იმ ყმანვილური ალტაცებისა, პირველად ხელში დაჭერილი დიდი, მიშა კობახიძისეული თაიგულისა, თქვენ მაინც არ გქონიათ ასაკი. ახალგაზრდობამ იცის მაქსიმალიზმიც, დაუნდობლობაც, მითუმეტეს ინტელექტუალურ სფეროში, იცის ერთი დიდი სიყვარულის გამო ქარქაშში ჩაუგებლად ხმლის ტრიალიც... როცა ახალგაზრდა ხარ, ადვილია, არ გიყვარდეს ის, ვისაც შენი რჩეული მწერალი არ უყვარს... გძულდეს მხდალი, არ გინდოდეს მათი გაგება, ვინც რალაც „გაუგებარი“ ცოცხლად დარჩენის გამო დიდ დათმობებზე მიდის. ასაკთან ერთად მოდის სიბრძნე და მიმტეველობა „შემოდგომის ყვავილად“, მოდის ის სიმაღლე, რომელიც დამცხრალი ქარიშხლის მერე ქარიშხლითვე გადაჯეგულ ყვავილების დამტვრეულ ღეროებს შეგაკონინებინებს, ამ მცენარეების სიცოცხლის ნაიღის მთავარ ტკივილად გიქცევს. არა, თქვენ არ გქონიათ ასაკი!

ამ წიგნში გურამ დოჩანაშვილიც არის... და კიდევ არის ნელ-ნელა ქერქჩამოშლილი „შებათქაშებული“ ისტორია — უკვე ისეთი, როგორიც არის! და სწორედ, რომ იტყვიან სუბიექტური, იმ კუთხით დანახული და ყველაზე ობიექტური!

საოცარია, რომ ძველი რედაქციის ჭრაჭუნაიატაკიან დერეფანში შემოგყევით. რუსული ტე-ს ფორმის რედაქტორის მაგიდასთანაც ვიდექი და გაოცებული ვუსმენდი ჩემთვის ნაცნობ, მაგრამ ასე სახიერად იშვიათად წამოშლილ ლანდებს... თქვენ არ გინდათ, ვინმე ცუდი იყოს და ვინმე კარგი, არც ის გინდათ, ბოლომდე ჩამოცალთ სათქმელით საესე ფიალა... თქვენ მხოლოდ რამდენიმე წვეთს ღვრით და ეს წვეთები ბევრისმთქმელია. ისინი არ ძალადობენ, თუმცა საფერავის წვეთებისა არ იყოს, თუკი დაეცემიან სადმე, ვერაფერი ამოშლის.

„აღსარება გურამ დოჩანაშვილისა“ არის, როგორც არის — აღსარებასავით... და როგორც მოძღვარი არ უნდა ბრზადებოდეს აღსარების მოსმენის მერე, ისე მკითხველიც, რომელიც უასაკო, ესე იგი ასაკდაკარგული უნდა იყოს მწერალივით, — ვერ გაბრზდება, თუნდაც მისთვის მტკივნეული სტრიქონები ამოიკითხოს.

დრო ხომ ტკივილთა სიმრავლეა!

თქვენ არც ახლა გაქვთ ასაკი, იმიტომ რომ ის ძველი — ყმანვილური კი არ განდევნილა, მშვიდად შერწყმია ახლანდელ — დადინჯებულს... და მომავალ ჭარმაც ასაკსაც მთლიანობად შეერწყმება. არ ვიცი, რა ჰქვია ამას, მაგრამ მგონი ერთადერთი მთავარია კაცისათვის, რომელსაც ლიტერატურა უყვარს. ვიზეც ვამბობ, იცით!

ეს წიგნი ლიტერატურაზეცაა — ოღონდ ბრჭყალებით, ციტატებად მოყვანილ ლიტერატურაზე კი არა, უბრჭყალებო, ნაცხოვრებ ლიტერატურაზე. ოჰ, როგორ მომეწონა სწორედ ეს „უბრჭყალობა“! ახლალა დავფიქრდი, რომ ბრჭყალები, რომლებსაც კედელივით ადგმართავთ ხოლმე

ფრინველთა სპექტაკლი და ადამიანთა პარადოქსები

ჩვენს სიტყვებსა და სხვის სიტყვებს შორის — ერთმანეთს არ შეეხონო, — რა ზედმეტია! თუ არ შეეხება, არც იქნება. აქ კი ყველაფერი ყოფნას ზიარებული, ცოცხალია.

სხვანაირი ვერც იქნებოდა. ოთარ ჩხეიძის ოჯახში, მისი სახლის კედლებს შორის, მხოლოდ სულში გატარებული ცხოვრება, ანუ ლიტერატურა იარსებებდა. ვიცი, სოფელს ვერ გააძღობ, ვერ შემოსავ, სოფელი ვერ მოიმადლიერებ... მაგრამ ერთი ჯერიც დიდი რამაა, ერთი გოჯიც დიდი რამაა, ერთი ფლასიც დიდი რამაა...

„აღსარება გურამ დოჩანაშვილისა“ შიმშილობის ჟამს ბელლიდან გაცემული სამადლო პურივითაა. სოფელს ვერ გააძღობს, მაგრამ ილაჯის განწყვეტის შიშით შეკავებულ ერთ მუჭა ხორბლადაც არ დარჩება.

გურამ დოჩანაშვილის სამუშაო მაგიდაზე მინახავს ქვა, რომელიც წვეთმა გახვრიტა. როცა ვმუშაობ, ამ ქვას ვუყურებ და იმედი მეძლევა, წვეთმა ამდენი შეძლოო და...

და თუ „აღსარება გურამ დოჩანაშვილისა“ წვეთია, ისეთი წვეთია, ქვას რომ გახვრიტს, მხატვრულ-დოკუმენტურ ჟანრში ერთ-ერთი უძლიერესი წვეთი. ახლა ვფიქრობ და გურამ დოჩანაშვილის მთელი ცხოვრება იქნებ ყველაზე მეტად აღსარებასაც ჰგავდეს — ტკივილად ამოსულ სიტყვებს. მის ერთი შეხედვით გაუპოვარებულ და დასუსტებულ, ძველ სავარძელში მორიდებულად მჯდომარე სხეულის მიღმა ყოველთვის ვხედავდი იმ რკინისებურ ძლიერებას — აღსარებისას! და იყო ისეთი მაგარი კაცად — კაცი და მწერლად — მწერალი, როგორებიც მეფენი თუ იქნებოდნენ თავიანთ ტახტებზე სახელმწიფოს ზეობის ხანას... მეფე ჭილოფშიც იცნობა, მღვდლისა არ იყოს...

ჩავამთავრე „აღსარება გურამ დოჩანაშვილისა“ და მივხვდი: სწორედ ეს ნიგნია ის წერტილი, რომელიც ზარის ლილაკს უნდა მოუძებნო, რომ კარი გაგიღონ. ეს მართალი „წერტილია“ და იმ მეშვიდე სართულის სურნელსაც თავისუფლად შეიძლება აღსარების სურნელი ერქვას. რადგან ცხოვრება აღსარება უბრალოდ — არის! სწორედ ისე, როგორც თქვენ წერთ გურამ დოჩანაშვილისეულ „არის-ზე“ — უპრეტენზიო, უჩინარ და უბრალო სიტყვაზე, რომელიც ბევრისმთქმელია!

პატივისცემით
ლელა ჯიყაშვილი

ჩემო როსტომ!

ტელეფონით ნალაპარაკებზე დამატებით მინდა გითხრა, რომ ეს ავტორი, **ზაქრო მეგრელიშვილი** ინგლისურის სპეციალისტია, პროფესორი (შენი კოლეგაა განათლებით)... წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს აშშ-ის ორ უნივერსიტეტში (არ მახსოვს, რომლებში)... ეგ მანვდიდა ხოლმე „ნიუ-იორკ თაიმს ბუკ რევიუს“ ნომრებს (და სხვა ჟურნალებს), საიდანაც ვთარგმნე ისაია ბერლინის ვრცელი ინტერვიუ „მამულში“ რომ დავებეჭდე, შეიძლება გაგახსენდეს)... ფლობს დიდ მასალას ბალეტზე, ჯაზზე, კინოზე (განსაკუთრებით ჰოლივუდზე)... თავის დროზე ვცდილობდი, ჩემი გაზეთებისათვის დამენერებინებინა წერილები, მაგრამ ვერ გავანძრე...

...ერთი დეტალიც: 92-93 წლებში უარი თქვა ამერიკიდან სამუშაო მიწვევაზე — „ჩემი ანთხლული ქვეყნიდან ეხლა ვერ გავიქცევოო“ — თითქოს რამეს უშველიდა!.. თავისებური ტიპია...

ცეკვის ფენომენი — ეს უდიდესი მოვლენა ხომ ბიოლოგიიდან მომდინარეობს... ტრფობისას ფრინველები ხომ მთელ სპექტაკლებს დგამენ, საგანგებო „ჩაცმულობით-კოსტუმირებით“ (ბუმბულს იცვლიან ამ დროს და სხვადასხვა „ფასონზე“ იყენებენ), საგანგებო გახმოვანებით, საგანგებო მოძრაობა-ცეკვებით... (მე მიყურებია როჭოების, ყრუანჩელების, ტურუხტანების ასეთი სპექტაკლებისათვის თეთრ ზღვაზე, კოლის ნახევარკუნძულზე ყოფნისას, მაისში, როცა იქ ყინული დნება და აღარ ღამდება, იწყება თეთრი ღამეები... და ეს საოცარი ზეიმი ოცდაოთხი საათი გრძელდება... ამაზე სხვა დროს...).

...ადამიანმა ეს ფენომენი უხსოვარ საუკუნეებში ჩამოყალიბებულ, დახვეწილ, საოცარ ხელოვნებად, ერის, ეთნოსის, ჯიშის (ამ შემთხვევაში — ქართულის) უდიდეს ნიშან-თვისებად აქცია... და ეს ფენომენი — „მამაკაცის ცეკვა“ (ბუნებაში განხორციელებული ღვთის ნება და წესი, სიცოცხლის მუდმივი განახლება-უსწყვეტობისა...) მსოფლიოს კლასიკურ ხელოვნებად ჩამოყალიბებულ ბალეტში შეიტანა ქართულმა გენეტიკამ — ჭაბუკიანის სახით...

...ეს ხომ შემდგარი, განხორციელებული, საკაცობრიო მასშტაბის ფაქტია, მოვლენაა და ამას გვერდს ვედარავინ აუხვევს... და ამას თავისი ღრმა და უძლიერესი ფესვი და წარმომავლობა აქვს...

...ბარათისათვის მეტისმეტად გრძლად მომივიდა... წინასიტყვაობაც ზედმეტია — ამას შენ თვითონაც კარგად გაშიფრავ...

რაც შეეხება ამ ახალგაზრდა ქალბატონის, **ნინო ნიკლაურის** მოთხრობებს (ოცდაათი წლისაა, ჩემი მეგობრის, რეჟისორ ზურა თუთბერიძის მეუღლეა)...

...მისი მოთხრობები ორჯერ დაიბეჭდა — ერთხელ „ცხელ შოკოლადში“, მეორედ — „ლიტერატურულ პალიტრაში“... მოთხრობების „ჩვენ მწერლობაში“ მოტანა მე ვურჩიე, რადგან შენს ჟურნალში როგორღაც უკეთესად ხდება ახალბედების წარმოჩენა-კონსტატირება...

მის მოთხრობებში (გვლისხმობ უკვე დაბეჭდილებსაც) დამაინტერესა უცნაური, თითქოს პარადოქსული ბედისა და ხასიათის ადამიანების ხატვამ... და საინტერესოდ მომეჩვენა, რომ ამ ცალ-ცალკე თითქოს უცნაური, საცოდავი, მარტივი, თავისი ჭკუით ზოგი ბედნიერისა და ზოგი უბედური არსებების ერთობლიობაში თვალის გადავლება გაჩვენებს, რომ ესაა ხალხი, ჩვეულებრივი უბრალო ხალხი მასაში და ამ მასიდან ნებისმიერის ცალკე გამოყოფა და განხილვა ასეთ მოულოდნელად პარადოქსულ სახეებს დაგვანახავს...

...ერთი სიტყვით, ბევრი ვილაპარაკე და შენ კი უკეთესად გაარჩევ და განწყვეტ...

აბა, ნახვამდის ჩემო როსტომ!.. ველოდები „ალექსანდრე ბატონიშვილის“ („მზის რაინდის“) წაკითხვის სიამოვნებას!..

ვაჟა გიგაშვილი

მიხეილ ჭონქაძე

„არეული ისტორიის დაღლილი ოცნება“

(ფიქარი ნიკო ლორთქიფანიძის
ერთ მინიატურაზე)

ხელოვანი ხშირად სტილით ამახსოვრდებათ, ხშირად – შემოქმედებითი მიმდინარეობით, ხშირადაც – ერთი ფრაზით, რომელიც ასწლებულებს გამოჰყვება და მარადიულ თემად დარჩება. ნიკო ლორთქიფანიძე, ალბათ, ამ სამივე საზომით შემორჩა ქართული მრავალსაუკუნოვანი სიტყვიერების წიაღს. თუმცა, უწინარეს ყოვლისა, ის მაინც ფსიქოლოგიური პროზის დიდოსტატია... მის ნოველებსა და მინიატურებში ყოველთვის გასაგებია დასაწყისი, ქარგა... მაგრამ დასასრული „დაუსრულებლად“ იქცევა ხოლმე და იმდენაირად მთავრდება, რამდენიც კითხულობს. მერე კი მართლაც არ უჩანს ბოლო ფიქრთა ცვლასა და პერსონაჟთა ბედზე მარჩიელობას, რომლებიც „უხმაუროდ, ჩუმად კვდებაან“ (მაკა ჯოხაძე). ამ მცირე მოთხრობებს ერთმანეთისაგან თითქოს არც კი აშორებს დროითი მანძილი, ისინი რაღაც უხილავი ჯაჭვით არიან გადაბმული და გეჩვენება, რომ ყველა გმირი ერთ ნოველაში ცხოვრობს.

ამჯერად „ლიტერატურულ საღამოზე“ შევჩერდებით, 1917 წელს რომ დაიბეჭდა გაზეთში „ჩვენი ქვეყანა“. გაიხსენებთ თუ არა მინიატურის შინაარსს, წამსვე ჩაგვსმით შემზარავი და განწირული ხმა უცნობი ექიმისა, რომელიც მოურიდებლად, ხმაურით შემოდის და ღაღადებს — „**მოუარეთ საქართველოს**“. თითქოს ამ უცნაურმა პერსონაჟმა, მკაცრი ხელობის კაცმა, თვალი უნდა აგვიხილოს ქართველებს, დაგვანახოს, რომ სწორედ ახლა გვმართებს გონიერება, წინდახედულობა, რომ დრო აღარ იცდის და ძალიან მალე „ან დავინახავთ ნანატრ ბედნიერებას, ან სამარადისო წყვდიადის მსხვერპლი შევიქნებით“. საფრთხე ახლოვდება, ჩვენი ერად და ქვეყნად ყოფნის საკითხი კიდევ ერთხელ იდო არსთა გამრიგეს სასწორზე. ამადაც ითხოვდა მზადყოფნას, ძველი სწეულების განკურნებას, სწეულებისა, ქვეყნის ხვალისდელი დღისადმი მაშინდელი ქართველობის გულგრილი დამოკიდებულება რომ ერქვა სახელად.

იცოდა მწერალმა, კარგად იცოდა, რომ ეს ვითომდა უწყინარი ფრაზა საუკუნეთა მანძილზე აქტუალური იქნებოდა, ამიტომაც არისხებს დედოზარს, რომლის ხმა სივრცეებს კვეთს, „თითქოს რო რეკავს, რეკავს ზარივითა, რეკავს და გასწვდება შორს შორამდისა“ (ოთარ ჩხეიძე).

რალაცნაირი წინათგრძნობით იყო სავსე მწერალი ამ (და, ალბათ, ბევრი სხვა...) ჩანახატების შექმნისას. გვახსოვს, უცნობი წერილით რომ გვატყობინებს მოსალოდნელ საფრთხეს. სულ სამიოდე წელიც და... წერილითვე შეატყობინებენ საბჭოთა იმპერიის დედაქალაქს საქართველოს დაჩოქების ამბავს, ცნობილი წერილით, სამძიმრის დეპეშას რომ უფრო ჰგავდა ქართველთათვის.

ჩანახატის ცალკეულ პასაჟებს რაც შეეხება... უდიდეს დატვირთვას იძენს ხსენება ბაგრატის ტაძრის ნანგრევების,

გიჟმაჟი თერგის, როინის, მტკვრის, ჩნდება რაღაც დაფარულის ქვეშეცნული შიში და მზადებაც მოვლენების დასახვედრად. არც ექიმისა და მწერლის ერთმანეთთან დაკავშირებაა შემთხვევითი. ექიმი, რომელმაც ძალ-ღონე ადამიანთა განკურნების საქმეს შეაღია, საშველად მწერალს მიმართავს, რათა მასთან ან მისით გაცხადდეს საჭირო სათქმელი.

„ლიტერატურული საღამო“, შეიძლება ითქვას, ლოგიკური გაგრძელებაა 1910 წელს დაწერილი მინიატურისა „საქართველო იყიდება“. აქ დასასრულს ნათქვამი სიტყვები: „იყიდეთ ბარემ მთლად, განენეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა...“ თითქოს აზრობრივად გადადის „ლიტერატურული საღამოს“ ბოლო ნაწილში, რომელიც ასეთი შეკითხვით მთავრდება: „ნუთუ, ბატონო ჩემო, გუშინწინ რომ კოკისპირულმა წვიმამ დაასხა, არ გაგიგონიათ გაუთავებელი, გაბმული ძახილი ყოველი წვეთისა: „მოუარეთ საქართველოს!“ დიახ, მწერალი ცხადად აფრთხილებდა ყველას, რომ მოუვლელი საქართველოს საქმე ცუდად დამთავრდებოდა.

მინიატურაში ავტორი მესამე პირის მონოლოგს გვთავაზობს, წერილის სახით, რომელიც ლიტერატურული ხუთშაბათობის წინა დღეს მიიღო. ეს დღეც არ ტოვებს უბრალო შთაბეჭდილებას, იგი ილიასდროინდელ ხუთშაბათობებს გვახსენებს.

ნიკო ლორთქიფანიძე, როგორც ამას ლიტერატურის მკვლევარნი აღნიშნავენ, ცალკე მდგომი შემოქმედია. მას ახასიათებს სხვათაგან გამორჩეული თვისებები სიტყვასთან ჭიდილში. კონსტანტინე გამსახურდიას აზრით, ნიკო ლორთქიფანიძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა მაშინ, როცა: „საჭირო იყო ქართული პროზის განახლება, სიტყვიანობის ახალი ნაჭედობისა და ჟღერადობის მინიჭება, მოდერნიზება ფრაზისა და თემატური სიხალე“.

ცხადია, ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების სტილისა თუ სტრუქტურის გასააზრებლად მხოლოდ ერთი რომელიმე მინიატურით ვერ იმსჯელებ. თუმცა ხან ერთი ძლიერი ფრაზა, მთელი შემოქმედების მახასიათებლადაც იქცევა ხოლმე. შინაარსს კი, თუკი მწერლისავე სიტყვებს მოვიშველიებთ, „ვისაც გამოუცდია დიდი ავადმყოფობა, ახსოვს ბოძვა, ტკივილების დროს, ჩანგი თუ არა, ზღაპარი მაინც მოუსმენია, — იგი გაიგებს ჩემს სულისკვეთებას და საიმედოდ დარჩება არეული ისტორიის, დავინყებუი ზეპირგადმოცემებისა და დაღლილი ოცნებების ხლართი მწარე ღამეების ნალვლიანი ფიქრების გასაფანტავად შეკონილი“ („რაინდები“).

ამ მინიატურის დაწერისას მოუზნადებელი იყო ჩვენი ქვეყანა. მას ჯერ თავისი შიდა საქმეები უნდა მოეგვარებინა, საკუთარი ადგილი გადაერჩინა კაცობრიობის ისტორიაში. ხუმრობა ხომ არ იყო ის პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი დაქსაქსულობა, გასული საუკუნის დასაწყისის თან რომ ახლდა საქართველოში.

ფიქრი ფიქრს ებმის, როცა ამ მინიატურას კითხულობ, ყოველი ფრაზა რაღაც სამომავლოზეა მიმანიშნებელი. ნიკო ლორთქიფანიძე ყოველთვის გიტოვებს საკამათოს და ორაზროვანს საკუთარ თავთან, თუმცა დასკვნით არასოდეს გზლუდავს და მერმისზეც თავად გამარჩიელებს.

„მოუარეთ საქართველოს“ — ეგაა აზრიცა და მოტივიც, რასაც, ჩვენი ქვეყნის წარსულს თუ გადავხედავთ, მართლაც არეული ისტორიის მარადიული და თანამდევ, დაღლილი ოცნება ერქვა...

ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი

სამი საათი აპირაქისებს შორის

დონალდი კარგ გუნებაზე გახლდათ, თავს მხნედ გრძნობდა და ისიც ახალისებდა, რომ უსიამოვნო მოვალეობა უკვე მოეხადა. ახლა შეეძლო თავისთვისაც მიეხედა. მართალია, შანსი მცირეზე მცირე ჰქონდა, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ბედს გაეღიმა.

თვითმფრინავი მიწაზე დაეშვა. დონალდმა ნაბიჯი მიწას დაადგა და შუა დასავლეთის ზაფხულის დაისში დაინთქა. მოშორებით მდგარ, ძველ მონითალო „რკინიგზის ფარდულს“, პუებლოს¹ ყაიდის აეროპორტს მიაშურა. მან აღარაფერი უნყოდა იმ ქალისა — ცოცხალი იყო და წინანდებურად იმავე ქალაქში ცხოვრობდა თუ არა, აღარც ის, რა გვარს ატარებდა ამჟამად. აფორიაქებულმა სატელეფონო ცნობარი გადაათვალიერა და ქალის მამის გვარს დაუნყო ძებნა. შესაძლოა, აღარც ის დარჩენილიყო ცოცხალი ამ ოც წელიწადში.

არა. აი, მოსამართლე ჰარმონ ჰოლმსი — პილსაიდი 3194.

მან მის წენსი ჰოლმსი იკითხა. ქალის სასიამოვნო ხმამ გააგონა.

„წენსი ახლა მისის უოლტერ გიფორდი. ვინ კითხულობს?“

მაგრამ დონალდმა ისე დაკიდა ყურმილი, აღარაფერი უპასუხია. რაც სურდა, უკვე შეიტყო. დრო მხოლოდ სამი საათი ჰქონდა. ვერაფრით გაეხსენებინა ვინმე უოლტერ გიფორდი. შეშფოთებულმა კვლავ გადაავლო თვალი სატელეფონო ცნობარს — იქნებ ქალი სულაც სხვა ქალაქში იყო გათხოვილი.

არა. აი, უოლტერ გიფორდი — პილსაიდი 1191. დონალდი მოფერიანდა.

„ალო?“

„გამარჯობათ. მისის გიფორდს სთხოვეთ — ძველი მეგობარი კითხულობს“.

„მისის გიფორდი გისმენთ“.

მან იცნო, ან მოეჩვენა, რომ იცნო ეს მომხიბვლელი ხალისიანი ხმა.

„მე დონალდ პლანტი ვარ. თორმეტი წლის ვიყავი, ბოლოს რომ გნახეთ.“

„ო-ო-ო!“ მოისმა ძალიან გაკვირვებული, მეტად თავაზიანი ხმა, თუმცა დონალდმა მასში ვერც სიხარული იგრძნო და ვერც ის, რომ შეიცნეს.

* აშშ-ის სამხრეთ-დასავლელ ინდიელ ხალხთა ჯგუფის — პუებლოს ახალშენებისათვის დამახასიათებელი ალიზის ან ქვიშაქვისაგან აგებული მრავალთახიანი სახლი-ციხესიმაგრე, რომელსაც აქვს შიდა მოედანი და ყრუ გარე კედელი. ასეთი სახლების სართულები (5-6-მდე) ზემოთ ტერასებით აღიორდნენ.



„დონალდი!“ განაგრძო იმავე ხმამ, რომელიც ამჯერად იმაზე მეტ ემოციას იტევდა, ვიდრე უბრალოდ მეხსიერების ძაფის დაჭიმვაა.

„როდის დაბრუნდი ქალაქში?“ შემდეგ გულლიად, „სადა ხარ?“

„აეროპორტში — დრო მხოლოდ სამი საათი მაქვს“

„მამ მოდი და მიხახულე“.

„იმედია, დასაძინებლად არ ემზადები?“

„ო, ღმერთო, არა, რალა თქმა უნდა! წამოიძახა მან. თავს ვიქცევ — სოდიან ვისკის ვწრუპავ. ტაქსის მძღოლს უთხარი...“

გზაში დონალდი საუბარს აანალიზებდა. სიტყვით „აეროპორტში“ ქალს აგებინებდა, რომ მაღალ საზოგადოებაში კვლავ საპატიო ადგილს ინარჩუნებდა. წენსის მარტო ყოფნა, შესაძლოა, იმას ნიშნავდა, რომ ის წლებს მოეტევა, მომხიბვლელობა დაეკარგა და უმეგობრო ქალად ქცეულიყო. მის ქმარს, სავარაუდოდ, ან ეძინა, ან შინ არ იყო. და — რაკილა დონალდის ოცნებებსა და წარმოდგენაში ის მუდამ ათი წლის გოგონად რჩებოდა — ვისკის ხსენებამ დაარეტიანა. თუმცა მალევე ღიმილით დაინყნარა თავი — ქალი ხომ ახლა ოცდაათს უკაკუნებდა.

მიხვეულ-მოხვეული გზები რომ მოთავდა, დონალდმა განათებული კარის წინ, ჭიქით ხელში მდგარ პატარა შავთმიან ლამაზმანს ჰკიდა თვალი. თავისი დიდი ხნის ოცნების განსხეულებით შემკრთალი დონალდი მანქანიდან გადმოვიდა და ქალს ჰკითხა:

„მისის გიფორდი, არა?“

ქალი წინკარის შუქისკენ შემოტრიალდა და თვალბეგაფართოებული გამომცდელად მიაცქერდა ახალმოსულს. დაბნეული გამომეტყველება მალე ღიმილმა შეუცვალა.

„დონალდი, — მამ, ეს შენა ხარ, — როგორ შევიცვალეთ ყველანი. ოჰ, რა საოცრებაა!“

შინ რომ შედიოდნენ, წლებს თავისი მიაქვსო, გაიძახოდნენ. დონალდს გულმა რეჩხი უყო. წენსისთან ბოლო შეხვედრა გაახსენდა — გოგონამ ისე ჩაუტროლა მაშინ ველოსიპედით, თითქოს ვერც კი შეამჩნია, — თან იმანაც შეაკრთო, სათქმელი რომ აღარაფერი დარჩენოდათ ერთურთისთვის. მათი პაემანი წლების შემდეგ თანაკლასეთა თავშეყრას დამსგავსებოდა — დიდი სიხარულით აჟრიაშფოტებული მეგობრები წარსულის დაბრუნებას რომ ვეღარ ახერხებენ. შეშფოთებულმა გაიაზრა, რომ შეიძლებოდა დრო ტყუილუბრალოდ დაეკარგა. დონალდი სასონარკვეთამ შეიპყრო.

„სიმშვენიერე არასოდეს გაკლდა, მაგრამ შენმა ახლანდელმა სილამაზემ, ცოტა არ იყოს, გამოაგნა“.

ყინული გალხვა. მათ სწრაფად გააცნობიერეს თავი-
ანთი შეცვლილი მდგომარეობა, გულუხვმა ქათინაურ-
მაც თავისი ქნა და ბავშვობის შემკრთალი მეგობრების
ნაცვლად ისინი საინტერესო უცნობებად გადაიქცნენ.

„დალევ ვისკის?“ ჰკითხა ქალმა „არა? გთხოვ, არ
იფიქრო, რომ მარტო ვყლურნავ ხოლმე. ისეთი მოსაწყენი
სალამო იყო. ქმარს ველოდებოდი, მაგრამ დეპეშით მაც-
ნობა, რომ ორი დღით დაიგვიანებს. მეუღლე ძალიან მიმ-
ზიდველი მყავს, დონალდ, შენ გგავს, გარეგნობითაც და
ხასიათითაც“. ქალი შეყოყმანდა – „ასე მგონია, ვილაცამ
გაიტაცა ნიუ-იორკში — მე კი აქ ბაიბურში არა ვარ.“

„შენს შემხედვარეს ეს დაუჯერებლად მეჩვენება“. შე-
ეცადა დაემშვიდებინა ქალი. ექვსი წელი, ვიდრე ცოლი
მყავდა, მეც შენსავით
ვიტანჯავდი თავს. მერე
კი ეჭვიანობა სამუდა-
მოდ განვდეგნე ჩემი
ცხოვრებიდან. მეუღლე
რომ გარდამეცვალა, სი-
ხარულით გამოვეთხოვე
ამ გრძნობას. ახლა მხო-
ლოდ კარგი მახსენდება
— ვცდილობ მძიმე, უსი-
ამოვნო ან მტანჯველი
ფიქრები თავში აღარ გა-
ვივლო“.

ქალი ჯერ ყურადღე-
ბით უმზერდა, შემდეგ
თანაგრძნობით ისმენდა
დონალდის სიტყვებს.

„ძალიან ვწუხვარ“
თქვა მან და მალევე დაა-
მატა: „როგორ შეცვლი-
ლხარ. მოატრიალე ერთი
თავი. ახლალა გამახსენ-
და, როგორ გინოდა მამა-
ჩემმა ჭკუის კოლოფა“.

„შენ, ალბათ, არ დაეთანხმე“.

„ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მას შემ-
დეგ სულ ასე მეჩვენებოდა, რომ ყველა ჭკუის კოლოფა
იყო. გონებაში ისე ღრმად ჩამებეჭდა ეს ნათქვამი“.

„კიდევ, კიდევ რა ჩაგებეჭდა გონებაში?“ გაიღიმა დო-
ნალდმა.

„უცბად ნენსი წამოდგა და სწრაფი ნაბიჯით გაიარ-გა-
მოიარა.“

„ოჰ, მაშინ“, ქალი მიუახლოვდა. „რალა მნიშვნელობა
აქვს ამას! მე ხომ ტუტრუცანა გოგო ვიყავი.“

„სულაც არა“, წარმოთქვა მან მტკიცედ. „ახლა კი გა-
ვისვლელბდი ყელს“.

ქალი სახეშებრუნებით უსხამდა სასმელს, დონალდი
განაგრძობდა:

„გგონია, შენს გარდა სხვა გოგოსთვის არ უკოცნიათ?“

„სხვა სალაპარაკო არ გაქვს?“ გაჯავრდა ნენსი, თუმ-
ცა მალევე მოლბა: „ჰო, კარგი, ჯანდაბას, რაც იყო, იყო.
ცოტა ვიხალისეთ. როგორც სიმღერაშია, არა?“

„გახსოვს, ციგით რომ ვისრიალეთ?“

„როგორ არა — ვილაცამ პიკნიკზე დაგვპატიყა — მგო-
ნი, თრუდი ჯეიმსმა, არა? ფრონტენაკში იმ ზაფხულს — იმ
რამდენიმე ზაფხულს.“

დონალდს ყველაზე კარგად ციგით სრიალი ახსოვდა.
იმას რა დაავინწყებდა, როგორ უკოცნიდა გოგოს გაყინულ
ლანგებს თივის კუთხეში, როგორ იცინოდა ის ცივი, თეთ-
რი ვარსკვლავებით მოჭედული ცის ქვეშ. ბიჭუნას მომ-
დევნო წყვილის ზურგშექცევით ჯდომით ესარგებლა და
ნენსის პატარა ყელ-ყურს უკოცნიდა. ტურებში კი არასო-
დეს უკოცნია.

„მაკეპის წვეულება თუ გახსოვს, ფოსტობანას თამაში
რომ გამართეს? მე კი ყბაყურა მჭირდა და ვერ მოვედი“
გაახსენა მან.

„ეგ რალაც არ მაგონ-
დება“.

„ოჰ, იქ არ იყავი? ვი-
ცოდი, გაკოცებდნენ და
კინალამ შევიშალე ეჭვიან-
ობით. მას მერე ასე აღ-
არ მიეჭვიანია“.

„უცნაურია, რომ არ
მახსოვს. ალბათ, მინდო-
და დამევიწყებინა.“

„კი მაგრამ, რატომ?“
განცვიფრდა დონალდი.
„ჩვენ ხომ უმანკო ბავშ-
ვები ვიყავით. იცი, ნენსი,
წარსულზე რომ ვუყვე-
ბოდი ცოლს, ასე ვუთხა-
რი, რომ შენც ლამის მა-
სავით მიყვარდი. მაგრამ
ვიცრუე. ჩემი ერთადერ-
თი და ნამდვილი სიყვა-
რული შენ იყავ. გულში
ჩავისვი, და როცა სხვა
ქალაქში გადავედი, თან
გავიყოლე“.

მხატვარი თამარ მინაშვილი

„ნუთუ ასე ღრმად ჩაგეჭერ გულში?“

„ოჰ, ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა! მე —“ წამოიწყო მან
და უეცრად მოგონებები აეშალა, გაახსენდა, როგორ იდგ-
ნენ პირისპირ, ორი ნაბიჯილა ამორებდათ ერთმანეთს,
როგორ უხსნიდა ნენსის სიყვარულს, როგორ შესციცი-
ნებდა ბაგეგაპობილი და თვალებდაბინდული გოგუცანა.

„განაგრძე“ სთხოვა ქალმა, „მრცხვენია იმის თქმა —
რომ მსიამოვნებს. რა ვიცოდი, თუ ასე გატკინე გული. მე-
გონა, მარტო მე მანყენინეს.“

„შენ!“ წამოიძახა მან. „აღარ გახსოვს, როგორ მიმაგდე
აფთიაქთან“. დონალდმა გაიცინა. „ენაც რომ გამომიყავი“.

„ვერაფრით ვერ ვისხენებ. მე მეგონა, შენ თვითონ მი-
მატოვე“. ქალმა ხელი მსუბუქად, თითქმის თანაგრძნო-
ბით მოუთათუნა მკლავზე. „ზემოთ ფოტოალბომი მაქვს.
კარგა ხანია, აღარ გადამითვალთვლიერებია. მოდი, წავალ და
ჩამოვიტან“.

დონალდი ხუთი წუთი უცდიდა ქალს. ორ რამეზე ჩა-
ფიქრებულიყო — ვერაფრით მიმხვდარიყო, რატომ ამახ-
სოვრდებოდა ადამიანებს ასე სხვადასხვაგვარად ერთი



მოვლენა და ისიც აფრთხობდა, რომ დაქალბუღი ნენსი ახლაც ისევე იზიდავდა, როგორც ერთ დროს ბავშვობაში. უკვე ნახევარი საათი იყო, რაც ის გაუსაძლისი გრძობა დაუფლებოდა, ცოლის სიკვდილის შემდეგ რომ აღარ განიცადა და, ასე ეგონა, აღარც არასოდეს განიცდიდა.

დივანზე გვერდიგვერდ ჩამოსხდნენ, ალბომი გადაშალეს და შუაში ჩაიდეს. ნენსიმ ახედა მას, მოლიმარმა და ძალიან ბედნიერმა.

„ოჰ, რა მშვენიერია“, წარმოსთქვა მან, „რა სასიამოვნოა, რომ ასეთი კარგი ხარ და ასე — ასე ლამაზად მიგონებ. მინდა, გითხრა, — ნეტა მაშინ მცოდნოდა ეს! მე კი, რომ ნახვედი, შეგიძულე“.

„რა საწყენია“, თქვა მან რბილად.

„თუმცა ახლა აღარ მძულხარ“, დაამშვიდა ქალმა და უმალ დაამატა, „მაკოცე და დაივინყე“.

„...რომ კარგი ცოლი არ ვარ“, დაასრულა წუთის შემდეგ. „იცი, არ მჯერა, რომ გათხოვების შემდეგ კიდევ ერთ მამაკაცს ვაკოცე“.

დონალდი აღელდა — უფრო, გაოგნდა. როგორ? როდის აკოცა ნენსი? იქნებ აღარ ახსოვს? მან აკოცა ამ საყვარელ ათრთოლებულ უცნობს, ქარის უსწრაფესად რომ მოაშორა თვალი და ალბომის გვერდი გადაშალა?

„გვეყოფა. ავფორიაქდი“.

„რა შესანიშნავი იქნება, არა, კვლავ რომ შეგვიყვარდეს ერთმანეთი?“ იკითხა დონალდმა მრავალმნიშვნელოვნად.

„რას ამბობ!“ გაიცინა ქალმა. სუნთქვა კი შეჰკროდა. „ყველაფერი დამთავრდა. ის წამიერი გატაცება იყო. უნდა დავივინყოთ.“

„ნუ ეტყვი შენს ქმარს“.

„რატომ? მე მას არაფერს ვუმაღავ.“

„გულს ატკენ. ნურასოდეს ეტყვი მამაკაცს ასეთ რამეებს.“

„კარგი, არ ვეტყვი.“

„ერთხელ კიდევ მაკოცე“, სთხოვდა ქალს ყოყმანით, ნენსის კი ალბომის გვერდი გადაეფურცლა და ერთ ფოტოსურათზე დაჟინებით უთითებდა.

„აი, შენც“, წამოიძახა ქალმა. „მარჯვნივ დგახარ!“

დონალდმა ალბომს დახედა. სურათიდან ნავმისადგომზე, იალქნიანი ნავის წინ მდგარი ბიჭუნა იმზირებოდა, შორტებში გამონყობილი.

„კარგად მახსოვს ის დღე“, — გაიცინა ქალმა მოზიემი სახით — „კიტიმ გადაგილო. მე კი ავნაპნე სურათი“.

დონალდმა წამით ვერ იცნო თავი ფოტოზე — შემდეგ ახლოდან დააცქერდა და დარწმუნდა, რომ მართლაც ვილაც სხვა იყო მასზე ალბეჭდილი.

„ეს ხომ მე არ ვარ“, განაცხადა მან.

„ოჰ, როგორ არა. ფრონტენაკშია გადაღებული — აი, იმ ზაფხულს — მღვიმეში რომ მივდიოდით ხოლმე.“

„მღვიმეში? რომელ მღვიმეში? ფრონტენაკში მხოლოდ სამ დღეს დავრჩი.“ მან კვლავ ჩააშტერა თვალები ოდნავ ჩაყვითლებულ ფოტოსურათს. „არა-მეთქი, ეს მე არა ვარ. სურათზე დონალდ ბოუერსია. ჩვენ ჩამოვგავდით ერთმანეთს.“

ახლა ქალი მიშტერებოდა დონალდს. უკან გადახრილიყო, თითქოს სურდა, დაშორებოდა.

„განა შენ არა ხარ დონალდ ბოუერსი?!“ ოდნავ ხმაანვეით წამოიძახა ნენსიმ. „არა და არა. შენ დონალდ პლანტი ხარ.“

„მე ხომ ტელეფონშივე გითხარი.“

ქალი შეძრწუნდა — თავზარდაცემულს სახე გაუფითრდა.

„პლანტი! ბოუერსი! მგონი, შევიშალე. იქნებ სასმელის ბრალია? თავიდანვე რაღაც ავურდავურიე. უყურე ერთი! ეს რა წამომცდა?“

ბერივით გასუსული დონალდი ალბომის გვერდს შლიდა.

„ისეთი არაფერი“. მიუგო მან. მის თვალწინ ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, მიქროდნენ ფოტოსურათები, — ფრონტენაკი — მღვიმე — დონალდ ბოუერსი —, ის კი არსად არ ჩანდა. „მამ შენ მე მიმატოვე!“

ნენსი ოთახის ბოლოდან აგონებდა.

„არავისთან წამოგცდეს რამე“, სთხოვა ქალმა, „ყბად ამიღებენ“.

„განა რა არის სათქმელი“, დონალდი შეეყოყმანდა. მაგრამ გაიფიქრა, მართლაც უსაქციელო გოგონა ყოფილაო.

და უეცრად გაუსაძლისმა ეჭვიანობამ შეიპყრო. ეჭვიანობა პატარა დონალდ ბოუერსზე, ეჭვიანობა კაცი, ვისაც ეგონა, სამუდამოდ გამოთხოვებოდა ამ გრძობას. იმ ხუთი ნაბიჯით, ოთახში რომ გადადგა ქალისკენ, მან უმალ გამოდევნა თავისი ცხოვრებიდან ეს ოცი წელიცა და უოლტერ გიფორდიც.

„კიდევ მაკოცე, ნენსი“ შეეხვეწა. ქალის სკამთან ცალ მუხლზე დაჩოქილიყო, ხელი მის მხარზე დაედო. ნენსი განზე იწევდა.

„თქვენ თქვით, თვითმფრინავს უნდა მივუსწროო“.

„მერე რა, რომ ვთქვი. შემიძლია არც გავფრინდე. დიდი საქმე, თუ დავაგვიანებ.“

„გთხოვთ, ნახვიდეთ.“ უთხრა ქალმა ცივი ხმით. „და ისიც წარმოიდგინოთ, რას განვიცდი“.

„რატომ იკატუნებ თავს, ისე იქცევი, ვითომ არ გახსოვარ“, იყვირა მან, — „თითქოს არც კი გახსოვს დონალდ პლანტი!“

„მახსოვხართ, როგორ არა. თქვენც მახსოვხართ ... მაგრამ მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა“. ქალს ხმა კვლავ გაუმკაცრდა. „ტაქსის ნომერია ქრესეული 8484“.

აეროპორტისკენ მიმავალი დონალდი თავს აქეთ-იქით აქნევდა. უკვე სავსებით გამორკვეულიყო, მაგრამ ვერ აეხსნა, რაც გადახდა. მაშინლა, როცა თვითმფრინავი მიწას მოსწყდა, მუქ ზეცაში ავარდა და მგზავრები რაღაც სხვა, ციურ სამყაროში მოაქცია, დონალდმა მომხდარი თვითმფრინავის ფრენას მიამსგავსა. ხუთი ბუნდოვანი წუთი ის შეშლილივით ორ სამყაროში თანაარსებობდა. მასში ერთარსებად, განუყოფლად და უიმედოდ შეერთებულიყო თორმეტი წლის ბიჭიცა და ოცდათორმეტი წლის მამაკაციც.

ავიარეისებს შორის იმ რამდენიმე საათში დონალდს იღბალმა უმტყუნა, — თუმცა თუკილა ჩვენი ცხოვრების მეორე ნახევარი მართლაც იმედგაცრუებათა გრძელი ჯაჭვია, განა ღირს მისი ერთი რგოლის რამედ ჩაგდება?

ინგლისურიდან თარგმნა
მაია ცარცვაკია

ასე უზნობლა მსტოვართუსუცესი

დიახ, დიახ, მსტოვართუსუ-ცესი! ხომ არ გეწოთირათ? განა ძირძველი ქართული სიტყვა „მსტოვარი“ რამით ჩამოუყარ-დება სპარსულ-ალმოსავლურ „ჯაშუს“ ანდა რუსულ-დასავლურ „შპიონს“? ჰოდა, ლექსიკურ ოკუპანტებს უნდა ვამჯობინოთ მშობლიური „მსტოვარი“, რომელსაც ქართული პროზის დიდოსტატი ენერგიულად ნერგავდა იმ შავბნელ წარსულში, მაგრამ, ვაგლახ, ამაოდ დამგვრა.

დღეს, ღვთის წყალობით, უკვე გამოიდარა და თუკი „მსტოვარი“ მტკიცედ დამკვიდრდება, ბუნებრივია, რომ მსტოვართა შეფს თუ ნაჩაღნიკს (როგორც გენებოთ) ასევე ქართულად ვუწოდოთ „მსტოვართუსუცესი“.

ეს სოლიდური სახელო კი, უპირველეს ყოვლისა, მოერგება ალენ დალესს — ამერიკული დაზვერვის გროსმაისტერს.

როგორც ამბობენ, ალენ დალესმა ზუსტად იცოდა, თუ რამდენ ცალ ხინკალს მიირთმედა ვახშმად ნიკიტა ხრუშჩოვი და ისიც იცოდა, თუ „არქიპელაგ გულაგის“ რამდენ გვერდს წერდა დღემი ალექსანდრ სოლჟენიცინი.

ალენ დალესმა, თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც კი იცოდა, თუ რა უთხრა დავით აღმაშენებელმა დედისიმედს დიდგორის ომის წინ.

დიახ, დიახ, ყველაფერი იცოდა, ამქვეყნად თუ იმქვეყნად რაც კი ხდებოდა — ყველა კონტინენტზე, ყველა ზღვასა და ოკეანეში, ყველა ზესკნელსა და ქვესკნელში.

ბერია რომ მოსწრებოდა დალესის აღზევებას (ვინ დააცა-ლა!), ალბათ, ასე იტყოდა: აღმოსავლეთში მე ვარ და დასავლეთში მისტერ დალესიო.

ალენ დალესი იყო ის კაცი, ვინც პირადად იცნობდა ჰიტლერს, მუსოლინის, ფრანკოს და ა.შ. მაგრამ სტალინთან შეხვედრა პრინციპულად იუარა, მაგ კაცობრივთან რა მესაქმებო.

„შპიონაჟის ენციკლოპედია“ გვარწმუნებს, რომ აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, ალენ დალესის ქვემარტად ისტორიული ხელმძღვანელობის ჟამს (1953 წლის თებერვლიდან 1961 წლის ნოემბრამდე), გადაიქცა უძლიერეს გლობალურ ორგანიზაციად, რომელსაც ხელენიფებოდა საიდუმლო ოპერაციების ჩატარება მთელი დედამიწის ზურგზე (არქტიკისა და ანტარქტიკის ჩათვლით).

სამოცდარვა წლისა პენსიაზე რომ გავიდა, რასაკვირველია, მატერიალურად გაუჭირდებოდა და ქართული ანდაზა გაახსენდა: თხა თხაზე ნაკლები — მეგლმა შეჭამაო. ფოლკნერსა და ჰემინგუეის გავჯობრა, აილო და წერას მოჰკიდა ხელი. 1963 წელს გამოსცა თავისი გულახდილი მემუარები „ხელოვნება დაზვერვისა“ (მთელი მსოფლიოს მსტოვართა სახელმძღვანელოდ იქცა). შემდგომში კი სხვათა ასავალ-დასავალი შეკრიბა, შეკრა და შეკონა ერთ ნივანდ „დიდი სიმარტლე. მსტოვართა აძბავნი“; წინათქმა და საუცხოო კომენტარიც დაურთო.

ალენ დალესი მსტოვრებს ორ ტიპად ჰყოფს. პირველს, მისი აზრით, მიეკუთვნებიან ისინი, ვინაც მოიპოვა იმდენად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გადაწყვიტოს ბრძოლისა და ზოგჯერ ქვეყნის ბედიც. ისინი, უბადლო პროფესიონალები, ჩვეულებრივ ადამიანებად რჩებიან და ყურადღებას არ იქცევენ. სანიმუშოდ დასახელებულია გერმანელი ფიზიკოსი კლაუს ფუქსი, ვისი პიროვნებაც არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ ფუქსის მიერ ამერიკულ ატომურ საიდუმლოებათა გადაცემამ კრემლისათვის ვებერტელა დალი დაასვა მსოფლიო ისტორიის მსვლელობას.

ხოლო მეორე ტიპს ის მსტოვრები განასახიერებენო, ვისაც საქმენი საგმირონია ჩაუდენია და თავბრუდამხვევი თავგადასავალი ჰქონია — დამოუკიდებლად მოპოვებული ინფორმაციის მნიშვნელობისგან. ასე მაგალითად, ამერიკული რევოლუციის გმირმა-მსტოვარმა ნათან ჰეილმა ისეთი სიმამაცე და კეთილშობილება გამოიჩინა სიკვდილით დასჯისას, რომ სამარადისოდ დარჩა შთამომავალთა სსოვნაში, თუმცა ბევრი ვერაფერი უმსტოვრია (ინგლისელები დატყვევებულ ჰეილს დაჟინებით ეკითხებოდნენ: სად არის პრეზიდენტი ვაშინგტონიო და ჰეილი

ვაჟაკურად პასუხობდა: პრეზიდენტი ვაშინგტონი თავის პოსტზე არისო).

დალესი წერს: „იდეალური მსტოვარი — ესაა პიროვნება, დაჯილდოებული მაღალი ადამიანური თვისებებით და პროფესიული ოსტატობით“.

აი, ასე უზნობლა ასპროცენტინი ამერიკელი!

ალენ დალესი აღნიშნავს, რომ ჩვენს დროში, არცთუ იშვიათად, არაერთი მსტოვარი სარგებლობს საყოველთაო პოპულარობით, თუმცა გაურკვეველია ხოლმე, სახელდობრ რა მიღწევათა ჰქონიათ ამ ასპარეზზე.

ამის ბრწყინვალე ნიმუშად მიაჩნდა „ექსტრა-კლასის საბჭოთა მზვერავი რუდოლფ აბელი“. დალესი მოგვითხრობს, რომ აშშ გამოძიების ფედერალურმა ბიურომ 1957 წელს ნიუ-იორკში დააპატიმრა იგი (მისივე თანაშემწის მეოხებით). ზინაში აღმოუჩინეს კოდები, რადიოგადამცემი და სხვადასხვა რეკვიზიტები, თვალნათლივ რომ ადასტურებდნენ ინტენსიურ მსტოვრულ მუშაობას. მაგრამ არავითარი ჩვენება აბელს არ მიუცია, ამიტომაც მისი საქმიანობის რეალურ შინაარსსა და შედეგებზე მსჯელობა დღემდე ძნელი არისო.

დალესის წინათქმიდან ირკვევა, რომ „დამალობანას“ თამაში მხოლოდ საბჭოთა საიდუმლო სამსახურებს როდი სჩვეოდათ. თურმე ჯეიმზ ფენიმორ კუპერს დანვრილებით უამბეს ერთი მსტოვრის სასახელო თავგადასავალი, რამაც გამოჩინილ ამერიკელ მწერალს შთააგონა შეექმნა რომანი „მსტოვარი“, მაგრამ იმ კაცის ვინაობა არაფრით არ გაუზიხლეს.

და კიდევ:

აშშ პირველი პრეზიდენტის ჯორჯ ვაშინგტონის კონტრდაზვერვის უფროსი თავის მემუარებში რამდენიმე სტრიქონს უთმობს ვინმე სემუელ კალპერს, ვისი იდენტიფიცირება ისტორიკოსთა მიერ მოხერხდა მხოლოდ 1939 წელს. ხელწერათა შეჯერების საფუძველზე დაადგინეს, რომ ეს იყო რობერტ ტაუნსენტი, რომელსაც ეკუთვნოდა ყავახანა ნიუ-იორკში და მისი კლიენტები უფკვედნენ ფასეულ ინფორმაციას ინგლისელთა ჯარების დისლოკაციისა და სარდლობის გეგმების შესახებ.

დალესი წერს, რომ სახელგანთქმული მატა ჰარის მიერ თავის თავგანისმცემელთაგან მიღებულ ინფორმაციას, ქალაღზე რომ გადაჰქონდა, იმ ქალაღის ღირებულებაც კი არა ჰქონია. მსტოვართუსუცესის დასკვნით, მატა ჰარი 1917 წელს საფრანგეთში აზვირთებული შპიონომანიის მსხვერპლი შეიქნაო.

ალენ დალესი განმარტავს, თუ რატომ შეუტანია ფართო საზოგადოებისათვის უცნობი სერჟანტის ჯეკ დუნლაპის თავგადასავალი იმ კრებულში, სადაც მსოფლიო სახელ-დიდების მსტოვართა ამბებია გადმოცემული. მისი მიზანი ყოფილა იმის ჩვენება, რომ მნიშვნელოვანი საიდუმლო დოკუმენტების მოსაპოვებლად აუცილებელი არაა ხელისუფლების მაღალ საფეხურებზე გასვლა, ვინაიდან თანამედროვე რთულ ბიუროკრატიულ მანქანაში მსხვილ დაწესებულებათა ერთი განყოფილებიდან მეორეს გადაეცემა ხოლმე აურაცხელი ოდენობა სხვადასხვა თანამშრომელთა მიერ დამზადებული საქმიანი ქალაღდებისა და საკმაოდ ხშირად მიაწვდიან უბრალო შიკრიკები — ადამიანები, რომელთაც მცირედი წარმოდგენაც არა აქვთ, თუ რაზეა ლაპარაკი ამ საიდუმლო დოკუმენტებში. და თუნდაც სცადონ ნაკითხვა, სულერთია, მაინც ვერაფერს მიხვდებიან. დუნლაპს, მოსალოდნეული სასჯელის შიშით, თავი რომ არ მოეკლა, დაკითხვაზე იგი მოპარული და გაყიდული დოკუმენტების აღწერლობასაც კი ვერ მოახერხებდა, შინაარსი რა სათქმელიაო.

დასასრულ, ალენ დალესი გვაუწყებს: „ეს კრებული რომ გამოვეცი, სათავგადასავლო მონათხრობით მკითხველის გართობას როდი ვაპირებდი, არამედ ჩემი მიზანი იყო გამეხსნა თანამედროვე საიდუმლო სამსახურთა მუშაობის ხასიათი და თავისებურებანი. საამისოდ კი გამოვიყენე სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყნებში დაბეჭდილი საინტერესო მასალები“.

არაკები და რეალობა

1916 წლის გაზაფხულზე რუს-ხემნიფის მაღალჩინოსანი მოხელე მიხაილ ბერეჟკოვი დანიშნეს იმ შემსყიდველი კომისიის ხელმძღვანელად, რომელსაც სამხედრო და სავაჭრო ხომალდები უნდა მიეღო შეერთებულ შტატებში. ბერეჟკოვი მიემგზავრებოდა მეუღლესთან ერთად, მაგრამ მოულოდნელად გააჯიუტდა სიდედრი — ფეხმძიმე ქალის ამერიკაში გამგზავრება როგორ შეიძლებაო?! მძინვარებდა პირველი მსოფლიო ომი. გერმანელთა წყაღვემა ნავები დათარეშობდნენ ატლანტის ოკეანეში და დაუნდობლად ძირავდნენ ნებისმიერ გემს. ბავშვი გაჩნდეს და მერე გაემგზავრეთო, არწმუნებდა მომავალი ბებია თავის შვილსა და სიძეს. გააჯიუტდა და გაიმარჯვა. მიხაილ ბერეჟკოვმა უარი განაცხადა მომხიბლავ ვოიაჟზე.

რომ სცოდნოდათ, რაოდენი ვაჭირვება და ვაება დაატყდებოდათ თავს უახლოეს მომავალში, უკანმოუხედავად მოუსვამდნენ თავისუფლების კალთაში თავის შესაფარებლად.

„შემთხვევითობა, რომელიც ბევრ ნიშნავდა ჩემს ცხოვრებაში, პირველად გამეხუმრა ჯერ კიდევ დედის სამოში. ბებიანაემი ესოდენ ჯიუტი რომ არ ყოფილიყო, დავიბადებოდი შეერთებულ შტატებში და პრეზიდენტ რუზველტის თარჯიმანი გავხდებოდი“, — წერს ვალენტინ ბერეჟკოვი თავის მოგონებათა ნიგნში „როგორ გავხდი სტალინის თარჯიმანი“.

თვითმხილველი ავტორის პირადი შთაბეჭდილებანი, არცთუ იშვიათად, აქარწყლებს იმ ღვარძლიან დეზინფორმაციას, რომელსაც თავის დროზე სათავე დაუდო ცხოვრებულმა ხრუშჩოვმა, რომელმაც ლამის ნავგლეჯა ცხოვრებული „პერესტროიკის“ წლებში და რომელიც წარმატებით გრძელდება დღესაც რუსულ პრესაში. აგერ, დასავლეთში ფრიად პოპულარული სოვეტოლოგი აბდურაჰმან ავტორხანოვი (ყოფილი პარტმუშაკი ყოფილ ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში) ამტკიცებს, რომ სტალინის კაბინეტში შესვლისას თურმე პოლიტიბიუროს წევრებსაც კი ჩხრეკდნენ!

ამას ასაბუთებს არმიის გენერალ შტემენკოს ცნობით — სტუმრები სტალინის პირადი მეივის პოსკრებიშევის კაბინეტის გავლით შედიოდნენ სტალინის პირადი დაცვის სადგომში და ამის შემდეგ შეიძლებოდა სტალინთან მოხვედრაო.

დიდი ვერაფერი საბუთია! თუკი არსებობდა პირადი დაცვის სადგომი, ცხადია, უნდა გაველოთ, აბა გადაახტებოდნენ? მაგრამ შტემენკო ხომ არაფერს ამ-

ბობს ჩხრეკის თაობაზე და გაუგებარია მისი დამონება ალტრულ საკითხთან დაკავშირებით.

შემდეგ ავტორხანოვი მოგვითხრობს, რომ ერთხელაც მოლოტოვი ლონდონიდან ბრუნდებოდა და დაუყოვნებლივ ნაბრძანებულა კრემლში, რათა დაუყოვნებლივ მოეხსენებინა პატრონისათვის თავისი ვიზიტის შედეგები. სტალინის დაცვამ საფუძვლიანად გაჩხრიკა იგი (მეორე კაცი კრემლის იერარქიაში!), ჯიბეში აღმოჩინეს პისტოლეტი და თავაზიანად ამოუძვინეს იქიდან. მოლოტოვმა შესწივლა პატრონს, ასეთი შეურაცხყოფა მომაცნესო, მაგრამ პატრონმა გაამართლა თავისი დაცვა.

მოთხრობილის წყაროდ მითითებულია ვიქტორ ალექსანდროვის ნიგნი „კრემლი“, გამოცემული ინგლისურ ენაზე, ლონდონში, 1961 წელს.

ალაჰმა უწყის, ვინა ბრძანდება ეს ალექსანდროვნივთები ავტორი და არც ის ვიცით, საიდან მოიპოვა ამგვარი ინფორმაცია — მოლოტოვმა ჩაუკაკლა თუ მისმა ძვირფასმა მეუღლემ? ასეა თუ ისე, რეალობას რომ არ შეესაბამება, ეს კი დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რადგანაც ე.წ. ალექსანდროვსა და ღრმადპატივცემულ აბდურაჰმან ავტორხანოვზე გაცილებით უკეთესად იცნობს კრემლში გამეფებულ ადათ-ნესებს და თვით კრემლის მბრძანებლის ჩვევებსაც მისი ომისდროინდელი თარჯიმანი, ზემოხსენებული ვალენტინ ბერეჟკოვი, რომელიც ასე აგვიწერს 1941 წლის შემოდგომაზე არსებულ ვითარებას:

„სტალინის სამსახურებრივ აპარტამენტებში სუფევდა საქმიანი, მშვიდი ატმოსფერო... დღეს ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ ყველა მომსვლელს, მოლოტოვსაც კი, ბელადის კაბინეტის წინ ჩხრეკდნენ, რომ სავარძლებს ქვეშ მოთავსებული იყო ელექტრონული ხელსაწყოები იმის შესამოწმებლად, ვინმეს იარაღი ხომ არ დაუმალავსო. სინამდვილეში, არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა: ჯერ ერთი, მაშინ არც არსებობდა ელექტრონული სისტემები და მეორეც — მთელი იმ თხის წლის მანძილზე, როდესაც მივდიოდი ხოლმე სტალინთან, ერთხელაც კი არავის გავუჩხრეკივარ და, საერთოდ, არავითარი სპეციალური შემოწმება არ გამივილა“.

აი, როგორ განსხვავდება ერთიმეორისგან თვითმხილველი მოწმის უტყუარი ნაამბობი და არაკების მოყვარული ავტორის ნიგნში საეჭვო ლირებულების ნაწარმოებიდან ნასესხები დეზინფორმაცია.

რომანი ნოსტალგიაზე

სასიამოვნო ტრადიციად დამკვიდრდა საგამომცემლო ცენტრ „დიოგენეს“ მიერ ახალი ნიგნების წარდგინება. 3 თებერვალს მილან კუნდერას რომანის „შეუცნობელი“ ქართულ თარგმანს გაცნო მკითხველი. თანამედროვეობის ერთ-ერთი ცნობილი მწერალი, ჩეხი მილან კუნდერა დღეს ემიგრანტია და საფრანგეთში ცხოვრობს. კუნდერა არის ფრანგული აკადემიის წევრი. იგი მრავალმხრივი შემოქმედია, სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობს. 2000 წელს გამოქვეყნებული „შეუცნობელი“ მისი ბოლო რომანია. ნიგნი ქართულად თარგმნა ნანა იაშვილი. რედაქტორია ლალი ქადაგიძე.

ნანა იაშვილი: „ეს რომანი ნოსტალგიაზეა, ადამიანზე, რომელიც იძულებით ტოვებს თავის სამშობლოს და უცხო ქვეყანაში გადაიხვეწება. რომანში აღწერილია, თუ რა განცდები აქვს მას, როგორ ეგუება უცხო გარემოს, როგორ ცდილობს თავის დამკვიდრებას. ერთ დღეს მის სამშობლოში მოხდება რევოლუცია და ამის შემდეგ სურს დაბრუნება მშობლიურ ქვეყანაში. ნიგნში ორი პერსონაჟია ემიგრანტი. ორივეს სამშობლოში ვხვდავთ. განცდა კი სხვადასხვანაირი აქვთ. სწორედ ეს თემაა ნიგნში განხილული. როდესაც ემიგრანტი სამშობლოში — ჩეხეთში — ბრუნდებიან, აღმოაჩენენ, რომ მათი ენაც შეცვლილია, ახალგაზრდები ინგლისურად ლა-

პარაკობენ. ბანერებზე წარწერები ინგლისურ ენაზეა. გლობალიზაცია და კაპიტალიზმია შემოჭრილი ქვეყანაში. სამშობლოში დაბრუნებულ ემიგრანტებს კი ენატრებათ საკუთარი ენა, ყოველგვარი უცხო და დამახინჯებული სიტყვების გარეშე ვფიქრობ, ეს თემა ქართველ მკითხველსაც დაინტერესებს და გულზე მოხვდება“.

ლია რუხაძე: „კუნდერას ნაწარმოებები და მათზე შექმნილი ფილმები ძალიან პოპულარულია მსოფლიოში. რომანი „შეუცნობელი“ აქტუალურ თემას ეხება. დღეს ემიგრანტის სულიერი მდგომარეობა ძალიან საინტერესოა. სწორედ ამ რომანში სიღრმისეულად და ფაქიზად აქვს ავტორს გადმოცემული ემიგრანტის შინაგანი ბუნება, განცდები. თარგმანი ძალიან საინტერესოა. ამას წინათ ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ განხილული იყო ერიკ-ემანუელ შმიტის „ულის ბაღდადიან“, რომ კვითხულობდი, პარალელს ვავლებდი ამ რომანთან. ერთსა და იმავე თემაზეა ეს ორი ნაწარმოები დაწერილი. თუმცა მრავალფეროვნება ისაა, რომ სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისგან. „შეუცნობელი“ ქართულად თარგმნილია არაჩვეულებრივად“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ლიტერატურას შეემატა კიდევ ერთი მრავალმხრივ ფასეული ნიგნი.